საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

დარეჯან მეგრელაძე

გლეხობის კლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1979

~~63·3(2 Г)~~
321.914.2(47.922)(09)+9(47.922)
~~Э. 476~~

მონოგრაფიაში გამოკვლეულია ფეოდალური საქართველოს გლეხობის კლასობრივი ბრძოლის საკითხები. შესწავლილია გლეხის უფლება მიწაზე, საგლეხო გადასახადები, გლეხთა ფეოდალური ექსპლოატაციის ფორმები. გარკვეულია ფეოდალური ექსპლოატაციის ზრდის მიზეზები.

ნაშრომში მოცემულია კლასობრივი ბრძოლის ფორმები, როგორც პასიური, ისე აქტიური და შეფასებულია მისი ხასიათი ქვეყნის საგარეო და სამინაო ურთიერთობათა ფონზე.

Э 10604
М 607(06)—79 188—79 © გამომცემლობა „მეცნიერება" 1969.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქართულ ისტორიოგრაფიაში სპეციალური ლიტერატურა, ფეოდალური საქართველოს გლეხობის კლასობრივ ბრძოლას რომ შეეხებოდეს, გარდა ორიოდე სტატიისა არ გაგვაჩნია. ამიტომ, თამამად შეიძლება ითქვას, მთელი სისრულით, ფეოდალური სოფლის მწარმოებელი საზოგადოების კლასობრივი ბრძოლის ისტორია დღემდე შესწავლილი არაა.

წარმოდგენილი ნაშრომი პირველი მონოგრაფიაა, სადაც სპეციალურადაა დასმული ფეოდალურ საქართველოში მწარმოებელი საზოგადოების კლასობრივი ბრძოლის საკითხი.

საკითხის მთელი სისრულით შესწავლის პრეტენზია, მისი სირთულისა და მოცულობის გამო, არც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორს აქვს. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, ეს ნაშრომი მაინც მოკრძალებულ წვლილს შეიტანს ფეოდალური საქართველოს აგრარული საკითხების და კერძოდ, კლასობრივი ბრძოლის ისტორიის შესწავლის საქმეში.

კლასობრივი ბრძოლის შესასწავლად საჭირო გახდა უშუალოდ მასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხების შესწავლა-დაზუსტება, ზოგჯერ ამა თუ იმ საკითხის ახლებურად წარმოჩენა ან სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ზოგიერთი დებულების ხელახლა გადახედვა. ამიტომ, რამდენადაც ამის საშუალებას ნაშრომის მოცულობა გვაძლევდა, ვეცადეთ ისეთი საკითხები, როგორიცაა გლეხის უფლება მიწაზე, საგლეხო გადასახადებისა თუ გლეხთა ექსპლოატაციის ზრდის საკითხი ნაშრომში მსჯელობის საგნად გაგვეხადა.

როგორც აღვნიშნეთ, წარმოდგენილი ნაშრომი ავტორის პირველი ცდაა გლეხობის კლასობრივი ბრძოლის მონოგრაფიულად შესწავლისა. შესაძლოა იგი დაზღვეულიც არ იყოს ზოგიერთ უზუსტობათაგან. ამიტომ მკითხველთა ყველა საქმიან შენიშვნასა და სურვილს ავტორი დიდი მადლობით მიიღებს.

პირველი თავი

გლეხის უფლება მიწაზე

საკუთრების, კერძოდ კი მიწის საკუთრების საკითხი ფეოდალური ხანის ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთი კარდინალური საკითხთაგანია. ჯერ კიდევ ბურჟუაზიული ხანის ისტორიკოსებს შორის დაწყებული დავა ფეოდალიზმის ეპოქაში მიწის საკუთრების რაობაზე კვლავაც გრძელდება და საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ფეოდალური საკუთრების ფორმების შესახებ მრავალ სხვადასხვაგვარ მოსაზრებას ვხვდებით, რაც იმის ნიშანია, რომ ეს საკითხი ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია. ავტორთა ნაწილი აღიარებს მიწაზე თავისუფალ, განუსაზღვრელ უფლებას (პორშნევი), ნაწილი კი სავსებით უარყოფს ფეოდალიზმის დროს საკუთრებას მიწაზე (კოლგანოვი) და ა. შ.

ს. სკაზკინის თვალსაზრისით, მიწაზე ფეოდალური საკუთრება განსაკუთრებული ფორმაა — განსხვავებული როგორც მონათმფლობელურისაგან, ასევე ბურჟუაზიულისაგან. იგი აღნიშნავს, რომ ამ საკუთრების შესწავლა აგვაცილებს ბევრ შეცდომასა და მსჯელობას საკუთრებისა და მფლობელობის (собственность и владении) სამართლებრივ გაგებაში[1].

გლეხის მიწაზე უფლების შესახებ ს. სკაზკინი აღნიშნავდა, რომ გლეხი — ფეოდალური ფორმაციის უშუალო მწარმოებელი, რა მტკიცეც და ფართოც არ უნდა იყოს მისი მფლობელობითი უფლებები, არ შეიძლება ჩავთვალოთ მის საკუთრედ, რამდენადაც იგი არის არა მიწები, არამედ გადამხდელი ფეოდალური რენტისა მიწის იმ ნაკვეთიდან, რომელსაც იგი ან მისი ოჯახის წევრები ამუშავებდნენ[2].

---

[1] С. Д. Сказкин, Очерки по истории западно-европейского крестьянства в средние века, 1968, с. 8.

[2] იქვე, 129.

როგორც ვხედავთ, ს. სკაზკინისათვის მიწის საკუთრების განმსაზღვრელ მომენტად აღებულია რენტა.

ასეთივე შეხედულებისაა მიწაზე გლეხის უფლების შესახებ ა. შაპირო, რომელიც იზიარებს ლ. დემბოს მოსაზრებას, რომ მიწაზე ფეოდალური საკუთრების სუბიექტი რენტის მიმღები იყო[3]. ავტორის აზრით, ფეოდალური საკუთრება მიწაზე წარმოდგენილი იყო გლეხური მიწათმფლობელობის გარეშე და, რაც უნდა დიდი ყოფილიყო ფეოდალის უფლებები საკუთრებაზე, მას ანგარიში უნდა გაეწია გლეხური მფლობელობის უფლებებისათვის. მას მოტანილი აქვს ლენინის სიტყვები, რომ „ნადელი" გლეხისათვის იყო თავისი მიწა[4].

ქართველ ისტორიკოსთაგან სპეციალურად მიწაზე ფეოდალური საკუთრების (XVII—XVIII სს. გლეხობისა) ფორმები არავის შეუსწავლია, მაგრამ ავტორები, რომლებიც ეხებიან სათავადოებისა თუ გლეხობის ისტორიას, ცალკეულ თავებს უძღვნიან ფეოდალურ საქართველოში მიწაზე საკუთრების ფორმებს (დ. გვრიტიშვილი, გ. ჯამბურია, ო. სოსელია, ვ. გაბაშვილი, მ. დუმბაძე, მ. ქიქოძე, ი. ანთელავა, ნ. ასათიანი, დ. გოგოლაძე).

სპეციალური გამოკვლევა ფეოდალური საკუთრების შესახებ ქართველ მეცნიერთაგან ივ. სურგულაძეს ეკუთვნის (რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი).

გლეხური საადგილმამულო ურთიერთობის შესატყვისად საბჭოურ ლიტერატურაში სხვადასხვა ტერმინი იხმარება.

ს. სკაზკინის აზრით, ფეოდალური წარმოების წესის დროს მთელი საწარმოო საშუალებანი და შრომის პირობები უშუალოდ მწარმოებლის ხელთაა. წარმოების უარსებითესი პირობა გლეხისათვის არის მიწა, რომელიც ჰერის სახით ეძლევა მას სენიორისაგან[5]. საერთოდ ყოველგვარი საკუთრება მიწაზე ფეოდალიზმის პირობებში, ს. სკაზკინის აზრით, არის ჰერა (держание).

მ. მანცევს ფეოდალური ხანის გლეხი მიაჩნდა მიწით მოსარ-

---

[3] А. Л. Ш а п и р о. О природе феодальной собственности на землю, Вопросы истории, 1969, № 12, с. 59.

[4] იქვე.

[5] ს. ს კ ა ზ კ ი ნ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 126.

გებლედ და ხმარობს ტერმინს „გლეხური მიწათსარგებლობა“ (Крестьянское землепользование)[6].

ავტორთა უმრავლესობა ფეოდალურ საქართველოში გლეხური საადგილმამულო ურთიერთობის აღსანიშნავად გლეხურ მიწათმფლობელობას (землевладение) ხმარობს.

ფეოდალური ხანის საადგილმამულო ურთიერთობის ქართული მასალების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენში, ისე, როგორც სხვა ქვეყნებში, გლეხის მიწასთან დამოკიდებულების ნაირსახეობანი გვქონდა. ქართული საისტორიო წყაროები შესანიშნავად ასხვავებენ ურთიერთისაგან ამ ნაირსახეობათა ფორმებს და მათი შესატყვისი სათანადო ტერმინოლოგიაც შემუშავებულა საუკუნეთა მანძილზე.

ქართული ფეოდალური საადგილმამულო ურთიერთობა იცნობს გლეხის როგორც „სამუდამო“ მემკვიდრეობით უფლებას მიწაზე, ასევე მიწით დროებით სარგებლობის ფორმებს და მას სათანადო ცნებებითაც გამოხატავს. ჩვენ ვეცდებით გავარკვიოთ ყველა ეს ურთიერთობა.

ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში ყველაზე გავრცელებული ფორმა საგლეხო მიწებისა საკომლოა (ფუზე-ფუძე-საგლეხო — მამული-საკომლო), რაც გლეხის „მკვიდრი“ საკუთრებაა. იგი საბატონო მიწაა, რომელიც გლეხს ეძლევა უვადოდ. ეს მიწა ტრადიციით გადადის მამიდან შვილზე. ძირითადი საგადასახადო სიმძიმეც ამ მიწაზე მოდის.

ფეოდალიზმის პირობებში შეიძლება გლეხს ჰქონდეს ნასყიდი მიწაც. ქართული კანონმდებლობით ნასყიდი ხელშეუვალია, მაგრამ პრაქტიკაში გლეხის უფლება ასეთ მიწაზედაც შეზღუდულია.

გლეხები ამუშავებენ აგრეთვე დროებით სარგებლობაში მყოფ მიწებს. ყველაზე მეტი ნაირსახეობანი სწორედ გლეხებისათვის დროებით სარგებლობაში მყოფ მიწებზე მოდიოდა. მაგ., როგორიცაა საღალოე, საბოგანო, სამოდო და სხვ. გლეხს შეიძლებოდა მიწა მიცემული ჰქონოდა „საშმელად“, „სარჩოდ“ ან მიწა „ეჭიროს“ დროებით. გლეხს შეიძლება ჰქონდეს ნაწყალობევი ან მზითვში მიღებული მიწებიც.

ამ წინასწარი განაცხადის მიხედვით, ფეოდალურ საქართველოში საგლეხო მიწები სამ ძირითად ჯგუფად შეიძლება

---

[6] В. Манцев. Феодальный способ производства, сб., Докапиталистические способы производства, М., 1960.

დაიყოს. I. მკვიდრი ანუ მამული, II. ნასყიდი, III. დროებით სარგებლობაში არსებული მიწები.

თითოეული გლეხისათვის უფლება მიწაზე ინდივიდუალურია. შესაძლოა ერთ გლეხს ჰქონდეს მკვიდრი და ნასყიდი მიწებიც და დროებით სარგებლობაში არსებული მიწაც. სხვას კი მხოლოდ დროებით სარგებლობაში მყოფი მიწა ჰქონდეს და ა. შ. დროთა განმავლობაში თანაფარდობა საგლეხო მიწის ფორმებს შორის იცვლებოდა, რაც მრავალ ფაქტორზე იყო დამოკიდებული (საგარეო ფაქტორი, შინაომები...).

ქვემოთ შევეცდებით გავარკვიოთ თითოეული მიწის სახეობის შინაარსი.

1. მიწის ზომები ფეოდალურ საქართველოში

ვიდრე უშუალოდ საგლეხო მიწის სახეობათა შესწავლაზე გადავიდოდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევეხოთ მიწის იმ ზომებს, რაც გავრცელებული იყო ფეოდალურ საქართველოში. ამას მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც გლეხის კეთილდღეობა დამოკიდებული იყო ერთი მხრივ, იმაზე თუ რა უფლება ჰქონდა მას მიწაზე, ხოლო, მეორე მხრივ, მიწის იმ ფართობზე, რასაც ამუშავებდა იგი.

მიწა, მასზე კერძო საკუთრების გაჩენისთანავე შეძენა-გასხვისების საგანი გახდა (ყიდვა-გაყიდვა, გაცვლა, წყალობა-ბოძება, შეწირვა, მიწის მზითვად გატანება და ა. შ.). ასეთ შემთხვევაში საჭირო იყო შეძენილი თუ გასხვისებული მიწის საზღვრების დადგენა, რაც ძირითადად ბუნებრივი ნიშნების მიხედვით ხდებოდა (ხევი, ხრამი, კლდე, მდინარე, რუ, მრავალწლიანი ხეები, შარაგზა თუ ორღობე და ა. შ.).

დროთა ვითარებაში ბუნებრივი საზღვრები იშლებოდა, ზოგჯერ ხელოვნურადაც, ამიტომ საზღვრებთან ერთად აუცილებელი იყო მიწის ზომების ფიქსირებაც.

ფეოდალურ საქართველოში მიწის ზომების აღსანიშნავად სხვადასხვა სიდიდის ერთეულები იყო გავრცელებული, შესაბამისად სხვადასხვა იყო მათი სახელწოდებანიც.

საქართველოში ხმარებული მიწის ზომების სახელწოდებანი თუ ცნობები მათი სიდიდის შესახებ გაფანტულია, როგორც ნარატიულ, ისევე დოკუმენტურ ისტორიულ წყაროებში. მათი

მეცნიერული შესწავლა ივ. ჯავახიშვილამდე თავს არავის უდვია. თუმცა კი ცალკეული ავტორები გარკვეული მიზნით თავს უყრიდნენ არსებულ მასალებს და ზოგჯერ აქვეყნებდნენ კიდეც (კავკასიის კალენდარი და სხვ.).

პირველი მეცნიერული ნაშრომი, სადაც სხვა საკითხებთან ერთად დასმულია ფეოდალური საქართველოს მიწის ზომების საკითხი ივ. ჯავახიშვილის წიგნი „ქართულ საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგიაა“[7]. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს წიგნი, მიუხედავად ზოგიერთი უზუსტობისა, იდგა იმდროინდელ ევროპულ საუკეთესო ნაშრომთა დონეზე და დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა[8].

იმავე ხანებში ქვეყნდება ს. კაკაბაძის რეცენზია ივ. ჯავახიშვილის ნაშრომზე და დამოუკიდებელი ნაშრომი „საფასის ისტორიისათვის საქართველოში მე-13—17 სს.“.

ჩვენი საუკუნის 50—60იან წწ.-ში. საგლეხო მიწათმფლობელობის საკითხების შესწავლასთან ერთად კვლავ დაისვა მიწის ფართობის ზომის ერთეულების შესწავლის საკითხი. ქართველი ისტორიკოსები: დ. გვრიტიშვილი, გ. ჯამბურია, ო. სოსელია, გ. აკოფაშვილი, ე. ხოშტარია, დ. გოგოლაძე, მ. ლორთქიფანიძე, დ. მეგრელაძე თავიანთ ნაშრომებში ეხებიან საგლეხო მიწის ფართობების, კერძოდ „ფუძის“, „დღიურისა“ და „საკომლოს“ საკითხებს.

მიწის ფართობის ზომების შესახებ კვლევა არც ქართველ ეთნოგრაფთა ინტერესების მიღმა რჩება. გ. ჯალაბაძის, ნ. ბრეგაძის, ლ. ბერიაშვილის, რ. ხარაძის, ი. ჭყონიას, ჯ. რუხაძის, ა. ლეკიაშვილის და სხვათა ნაშრომებში სპეციალურად ან სხვა საკითხებთან ერთად შესწავლილია ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით მიწის საზომი ერთეულები საქართველოს ამა თუ იმ კუთხისათვის.

ქართველი ეთნოგრაფები გარდა იმისა, რომ თავისთავად მეტად საინტერესო მეცნიერულ დაკვირვებებს თუ დასკვნებს გვაწვდიან, უდიდეს დახმარებას უწევენ ქართული მიწათმფლობელობის შესწავლით დაინტერესებულ ისტორიკოსებს ფაქტიური ეთნოგრაფიული მასალებით.

---

[7] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგ. III, ნაკვ. მესამე, ტფ., 1925.

[8] გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, თბ., 1973.

1973 წ. გამოქვეყნდა გ. ჯაფარიძის სპეციალური გამოკვლევა „ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან“, სადაც ცალკე პარაგრაფშია მოცემული ფართობის საზომი ერთეულები. ავტორი თავს უყრის XI—XIX სს. ქართულ წყაროებში თუ ეთნოგრაფიულ მასალებში დაცულ ცნობებს მიწის ზომების შესახებ. ნაშრომი მაღალ მეცნიერულ დონეზეა საერთოდ შესრულებული და კერძოდ, ეს პარაგრაფიც, მაგრამ იმის გამო, რომ ავტორი არ იყენებს სიძველეთა საცავებში დაცულ გამოუქვეყნებელ მასალას ნარკვევი რამდენადმე ნაკლულია.

ჩვენ ვეცდებით შევავსოთ ეს ხარვეზი, მაგრამ პრეტენზიას მასალის სისრულეზე ვერც ჩვენ ვაცხადებთ.

ფართობის გასაზომად ქართულ სინამდვილეში მრავალი ხერხი არსებობდა. იმ დროს, როდესაც არ არსებობდა რაიმე საზომის მყარი ეტალონი, ძნელი იყო ერთი საერთო საზომის შემუშავება. ამიტომ გარკვეული მხარის, კუთხისა თუ სოფლისათვისაც კი საზომის სხვადასხვა ერთეულები იყო. მიწის საზომად გამოიყენებოდა სხვადასხვა საშუალებები. ერთ შემთხვევაში სამეურნეო ინვენტარი იხმარებოდა, მეორე შემთხვევაში მარცვლეულის საწყაო, ზოგჯერ შრომის ინტენსივობა, ფულის გარკვეული რაოდენობა, პირუტყვი (ძროხა, ცხვარი) და ა. შ.

ა) მიწის საზომად მიწის დასამუშავებელი ინვენტარი

ივ. ჯავახიშვილს გარკვეული აქვს, რომ XIII ს. საბუთების მიხედვით მიწის საზომად ხმარობდნენ „გ უ თ ა ნ ს“. მისი აზრით, გუთანი მიწის ის ოდენობა უნდა ყოფილიყო, რომელსაც ერთ დღეს მოხნავდა გუთნეული. „ამგვარად გუთანი და დღიური[9] თითქოს ერთი და იმავე სიდიდის ოდენობად უნდა ვიგულისხმოთ“[10] — დაასკვნიდა ავტორი.

ივ. ჯავახიშვილი აქვე აღნიშნავდა, რომ XIII ს-იდან ვიდრე ვახტანგ VI-მდე თითქოს ტერმინი გუთანი აღარ არსებობდა. გუთანი „დასტურლამალში“ თუმცა ერთგვარ საზომად არის ნახმარი, მაგრამ აღნიშნავს არა მიწის ზომას, არამედ „გუთნეულს,

---

[9] დღიურის შესახებ საუბარი იქნება ქვემოთ.

[10] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 139.

საქონლის იმ ოდენობას, რომელიც გუთნის წესიერი მოქმედებისათვის საჭირო იყო...“[11].

ჩვენ ორიოდე შემთხვევა გვაქვს, სადაც გუთანი მიწის ზომის აღსანიშნავად უნდა იყოს ნახმარი. 1614 წ. ჯავახიშვილების მიერ გაცემულ სითარხნის წიგნში ვკითხულობთ: „...უნდა მოგუართუემდეთ ოთხსა კოდსა პურსა და ოთხსა კოკასა ღვინოსა და ორისა წლისა საკორცესა ძროხასა და ორის დღისა გუთანსა გუეკნევდით...“[12] აქ თითქოს „გუთანი“ „მიწის“ შესატყვისადაა ნახმარი. მოსალოდნელია ყოფილიყო „ორის დღისა მიწას გუეკნევდით“ და მიწის ნაცვლად ნახმარია „გუთანი“.

1775 წ. ერეკლესათვის არზა მიურთმევიათ ვაჩნაძეებს სადავო მამულების თაობაზე. „ბაკურციხის ბოლოს სამი გუთანი გვქონდა, იმ გუთნებთან ბებურ, აიდემურ, დავით აფხაზი და ოთარ აფხაზი იქ გახლდით. ოტიას და დავითს სამი სოფელი შეყარა (sic) ჩვენ არაფერი გვცოდნია, ლეკის მსგავსად დაგვეხსნენ, დაგვლახეს და მას დღეს აქეთ მამულებსაც ისინი სჭამენ“[13] — წერდნენ საჩივარში ვაჩნაძეები. ვფიქრობთ, „გუთანი“ აქაც „დღიურის“ შესატყვისადაა ნახმარი. თუ დავუშვებდით, რომ გუთანი სამეურნეო ინვენტარის აღმნიშვნელ სიტყვადაა ნავარაუდევი, მოსალოდნელი იყო ყოფილიყო „სამი გუთანი გვედგა“. რადგან საბუთში მინიშნებულია გეოგრაფიული ადგილის — ბაკურციხის ბოლოს „სამი გუთნის“ არსებობა ვფიქრობთ, ესაა სამი დღიური მიწა. საჩივარში აღნიშნული წინადადებაც. „მას დღეს აქეთ მამულებსაც ისინი სჭამენო“ ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს. მაშასადამე. XVIII საუკუნეშიაც „გუთანი“ ერთ შემთხვევაში „მიწის“ მნიშვნელობითაა ნახმარი, ხოლო სხვა შემთხვევაში „დღიურის“.

სოფ. კოშის (სომხეთის სსრ) XIII ს. წარწერაში წაკითხულ „ერთი საკნეველის“ შესახებ აკ. შანიძეს აღნიშნული აქვს, რომ გ. ჩიტაიას მოსაზრებით ამ შემთხვევაში „ერთი საკნეველი“ ნიშნავს არა სახნეველ იარაღს, არამედ სახნავი მიწის ფართობის ერთეულს. ამ მოსაზრებასთან მხარი დაუჭერია ნ. ბერძენიშვილსაც[14].

---

[11] ივ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 139.

[12] ე. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი, ტ. III, ტფ., 1910, № 20.

[13] სსცა. ფ. 1448, № 215.;

[14] А. Г. Шанидзе. Грузинская надпись XIII века в сел. Кош. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ხელნაწერთა ინსტიტუტი, მოამბე, I, თბ. 1959, გვ. 15.

ა. შანიძეს მიაჩნია, რომ ტერმინი საკნველი, როგორც მიწის ფართობის ერთეული, ენაცვლება ტერმინებს გუთანსა და დღიურს, რაც საუსებით მისაღებად მიგვაჩნია[15].

მიწის საზომ ერთეულად სამეურნეო იარაღიდან ჩვენს მიერ მოძიებულ მასალებში დადასტურებული გვაქვს საკვეთელა. 1723 წ. სვიმონ ჯავახიშვილმა შეიძინა „ერთი დღის საკვეთელას ზომა მიწა“[16]. 1754 წ. გოგებაშვილმა თავის განაყოფს მიწა მიჰყიდა ხანდაკს „ერთი დღისა საკვეთელა“[17]. როგორც ვხედავთ, საკვეთელა მიწის ზომადაა გამოყენებული, რასაც თვით დოკუმენტებიც გვიდასტურებენ: 1773 წ. ოთარ ბეჟანიშვილმა ჯავახიშვილებს მიჰყიდა „ბარდულის მიწა ორი დღისა — საკვეთელას ზომა“[18] .1718 წ. ჯავახიშვილებმა თავის განაყოფებს მიჰყიდეს „საკვეთელას ზომით სამი დღის მიწა“[19]. ე. ი. აქაც ზომადაა აღებული საკვეთელა. 1723 წ. ანდერმანიშვილებმა მიჰყიდეს სვიმონ ჯავახიშვილს მინათურში „...ერთი დღის საკვეთელას ზომა მიწა“[20].

ზემომოტანილი მაგალითები საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ „საკვეთელა“ „დღიურის“ შესაბამისი საზომი იყო. ამ მოსაზრებას ბზარს უქერს ნასყიდობის წიგნი, რომელიც თარხნიშვილებს მიუციათ დავითაშვილებისათვის, სადაც ვკითხულობთ: „მოგყიდეთ ხანდაკს მალენასშვილების ნაქონი მიწა სამი საკვეთელა მიწა“[21]. ამ დოკუმენტში „საკვეთელა“ დღიურის ნაცვლად არის ნახმარი. ამრიგად, დღემდე ლიტერატურაში ცნობილ მიწის საზომად გამოყენებულ სახვნელ იარაღებს „გუთანსა“ და „საკნველს“ ემატება „საკვეთელაც“. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ყველა დოკუმენტი, სადაც დამოწმებულია საკვეთელა, როგორც მიწის ზომის ერთეული, მდ. თეძმის ხეობიდანაა (ჯავახიშვილები, თარხნი-

---

[15] ჩვენ არ ვეთანხმებით მურადიანს, რომელმაც არ გაიზიარა აკ. შანიძის მოსაზრება. სახვნელის გამოყენება მიწის ზომად საერთოდ გავრცელებული მოვლენა იყო საფრანგეთში, გერმანიაში (სკაზკინი), რუსეთში (Р а п о в О. М. К вопросу о земельной ренте в древней Руси в домонгольский период («Вестник» Московского университета, Ист. 1968, 1). ავტორი თვლის, რომ დაბეგვრის ერთეული იყო მიწის ფართობი გუთანი «плуг» და კომლი «дым».

[16] საქართველოს სიძველენი,II, № 265.

[17] Qd 8749.

[18] Qd 1025.

[19] საქ. სიძვ. II, № 251.

[20] საქ. სიძვ. II, № 265.

[21] Qd 8598.

შვილები...). რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ საკვეთელა გარკვეული რეგიონისათვის განწესებული საზომია და რომ არსებობდა დღიურის სხვა საზომიც.

მიწის სახვნელი იარაღებიდან, გარდა „გუთნისა", „სახვნელისა" და „საკვეთელასი", მიწის ზომად რაჭაში დადასტურებული გვაქვს „აჩაჩაც"[22].

სამეცნიერო ლიტერატურაში მიწის საზომად გამოყენებულ სხვა სამეურნეო ინვენტართან ერთად დამოწმებული გვაქვს კაბდო[23] — ხნულის ბელტების დასაფშვნელი სამეურნეო იარაღი. გ. ჯაფარიძეს მოაქვს კაბდოს, როგორც სასოფლო სამეურნეო ინვენტარის ზომები და ამავე დროს იგი ალნიშნავს, რომ კაბდოს საზომის მნიშვნელობითაც ხმარობდნენ. მას მოაქვს ეთნოგრაფ გ. ჯალაბაძის მასალები, რის მიხედვითაც კაბდო 200 კვ. საჟენი მიწის ფართობია. ჯ. რუხაძეს, ან. ლეკიაშვილს და ი. ჭყონიას წიგნში: „სოფელი აკურა" მოტანილია მასალები კაბდოს შესახებ, როგორც გამოქვეყნებული, ასევე მთხრობელთა ჩანაწერების სახით. ერთერთი გუთნისდედის ცნობით, მას სამმეტრიანი კაბდო ჰქონია. 4,5—6-ჯერ რომ შემოუვლიდნენ გუთანს ის იყო ერთი კაბდო, ე. ი. კაბდო, როგორც მიწის ფართობის საზომი გამოყენებული იყო მისი გარკვეული სამოქმედო არის მიხედვით. აქვე ავტორებს მოცემული აქვს ცნობები კაბდოს შესახებ ალ. რობაქიძის ნაშრომიდან და 1869 წლის კავკასიის კალენდარიდან[24].

გ. ჯაფარიძის აზრით, „დღეისათვის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით მესხეთსა და კახეთში კაბდო სხვადასხვა ზომისაა"[25].

მართლაც, ჩვენთვის ცნობილი მასალებიდან არ ჩანს, რომ კაბდო ზუსტად დადგენილი ზომის ერთეული იყოს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მივაკვლიეთ მასალებს, სადაც კახეთში მიწის ყიდვა-გაყიდვის დროს საზომ ერთეულად გამოყენებულია კაბდო. 1799 წ. ნაბიჭრიშვილმა (!) მიწა გაყიდა „ალაზანზე ქუდურზე ცამეტი კაბდო", ხოლო „ანაგის მიჯნაზე აგათოიანთ ხოდაბუნის ბოლოს რვა კაბდო"[26]. იმავე წელს დავითა მარტაშვილს გაუყიდია „აკაკებში

---

[22] დოკუმენტის ენით— „მაჩაჩა" (დოკუმენტი Sd ფონდიდან).

[23] გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 141—142.

[24] ჯ. რ უ ხ ა ძ ე, ან. ლ ე კ ი ა შ ვ ი ლ ი, ი. ჭ ყ ო ნ ი ა. სოფელი აკურა, თბ., 1964, გვ. 127.

[25] გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 142 სქოლიო.

[26] Qd 2780.

რვა კაბდო ძეძვიანი სახნავი მიწა კარდანაკისაყე.."[27]. მიწის მყიდველისა და გამყიდველისათვის, როგორც ჩანს, კაბდო სავსებით გარკვეული ზომა იყო[28].

არის შემთხვევა, როდესაც მიწის ზომად დამოწმებული გვაქვს ურემი. გ. ჯაფარიძეს შესწავლილი აქვს ურემი, როგორც საზომი და იზიარებს ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას, რომ ურმით იზომებოდა ყველაფერი, რაც კი მისი საშუალებით შეიძლებოდა გადატანილიყო. ე. ი. ურემი გამოიყენებოდა როგორც საზომი გადასაზიდი მასისა. მაგრამ ჩვენ შემთხვევაში იგი მიწის ფართობის საზომადაა დადასტურებული.

ზოგჯერ მიწის ფართობი არა მარტო სამეურნეო ინვენტარით, არამედ მასთან ერთად შრომის ინტენსივობითაც იზომებოდა. 1558 წ. ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ: „შენის ვენახის თავს ჩვენი ვენახი მოგვიბარია შვიდის კაცის საბარი"[29]. თუმცა საზომად შვიდი კაცის მუშაობა — შრომაა აღებული, მაგრამ ეს განსაზღვრა უახლოვდება სამეურნეო ინვენტარით მიწის ზომის განსაზღვრას.

ბ) საწყაოები, როგორც მიწის ფართობის საზომი

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია მიწის ფართობის საზომად საწყაოების გამოყენება[30].

გ. ჯაფარიძეს მოაქვს მაგალითები XI ს. ნიკორწმინდის დაწერილიდან, სადაც მიწის ფართობის ზომებად საწყაოები — ცრივი და კაბიწია ნახმარი.

როგორც აკად. გ. ჩიტაიამ გაარკვია, მიწის ფართობის ერთ-ერთი უძველესი საზომი იყო ლიტრა[31]. „ლიტრას" როგორც მიწის ზომის ერთეულს, თავი შემოუნახავს კახეთიდან 360 წლის წინათ გასახლე-

---

[27] Gd 2781.

[28] კირიონი სძაგლიშვილის მიერ შეკრებილი სალექსიკონო მასალის მიხედვით კაბდო არის „პატარა ნაჭერი მიწა". ძველი საქართველო, II, 1911—1913 წწ. განყ. III, გვ. 12.

[29] სსცა ფ. 1450, დავთ. 47, № 11.

[30] გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 156—7; ლ. ბერიაშვილი. მიწათმოქმედება მესხეთში. თბ., 1973, გვ. 119; ჯ. რუხაძე, ან. ლეკიაშვილი, ი. ჯუნია. სოფელი აკურა, თბ., 1964, გვ. 11.

[31] ჯ. რუხაძე, ან. ლეკიაშვილი, ი. ჯუნია. სოფელი აკურა. გვ. 11.

ბულ ქართველებს შორის. ფერეიდანიდან ჩამოსახლებულ ქართველების ცნობით, „ლიტრა“ მიწის უდიდესი ზომის ერთეულია[32].

მიწის საზომად საწყაოები იხმარებოდა XVIII ს-შიაც. XVIII ს. დასაწყისის ძეგლის „დასტურლამალის“ მიხედვით, დღიური სათესი მარცვლეულის რაოდენობითაა განსაზღვრული: „დღიურში დაითესების ორ კოდნახევარი“.

საწყაოს გამოყენებას მიწის ფართობის განსაზღვრისათვის დოკუმენტურ მასალებშიაც ვხვდებით. 1723 წ. ვინმე გულიას თავის განაყოფებისათვის მიუყიდია მიწა „ხუთის კოდის სათესი“[33].

XVIII ს. სხვა დოკუმენტებში მიწის ზომებად გამოყენებულია ასევე „ერთის კოდის სათესი“ და „სამის კოდის სათესი“ ზომის მიწები[34].

კოდი, როგორც მიწს ფართობის საზომი, საკმაოდ გავრცელებული იყო და იხმარებოდა ახალციხის მაზრაში, აჭარაში და რაჭაში[35].

ეთნოგრაფ ნ. ბრეგაძეს მოტანილი აქვს მასალები დასავლეთ საქართველოს მთის მიწათმოქმედებიდან, როდესაც მიწის საზომად გამოყენებულია მარცვლეულის საწყაოები — კაბიწი, გრივი, კოდი, ნაოთხალი[36].

საწყაოს ხმარება მიწის საზომად პრაქტიკაში გვიან ხანებშიაც იყო. ლ. ბერიაშვილის მიხედვით, „სომარი[37] მესხეთში მარცვლეულის ოდენობის განმსაზღვრელი საწყაოა, რომელიც 16 კოდს უდრის. როდესაც გარკვეულ მიწის ფართობზე ითესება მარცვლეულის გარკვეული ოდენობა, ანუ 16 კოდი, სომარი უკვე ფართობის სიდიდის აღმნიშვნელია და არა მარცვლეულისა, აქედან 16 კოდის სათესი ფართობი სომარია. ეს იმდენად დაკანონებული შესატყვისობაა ამ კუთხეში, რომ სომარი, მიწის საზომ ერთეულად გვეკლინება“[38].

ნ. ბრეგაძეს მოაქვს ი. ბახტაძის მასალები, რის მიხედვითაც „4 კოდი=1 ქცევას (900 კვ. საჟ.), ე. ი. კოდი=225 კვ. საჟ. ნაოთხა-

---

[32] ლ. ფ რ უ ი ძ ე. ფერეიდნიდან ჩამოსახლებული ქართველები. მაცნე, 1975, № 2, გვ. 179.

[33] Qd 280 გ (ა).

[34] Qd 280 (ა), Qd 280 [10] (ა).

[35] გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 157 სქოლიო 187.

[36] ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1969, გვ. 190—191.

[37] სომარის შესახებ იხ. გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 117.

[38] ლ. ბ ე რ ი ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 119.

ლი=56 კვ. საჟ. და ფოხალი 28 კვ. საჟ. დესეტინა კი უნდა უდრიდეს 10,66 კოდს"[39].

მაგრამ მიწის ზომის დადგენა საწყაოთა მიხედვით მაინც ძნელია. რადგანაც საწყაოები მიწის ფართობის განსაზღვრისას მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო საწყაოს ზომას, არამედ იმასაც თუ რა ითესებოდა, როგორი იყო სათესლე მასალის ხარისხი (მსხვილი თუ წვრილი მარცვალი) და კუთრი წონა (ხორბალი მძიმეა, ქერი მსუბუქი). ნ. ბერეგაძეს აღნიშნული აქვს, რომ „კოდობით აღნიშნული მიწის ფართობი იზომება უძველესი კულტურების ხორბლის ან ქერის სათესობით"[40]. ჩვენ კი ვიცით, რომ 1 კოდში ჩადის 10 ლიტრი პურის, ხოლო 8 ლიტრი ქერის მარცვალი (დასტურლამალი). ჯ. რუხაძე, ან. ლეკიაშვილი და ი. ჭყონია იმოწმებენ რა „დასტურლამალის" მონაცემებს, რომ „დღიურზედ დაითესების ორკოდნახევარი", შენიშნავენ, „თუ სათესლე პურის მარცვალი მსხვილი იყო კოდნახევარი მარცვალიც კმაროდა"[41].

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს სხვადასხვა მხარესა თუ კუთხეში ერთი და იგივე დასახელების საწყაო სხვადასხვა ზომისა იყო. ამიტომ საწყაოს მიხედვით ფართობის ზომის განსაზღვრა ყოველთვის მეტ-ნაკლები სიზუსტით ხდება.

გ. ჯალაბაძის ცნობით, ხევსურეთში დღიურზე 2—3 საწყავი, ანუ ფუთი ხორბალი ითესებოდა. „თესლის რაოდენობას ამიროზებდა, როგორც ნიადაგის სიკეთე და უკეთურობა, ისე ხორბლეულის სახეობა. სვილი ქერზე ნაკლები ითესებოდა. უღონო მიწაში მეტი უნდა დაეთესათ იმ იმედით, რომ ნაწილი მოცდებოდა"[42].

გ) საბელი

საბელი საკმაოდ გავრცელებული საზომი იყო. იგი არაერთგზის გვაქვს დამოწმებული ისტორიულ დოკუმენტებში. მაგრამ საინტერესოა ის ფაქტი, რომ დოკუმენტებში საბელი საზომად მხოლოდ და მხოლოდ გაყრის წიგნებში გვხვდება. სხვა აქტების დროს (განსაკუთრებით მიწის ყიდვა-გაყიდვის დროს) საბელი, როგორც საზომი,

---

[39] ნ. ბ რ ე გ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 191.

[40] იქვე.

[41] დასახ. ნაშრ., გვ. 120 სქოლიო.

[42] გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე. მიწათმოქმედება ფშავ-ხევსურეთში. თბ., 1963, გვ. 67.

არ გამოიყენებოდა. 1798 წ. თუშთ მოურავის შვილების გაყრის წიგნში წერია: „ზვარი, ხოდაბუნი და რაც მამულები ჰქონდესთ საბელი უნდა დაადგან და ექვსად უნდა გაიყონ“[43].

XVIII ს. გედევანიშვილების გაყრის წიგნში აღნიშნულია: „სათიხარს ერთი უფარდო საკომლო დარჩა, ის საბლით შუა გაიყონ“[44].

1800 წ. ციციშვილების გაყრის წიგნში ვკითხულობთ: „დუს რუს გაღმა რაც მამული არის, საძმოთ ძეს. ამას საბელი არც დასდებია და არც გაგვიყვია“[45]. მაგალითების გამრავლება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქრობთ, მოტანილიც ნათელყოფს, რომ საბელი მამულების გაყოფის დროს იხმარებოდა.

პაპუნა ორბელიანს მოთხრობილი აქვს, რომ ყიზილბაშებმა „რაც ძველი ნასოფლარი სადმე იყო, ყველგან ზომეს მიწები საბელით“. აქ, როგორც ვხედავთ, საბელი გამოყენებულია მიწის ფართობების აღსანუსხავად. საბელი სხვადასხვა ზომისა იყო. ხვედურეთის გაყოფის წიგნში ვკითხულობთ: „სანოდარიშვილო მამული გამოვიდა ოცდათექვსმეტი საბელი და თვრამეტი ადლი მაზანდარის ოც ადლიანის საბლითა“[46]. აქ, როგორც ვხედავთ, მოცემულია საბლის სიგრძე — ოცი ადლი და მისი სადაურობაც — მაზანდარული. ხოლო 1813 წლის საბუთში „ერთის საბლის ზომა არის ოცდაცამეტი ადლი“[47].

სხვა შემთხვევებში დადასტურებული გვაქვს: „ნახევარ საბელი.. საბელი ორი... საბელი ოთხი“[48] ან „მეოთხედი საბელი... ორსაბელნახევარი... ორი საბელი და ნახევარი... საბელი სამი“[49]. „ცამეტი საბელი, ოცდათორმეტი საბელი“[50] და ა. შ.

როგორც აღვნიშნეთ, საბელი მიწების განაწილების დროს იხმარებოდა, სადაც მთავარი იყო მიწების თანაბარ ნაწილებად გადაზომვა. 1792 წ. ამირეჯიბების გაყრის წიგნში ვკითხულობთ: თუ ბეითლმანი მამულები გასაყოფი დარჩომიათ რამე საბელი

---

[43] Qd 7117.
[44] Hd 10561.
[45] Qd 2607.
[46] Hd 11005$_2$.
[47] Sd 1806.
[48] Qd 2607.
[49] Qd 2608.
[50] Sd 1608.

დაადგან და ყველა სამად გაყონ“[51] „დავითაშვილისა და ოსის შვილს ორი მიწა სას(ა)ბლოთ დარჩა... როგორც პირობა ქონდათ კიდევ ასე საბელი დაადონ დ(ა) ისე გაიყონ“ — ვკითხულობთ XVIII ს. ერთ საბუთში[52]. ხოლო გედევანიშვილების გაყრის წიგნში დადგენილია: „სათიხარს ერთი უფარდო საკომლო დარჩა, ის საბლით შუა გაიყონ“[53]. რადგან გაყოფის დროს მიწების გადაზომვა ერთი ზომის საბლით ხდებოდა, ნაკლები შეცდომა იყო მოსალოდნელი. ამიტომ შთავარი ყურადღება გადატანილი იყო არა მიწის ზომის ფიქსაციაზე, არამედ მის ტოლფარდ განაწილებაზე[54]. მიწების დიდი ფართობების გადაზომვის დროს გამოყენებული უნდა ყოფილიყო სიგრძის დიდი საზომები. ჩვენთვის ცნობილი საბუთის მიხედვით დადასტურებული გვაქვს 20 და 33 ადლიანი საბელები. ადლი გ. ჯაფარიძის გამოანგარიშებით, 101,49 სმ-ია. მამისა ბერძნიშვილის ცნობით, 99 სმ უდრიდა. ორივე შემთხვევაში ადლი დღევანდელ მეტრს უთანაბრდება. ამიტომ საბელი დაახლოებით=20 მ, 33 ადლიანი კი 33 მ. მაგრამ ეს არ უნდა ყოფილიყო საბლის სტანდარტული ზომები. შეიძლებოდა ყოფილიყო უფრო მოკლე ან გრძელი საბლებიც (ზოგჯერ წინასწარ გადაზომილიც).

„ფშავში მიწის საზომ ერთეულად აღებული იყო 10-საჟნიანი საბელი. „საბლის“ ქვეშ იგულისხმებოდა, აგრეთვე ისეთი ფართობი, რომელიც სიგრძით 6, ხოლო სიგანით 1 საბელს (10 საჟენი) შეადგენდა. „საბელის“ აღნიშნულ ზომას ასე გამოხატავდნენ: „ერთ საბელში ექვსი გადაშლაა, გადაშლა 1 კვადრატული საბელია, ე. ი. 10 საჟენი საბელის კვადრატში ერთი გადაშლაა“[55].

XIX—XX სს-ში სოფ. ალურაში განსხვავებული ზომისაა ქართული და რუსული საბელი, როგორც ფართობის საზომი. ქართული საბელი 1500 კვ. საჟენს უდრიდა, ხოლო როცა მიწის ხვნა რუსული დღიურით დაიწყეს, საბელი 2000 კვ. საჟენის ტოლი ერთეული უნდა ყოფილიყო[56].

---

[51] Qd 7878.

[52] Qd 639.

[53] Hd 10561.

[54] კახეთში გავრცელებული „საბლის მიწების“ გადანაწილების დროს ვფიქრობთ, საბლის გამოყენება ამ პრინციპს ითვალისწინებდა.

[55] გ. ჯალაბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 7.

[56] ჯ. რუხაძე, ან. ლეკიაშვილი, ი. ჯუონია. სოფელი ალური, გვ. 125.

„საბელა“, როგორც მიწის საზომი შემოინახეს ფერეიდნელმა ქართველებმაც. მიწის უდიდესი ერთეული „ლიტრა“, ფერეიდნელთა ცნობით, ოთხი „საბელაა“[57].

რადგან საბელი სიგრძის დიდი საზომი იყო და დიდი სიგრცის გადასაზომად გამოიყენებოდა, ამიტომაც იყო, რომ ბოსტულმა უცხო დამპყრობლებმა „ყველგან ზომეს მიწები საბლით“.

საბლის ტიპის საზომი იყო სიჯიმიც. საბას ლექსიკონში სიჯიმის განმარტებად მოცემულია „ხეზი“. ხეზი მითითებულია საბელთან: „...მკედის უსხოთა და გრძელთა ეწოდების ხეზი“.

სიჯიმი, ისევე, როგორც საბელი მიწების გადასაზომად იხმარებოდა. ერთ შემთხვევაში სიჯიმის ზომად თხუთმეტი მხარია აღებული[58], მეორე შემთხვევაში 33 ადლი[59]. მხარი გ. ჯაფარიძის განსაზღვრით, საშუალოდ 2 მ უდრიდა. ამდენად, 15-მხრიანი სიჯიმის ზომა მეტ-ნაკლებად დღევანდელი 30 მ უნდა ყოფილიყო, ხოლო 33-ადლიანი სიჯიმი დაახლოებით დღევანდელი 33 მ იქნებოდა. ამდენად, სიჯიმი წინასწარ გადაზომილი სიგრძის გასაზომად გამოყენებული თოკი იყო.

დ) ფული და საქონელი მიწის საზომად

ზოგჯერ ზომის აღსანიშნავად მიწა შეფასებული იყო ფულადი თანხით. მაგ., ერთი XIX ს. საბუთის მიხედვით დასახელებულია ორი მინალთუნის, ათი შაურის, თხუთმეტი შაურის, სამი აბაზის, ოთხი აბაზის და ა. შ. მიწები[60]. გამოიყენებოდა თუ არა მიწის საზომად ფულადი თანხა XIX ს-ზე ადრე ჩვენ არ ვიცით.

ზოგჯერ საბუთებში მიწა საქონლის დასახელებითაა აღნუსხული. მაგ., ქსნის ოსების საკომლო მამულების ნუსხაში მოხსენებულია: „აშატური და წყლები თორმეტი საკომლო და ორი ბროხა“[61], ან „.. ტიბოს შვილს უჭირავს საკომლოს მესამედი. ამასვე უჭირავს ფირონას მამულისა ერთი ცხვრისა“ და ა. შ. საქონლით მიწის ოდენობის გამოხატვა ცნობილი ყოფილა ხევსურეთშიაც[62].

---

[57] ლ. ფ რ უ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 179.

[58] Qd 9037—ბოლოდან 15 ფურც.

[59] Qd 9037/სგ.

[60] Qd 8833.

[61] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, II, თბ., 1974, გვ. 189.

[62] გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 51.

გ. ჯალაბაძის გამოკვლევით, ხევსურეთში „საშუალო ღირსების დღიურ მიწაზე დათესილი ქერი 70 ძნა უნდა დამდგარიყო. ასეთი დღიური მიწა 1 ძროხად ფასობდა და ზოგჯერ როცა უნდოდათ დღიური მიწის ოდენობის გამოხატვა, იტყოდნენ ხოლმე, ერთი ძროხის მამული აქვს ან ორი ძროხის მამულიო და სხვ. თუ მამული ღალიანი იყო და ერთი ძროხის ღირებულებას აღემატებოდა, მას ხარის მამულსაც უწოდებდნენ“[63].

აქვე ავტორს მოაქვს Hd 4918 დოკუმენტი დიდი და პატარა ლიახვის ხეობიდან, სადაც იხსენიება ძროხისა და ხარის მამულები.

ე) მიწის საზომი სხვა ერთეულები

სხვადასხვა ისტორიულ დოკუმენტში ვხვდებით მიწის საზომად გამოყენებულ სხვადასხვა საზომს: ადლს, მზარს, მტკაველს, ყულაჩს, არეკალს, მაგრამ მათ პრაქტიკული გამოყენება, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, არ ჰქონდათ.

1976 წ. გამოქვეყნებულ წერილში „ძველი ქართული მეტროლოგიიდან“ მამისა ბერძნიშვილმა დაადგინა, რომ XVIII ს. საბუთებში ნახმარი მეტროლოგიური ტერმინი „გაზანდარი ადლი“ თუ „გაზანდარი გაზი“ თბილისურ დოკუმენტებში იხსენიება მხოლოდ სახლ-კარის თუ ადგილის ზომების აღსანიშნავად. გაზანდარი გაზით იზომება ფართობი სახლ-კარის, ეზოსი, ბაღჩის, ნასახლარის, სასახლის ადგილის და სხვ.[64] სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების — სახნავ-სათესის, ვენახის, ხოდაბუნების, ზვრების თუ ვენახების საზომად გაზანდარი გაზი ჩვენ ვერ დავიდასტურეთ.

ვ) დღიური

ყველაზე გავრცელებული და პრაქტიკულ ურთიერთობაში გამოყენებული მიწის ფართობის ერთეული XVI ს-იდან საქართველოში დღიური იყო. ამიტომ ყველა მკვლევარი, ვინც კი ფეოდალური ხანის საქართველოს სავალეხო მეურნეობის პრობლემებს შეისწავლის, ეხება დღიურის საკითხსაც. დღიურის განმარტებისა-

---

[63] იქვე.

[64] მ ა მ ი ს ა ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი. ძველი ქართული მეტროლოგიიდან, მაცნე, 2, 1976.

თვის მკვლევარნი ძირითადად ვახტანგ VI-ის „დასტურლამალის“ მონაცემებს ეყრდნობიან.

როგორც ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, XI—XII სს. ტერმინი „მიწა“ საზოგადოდ უძრავი ქონების ნაკერს უნდა გულისხმობდეს[65]. თამარის მიერ 1202 წ. გამოცემული სიგელის მიხედვით კი „მიწა“ და „ფუძე“ ერთი და იგივე იყო. რადგან თამარის სიგელში მიწის გარდა დადასტურებულია ტერმინი „დღისა-ც“ „საფიქრებელია, რომ „დღისა“ და მიწა — ფუძე ერთიმეორისაგან როგორც ოდენობით, ისევე მნიშვნელობით არსებითად განსხვავდებიან. „მიწა“ და „ფუძე“ ამგვარად იმდენად სივრცის საზომის აღმნიშვნელი არ იყო, რამდენადაც საგლეხო მეურნეობის და მოსახლეობის ოდენობის მაფიქსირებელი ტერმინი“[66].

ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად შენიშნავდა, რომ მცხეთის 1546 წ. საბუთში ნახმარია ორი ტერმინი „დღისა“ და „დღიური“. აქ ნათესის ერთეულად აღნიშნულია „დღისა“, ხოლო მიწის ერთეულად „დღიური“. აქვე ივ. ჯავახიშვილს მოტანილი აქვს დასტურლამალის ცნობა, სადაც საზომად ასევე ნახმარია „დღიური“ და „დღისა“[67].

მოგვიანო ხანის დოკუმენტურ მასალებში გვხვდება როგორც „დღიური“, ისე „დღისა“. მაგრამ მკაცრი გამიჯვნა ამ ორ ტერმინს შორის არ შეიმჩნევა. არა ერთი საბუთი გვაქვს, სადაც „დღისა“ მიწის ერთეულად იხსენიება და არა ნათესის მნიშვნელობით. მაგ., 1619 წ. სოლოლაშვილებმა გაყიდეს „მკუიდრი მამული... შუიდის დღისა მიწა“[68]. 1701 წ. ცერცვაძეებმა გაყიდეს მიწა ბედემზე „ერთის დღისა და ათი მკარი“[69] და ა. შ.

სამეცნიერო ლიტერატურაში დღიურის სიდიდე სხვადასხვაგვარად არის განსაზღვრული. ს. კაკაბაძის აზრით, XIX ს. დღიური უდრიდა 1200 კვ. საჟენს. XI—XII სს-ში კი სამჯერ უფრო დიდი იყო, ვიდრე XIX საუკუნისა[70].

---

[65] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 136.

[66] იქვე. გვ. 137.

[67] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 138.

[68] საქ. სიძვ. 11, № 362.

[69] საქ. სიძვ. 11, № 152.

[70] С. К а к а б а д з е. Материалы по социально-экономической истории Восточной Грузии, Крестьянский дым в XVIII в. Бюллетень Кавказского Историко-археологического института в Тифлисе № 6, Л., 1930.

სტატიაში «Грузинская надпись XIII века в сел. Кош» დღიურის საკითხს შეეხო აკ. შანიძე კოშის წარწერაში მოხსენიებულ „ერთ საკნველს“ იგი აიგივებს „ერთ გუთანთან“, რომელიც ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით უთანაბრდება „დღისა“, ანუ დღიურს, რაც სომხურ ორავარს შეესაბამება.

ავტორი იზიარებს ს. ზელინსკის განმარტებას, რომ დღიურის მოხვნა მრავალ გარემოებაზე იყო დამოკიდებული: სახვნელი იარაღის სახეობაზე, გამწევი საქონლის რაოდენობაზე, სამუშაო საათების რაოდენობაზე დღის განმავლობაში და დასამუშავებელი მიწის ხარისხზე.

ავტორს მოაქვს სხვადასხვა ავტორთა ცნობები დღიურის ოდენობის შესახებ. დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის მიხედვით, დღიური 900 კვ. საჟენს უდრიდა. ავტორი აქვე დასძენს, რომ ლექსიკონში მითითებული არაა, თუ საქართველოს რომელი მხარისათვისაა ეს ზომა ნაკარნახევი. სტ. მენთეშაშვილის მიხედვით, დღიური ქიზიყში უდრიდა 5000 კვ. ფეტრს. სომხური ორავარი ვ. დაღბაშიანის მიხედვით, 2/3 დესეტინას უდრიდა, ხოლო ს. მალხაზიანის მიხედვით დაახლოებით 8/11 ჰექტარს.

ავტორი ასკვნის, რომ „საკნველი“, როგორც მიწის ფართობის ერთეული, რომელიც ენაცვლება ტერმინებს — გუთანს და დღისა ან დღიურს სოფ. კოშის პირობებში, როგორც ჩანს, იყო დაახლოებით 0,7 ჰექტარი[71].

დღიურის საკითხს ეხება გ. ჯაფარიძეც. მისი სიტყვით „დღიური“ ყველგან ერთგვაროვანი არ იყო... თუმცა უფრო მისაღები მაინც 0,5 ჰა ჩანს. ორი დღიური ჩვეულებრივ ერთ რუსულ „დესიატინას“ უდრიდა ე. ი. 1 ჰა-ს შეესაბამებოდა“[72].

ავტორს მოტანილი აქვს აგრეთვე დასტურლამალის ცნობა, რომ XVIII ს. დღიურში $2^1/_2$ კოდი ითესებოდა, XIX ს. მასალების მიხედვით კი 2 კოდი, რაც ავტორს კოდის ზრდის შედეგად მიაჩნია. ვფიქრობთ, შეიძლება ეს გარემოება სათესლე მასალის ან თავისთავად კოდის, როგორც საწყაოს, იმთავითვე სხვადასხვაგვარობით აიხსნას და არა მაინცდამაინც ზრდით. თუმცა არც ეს უკანასკნელია გამორიცხული.

სხვადასხვაგვარად არის განმარტებული დღიური ეთნოგრაფი-

---

[71] ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. I, თბ., 1959, გვ. 16.

[72] გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 158.

ული მასალების მიხედვითაც. მაგ., „სოფელ აკურაში XIX ს. ბოლოსა და XX ს-ში დღიური მარტო ერთი დღის სამუშაოს განმსაზღვრელად არ იხმარებოდა. დღიური მიწის მოხვნა იცოდნენ როგორც ქართული (16 საბელი), ასევე რუსული (20 საბელი) დღიურის მიხედვით. რაც დაახლოებით ნახევარ ჰექტარს, ე. ი. 5000 კვ. მეტრს უდრიდა. გუთნეულს ან მოდგამს დღიური შეეძლო მოეხნა როგორც ერთ დღეში, ასევე ნახევარ დღეში და დღენახევარშიც“[73]. ასეთ შემთხვევაში კი ნ. ჩუბინაშვილის[74] განმარტება, რომ დღიური მიწა ისაა, რაც ერთ დღეს მოიხვნის, არ ემთხვევა ეთნოგრაფიულ მონაცემებს.

ზემო რაჭის მასალების მიხედვით ნ. ბრეგაძემ დაადგინა, რომ ერთი დღის სახნავი=0,5 ქცევას და აქვე იმოწმებს ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის მონაცემებს, რომ დღიური უდრიდა 1 ქცევას[75].

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, დღიური მიწის საზომი ერთეულია[76]. დღიური სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ზომისა იყო იმისდა მიხედვით, თუ რა ძალის გუთანი ებათ: აღმ. საქართველოს ბარში, სადაც 6—8 ურელი ხარ-კამეჩით ხნავდნენ, საშუალოდ ნახევარ ჰექტარს უდრიდა, მთაში კი ერთი ურელით ხნავენ და ამიტომ გაცილებით ნაკლებია: დასავლეთ საქართველოში დაახლოებით ერთ ქცევას შეადგენდა მართლაც, ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, მთის დღიური განსხვავებულია ბარის დღიურისაგან. გ. ჯალაბაძეს მოაქვს ვ. ბასილაშვილის ცნობა, რის მიხედვითაც ხევსურული დღიური 100-იდან 300 კვ. საჟენამდე მერყეობს. კვ. საჟენი=9 არშინს, ანუ 4 კვ. მეტრს. ამდენად, ხევსურული დღიური 400—1200 კვ. შორის მერყეობს. საინტერესო მასალაა დაცული ვაჟა-ფშაველას წერილში „ფშაველი და მისი წუთისოფელი“ ფშაური დღიურის შესახებ. ფშაველი კარახელის (მამაკაცის სახელია) ოჯახს „ბითისა — საქერე და ბარისა სადიკე მამულები ოცი დღისა ეჭირათ აჩაჩით სახნავი, აგრეთვე სათიბრად „ორი ბთა“, რომელიც ერთ დესეტინას ძნელად შეადგენს. ასე რომ სახნავ-სათიბი სულ ხუთ დესეტინამდე ექნებოდა“[77].

---

[73] ჯ. რუხაძე, ან. ლეკიაშვილი, ი. ჭყონია. სოფელი აკურა, გვ. 126 (ხაზგასმა ჩვენია.— დ. მ.)

[74] ნ. ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი. თბ. № 1961.

[75] ნ. ბრეგაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 192.

[76] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. III, თბ., 1953.

[77] ძველი საქართველო. II, გვ. 290.

აქ უურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ფშაველის ოჯახს „აჩაჩით სახნავი", ე. ი. მთის პატარა სახვნელით სახნავი დღიურები ჰქონდა, რაც თავისთავად დღიურის სიმცირეზე მიუთითებს, ამიტომაა, რომ ოცი დღის სახნავი და სათიბი „ორი მთა" „სულ ხუთ დესეტინამდე ექნებოდა". თუ დესეტინაში ორი ბარული დღიური შედის, გამოდის, რომ „აჩაჩით სახნავი" ოცი დღიური ანუ ოთხი დესეტინაა (აქ ვაკლებთ მთას) 4:20 — 0,2, მაშინ ფშავური დღიური უდრის = 2000 მ².

ამიტომაც იყო მთიელი კაცისათვის „ბარული დღიური" სიდიდის ეტალონი. პოემაში „ბახტრიონი" საბრძოლოდ გამზადებულ ლაშქარს ლუხუმი მიმართავს:

„...ვერა ჰნახეთა ბატონი
წინ მიგვიძღვება ცხენითა?! "

ლუხუმის ამ შეკითხვაზე ერთ-ერთი მხედარი პასუხობს:

„...მე ტრედის ფერად მეჩვენა,
სხივი მისდევდა მზიური;
შორს გაანათა ელვასებრ
ასი ბარული დღიური"[78]

სამწუხაროდ, ისტორიულ დოკუმენტში დღიურის ზუსტი ზომები ვერ დავიდასტურეთ. ორიოდე ბუნდოვანი საბუთი, სადაც თითქოს მინიშნებულია დღიურის ზომები, გარკვეულს არაფერს გვეუბნება: 1724 წ. ელიზბარ აიდანაშვილს მიწა მიუყიდია ახალდაბელ გაბრიელ ქიმერიძისათვის „... ხაშურის ბოლოს ზომით ორის დღისა თორმეტ-თორმეტი მხარი და კიდევ ორი მხარი"[79], ხოლო 1797 წ. როსტომ ჯაშიტაშვილს მიწა მიუცია სიმონა არჯავიძისათვის „ზომით ორის დღის მიწა, ზომით ოცდაოთხი მხარი"[80]. ამ ორი ცნობის მიხედვით, თითქოს ერთი დღიური მიწა თორმეტი მხარის ტოლია. მხარი გ. ჯაფარიძის დაანგარიშებით საშუალოდ 2 მეტრს უდრიდა[81]. მხარი სიგრძის საზომია. დღიურის სიდიდე კი ფართობებში იზომება. რადგან სხვა მონაცემები ჩვენ არა გვაქვს, შეიძლება ფართის ანგარიში ვაწარმოოთ შემდეგი დაშვებით, რომ მონაკვეთი

---

[78] ვაჟა-ფშაველა, ტ. III, ბახტრიონი, თბ., 1964, გვ. 167.
[79] Qd 1723.
[80] Qd 1728.
[81] გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 142.

კვადრატია 12 მხარი×12 მხარზე=144 კვ. მხარს. რადგან ერთი გრძივი მხარი ტოლია 2 გრძივი მეტრისა, 1 კვ. მხარი ტოლი იქნება 4 კვ. მეტრისა და საძიებელი ფართიც ტოლი იქნება 144×4 =576 კვ. მეტრისა (?).

1813 წლის ერთი ჩანაწერის მიხედვით, რომელიც საკათალიკოსო სოფლის აღაიანის გლეხებსა და მიწებს შეეხება, საშუალება გვეძლევა დღიურის დაანგარიშებისა. ამ ჩანაწერის მიხედვით, „მაღალ ყოვლად უსამღუდელოებას მიერთო საუკეთესო ნაზვრევი თავისის საწნახლითა და შესავალ-გასავლით, რომლისაც ზომა არის: სიგრძე საბელი იგ—ცამეტი, განი საბელი ვ—ექვსი, რომელსაც აქაურნი გლეხნი ამტკიცებდნენ გამარჯვებულის გუთნით თექვსმეტ დღიურად იხნოდა“ და ჩამოთვლილია მიჯნები[82]. ამავე დოკუმენტში მოცემულია საბლის ზომა—33 ადლი. რადგან მოცემული გვაქვს მიწის ნაკვეთის სიგრძე-სიგანე, შესაძლებელია გამოვთვალოთ მისი ფართობიც. ნაკვეთის სიგრძეა 13 საბელი, განი — 6. საბელის სიგრძე 33 ადლი. ამიტომ 13 საბელი × 33 ადლზე =430 ადლს. 6 საბელი ×33 ადლზე=198 ადლს. ამდენად, აქ მინიშნებული ფართობი უდრის 430 ადლი×198 ადლზე=85000 კვ. ადლს. რახან საბუთისავე ცნობით „იქაურნი გლეხნი ამტკიცებდნენ „თექვსმეტ დღიურად იხვნოდაო“ 85000 კვ. ადლი უნდა გავყოთ 16-ზე რომ მივიღოთ ერთი დღიური ნაკვეთის ფართობი, 85000 კვ. ადლი: 16 დღიურზე= 533 კვ ადლს. ადლი, როგორც აღნიშნული გვქონდა გ. ჯაფარიძის მიხედვით, 101,49 სმ-ია, ხოლო მამისა ბერძნიშვილის ცნობით 99 სმ; ასეა თუ ისე, ადლის სიგრძედ მეტ-ნაკლები სიზუსტით შეიძლება დღევანდელი 1 მ მივიღოთ. მაშინგამოდის, რომ 1813 წ. მონაცემების მიხედვით აღაიანში (შიდა ქართლის ვაკეზე) დღიური მცირე უზუსტობით 533 კვ. მეტრი ყოფილა.

როგორც ვხედავთ, მოცემული დოკუმენტური მასალების მიხედვით, დღიურის განსხვავებული ზომები მივიღეთ —576 და 533 კვ. მეტრი. თუ ამ დაანგარიშებაში ჩვენ შეცდომაც მოგვივიდა, ეს რიცხვები მაინც არ უახლოვდება სხვა წყაროთა მონაცემებს, სადაც ბარული დღიური 900 კვ. საჟენია (ნ. ჩუბინაშვილი), ანუ 3600 კვ. მეტრი; 5000 კვ. მეტრი (სტ. მენთეშაშვილი); 0,7 ჰექტარი, ანუ 3500 კვ. მეტრი (აკ. შანიძე); 0,5 ჰა, 2500 კვ. მ (გ. ჯაფარიძე);

---

[82] Sd 1806. ჩვენი ყურადღება მიიქცია გაღოთქმამ „გამარჯვებული გუთანი“ რაც მარჯვედ გამართულს, ე. ი. დიდ გუთანს, ან გაუმჯობესებულს უნდა ნიშნავდეს.

0,5 ქცევა, ანუ ერთი დღიური (ნ. ბრეგაძე) და ა. შ. უფრო მეტიც, დოკუმენტებით დაანგარიშებული ბარული დღიურები (576 და 533 კვ. მეტრი) ნაკლები გამოდის ხევსურულ და ფშავურ დღიურებზე.

როგორც ვხედავთ, სხვადასხვა წყაროსა თუ ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, დღიურის ერთი ზომა ვერ დავადასტურეთ (თუნდაც ერთი და იგივე სამეურნეო რეგიონისათვის). მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს მართალი, რომ დღიურის ზომა საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა. როგორც უკვე ითქვა, დღიურის სიდიდე დამოკიდებული იყო სახვნელ იარაღზე, გამწევ ძალაზე. სამუშაო დღის სიდიდეზე და მოსახვნელ ნიადაგებზე. XIII ს-იდან XIX ს. II ნახევრამდე ქართულ სახვნელ იარაღს ცვლილება არ განუცდია (გ. ჯალაბაძე), ამიტომ არ შეცვლილა არც სახვნელ იარაღში შესაბმელი გამწევი საქონლის რაოდენობა. ტრადიციულად იგივე რჩებოდა სამუშაო დრო და ბუნებრივად (თუ არა ხელოვნური ჩარევით) არ იცვლებოდა ნიადაგები. ასეთ პირობებში კი დაუჯერებელია, რომ შეცვლილიყო დღიურის, ძირითადი სამეურნეო ერთეულის ზომის სიდიდე.

ზოგჯერ საადგილმამულო დამოკიდებულების ამსახველ დოკუმენტებში არაა ხოლმე მითითებული მიწის ზომა ერთეულებში. უბრალოდ იხსენიება ან „მიწა“ ან „ნაჭერი“, ან „ზომა“. უმეტეს შემთხვევაში კი სახნავ-სათესი მაინც ზომის ერთეულების, უმეტესად „დღისა“ ან „დღიურის“ მინიშნებით იხსენიება — განსხვავებით ვენახისაგან, სადაც ვენახი ნაკვეთობითაა ხოლმე მინიშნებული — „ერთი ვენახი“, „ორი ვენახი“ და ა. შ.

1703 წ. გივი თუმანიშვილმა გაათარხნა თავისი ყმა რამინა და მისცა მას „ერთი მიწა სარწყავისა სამწევრისის პირდაპირ“[83]. ასევე ერთ-ერთ გაყრის წიგნში ვკითხულობთ „...გაგუირიგდა (ე. ი. შეგვხვდა — დ. მ) ერთი ნაფუძარი ანანას გორასთან და პირჩაღმა ერთი მიწა. ერთი მიწა ნაჯობილევთან“[84]. „ერთი მიწა“ შესაძლოა აქ ერთ დღიურს გულისხმობდეს.

ფეოდალურ საქართველოში იცნობდნენ სხვადასხვა სახის საზომ ხელსაწყოებს. 1796 წ. ერეკლე II წერდა იოსებ მიშკარშაბს: თბილისის გალავნის გარშემო „საცა კედლები დაქცეული

---

[83] ნ. ბერძენიშვილი. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, თბ., 1940, № 163.

[84] Hd 1579.

არის, ის უნდა კალატოზების საზომის იარაღებით გააზომინო"[85]. იყო თუ არა „საზომის იარაღები" სპეციალურად მიწის გასაზომავად ჩვენ, სამწუხაროდ, არ ვიცით, მაგრამ ხშირად მიწა ზომითაა ხოლმე მოხსენიებული. 1732 წ. პეტრია ალაპიშვილმა გაყიდა „ჭალის პირს ნაფუძვარი ერთის დღის საზომითა"[86].

არის შემთხვევები, როდესაც მიწა იხსენიება ზომის ნაწილით, საზომის ოდენობის მიუნიშნებლად. 1656 წ. ჯანიაშვილებმა თავიანთ ბიძაშვილებს გაუცვალეს „ზომა მეოთხედი"[87] მიწა, ხოლო 1772 წ. ბებუთაშვილები ონანაშვილისაგან ითხოვდნენ „ორ ზომა მამულს"[88]. ვფიქრობთ, ამ შემთხვევებში „ზომა" დღიურის შესატყვისი სიდიდე იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვერ მივაკვლიეთ დღიურის გარკვეულ სიდიდეს ამა თუ იმ მხარისათვის, სოფლისა თუ კუთხისათვის დღიური მაინც გარკვეული სიდიდე იყო, რომელიც კარგად იცოდა თითოეულმა მიწის მოქმედმა თუ მიწის პატრონმა. 1781 წ. ჯავახიშვილმა ექვსი დღის მიწა მიჰყიდა ყორღანაშვილს ყარაღაჯში და პირობაც დაუდო „თუ ექვსი დღისა არ გამოვიდა სხვაგან შეგისრულოო". როგორც ჩანს, მიწა უნდა გადაზომილიყო. და რამდენადაც დღიური მყიდველ-გამყიდველისათვის ცნობილი სიდიდე იყო, მისი ზომების შეტანა პირობაში არც ითვლებოდა საჭიროდ[89].

სახვნელი მიწის ზომის დასადგენად, როგორც ზემოთაც ვთქვით, გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა სამუშაო დროსაც.

ქართველ მეურნეს სპეციალური ტერმინოლოგიაც ჰქონია საამისოდ შემუშავებული, ჩვენ ეს ტერმინოლოგია ისტორიულ

---

[85] საქ. სიძვ. III, გვ. 66.

[86] Hd 5217.

[87] Hd 1585.

[88] Hd 3477.

[89] იესე ოსეს ძის ცნობით, დღიურის გადაზომვა ვარაუდით ხდებოდა. იგი მიგვანიშნებს ნარგები 24 დღის მიწის მდებარეობას: „წუნეთის შარასა და ვერეს შარას შუა რაც მიწაა, თოთხმეტ დღედ ის გაზომეს. გოდაკაანთ წისქვილის შარიდამ მოკიდებული ლეღევამდის რაც მიწაა ხუთ დღედ ის ჩააგდეს. ერთის დღისა მონასტერს, ორს საყდარს შუა მტკვრისაკენ რომ გვერდა მიწაა, ის ჩააგდეს და ოთხის დღისა ქაშოეთის შარას შუა და მეფის იესეს ბაღიდამ რომ შარა გაიკვლის, იმას შუა რაც მიწაა, ხუთ დღედ „ჩააგდეს" (მსკი, ნაკვ. 28, 1950, გვ. 64). როგორც ვხედავთ, „გაზომვა" ერთ შემთხვევაშია ნახსენები, სხვა შემთხვევებში კი „ჩაგდება", ანუ „ჩათვლა". დღევანდელი გაგებით, ე. ი. ვარაუდით განსაზღვრა.

წყაროებში ვერ დავადასტურეთ, მაგრამ, ვფიქრობთ, მისი აქ მოტანა ინტერესს მოკლებული არაა.

სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში შეუტანია სიტყვა გამანაგი, რაც განმარტებულია როგორც ერთი დღის ნახნავი. რადგან ასეა, გამანაგი დღიურის, ანუ დღისას სინონიმი ყოფილა.

ქართველ მეურნეს ხვნის დროზე დაწკვიდრებული ხანა ტერმინიც ჰქონია, რის შესახებაც ცნობა მოთავსებულია 1880 წლის გაზ. „დროებაში". „...მორგენი — დილაა ნემეცურად, როგორც ჩვენც რაც ერთ დღეს მოიხვნის ერთ დღიურს ეძახიან, ისე ნემეცებიც ერთი დილის ნახნავს მორგენს ეძახიან და უდრის ჩვენს 1/2 დღიურს, რადგანაც დილის ხვნა შუადღემდე იგულისხმება. ჩვენს მთიულებში 1/2 დღიურს ერთს საშაბათოს ეძახიან, რადგანაც შაბათობით მარტო შუადღემდე ხვნენ და დანარჩენი დრო კი კვირაძალია"[90].

2. საგლეხო მკვიდრი მიწები

ა) საკომლო[91]

ფეოდალური საკუთრება მიწაზე წარმოუდგენელი იყო გლეხური მიწათმფლობელობის გარეშე. რაც არ უნდა განუკუთვნელი ყოფილიყო ფეოდალიზმის პირობებში მებატონის უფლებები მიწაზე, გლეხის უფლებასაც უთუოდ ანგარიში უნდა გასწეოდა.

საგლეხო მიწების ყველაზე გავრცელებული ფორმა XVI საიდან საკომლო იყო.

როგორც ზემოთ დავინახეთ, საუკუნეების მანძილზე საქართველოში სასოფლო მეურნეობისათვის სავარგული მიწების გაზომვის მრავალფეროვნება იყო (თუმცა ჩვენ საამისო მასალა მთელი სისრულით არ წარმოგვიდგენია). ყველაზე გავრცელებული ერთეული იყო დღიური. დღიურიც, როგორც ვნახეთ, მეტ-ნაკლებად

---

[90] „დროება", 1880, № 87, გვ. 2. ცნობაზე მიგვითითა ქ. ჩხატარაიშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

[91] საკომლოს შესახებ ავტორს წაკითხული აქვს მოხსენება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XXIV სამეცნიერო სესიაზე, 1977 წ. 30 მარტს.

სხვადასხვა ზომისა იყო. დღიურების ჯამი ქმნიდა საგლეხო მეურნეობის ერთეულს, რასაც ეწოდებოდა საკომლო. ისტორიულ დოკუმენტებში საკომლო „საგლეხოს“ ან „საგლეხო მამულის“[92] პარალელურად იხმარება.

ჯერ კიდევ 1886 წ. ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ „სხვადასხვა ადგილას ეს „საკომლო“ სხვადასხვა ზომისა იყო: ზოგან ათი დღიური, ზოგან ორმოცი და სამოცია“. ავტორი აქვე შენიშნავდა, რომ „ჩვენ არსად შეგვხვედრია სადმე „საკომლო“ ათს დღიურზედ ნაკლები ყოფილიყოს და სამოცზედ მეტი. ზოგნი ამბობენ ოთხმოცი დღიურიც ყოფილა თურმე“. შემდეგ განაგრძობდა: „აშკარად ჩანს, რომ ეგ „საკომლოს“ სიდიდე იმაზედ იყო დამოკიდებული, სად რამდენი მამულია საკმარისი ცალკე კომლის სარჩენად და სასოფლო სამსახურის გადასახდელად“[93].

ავტორმა კარგად იცის, რომ „საკომლო მთაში ერთი ზომისა იყო, ქართლში მეორისა, კახეთში მესამისა და ესევე სხვადასხვა ადგილას... ცხადია, რომ „საკომლო“ — ჩვენის ქვეყნის თვითეულ მხარისათვის ცალკე — ერთი განსაზღვრული ზომა ყოფილა, ყველასგან ერთნაირად ცნობილი და ერთნაირად აღიარებული. უწინ სოფელში რომ გეთქვათ: ეს ერთი „საკომლოა“, ყველამ იცოდა, რაზედ და რამდენზეა ლაპარაკი. ამ სახითაც კომლი ჩვენს სოფელში წარმოადგენდა არამცთუ საზოგადოებრივს სხეულს, არამედ ეკონომიურსაც“[94].

ილ. ჭავჭავაძის ამ სიტყვებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული საკომლოს რაობა, ოღონდ იგი შემაგრებული არაა სათანადო არგუმენტაციით.

1925 წ. გამოქვეყნებულ ნარკვევში „ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია“ ივ. ჯავახიშვილი შეეხო „მიწა“ და „ფუძე“ ცნებების რაობას. მან აზრი გამოთქვა, რომ „მიწა“ და „ფუძე“... იმდენად სივრცის საზომის აღმნიშვნელი არ იყო, რამდენადაც საგლეხო მეურნეობისა და მოსახლეობის ოდენობის მაუწყებელი ტერმინი“[95].

---

[92] „საგლეხო“ ან „საგლეხო მამული“ იხ. საქ. სიძვ. III, 155; საქ. სიძვ. I, № 3; Hd 4080 და ა. შ.

[93] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. კერძო და სათემო მიწათმფლობელობა. თხზ. სრ. კრებ., ტ. VI, 1956, გვ. 188.

[94] იქვე.

[95] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 137.

ტერმინი „ფუძე“ შეცვალა „საკომლომ“. როგორც აღვნიშნეთ, საკომლო ხმარებაში შემოდის XVI ს-იდან. რა კონკრეტულ ისტორიულ გარემოში მოხდა ტერმინოლოგიური ცვლილება ჩვენთვის უცნობია.

ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომებში, რომლებიც გლეხობის ისტორიას შეისწავლიდნენ, 50-იან წლებიდან ჩნდება მასალები საკომლოს შესახებ. საკომლოს საკითხს ეხებიან თავიანთ ნაშრომებში დ. გვრიტიშვილი (1955), გ. ჯამბურია (1955), ედ. ხოშტარია (1960), დ. მეგრელაძე (1967), მ. ლორთქიფანიძე (1967), გ. აკოფაშვილი (1967) დ. გოგოლაძე (1971).

მიუხედავად ასეთი შესწავლილობისა, ჩვენ კიდევ ერთხელ ვეცდრუნდებით საკომლოს საკითხს და ვეცდებით ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით გამოვაჩინოთ მისი არსი.

დ. გვრიტიშვილი, გ. ჯამბურია და გ. აკოფაშვილი თავიანთ ნაშრომებში წერენ, რომ XVIII ს. აღმოსავლეთ საქართველოში საკომლო 60 დღიურ მიწას მოიცავდა[96]. ამ მოსაზრებას თავისი საფუძველიც გააჩნდა: ავტორებს დებულების შემამაგრებელი მასალა მოჰქონდათ, თუმცა იქვე სათანადო შენიშვნას ურთავდნენ. დ. გვრიტიშვილი წერდა: „როგორც ზემოთ მოტანილი საბუთით დავინახეთ, საკომლო 60 დღის მიწას შეიცავდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს შეიძლება იმას არ ნიშნავდეს, რომ ყველა კუთხეში საკომლო 60 დღის მიწას უდრიდა“... გ. ჯამბურია: „მთელი საკომლო“, ანუ „კაი კვამლი“ სამოცი დღის მიწის მფლობელი ყოფილა. ყოველთვის ასეა თუ არა, არ ჩანს“... ასევე აღნიშნავს გ. აკოფაშვილი: „საკომლოს ოდენობა თავისი გეოგრაფიული მდებარეობისდა მიხედვით განსხვავებული იყო“.

ედ. ხოშტარიას აზრით, 1700—1719 წწ. თუმანიანთ ყმების მამულების ნუსხის მიხედვით „თითო საკომლო უდრიდა 8-იდან 32-მდე დღის მიწას. საშუალოდ ამ საბუთის მიხედვით საკომლოზე მოდის 15—20 დღის მიწა“. მისივე ვარაუდით, 1657 წ. ყმა-მამულის ნუსხის მიხედვით ზოგიერთი „საკომლოს ოდენობა უდრის 24—27

---

[96] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1955, გვ. 110—111; გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1955, გვ. 119; დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი, ო. ს ო ს ე ლ ი ა, ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან. თბ., 1967, გვ. 121—122.

დღის მიწას, ხოლო ამავე საბუთში მოცემული ვითარებით თითო საკომლოზე სახლობს სამ-სამი კომლი, რომელთაც ერთად აქვთ ერთ შემთხვევაში 77 დღის მიწა, მეორე შემთხვევაში კი 100 დღის მიწა"[97].

მ. ლორთქიფანიძემ გაიზიარა ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება საგლეხო ფუძის შესახებ, რომ იგი შედგებოდა „თორმეტი დღიური სახნავ-სათესი მიწისა და ერთი დღიური ვენახისაგან"[98].

1971 წ. გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში დ. გოგოლაძემ ეჭვი გამოთქვა როგორც საკომლოს, ასევე ფუძის ზომების მიმართ. იგი წერს: „როგორც აღინიშნა, საბუთიდან არ ჩანს, რომ მონასტრის ბიერ ქოსოსებისათვის ბიცემული 12 დღიური ბიწა და ვენახი საკომლო იყოს. მეორეც, საბუთიდან არც ის ჩანს, რომ 12 დღიური ბიწა უეჭველად სახნავ-სათესი იყო. შესაძლებელია, ამ თორმეტ დღიურ მიწაში სხვა სახის მიწებიც (სათიბ-საძოვარი, ტყე და სხვა.) შედიოდა. საბუთში ნათქვამია, რომ მონასტერმა გლეხებს მისცა თორმეტი „დღის მიწა" და არა თორმეტი დღის სახნავი მიწა"[99].

აქ გვინდა შევნიშნოთ, რომ „დღისაგან", ანუ „დღიურით" ძირითადად სახნავ-სათესი მიწები იზომებოდა. ამიტომ, თორმეტი „დღის მიწაში" რომ სახნავ-სათესი იგულისხმება იქვს არ იწვევს.

ასევე დაუჯერებლად მიაჩნია დ. გოგოლაძეს საკომლოს ზომად 60 დღიური „საკომლო ფართობად 60 დღიური მიწის მიჩნევა (ცხადია, აქ ნორმალურ საკომლოზეა საუბარი), როგორც ზემოთ აღნიშნულ რიგ მკვლევრებს მიაჩნიათ, ჩვენი აზრით, ძალზე გადაჭარბებულია" — წერს ავტორი და აქვე მოაქვს სტატისტიკური მონაცემები, თუ გლეხობის რამდენ პროცენტს ექნებოდა ამ რაოდენობის მიწები.

როგორც აღვნიშნეთ, ავტორებს, რომლებიც საკომლოს სამოცდღიურიან ერთეულად მიიჩნევენ, სათანადო მასალებიც აქვთ მოტანილი. ჩვენ კიდევ ერთს, დღემდე უცნობს დაეუმატებთ. XIX ს. დასაწყისისათვის აზნაურმა ლუარსაბ აბაზაძემ ჯოხაძეებს მიჰყიდა „საჭკვიდრო ერთი საკვამლო მამული, ესე იგი გასაჩეხი ტყე ვარა-

---

[97] ედ. ხ ო შ ტ ა რ ი ა. გლეხობის სოციალური მდგომარეობის საკითხისათვის XVII—XVIII სს. ქართლში. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, გვ. 80.

[98] დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი, ო. ს ო ს ე ლ ი ა. ნარკვევები ფეოდალურ საქართველოს გლეხობის ისტორიიდან. თბ., 1967, გვ. 24.

[99] დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში, თბ., 1971, გვ. 285-286.

უდით სამოცის დღისა"[100]. ამ საბუთიდან სრულიად აშკარაა, რომ „ერთი საკვამლო მამული" „სამოცი დღისაა". ვფიქრობთ, ასეთი ფაქტების უარყოფა შეუძლებელია და ამრიგად, კიდევ ერთხელ შეიძლება გავიმეოროთ, რომ XVIII ს-ში და XIX ს. დასაწყისისათვის არსებობდა სამოცდღიურიანი საკომლოები. მაგრამ ეს არ იყო საკომლოსათვის გადაკვეთილი ნორმა. ისტორიულ წყაროებში ჩვენ ვხვდებით მეტ-ნაკლები სიდიდის საკომლოებსაც.

1786 წ. აზნაურ თომა მეღვინეთხუცესიშვილს ერეკლესათვის თხოვნით მიუმართავს: „ამას გევედრებით, რომ იმ გამოყოლილის კაცებისათვის ერთი საკომლო მამულის წყალობა დაგვემართოს" ერეკლეს უბრძანებია: „...ორმოცდაათი დღიური უნდა მოუზომოთ და ზომით მისცეთ"[102]. როგორც ვხედავთ, მეღვინეთხუცესიშვილი „ერთ საკომლო მამულს" თხოულობს თავისი „გამოყოლილი" კაცებისათვის — გლეხებისათვის. ერეკლე ბრძანებს მისცენ 50 დღიური მიწა, ე. ი. საკომლო ამ შემთხვევაში 50 დღიური გამოდის. გვაქვს სხვა შემთხვევებიც, როდესაც საკომლო სხვა ზომისაა. ფარნაოზ ჯავახიშვილს თურმანიშვილებისათვის წოდორეთში მიუყიდნია „ბასილას საკომლო ოცდაექვსის დღისა"[103], ე. ი. ამ შემთხვევაში საკომლო 26 დღიური ყოფილა. ამრიგად, საკომლოები სხვადასხვა ზომისა ყოფილა.

საინტერესო ცნობებია დაცული ერთ XVIII ს. საბუთში, სადაც მინიშნებულია საკომლოების ფასები. ამ დოკუმენტში ვკითხულობთ: „გაყიდა დათუნაძან და პაატამ დმანისს) ერთი საკომლო თხუთმეტ თუმნათ, ახალშენს გაყიდა ორი საკომლო თორმეტ თუმნათ, ტბისს) ერთი საკომლო სამ თუმნათ, ენაგეთს ერთი საკომლო სამ თუმნათ, მარაბდას ორმოცდაათ თუმნათ"[104].

როგორც ვხედავთ, თითოეული საკომლოსათვის გამყიდველს სხვადასხვა ფასი აუღია.

დმანისს — 1 საკომლოში 15 თუმანი; ახალშენს — 2 საკომლო 12 თუმანი ე. ი. —1 საკომლო 6 თუმანი; ტბისს —1 საკომლო 3

---

100 Gd 2463.

101 დ. გვრიტიშვილს და გ. ჯამბურიას მოტანილი აქვთ 1728 წ. საბუთი, გ. აკოფაშვილის 1756 წ. და 1803 წ. საბუთები.

102 Qd 6693.

103 Qd 7784. 1706 წ. ჯავახიშვილებმა თუმანიშვილებს მიჰყიდეს 26 1/2 დღიური საკომლო Hd 9037 (ბ3).

104 ნ. ბერძენიშვილი. მასალები საქართვ. ეკ. ისტორიისათვის. წიგ. III, თბ., 1955, გვ. 346.

თუშანი: ენაგეთს —1 საკომლო 3 თუმანი. რადგან დოკუმენტში მთლად ნათელი არაა რა გაიყიდა მარაბდას 50 თუმნად, ამიტომ მარაბდის მონაცემებს შეცდომის თავიდან ასაცილებლად გამოვრიცხავთ. დანარჩენი მონაცემები კი საკმაოდ განსხვავებულია ერთმანეთისაგან. საკომლოები გაყიდულია სხვადასხვა ფასად. ერთი საკომლო (დმანისს) 15 თუმნად. ორი საკომლო (ახალშენს) 6—6 თუმნად თითოეული და ორი საკომლოც (ტბისს და ენაგეთს) 3—3 თუმნად თითოეული.

საბუთში ჩამოთვლილი პუნქტები: ტბისი, ენაგეთი, მარაბდა ერთი გეოგრაფიული რეგიონის სოფლებია და მოსალოდნელი იყო საკომლოებიც თანაბარი ზომისა ყოფილიყო. მაგრამ, ვფიქრობთ, საკომლოთა ფასის სხვადასხვაობა, გარდა მიწების ვარგისიანობისა თუ განაშენიანებისა, მათი სიდიდის სხვადასხვაობაზეც უნდა მიუთითებდეს.

იყო შემთხვევები, როდესაც მებატონეებმა არც კი იცოდნენ რა ოდენობისა იყო მათზე დამოკიდებული საკომლო. მაღალაძეთა ქონების აღწერილობაში შეტანილია ატენის ხეობასა და ხიდისთავში „დოქიძისეული მამულები ერთი საკომლო. რიცხვით არა უწყით რამდენი და არაფერს არა ვსარგებლობთ“[105].

მართალია, აღწერილობა XIX საუკუნისაა, მაგრამ იმის მოწმობაა, რომ საკომლო არ იყო გარკვეული ზომის ერთეული. მაშინ მაღლაძეებს არ დასჭირდებოდათ ეთქვათ, რომ „არ უწყოდენ“ თუ რამდენი იყო „რიცხვით“, ე. ი. რამდენი დღიურისაგან შედგებოდა იგი.

ასევე ჰქონიათ მაღალაანთ ციხედიდს ორი საკომლო, „რომელიც შორს ჩვენსა და ეკლესიის ყმებსა ძეგვს მცხოვრებთ არის აქამომდე განურჩეველი და განუწილველი, რომლისა გამო რაოდენობა ამა მამულებისა არა უწყით“[106]. მიზეზად იმისა, რომ მათ არ იცოდნენ „რაოდენობა ამა მამულებისა“ ის მოაქვთ, რომ თითქოს ეს ორი საკომლო მაღალაძეთა და ეკლესიის ყმებს შორის აქამომდე „განურჩეველი და განუწილველია“[107]. მაგრამ ეს არ

---

[105] ნ. ქ ა ნ თ ა რ ი ა. საქართველოს ფეოდალური მეურნეობის ისტორიიდან XIX საუკუნეში, საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე, XXVIII-B, თბ., 1969, გვ. 169.

[106] ნ. ქ ა ნ თ ა რ ი ა. დასახ. ნაშრ., გვ. 170.

[107] საქმე ისაა, რომ ძეგვსა და ციხედიდს ყმა-ვამული ჰქონდა სვეტიცხოველსაც და მაღალაძეებსაც (ქათალიკოსებისაგან მიღებული), სვეტიცხოველის სახლთუხუცესებსა და ციხედიდის მოურავებს.

შეიძლებოდა ხელისშემშლელი პირობა ყოფილიყო საკომლოებში შემავალი მამულების მიწების დღიურების გასარკვევად თუკი საკომლო დადგენილი ერთეული იქნებოდა.

ამრიგად, საკომლო არ იყო ერთი რაიმე გარკვეული ფართობის მქონე ერთეული. საკომლო მიწის ის ფართობია, სადაც მეურნეობას ეწევა გლეხი. გლეხი ამუშავებს მებატონის მიწას, ხოდაბუნსაც მაგრამ განსხვავებით ხოდაბუნისაგან საკომლო გლეხის „საკუთრებაა“. იგი თაობიდან თაობაში გადადის მემკვიდრეობით. რადგან საკომლო გლეხის ოჯახის — კომლის „საკუთრებაა“, ამიტომ მის სინონიმად ხშირად იხმარება „საგლეხოც“ ან „საგლეხო მამული“.

ს. სკაზკინი ეხება რა ფეოდალურ საკუთრებას ამბობს, რომ ფეოდალური საკუთრება რენტის სახით გვთავაზობს წესს, რომლის ძალითაც უშუალო მწარმოებელს თავის განკარგულებაში უნდა ჰქონდეს წარმოების ყველა საშუალებანი და შეშაობის ყველა პირობა, რის შედეგადაც გლეხები იყვნენ თავიანთი ნაკვეთების მემკვიდრეობით მჭერავები (держатели) ამ ნაკვეთზე მეტ-ნაკლები განკარგულების უფლებით. ავტორი შენიშნავს, რომ გარკვეული აზრით, როგორც ამას მარქსი უთითებს, შეიძლება მათ ეწოდოთ თავიანთი ნაკვეთების (надел) „ფეოდალური მესაკუთრეები“[109].

ქართული მასალები სავსებით ადასტურებენ ამ დებულებას. ის ფაქტი, რომ საკომლოს პარალელურად მიწას როგორც მემკვიდრეობით საკუთრებას რომ „მამული“ ეწოდებოდა, ამის ნათელი ილუსტრაციაა. ქართველი გლეხისათვის მამული მემკვიდრეობით მიღებული საკუთრება იყო. თუმცა გლეხმა იცოდა, რომ მისი უფლებები გარკვეულად შეზღუდული იყო საკომლოზე, მაგრამ მას მაინც თავის სამკვიდრო საკუთრებად თვლიდა.

ტერმინი საკომლო ესაა ხოდაბუნის (საბატონო სახნავ-სათესი) საპირისპირო ცნება. თუმცა უნდა ითქვას, რომ საკომლოს ცნება გაცილებით ვრცელ შინაარსს შეიცავს, ვიდრე ხოდაბუნი. საკომლო

---

[109] ს. სკაზკინი. დასახ. ნაშრ., გვ. 129.

მთელი სამეურნეო კომპლექსია, ხოდაბუნი კი მხოლოდ სახნავ-სათესი. ხოდაბუნად იწოდებოდა უშუალოდ საბატონო მიწები მიუხედავად მათი სიდიდისა. მაგ., მაღალაძეებს ჰქონდათ „ზერტში ნდებარე საყდრების ხოდაბუნი ექვსის დღისა, იქავ დიდი ხევის ქვერდზედ ხოდაბუნი ხუთის დღისა...“.

საგლეხო მიწები კი ხოდაბუნის საპირისპიროდ უბრალოდ „სახნავ მიწად“, „სავენახედ“, „მამულად“, „სახნავ მამულად“ ან „საკომლოდ“ იწოდება, დამოუკიდებლად თავისი სიდიდისა. მაგ., ზერტში დასახელებულია საგლეხო „... მამული თავისის სავენახითა და სახლკარის ადგილითა ოცის დღის სახნავი მიწა“. ან კიდევ იქვე: „ზურაბა ტერუნაშვილის ოჯახს ჰქონდა სამი ჩარექი ვენახი, ოცდათორმეტი დღის სახნავი მიწა“[110]. აქ მოტანილ მაგალითებში საგლეხო მიწები, რომლებიც უბრალოდ „სახნავ მიწებად“ იწოდებიან, თავიანთი ფართობებით ბევრად ჭარბობენ (20 დღის და 32 დღის სახნავი მიწები და 5 და 6 დღის ხოდაბუნები) საბატონო მიწებს, რომლებიც განსხვავებით „სახნავი მიწებისაგან“, ხოდაბუნებად იწოდებიან. ეს გამოიწვია იმდენად თვალსაჩინოა, რომ მიწის ერთ ნაკვეთზე შეიძლებოდა ყოფილიყო ხოდაბუნიც და სახნავი მიწაც. მაგ., ბორტაში მაღალაანთ ჰქონიათ ხოდაბუნი თორმეტი დღისა და იქვე იმ ხოდაბუნის ბოლოში მიწა სახნავი, სამი ჩარექი.

ამდენად, საკომლო გარკვეული თვალსაზრისით ტექნიკური ტერმინია. ამავე დროს მასში ჩადებულია სოციალურ-ეკონომიკური შინაარსი. საკომლო, განსხვავებით საბატონო მიწის ხოდაბუნისაგან ან აზნაურის სამფლობელოს თუ სამეურნეო მიწებს „საazნაურშვილოს მამულის“, ან უბრალოდ „საazნაურშვილოსაგან“[111], გლეხის ოჯახის — კომლის მიწაა, ისევე, როგორც საგლეხო ოჯახი — კომლია განსხვავებით ფეოდალის ოჯახის — სახლისაგან.

ჩვენ აქ უნდა გავიმეოროთ 1967 წ. გამოცემულ „ნარკვევებში“ გამოთქმული მოსაზრება, რომ „საკომლო (ისევე, როგორც ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით, „მიწა“ და „ფუძე“. — დ .მ), იმდენად სივრცის ზომის აღმნიშვნელი არ იყო, რამდენადაც საგლეხო

---

[110] ნ. ქ ა ნ თ ა რ ი ა. დასახ. ნაშრ., გვ. 168.

[111] გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი. სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV—XVIII სს. ქართლში, თბ., 1965, გვ. 83; Qd 8669 დოკუმენტში დასახელებულია „საკომლოები“ და სამი „საazნაურშვილო“.

სრული მეურნეობისათვის განკუთვნილი მიწის ფართობი"[112]. ეს მოსაზრება გაზიარებული აქვს დ. გოგოლაძესაც. მისი სიტყვებით, „საკომლო" ფეოდალურ ხანაში არ ყოფილა მიწის საზომი ერთეული. იგი გლეხის საშუალო ოჯახის ნორმალური საცხოვრებელი და სამეურნეო ერთეული იყო"[113].

საკომლო არაა სტაბილური ერთეული. დროთა განმავლობაში იგი იცვლება. საუკუნეთა მანძილზე მართლაც ხდება მისი დაქუცმაცება და მთელი XVI—XIX სს. მანძილზე ხშირად ვხვდებით ცნობებს, როდესაც „მთელი საკომლოს" ან „სრული საკომლოს" გვერდით გლეხები ფლობენ მხოლოდ საკომლოს ნაწილებს და ზოგჯერ მეტისმეტად დაქუცმაცებულ საკომლოს ნაწილს. თითქმის ჩვეულებრივი ამბავია, როდესაც ერთ საკომლოზე ორი ან მეტი ოჯახი ზის და აწარმოებს მეურნეობას. ან ერთ გლეხურ ოჯახს საკომლოს ნახევარი, მესამედი თუ მეოთხედი ნაწილი უკავია. დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში არა ერთხელაა დამოწმებული XVI ს. იმერეთის მაგალითი, როდესაც ერთ ფუძეზე — საკომლოზე 8 ოჯახი მოსახლეობდა! „მარდალაშვილები ფუძეთ ერთი და კუამლათ რვა".

XVIII ს. აღმოსავლეთ საქართველოს მასალებში უფრო თვალსაჩინო მაგალითებსაც ვხვდებით. მაგ., XVIII ს. ერთ-ერთ საბუთში ნათქვამია, რომ „ფიბანასშვილის ნაქონი ბეითალმანი საკომლო ერთია და ექვსათ ყოფილან გაყრილნი"[114]. ასევე. მამულის მეექვსედი რგებია ვინმე კელსრიძეს (sic) „მე ჩემის სახლის კაცებისგან მეექვსედი მეტი მამული არა მაგებია" (sic) — აცხადებდა იგი 1798 წ. ხელმწიფისადმი მირთმეულ არზაში[115]. უფრო მეტიც, 1788 წ. უცნობ მღვდელს მეფის ძის გიორგისათვის არზა მიურთმევია, სადაც წერდა: „... შვიდი, რვა შვილი და შვილები (sic) ვყევართ მამა ჩვენს და ერთის საკომლოს ნათორმეტალის წილის მამულზედ ვცხოვრობთ"[116], ხოლო XIX ს. დასაწყისისათვის ხოსრო ტერაშვილს ერტულაში ეპირა „მამული ნახევარ საკომოს მეხუთედი"[117], რაც გადაანგარიშებით მთელი საკომლოს მეათედი ნაწილი გამოდის.

---

[112] დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი, ო. ს ო ს ე ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 92.

[113] დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 289.

[114] Qd 6999.

[115] Qd 8738.

[116] Qd 9115.

[117] Qd 8834.

თუ ეს მცირე ნაწილები დიდი საკომლოდან (100, 77, 60, ან თუნდაც 50 დღიურიანი საკომლოებიდან) იქნებოდა გამოყოფილი, შეუძლებელი იყო ერთი ოჯახის ძეურნეობისათვის საკმარისი მიწების რაოდენობა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ჩანს, რომ მიწის ის ნაკუცმაცევი, რაც, როგორც ჩანს, გლეხური ოჯახების არაერთგზის გაყოფის შემდეგ მიიღეს აქ დასახლებულმა პირებმა, ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა მათ მინიმალურ მოთხოვნებს, ვერ უზრუნველყოფდა წლიური სარჩოთი და სავალდებულო გამოსაღებით. „ხარჯის მიცემა აღარ შემიძლიან“ — ოხრავდა „სახლის კაცებისაგან“ მამულის მეექვსედ ნაწილზე დარჩენილი გლეხი. რვა დღის მიწა იყიდა საკომლოს მეთორმეტედზე მცხოვრებმა მღვდელმა, რომლის ოჯახი მამისა და შვიდი თუ რვა ვაჟისაგან (შვილები) შედგებოდა.

ამ მაგალითებით სავსებით დასტურდება სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ საკომლო დროთა განმავლობაში ქუცმაცდებოდა. მაგრამ ეს დაქუცმაცება ისე არ უნდა გავიგოთ, როგორც ეს შენიშნა დ. გოგოლაძემ. მისი სიტყვებით: „მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, საკომლო XII საუკუნეში 12 დღიურ მიწას და ვენახს უდრიდა. მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ XVIII საუკუნეში საკომლო 60 დღიური მიწა იყო. მაშასადამე, XVI საუკუნიდან დაწყებული „საკომლო“ ისე „დაქუცმაცებულია“, რომ XVIII საუკუნეში მისი ფართობი 60 დღიურამდე ასულა!“[118]. დაქუცმაცება ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ხდებოდა სრული საკომლოს შემცირება. არა, საკომლოს თავდაპირველი ზომა უცვლელი რჩებოდა. მხოლოდ მიწები ნაწილდებოდა ოჯახის ნამატს შორის რამდენიმე თაობის მანძილზე.

არც ის იქნებოდა სწორი დაშვება, რომ მიმდინარეობდა ცალმხრივი პროცესი. გლეხის ოჯახის გაყრასა და საკომლოს დაქუცმაცების პარალელურად ხდებოდა ახალი საკომლოების გაჩენაც, თუ ძველი დაქუცმაცებული საკომლოების გაერთიანება-გამსხვილება საგლეხო კომლების გაერთიანების „შეყრის“ თუ „ახალმოსულთა“ მიწაზე მიმაგრების ხარჯზე და შემცირებული საკომლოების შევსებაც.

საგლეხო ოჯახების შეყრა აუცილებელი არ იყო ახლო ნათესავებს შორის მომხდარიყო. ხშირად ერთ კომლად სხვადასხვა

---

[118] დ. გოგოლაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 286.

გვარის ოჯახებია შეყრილი. მაგ., 1688 წ. გიორგი XI-მ ბარათაშვილებს უბოძა: „ერთ კუომლად ბეთენიას მამუკა მისის ძმისწულებითა, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს... ერთ კუომლად ფუტრევს გოგიჯანაშვილი პაპუნა იმასთან სვანიშვილები რომ შეყრილი არის ამაზედ აძეს კიდევ სვი(ა)ნიძის მამული, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს. ერთ კუომლად ცხნარს ხიზანიშვილი ნასყიდა და ზედ აძეს შარვედაშვილი ძამა და მისი ძმები დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს ერთ კუომლად“[119].

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში სხვადასხვა გვარის წარმომადგენლები შეყრილან და თავიანთი მამულები გაუერთიანებიათ „ერთ კუომლად“, ერთ ოჯახად დაჰდგარან. ამ შემთხვევაში ასეთი კომლის საკომლო ხელოვნურად იზრდება და გლეხური მეურნეობის ასპარეზიც ფართოვდება.

იყო შემთხვევები შემცირებული საკომლოებისათვის მიწების შემომატებისა.

1702 წ. გერმანოზიშვილებმა ორბელიშვილებს საკომლო მიჰყიდეს, რაც „ერთს მთელს საკომლოს მართებს იმდენის მამულითა“. თუ მთელ საკომლოს დააკლდებოდა განყიდველი პირობას დებდა „სხვაგნიდამ შეგითაო ეს საკომლოო“[120]. 1756 წ. თეიმურაზ II გოგილაშვილებს ბეითალმანი ერთი საკომლო მამული უბოძა. ამ მამულს „საკნავი მიწა მჭლეთა ქონია“. ამიტომ შვიდი დღის სახნავი მიწა ამ მამულისათვის „დაუდვიათ“ და „ერთ საკომლოთ შეუსრულებიათ“[121], ე. ი. ამ შემცირებულ საკომლოსათვის მიუმატებიათ სახნავ-სათესი მიწები.

ხდებოდა აგრეთვე ძველი „უპატრონო“, ძირითადად, ბეითალმანი თუ „აყრილთაგან“ დატოვებული მიწების ხელახალი გადანაწილება და ახალი საკომლოების გაჩენა. ხშირად საამისოდ საბატონო მიწების ფონდებიც გამოიყენებოდა.

1799 წ. ანტონ კათალიკოსმა დავით ენდრონიკაშვილს უბოძა ალავერდს ალაზნის არხის პირზე „ცხრა დღის მიწა სავენახეთ და იქავ ალავერდს რაც ერთს მეკომურს გლეხს კაცს სახნავი მიწა მოუნდება იმდენი“[122]. ამ შემთხვევაში ზუსტად არაა ნათქვამი რამდენი სახნავი მიწა მოუნდება ერთ მეკომურს, მაგრამ ჩვენთვის

---

[119] Qd 9815.

[120] საქ. სიძვ. II, № 156.

[121] საქ. სიძვ. I, № 189.

[122] Qd 2084 (3).

მთავარი ისაა, რომ ახალ საკომლოს გაჩენასთან გვაქვს საქმე. საბუთიდან მაინცდამაინც არა ჩანს, რომ ეს ბოძებული მიწები, სავენახე და სახნავ-სათესი, განპირობებული იყოს ვისმეზე. საფიქრებელია, ეს მიწა გამოიყო გარკვეული მიზნით — გლეხის დასასახლებლად და. რადგან გლეხი „მეკომურია“, ამიტომ გლეხის სამეურნეო მიწაც „საკომლოა“.

სხვა გზით მიიღეს საკომლო ქებერტელმა კასრაძეებმა. მაჩაბელს სამი საკომლო ვარიანს დაუგირავებია გორელ ამირალაშვილისათვის. კასრაძეების „ლეკისაგან დაკარგული ძმა“ მისრში (ეგვიპტეში) გამოჩნდა და იქედან ოქროები გამოუგზავნა საქართველოში მყოფ ძმებს. კასრაძეებმა 22 თუმანი თეთრი გაიღეს და მაჩაბლის გირაო დაიხსნეს. სამაგიეროდ, მაჩაბელმა სამი საკომლოდან ერთი უბოძა კასრაძეებს. უნდა ვიფიქროთ, დაგირავებულ სამი საკომლოდან სამივე თუ არა ერთი მაინც „თავისუფალი“ იქნებოდა გლეხისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი არ ექნებოდა კასრაძეებისათვის საკომლოს ბოძებას. საყურადღებოა ისიც, რომ კასრაძეებს საკომლოს „წყალობით“ მისაღებად გარკვეული თანხის გაღება მოუხდათ, მაგრამ დოკუმენტში ეს ფაქტი ფიქსირებულია არა როგორც „სყიდვა“, არამედ, როგორც „წყალობა“, „ბოძება“.

1779 წ. ივანე ელყანას შვილს ერეკლესათვის მიურთმევია: „..თქვენ გორს ბრძანდებოდით. მიბძანეთ ჩამოდი და მამულს მოგცემო. თქვენის ბრძანებით ავიყარე და ჩამოველ ცოლ-შვილით ცხინვალს გახლავარ. თუ ჩემთვის წყალობა გინდათ აჩაბეთს სამი საღალო მამული გაქვსთ. ერთი მე მიბოძეთ და იმ ორის საკომლოსათვინაც კაცს ვიშოვნი ზედ დავდგებით...“[123].

ირკვევა, რომ საღალე მიწა გადაიქცევა საკომლოდ თუ მასზე კაცი „დადგება“. აქ მთავარი ისაა, რომ ეს მიწები, რომლებიც საღალედ გაიცემოდა დროებით, ახლა უკვე იქ დასახლებულ კაცს მიეცემოდა სამემკვიდრეოდ და ამრიგად, გაჩნდებოდა ახალი საკომლო დამოუკიდებლად მისი სიდიდისა.

ს. სკაზკინის სიტყვით, რამდენადაც სენიორი დასავლეთ ევროპაში დაინტერესებულია, რომ მიწა მუშავდებოდეს და მისთვის შემოსავალი მოჰქონდეს რენტის ამა თუ იმ სახეობით, თვით ფეოდალები დაინტერესებული იყვნენ გლეხების მიწაზე მტკიცედ მიმაგრებისა და ამიტომ ფაქტიურად მიწის მჭერავებს (держателей)

---

[123] Qd 934.

აქცევდნენ მიწის ნაკვეთების მემკვიდრეობით მფლობელებად. ასეთ მოვლენებთან გვაქვს საქმე საქართველოშიაც.

მრავლად იქნა გაცემული „საჭილდაოდ“ საკომლოები ყცარილის ციხის ალყის შემდეგ.

ახალი საკომლოს გაჩენა ყოველთვის უმტკივნეულოდ როდი ხდებოდა. ძალიან გაჭიანურდა თომა მეღვინეთხუცესშვილის „კაცებისათვის“ (იგი ლეკების მეანდარი იყო და საკმაოდ დამსახურებული პირი ერეკლეს წინაშე) ერთი ორმოცდაათდღიურიანი საკომლოს გამოყოფა. მიუხედავად ერეკლეს ბრძანებისა, მოხელეები აჭიანურებდნენ მიწების მიზომვას. თომა იძულებული გამხდარა საჩივრით მიემართა ერეკლესათვის: შენ რომ ორმოცდაათი დღის მიწა გვიბოძე „ჩვიდმეტ-თვრამეტის დღის მიწა მოგვცა“ არევით, დანარჩენს არ გვაძლევენ და ისე კი ბეითლმანი მიწები ბევრიაო.

ერეკლეს უბრძანებია მოხელეებისათვის დაეკმაყოფილებინათ მომჩივანი[124]. ამ შემთხვევაში მეღვინეთხუცესშვილისათვის საკომლო ბეითალმანი მიწებისაგან უნდა შექმნილიყო.

მოტანილი მაგალითებიდან კარგად ჩანს თუ რა გზებით ხდებოდა ახალ საკომლოთა გაჩენა, რომ ფეოდალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი არ იყო მხოლოდ ცალმხრივი პროცესი — საკომლოების დაქუცმაცება, არამედ ხდებოდა მათი გამსხვილება-შევსება და ახლის შექმნაც.

საკომლო არაა სტაბილური ერთეული. იგი ცვლილებებს განიცდის: ან ნაწილდება ოჯახის წევრებს შორის ან მსხვილდება და წარმოიქმნება ახალი საკომლო. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ხდება საკომლოს, როგორც სამეურნეო ერთეულის, ზომის კლება-მატება.

რადგან ჩვენ საკომლოსათვის ერთი გარკვეული სიდიდე არა გვაქვს, საუკუნეთა მანძილზე იგი რჩება მეტ-ნაკლები სიდიდისა. სავსებით მართალია დ. გოგოლაძე, როდესაც ამბობს, რომ XII—XIX სს. გლეხის „საკომლოს“ სიდიდე, როგორც სამეურნეო ერთეულისა, ინტენსიური მეურნეობის პირობებში არ შეიძლებოდა შემცირებულიყო. და სათანადო არგუმენტაციაც მოაქვს[125]. მაგრამ ვერ დავეთანხმებით მას, რომ თითქოს გამართლებული იყოს „ნორმალური საკომლოს“ სიდიდის ძიება. ვფიქრობთ, რომ ქართულ

---

[124] Qd 443.

[125] დ. გოგოლაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 293—294.

სამეცნიერო ლიტერატურაში დ. გოგოლაძის შემოტანილი ცნება „ნორმალური საკომლო“, რამდენადმე ხელოვნურია და რუსული „нормальный двор“-ის მექანიკურ გადმოტანად გვეჩვენება.

ზემოთ უკვე ვნახეთ, თუ მიწის გაზომვის რა მრავალფეროვნება არსებობდა ფეოდალურ საქართველოში (არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ მასალა მოტანილი არა გვაქვს მთელი სისრულით). მიწის ყველაზე მეტად გავრცელებული ერთეული — დღიურიც ხეტ-ნაკლებად სხვადასხვა ზომისა იყო. ამიტომ საკომლოს განსაზღვრა, როგორც მიწის გარკვეული ფართობისა, არ მიგვაჩნია მართებულად მაშინაც კი, როდესაც საკომლო დღიურების ერთნაირი ჯამისაგან შედგენილი ერთეული რომ ყოფილიყო.

დ. გოგოლაძე ცდილობს სათანადო გაანგარიშების საფუძველზე დაადგინოს „ნორმალური საკომლოს“ სიდიდე. ასეთად ის 10—20-დღიურიან საკომლოებს თვლის. მასალებში შემონახული საკომლოებიდან, რომელთა ფართობი 24—27 დღიურს ან 8—32 დღიურს მოიცავს, ავტორს მიაჩნია, რომ „ნაწილი ნორმალური საკომლო იყო, ნაწილი კი ნორმალურ საკომლოზე მეტნაკლები“[126].

ვფიქრობთ, ასეთი გამიჯვნა არაა მართებული. საბუთებში ჩვენ ვხვდებით „მთელ“ ან „სრულ“, ნახევარ, მეოთხედ, მესამედ და ა. შ. საკომლოებს. შესაძლებელია მაგ., 10-დღიურიანი სამეურნეო ერთეული „ნახევარი“ საკომლო იყოს ან „საკომლოს ერთი ჩარექი“, ან კიდევ რაღაც სხვა ნაწილი. როგორ მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში? ასეთი ნაწილი „ნორმალურ საკომლოში“ მოვაქციოთ, თუ საკომლოს ის ნაწილი ვუწოდოთ, რაც წყაროში ეწოდება?

საკომლო იყო სამეურნეო ობიექტი, რომელიც განვითარების ნორმალურ პირობებში უზრუნველყოფდა მასზე დასახლებული საგლეხო ოჯახის (ან ოჯახების) არსებობას. აქ ერთი გარემოებაცაა გასათვალისწინებელი: თუ დავუშვებდით, რომ ოჯახის ერთ სულთა შეფარდება მიწის სიდიდესთან სხვადასხვაა მაგ., ოჯახის ერთ სულზე საშუალო მიწიანობის შემთხვევაში მოდიოდეს 5 დღიური (20 დღიური: 4 სულზე) ან პირიქით, მრავალრიცხოვან ოჯახში უფრო დიდ ფართობზე ერთ სულზე ნაკლები მიწა (30 დღიური: 15 სულზე = 2), მივიღებდით, რომ ჭარბი პროდუქტი ნაკლებდღიურიან კომლს მეტი ექნება და ლოგიკურად სიმდიდრის დაგროვების (ჭარბი პროდუქტის ბაზარზე გატანის გზით) შანსი ნაკლებმიწიან ოჯახს

[126] დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 291.

ნეტი აქვს, ვიდრე დიდმიწიანს, ე. ი. მნიშვნელობა აქვს მიწის სიდიდის შეფარდებას ოჯახის სულადობასთან. ამიტომ შეიძლება დიდფართობიანი საკომლო მრავალსულიანი ოჯახისათვის არ იყოს საკმარისი, ხოლო პირიქით, მცირეფართობიანი საკომლო მცირესულიანი ოჯახისათვის მომგებიანი იყოს.

საკომლო გლეხს ტრადიციულად ეჭირა თაობიდან თაობამდე. ეს იყო საბატონო მიწა-ნაკვეთი (ან მიწის რამდენიმე ნაკვეთის ჯამი), რომელსაც მებატონე გლეხს აძლევდა სამემკვიდრეოდ. გლეხს უფლება არ ჰქონდა საკომლოს გაყიდვა-გასხვისებისა.

საკომლო მხოლოდ და მხოლოდ მკვიდრი გლეხის სამეურნეო ერთეული იყო. რადგან საკომლო სამეურნეო ობიექტი იყო, იგი ქართული ფეოდალური მრავალდარგოვანი მეურნეობისათვის საჭირო ელემენტებს მოიცავდა.

საკომლო სამეურნეო მიწის ის ერთეულია, რომელიც დაბეგრილია. საკომლოზე მოყვანილი მოსავლით ნორმალურ პირობებში გლეხის ოჯახი (ან ოჯახები) ირჩენდა თავს და ისტუმრებდა გადასახადებს. საგლეხო გადასახადის სიდიდე და სახეობა (მარცვლეული, ღვინო, ტექნიკური კულტურები, მეცხოველეობის პროდუქტები, შინამრეწველური ნაწარმი) დამოკიდებული იყო სწორედ საკომლოს სიდიდე-სიმცირეზე და მეურნეობის იმ დარგებზე რასაც აწარმოებდა გლეხი. ამიტომაც იყო, რომ „სრული საკომლო“ უნდა ჰქონოდა „კარგ გლეხს“, რაც იმას ნიშნავდა, რომ გლეხს შეეძლო „„უკლებლად“ ბეგრის გამოღება, ე. ი. სრული საკომლო იყოის ერთეული, რომელიც თავდაპირველი დაბეგვრის ობიექტი იყო. როგორც აღვნიშნეთ, დროთა განმავლობაში საკომლოს „სისრულე“ იშლებოდა „ირღვეოდა (საამისო ობიექტური მიზეზები მრავლად იყო...). რაც ქმნიდა სრული ბეგრის მოშლის საფრთხეს ფეოდალისათვის. ამიტომ მებატონე დაინტერესებულია გლეხს საკომლო არ მოეშალოს. საკომლო ფეოდალისათვის იყო არა მარტო შემოსავლის ბაზა, არამედ მუშახელით უზრუნველყოფის საიმედო წყაროც. მის ინტერესში არ შედის საკომლოს შემცირება-დაქუცმაცება.

დროთა განმავლობაში საკომლო მაინც უარესობისაკენ მიდის, რაც გამოწვეულია არა კონკრეტულად ფეოდალის, არამედ საერთო ვითარებით. ის ღონისძიებანი, რაც მიმართული იყო შერყეული საკომლოს აღდგენისათვის — შევსება-შეთავება, ახალი საკომლოე-

ბის გაჩენა, იმაზე მეტყველებს, რომ ფეოდალისათვის საკომლო უფრო მოსგებიანი ფორმაა გლეხური მიწათმფლობელობისა, ვიდრე საბატონო მიწების გაცემა გლეხებზე დროებით სარგებლობაში.

საკომლო მთელი სამეურნეო კომპლექსია გლეხის კარმიდამოთი. თავისთავად გლეხის კარმიდამო საცხოვრებელი სახლისა და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებისაგან შედგებოდა.

ვაზის გავრცელების რეგიონში საკომლოს შემადგენლობაში აუცილებელი კომპონენტი იყო ვენახი. ვახტანგ VI-ის კანონმდებლობაში გარჩევითაა აღნიშნული კომლისა და ბოგანოს შესახებ. კანონმდებლობით ბოგანო უვენახოა. სწორედ ეს მომენტი განასხვავებს მას კომლისაგან, რომელიც მეურნეობას საკომლოზე აწარმოებს. ამდენად, საკომლოს შემადგენლობაში (ვაზის გავრცელების არეალში) გაშენებული ვენახი თუ არა, სავენახე ნაკვეთები მაინც სახნავ-სათესთან ერთად გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს.

საკომლოების ყიდვა-გაყიდვისა თუ ბოძება-წყალობასთან დაკავშირებულ, ჩვენამდე მოღწეულ აქტებში საკომლოს შემადგენელი ნაწილები სხვადასხვა სისრულითაა ხოლმე აღწერილი. მაგ., 1683 წ. ცაჩნაძეებმა საკომლო გაყიდეს „მისის ვენახითა და სახნავ-სათესითა მიწითა და წყლითა, წისქვილითა, და ბარითა"[127]. 1728 წ. ფილიპე მღვდელმა გაყიდა „ერთი საკვამლო მამული, სავენახე, სახლ-კარი მისის შესავლით, გასავლით, საწყლისპიროთი, საწისქვილოთ, ტყით, ველით, სახნავ-სათესით, მთით, ბარით, უძებრით, საძებრით, სათიბრით, უთიბრით"[128]. 1748 წ. ერეკლე II-მ სერგია პოპიაშვილს უბოძა ერთი საკომლო „ვენახი, სახლით, ქვევრ-მარნით, წყლით, წისქვილით, სახნავ-სათესით"[129]; 1729 წ. გერმანოზიშვილებმა გაყიდეს „ერთი მთელი საკომლო... მიწითა, სახნავითა და უჯნავითა, სარწყავითა და ურწყავითა, ვენახითა, ნიგზნარითა, ხილნარითა, წყლითა და რუთა, მისის შესამატითა მისის სამართლიანით სამძღვრითა, მთითა, ბარითა და სასარითა, სახლითა, კარითა, ქვევრმარნითა, საწნახელითა, შესავლითა და გასავლითა, სამარჯილის შესავლის გზითა, საწყლისპიროთი, საფიჩხულითა, საოჩხითა, საკუდმოძრითა (?—დ. მ.). საოსარითა (?-დ. მ.), საორაგულოთა..."[130]

ზოგჯერ კი ლაკონურადაა ნათქვამი: „საკვამლო, დღეს რისაც

---

[127] Ad 1254.

[128] საქ. სიძვ. II, № 298.

[129] საქ. სიძვ. III, გვ. 196.

[130] საქ. სიძვ. II, № 305.

მამულის მქონებელი იყოს"[131] ან „ერთი მთელი საკომლო, რომლისაც მქონებელი იყოს"[132] და ა. შ.

არის შემთხვევები, როდესაც საკომლოს შემადგენლობაში დასახელებულია ხოლმე ნასყიდი. მაგ.: 1702 წ. მელვინეთხუცესშვილებმა გაყიდეს „საკვამლო მისის სასახლითა, კალო-საბძლითა, ბოსტნითა, სასაფლაოთა, შესავლითა და გასავლითა, ნასყიდითა და უსყიდითა და გარეშემოთა, ჭალაზედ ვენაკითა და მისი ჭალითა და გზითა, მიწითა, ნაფუზვარითა, ნიგვზებითა, მისის საძებრითა და უძებრითა, მთითა, მისის საბადურითა მერაბის ახოთი..."[133].

საკომლო ფისკალური ერთეულია. ნასყიდი კი ქართული ფეოდალური კანონმდებლობით ხელშეუვალია. როგორც წესი, მისი დაბეგვრა არ შეიძლება. გლეხს შეიძლება ჰქონდეს ნასყიდი მიწა, მაგრამ ის არაა საკომლოს ნაწილი.

1543 წ. ბარათაშვილების გაყრის წიგნის მიხედვით, ფარიშატსა და გიორგის შეხვდით სხვა სოფლებსა და კომლებს შორის „ვანქსა ოთხი საკომლო ნასყიდიანათ"[134]. ნასყიდი რომ საკომლოში შემავალი კომპონენტი ყოფილიყო, საბუთის შემადგენლებს აღარ დასჭირდებოდათ ნასყიდის ცალკე გაყოფა და უბრალოდ აღნიშნავდნენ „ვანქსა ოთხი საკომლო".

ზემოთ მოტანილი გვქონდა საბუთი, სადაც მრავალსულიანი ოჯახი საკომლოს „ნათორმეტალის წილის მამულზე" ცხოვრობდა. მრავალსულიან ოჯახს (რაც არ უნდა დიდი საკომლოს მეთორმეტედი ნაწილი ყოფილიყო მათი მიწა) ასეთ პირობებში არსებობა გაუჭირდებოდა, მაგრამ ირკვევა, რომ დანაკლისს ნასყიდი მიწებით ივსებენ. „...ერთის საკომლოს ნათორმეტალის წილის მამულზედ ვცხოვრობთ (sic) და მრავალი მონასყიდე გახლავსთ და მეც ქოპილაშვილი ამტონჯაგან რვა დღის მიწა ვიყიდე"[135]... — აცხადებს უცნობი პირი. ეს ნასყიდი მიწა არ იყო საკომლოს ნაწილი. დროთა განმავლობაში, თუ მებატონე მოახერხებს ეს მიწა დაბეგროს, მაშინ ისიც საკომლოს ნაწილად იქცევა.

ნასყიდი და საკომლო რომ სხვადასხვა კატეგორიები იყო, ეს კარგად ჩანს XVIII ს. ერთი საბუთიდან, სადაც ჩამოთვლილია ცხრა საკომლო. ერთ-ერთი საკომლოს შესახებ ნათქვამია: „იორდა-

[131] საქ. სიძვ. II, გვ. 84.
[132] Qd 999.
[133] Qd 750.
[134] ი. დ ო ლ ი ძ ე. ქართ. სამართ. ძეგლ. IV, გვ. 34.
[135] Qd 9115.

ნეს საკომლოსი მთელია და შემატებული ნასყიდიც ბევრი აძეს"[136]. მაშასადამე, ნასყიდი გამორჩეული იყო საკომლოსაგან.

ერთი საბუთის მიხედვით, ერთ საკომლოზე სამი ოჯახი სახლობს: „თანდილა შელვაშვილი, თევდორე, ბერუა — ესენი სამათ არიან ერთ საკომლოზედა" .ამის შემდეგ მოდის ჩამოთვლა მათი საერთო მიწებისა, რომლის საერთო ჯამი 90 დღიურზე მეტია. შემდეგ კი მითითებულია თუ რამდენი დღიური ნასყიდი მიწა აქვს თითოეულს. თანდილას ჰქონია 18 დღის, თევდორეს 17 დღისა, ხოლო საკომლოს მესამე წევრს 10 დღის[137], ე. ი. დოკუმენტის მიხედვით, საკომლოში შემავალი მიწები საერთოა. ხოლო ნასყიდი თითოეულისათვის გამოკვეთილია ცალკე. ნასყიდი მიწა რომ საკომლოში შემავალი კომპონენტი ყოფილიყო თითოეული კომლის ნასყიდი ცალკე აღარ იქნებოდა აღნუსხული. ამდენად, ნასყიდი გლეხის პირადი საკუთრებაა და აქ არ შედის საერთო საკომლოში.

თუ ნასყიდი არაა საკომლოს შემადგენელი ნაწილი, მაშინ რატომ ვხვდებით მაინც საკომლოს კომპონენტების ჩამოთვლისას საბანადო აქტებში ნასყიდის დასახელებას?

საქმე ისაა, რომ ფეოდალურ საქართველოში საკანცელარიო წარმოებისათვის არსებობდა ე. წ. „საშდივნო წიგნები", სადაც თავმოყრილი იყო ნიმუშები (ტრაფარეტები) ხშირად დედნებიც იმისა, თუ როგორ უნდა შედგენილიყო ესა თუ ის დოკუმენტი თუ კერძო ხასიათის ბარათი. აქვე გავეცნოთ ერთ-ერთ ტრაფარეტს: „...შეგიწყალეთ და გიბოძეთ... ნასყიდები და ზოგი სამკვიდროდ ნაწყალობევი შუაბოლნის (ცვამლი თუ მამული) ესენი დღეს რისაც მამულის მქონებელნი არიან... გიბოძეთ (ესე და ესე) მისის მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, სავენაჯოთა, სასაფლაოთა, სათიბითა და უთიბითა ყ[ო]ის მისის სამართლიანის სამძ[ღ]ვრითა..."[138] (აქვე შეიძლებოდა სხვა ნიმუშების მოტანაც, მაგრამ ვფიქრობთ, ესეც საკმარისია). ნამდვილი დოკუმენტის გაფორმებისას მდივანი ამრიგად უკვე არსებულ ნიმუშებს იყენებდა, ზოგჯერ ზეპირადაც. ამიტომ ხშირად დოკუმენტში ჩამოთვლილი საგლეხო მამულის შემადგენელი ატრიბუტები, კერძოდ კი ნასყიდი, მექანიკურადაა შეტანილი ამა თუ იმ დოკუმენტში და არ ასახავს რეალურ სინამდვილეს.

---

[136] Sd 2000.

[137] ნ. ბერძენიშვილი. დოკუმენტები, II, გვ. 6.

[138] H 1334, გვ. 1862.

არსებული ნიმუშების გამოყენების შედეგად უნდა იყოს 1609 წ. შედგენილი ნასყიდობის წიგნში შეტანილი განმეორებით „ვენახი". საბუთიდან ირკვევა, რომ შანშე ჯავახიშვილმა ცალქალამანიძეს მიჰყიდა მკვიდრი გლეხი „მათის ორის ვენაჯითა და მრთელის მამულითა". ამის შემდეგ ჩამოთვლილია „რისაც მჭონებელი იყოს მთითა ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენაჯითა, სახლ-კარითა, ჭურ-მარნითა, კალო-საბძლით, საჯნავითა და უჯნავითა და ყოვლის მისის სამართლის სამძღრითა და საქმითა"[139]. უდავოა, აქ რომ ტრაფარეტთან არ გვქონოდა საქმე, მას შემდეგ რაც სავსებით მკაფიოდ იყო ნათქვამი „ორი ვენაჯის" გაყიდვის შესახებ, საბუთის დამწერი მამულის შემადგენელ კომპონენტთა შორის „ვენაჯს" აღარ გაიმეორებდა.

საკომლოზე სიტყვა გაგვიგრძელდა, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ საკითხის გვერდის ავლა არ იქნებოდა მართებული, რამდენადაც გლეხის წარმოების ძირითადი საშუალება მიწაა და გლეხის მდგომარეობა ფეოდალურ ქვეყანაში დამოკიდებულია იმაზე თუ რა პირობით ამუშავებს იგი მიწას. განვითარების ნორმალურ პირობებში კი საკომლო იყო ყველაზე უფრო გავრცელებული და გამართლებული ფორმა გლეხური მიწათმფლობელობისა.

ბ) ნასყიდი მიწები

ნასყიდის და კერძოდ, მიწის ნასყიდობის ინსტიტუტზე ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, რომ იგი საქართველოში მეტად ძველი ინსტიტუტია და ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების წინა ხანაში უკვე არსებობდა იურიდიულად სავსებით გაფორმებული[140].

XVII—XVIII სს. ნასყიდი მიწები, მართალია, არ შეადგენდა საკომლოში შემავალ კომპონენტს, მაგრამ ფეოდალური ხანის გლეხისათვის იგი უცხო არ იყო.

ნასყიდი ქართული ფეოდალური კანონმდებლობით ხელშეუვალი იყო: „თუ კაცმან ნასყიდობა ქნას, — მამული, სოფელი, საქონელი თუ პირუტყვი, — დიაღ ალალი და შესარჩენი საქმე არის" — ვკითხულობთ ვახტანგის კანონმდებლობაში. მაგრამ ბატონის უფლება ნასყიდზედაც ვრცელდება: „ბატონის მეტი კაცი ვერ მოუშლის".

---

[139] დოკ. I, № 16.

[140] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ. 1964, გვ. 370.

მიუხედავად ბატონის განუსაზღვრელი უფლებებისა ყმის ქონებაზე, ნასყიდი ბატონმა მაინც არ უნდა მოშალოს: „თუ ბატონი გაუწყრება, სულის გარდა ყველაზე კელი მიუწვდება, მაგრამ ბატონსაც ეს ჭართებს: სხვარიგად რომ ბატონმა ყმას გარდააკდევინოს, ნასყიდი მაინც არ უნდა მოუშალოს“.

ნასყიდ მიწაზე გლეხს ფორმალურად დიდი უფლებები ჰქონდა, მას შეეძლო ნასყიდის გაყიდვა, გაჩუქება, შეწირვა, მზითვად მიცემა და ა. შ. მაგრამ პრაქტიკაში ეს უფლება დარღვეული იყო და ბატონის დასტურის გარეშე გლეხის ყოველგვარი მოქმედება შეზღუდული.

საგლეხო მიწების სყიდვა-გაყიდვის შესახებ საინტერესო მასალები აქვს ირ. ანთელავას. XVIII ს. პირველ ნახევარში მიწებს ყიდის გლეხობის 50,6%, ხოლო XVIII ს. მეორე ნახევარში 47,8%. მეორე მხრივ, გლეხები არა მარტო ყიდიან, არამედ ყიდულობენ კიდევაც მიწებს. XVIII ს. პირველ ნახევარში ი. ანთელავას მასალებით მიწის მყიდველია 46,7%, ხოლო XVIII ს. მეორე ნახევარში 64,4% [141]. სამწუხაროდ, სხვა საუკუნეთა მიმართ ჩვენ ასეთი დაანგარიშებანი არა გვაქვს, რაც ნაწილობრივ საარქივო მასალების უქონლობითაც აიხსნება, მაგრამ მარტო XVIII ს-თვის თვალსაჩინო ფაქტია, რომ გლეხობის დიდი პროცენტი ეწევა მიწების ყიდვა-გაყიდვას და მათ ხელში თავმოყრილია ნასყიდი მიწები.

ნასყიდი მიწა ყველა გლეხს არ ჰქონდა. XVI—XVIII სს. მანძილზე გლეხთა ცალკეული ოჯახები სხვადასხვა ოდენობის ნასყიდ მიწებს ფლობდნენ (1-დან 100 დღიურამდე), რაც ამა თუ იმ გლეხის ეკონომიკურ შესაძლებლობებზე იყო დამოკიდებული.

ერთაწმინდელი ხახანაშვილები შეწირული გლეხები იყვნენ. 1684 წ. ფანასკერტელ-ციციშვილს ისინი წმ. ესტატესათვის შეუწირავს უმამულოდ, მათი მოკალეობა იყო ეკლესიისათვის წელიწადში სამი ლიტრა ზეთის ან მისი ფასის გადახდა. ჩვენ არ შევუდგებით ამ ოჯახის თავგადასავლის გადმოცემას. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ „უმამულოდ“ შეწირულ გლეხებს XVIII ს. შუაწლებისათვის უკვე ჰქონდათ ორმოცდაათი დღიური სახნავ-სათესი მიწები, გამართული წისქვილი და ვენახები“ [142].

---

141 ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა. ცვლილებები XVIII ს. საქართველოს ფეოდალურ მიწათმფლობელობაში. მაცნე, 1972, № 1.

142 ალ. ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი. ერთის გლეხკაცის ოჯახის ბედი მეთვრამეტე საუკუნეში. ძველი საქართველო, ტ. IV, ტფ., 1914—1915, გვ. 32.

ორმოცი დღის ნასყიდი მიწა ჰქონიათ ზაქარია ციციშვილის ყმებს გონგლიაშვილებს. 1768 წ. ისინი საჩივრით მიმართავდნენ ერეკლეს: „ორმოცი დღის მიწა გვაქვს ნასყიდი, ცხრა მამა-ძმანი მტრისაგან გამიფუჭდნენ.. ახლა ჩვენმა სოფლის კაცმა მიბრიყვა"[143].

გლეხთა ოჯახები ნასყიდი მიწებით ჩვეულებრივი მოვლენა არ იყო, მაგრამ არც იშვიათი გამონაკლისი. სანწუხაროდ, მასალების სიმცირე საშუალებას არ იძლევა განვსაზღვროთ გლეხთა ხელთ მყოფი ნასყიდი მიწების ფონდს რა ადგილი ეკავა ქვეყნის საერთო მეურნეობასთან შეფარდებით.

ჩვეულებრივად ნასყიდი მიწა დაუბეგრავი იყო. 1260—70 წწ. დაწერილში, სადაც ლაპარაკია ნასყიდ მიწებზე ნათქვამია: „არავის საქმე უც ამას ადგილსა ზედა... ყოველითურთ უბეგრო არს, მით რომელ ნასყიდი არს"[144], მაგრამ საუკუნეთა მანძილზე ეს წესი ირღვეოდა და იყო შემთხვევები, როდესაც გაყიდულ მიწას თან მიჰყვებოდა თავისი ძველი ბეგარა. 1519 წ. ნასყიდა ბანცაძეს დაწერილ მიუცია გელათის მოძღვართ-მოძღვრისათვის, საიდანაც ირკვევა, რომ ბანცაძეს დაბეგრილი მიწა უყიდია: „..მთხლარაში დასთვეაძისაგან მამული ვიყიდე მისითა ბეგრითა"[145].

იყო შემთხვევები ნასყიდზე „ნებაყოფლობით" ბეგარის დადებისა. 1719 წ. შატკერაშვილს თუმანიშვილის ყმისაგან მიწა უყიდია, თავისი ვენახისათვის შეუმატებია და ამ ნასყიდზე თავისი „ნებაწადილობით" კულუხი დაუდვია[146].

XVII—XVIII სს. მანძილზე სხვა მაგალითებიცა გვაქვს იმისა, როდესაც მებატონე ცდილობს გლეხის ნასყიდ მიწას ბეგარა დაადოს ან გაასხვისოს იგი. ასეთი პირობისათვის მრავალი სხვადასხვა ვითარება იყო. მაგ., 1643 წ. მთიულიშვილები პირობას აძლევენ თარხან იორამ გოურავის შვილს, დიდი გოურავის გიორგი სააკაძის შვილს, საიდანაც ირკვევა, რომ მთიულიშვილები იორამის „ბემკვიდრე" — მკვიდრი ყმები იყვნენ. შემდეგ სათარხნოდან აყრილან. თვალზე (კახეთში) მამულები უყიდნიათ და იქ დამკვიდრებულან.

---

143 სსცა ფ. 1448, № 3038.

144 ი. დოლიძე. ქართული საბართლის ძეგლები. III, გვ. 167 (ხაზგასმა ჩვენია. — დ. მ.).

145 თ. ყორდანია. ქრონიკ. II, გვ. 344; ს. კაკაბაძე. დას. საქ. საეკლ. საბ.

146 ნ. ბერძენიშვილი. დოკ. I, № 255.

როსტომ მეფეს ეს ყმები კვლავ იორამისათვის უბოძებია. იორამს ისინი ნასყიდი მამულიდან აღარ ახურია. სამაგიეროდ, მთიულიშვილებს თავს უდვიათ თვალიდან ყმობა: „ჩუენის ნასყიდის მამულიდამ აღარ აგუყარე და აქავ თვალზე დაგვასახლე და აქიდამ ვიყვნეთ შენი ყმანიო“[147]— მისცეს პირობა მთიულიშვილებმა იორამ მოურავის შვილს.

ამ შემთხვევაში კონკრეტულ ვითარებასთან გვაქვს საქმე. საქმე ისაა, რომ მაშინ, როდესაც გ. საკაძე ოჯახითურთ სამშობლოდან გადაიხვეწა და მისი საკუთრება ააწიოკეს, ჩანს, ყმების ნაწილმა ისარგებლა მომენტით და „თავისუფლების“ მიღების მიზნით სხვადასხვა ხერხს მიმართა. კერძოდ, მთიულიშვილები ნასყიდ მიწაზე გადმასახლებულან და მეურნეობა გაუმართავთ. თუ მათი ძველი მებატონე უკან აღარ დაბრუნდებოდა, მათი „თავისუფლება“ გარანტირებული იყო. მაგრამ გიორგი საკაძის მემკვიდრე უკან დაბრუნდა სამშობლოში და როსტომ მეფემ მას აღუდგინა დაკარგული ყმა-მამული. აღდგენილ ყმათა შორის მოხვედრილან მთიულიშვილებიც. მაგრამ ძველმა მებატონემ ისინი ნასყიდი მიწიდან არ აჰყარა და ნება დართო ყმური მოვალეობანი ბატონის წინაშე შორიდან ეკისრებინათ. როგორც ჩანს, ასეთი შეთანხმება ორივე მხარისათვის ხელსაყრელი იყო. მთიულიშვილები რადგანაც უფლებრივად თარხან იორამის ყმები იყვნენ, ვალდებული იყვნენ ბატონყმური სამსახური ეკისრათ. მაგრამ ისინი უკვე ბატონის მიწას კი არ ამუშავებენ, არამედ საკუთარს — ნასყიდს. ამიტომ შესაძლებელია საბატონყმო ურთიერთობა ამ შემთხვევაში შერბილებული იყოს — ეს ხელსაყრელია ყმისათვის, მებატონისათვის კი სულერთია საიდან ემსახურებიან მას, ოღონდ სამსახური არ უნდა დააკლდეს. დროთა განმავლობაში თუ ამ ურთიერთობაში რაიმე ცვლილება არ მოხდა (ყმისაგან თავდახსნა, „განთავისუფლება“), ტრადიციულად ამ ნასყიდ მიწაზე მსხდომი გლეხები მებეგრე გლეხებად იქცევიან, ხოლო ნასყიდი მიწა დაბეგრილი აღმოჩნდებოდა.

ზოგჯერ მებატონეები ძალადობასაც მიმართავენ გლეხის ნასყიდზე თავის უფლების დასამტკიცებლად.

1720—23 წწ. იესე მეფემ ოქმი უბოძა სუფრაჯ ავთანდილ ბარათაშვილს, საიდანაც ირკვევა, რომ მებატონეებს ძალადობა უწმარიათ მანგლისელთა ნასყიდ ჭონებაზე. „...მანგლისელთ შემო-

---

[147] ნ. ბერძენიშვილი. დოკუმენტები..., 1, № 35.

გვჩივლეს, რომე" დაგვლახეს და ნასყიდობასა და მაჭულს არას გვანებებენ". ეგ როგორი საქციელია? თავიანთი მამული და ნასყიდობა ისევ დაანებეთ, ჩვენთან ნუღარ აჩივლებთ" — წერდა მეფე იესე[148].

იყო შემთხვევები, როდესაც გლეხის ნასყიდ მიწას რაღაც დანამაულისათვის ბეგრავდნენ. 1771 წ. ხოვლელ ბიჭიკაშვილებს ზაალ ჯავახიშვილისათვის პირობა მიუციათ: „ცოტა რამ საქმე ჩვენგან გეწყინათ და გაგვიწყრით. მოვედით და ისე გავრიგდით... ჩემის ნასყიდის მიწიდამ და მამულიდამ და უსყიდიდამ ღალა და კულუხი მოგართვა ყველადამ. ნასყიდს მიწას ღალა არ ედვა, მაგრამ რადგან ჯელმოკლედ ბრძანდებოდით სიტყვა აღარა მქონდა და მისთვის მოგართვი ღალა და კულუხი"[149] — აცხადებდნენ ბიჭიკაშვილები. როგორც ვხედავთ, ნასყიდი მიწის დასაბეგრავად შეიძლებოდა სხვადასხვა პირობა ყოფილიყო.

მართალია, ოფიციალურად გლეხს უფლება ჰქონდა ნასყიდი მიწის გასხვისებისა — გაყიდვა, გაჩუქება, შეწირვა, მზითვად გაცემისა, მაგრამ მისი უფლებები ნასყიდ მიწაზე მაინც შეზღუდული იყო. ბატონის უნებართვოდ გლეხს მიწის გასხვისება არ შეეძლო.

1768 წელს ედია ავალიშვილის ყმა პაპალა სანთლიკუდაშვილი ერეკლეს შესჩივიდა, ლეკისაგან თავდასახსნელად „რაც ნასყიდობა მაქვს ის დამანებოს" ჩემმა ბატონმაო. ედიას ნება არ დაურთავს: „ამას თავის ნასყიდობას არ გვასყიდვინებო". საქმე მოსამართლეებს გაურჩევიათ და დაუდგენიათ: თუ უნდა ედიამ პაპალას საღასარში გადაიხადოს ათი თუმანი. ათ თუმანზე მეტი პაპალამ გადაიხადოს მამულს კი ნუ გაჰყიდის და თუ ედია არ გადაიხდის ათ თუმანს, მაშინ ნასყიდი მამული დაანებოსო[150].

1770 წ. პაპალა სანთლიკუდაშვილს კვლავ უთხოვია ნება ერეკლესათვის თავისი ნასყიდი მამაულის გასაყიდად. ერეკლეს არზა დაუდვია თხოვნაზე: თავისი ნასყიდი მამული გაყიდოს და მოვალეს მისცესო[151].

როგორც ჩანს, დავა ხანგრძლივი იყო (იგი ორ წელს გრძელ-

---

[148] ნ. ბერძენიშვილი. დოკუმენტები, I, № 288.

[149] Qd 8633. ამ დოკუმენტის განსხვავებული ვარიანტი გამოყენებული აქვს დ. გვრიტიშვილს (ფეოდ. საქართველოს სოც. ურთიერთ. ისტ.-იდან გე. 213) და მითითებული აქვს სსცა, ფ. 226, № 5050. 1781 წ. თარიღით.

[150] სსცა. ფ. 1448, № 446.

[151] სსცა ფ. 1448, № 430.

დებოდა) და ადვილად არც ერთი მზარე არ თმობდა. პაპალას მოვალის გასტუმრება უნდა, ბატონი კი დაინტერესებულია ყმამ ნასყიდი მიწა შეინარჩუნოს. ამიტომაც აჭიანურებდა იგი დასტურის მიცემას.

ჩვენ სხვა შემთხვევებიც გვაქვს, როდესაც ბატონები ფიცხობენ თუ ყმები ბატონის შეუკითხავად ახერხებენ მიწების (იგულისხმება ნასყიდის) გაყიდვას.

ჩვენ აქ ნასყიდის შესახებ მეტს აღარ გავაგრძელებთ. როგორც დავინახეთ, მიუხედავად კანონმდებლობის აკრძალვისა, პრაქტიკაში ნასყიდ მიწებზე გლეხის უფლება შეზღუდული იყო. მას არ შეეძლო ბატონის დასტურის გარეშე ნასყიდი მიწის გასხვისება და მაინც ნასყიდი მიწა საგლეხო მეურნეობის გაფართოებისა და გლეხის ეკონომიკური მდგომარეობისათვის მყარ საფუძველს წარმოადგენდა. ისტორიო წყაროებში შემონახულია ცნობები, როდესაც XVIII ს. 60-იანი წლებისათვის დიდი ნასყიდი მიწის მეპატრონე გლეხები მიწებს დასამუშავებლად გასცემდნენ გარკვეული საშემოსავლო პირობით. 1768 წ. გონგლიაშვილის მიერ ერეკლესათვის მირთმეულ საჩივრიდან ირკვევა, რომ გონგლიაშვილს მამა-ძმები დახოცია, მარტო დარჩენილა და „სოფლის კაცს“ დაუბრიყვებია. „ჩვენმა სოფლის კაცმა მიბრიყვა, — წერს იგი ერეკლეს, — და ეს ჩვენი ნასყიდი მიწები თავიანთთვის მოხნეს და ბარას აღარ მაძლევენ“[152].

ორმოცი დღის ნასყიდი მიწა გონგლიაშვილების ისედაც მდიდარი ოჯახისათვის კიდევ უფრო მეტად გამდიდრების წყარო ყოფილა. ბარა მარცვლეული გადასახადი იყო მიწით სარგებლობისათვის[153]. გონგლიაშვილების საჩივარზე დადებულ რეზოლუციაში (=ოქმში ერეკლე „ბარას“ ნაცვლად „ღალას“ ხმარობს) ერეკლე ბრძანებს: „რომელიც ამის მამულს ხნემდეს ღალა გამოურთმევას და მისცეს“.

ბარა დასამუშავებლად გაცემული (ნასყიდი?) მიწებიდან მიღებული შემოსავალი იყო. 1768 წ. ციციშვილები როინიშვილებს მიწის ბარაზე წარმოედავნენ, მაგრამ შემდეგ, როდესაც დარწმუნდნენ, რომ „ნასყიდი“ იყო, ბარაც დაანებეს, ანუ როგორც თვითონ აღნიშნავენ, „წყალობა“ უყვეს. „მოკითხული ვქენით და თქვენი ნასყიდი გამოდგა. რადგან თქვენი ნასყიდი იყო, ჩვენც იმ მიწის ბარა წყალობა გიყავით“[154].

გლეხებს, რომელთაც დიდძალი ნასყიდი მიწები ჰქონდათ,

---

[152] სსცა, ფ. 1448, № 3038.

[153] იხ. Qd 6909, 1777 წ. საბუთი, სადაც ბარა და კულუხია მოხსენებული.

[154] სსცა ფ. 1448, № 4669.

საშუალება ეძლეოდათ მიწა შემოსავლის წყაროდ გაეხადათ. თუ ასე არ იქნებოდა, გაუგებარი იქნებოდა გლეხის ლტოლვა ასეთი მიწების გამრავლებისაკენ.

ნასყიდი მიწების მეპატრონე გლეხები ეკონომიკურად მეტნაკლებად უფრო ძლიერები იყვნენ, ვიდრე მცირემიწიანი თავიანთი თანამოძმენი. ეკონომიკური მდგომარეობა მათ პერსპექტივას უქმნიდა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის (ძირითადად თავდახსნა). ამდენად, თუ ნასყიდი მიწები, ერთი მხრივ, ობიექტურად ხელს უწყობდა საგლეხო მეურნეობის განვითარებას, მეორე მხრივ, პირობას უქმნიდა ნასყიდი მიწების მქონე გლეხობას უფლებრივი აღზევებისათვის. აღზევებისათვის საჭირო იყო დიდი მიწები. გლეხობის უმრავლესობას კი მხოლოდ ორიოდე დღიური ჰქონდა ნასყიდი. ამდენად, ასეთი მოვლენა XVII—XVIII სს-თვის ტიპური არ იყო.

3. დროებითი საგლეხო მიწათსარგებლობა

ა) ჰერა

არკვევს რა ფეოდალური საკუთრების ფორმებს ს. სკაზკინი სიტყვა ჰერას (держание) ხმარობს ზოგადად საგლეხო მიწათმფლობელობის მიმართ. მაგრამ ქართველი გლეხისათვის ჰერას სპეციფიკური მნიშვნელობა ჰქონდა. იგი აღნიშნავდა არა ზოგადად იმ საბატონო მიწას, რომელზედაც გლეხი იყო მიმაგრებული, არამედ მიწის იმ ნაკვეთს, რომელსაც გლეხი ამუშავებდა და სარგებლობდა დროებით.

გლეხური საადგილმამულო ურთიერთობის აღსანიშნავად საბჭოურ ლიტერატურაში ზოგჯერ გვხვდება ცნება „გლეხური მიწათსარგებლობა“ («крестьянское землепользование»)[155]. ვფიქრობთ, რომ ეს ცნება ისე, როგორც «держание», შეესაბამება კონკრეტულ მოვლენას, როდესაც გლეხი ამუშავებს არა მემკვიდრეობით მიღებულ „საკუთარ“ მიწის ნაკვეთს, არამედ დროებით, რაღაც პირობით „სხვის“ მიწას. ასეთი მოვლენისათვის, ჩვენი

---

[155] В. Манцев, Феодальный способ производства, კრებ. Докапиталистические способы производства, М., 1960. Ф. А. Полянский. Экономическая история зарубежных стран, 1954, с. 209.

აზრით, გამართლებული იქნება ვიხმაროთ მიწათსარგებლობა და არა მიწათმფლობელობა.

ქართულ ფეოდალურ ურთიერთობაში ჭერა დროებით ურთიერთობის გამომხატველი ცნებაა. დოკუმენტურ მასალებში „ჭერა“ ძირითადად სხვისი საკუთრების დროებით სარგებლობას აღნიშნავს. ასეთი შეიძლება იყოს გლეხი, მიწა, პირუტყვი და სხვ.

XVIII ს. უცნობი პირის ვალების ნუსხაში ჩამოთვლილი არიან გლეხები, რომლებიც მანგლელსა თუ ბატონიშვილს ეჭირათ. „ქ. მანგლელს გლეხები ეჭირა საჯავახოში, იმათვინ თუმანი ოცდაერთი. ბატონიშვილს რომე გლეხები ეჭირა. იმისთვინ თუმანი თექვსმეტ ნახევარი..“[156] როგორც ვხედავთ, აქ ჭერის ობიექტი გლეხები არიან. თვით ჭერაში კი თითქოს გირაო უნდა იგულისხმებოდეს, რაც თავისთავად დროებითი ფაქტორია.

იყო შემთხვევები, როდესაც ჭერა გირაოს ფარგლებს სცილდებოდა. 1770 წ. თამაზა სავანელი გელია სავანელს უჩიოდა: ჩემი ყმა გელიას „ტყუილათ უჭირავსო“. გელია თავს იცავდა: „პაპაშენმა ამის ბიძა გაყიდა და ეს გამოიქცა და მე შემეხიზნა. ნასყიდობით არა მყავს...“[157] მოპასუხე მართლაც აღიარებდა, რომ ყმა მასთან დროებით იყო შეხიზნული.

ჭერა, როგორც პირუტყვის დროებით სარგებლობაში ყოლა, დადასტურებული გვაქვს XVII ს-ში, სადაც აღნიშნულია, რომ ერთ პირს ვინმე სვიმონს, უჭირავს მეორე პირის ვინმე მეხრისშვილის ერთი ხარი. „სვიმონს უჭირავს მეხრისშვილის ხარი ა“[158] აშკარაა, რომ ვინმე სვიმონს სხვისი ხარი ჰყავს რაღაც პირობით, რასაც ჭერა ეწოდება.

ჭ ე რ ა ძირითადად მიწის დროებითი სარგებლობის შემთხვევაში იხმარება და ჩვენი ინტერესიც ამჯერად მიწის სარგებლობის უფლების შესწავლით იფარგლება. რომ ჭერა საადგილმამულო ურთიერთობაშიც დროებით სარგებლობას გამოხატავს, ამის აშკარა საბუთებიც მრავლად მოგვეპოვება. 1692 წ. ერეკლე 1-ის განჩინებაში ამილახვართა ერთსახლობის თაობაზე ვკითხულობთ „... სოფელი ბატონს ანახანუმს უწინაც ეჭირა და ახლაც დავანებეთ სადამდის ცოცხალი ბრძანდებოდეს, იმას ეჭიროს და სჭამოს“[159]. აქ, როგორც

---

[156] Qd. 607.

[157] სსც ფ. 1450, დავთ. 229 № 27/38.

[158] Sd 939.

[159] ი. დ ო ლ ი ძ ე. ქართული სამართლის ძეგლები. IV, გვ. 158.

ვხედავთ, ჭერის უფლება მხოლოდ სიკვდილამდეა „სადამდი ცოცხალი ბრძანდებოდეს“, გარდაცვალების შემდეგ კი მემკვიდრეობის უფლება სოფელზე მის დამჭერს აღარა აქვს.

1767 წ. ერთი დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ ვინმე პეტრეს ვალი დირბის დეკანოზის მაქსიმეს გაუსტუმრებია. სამაგიეროდ, პეტრეს მამული მაქსიმეს დაუჭერია. დაუჭერია დროებით. თუ კიდევ ვინმე მევალე გამოჩნდებოდა, მაშინ ის მამული გაიყიდებოდა... დირბის დეკანოზმა მაქსიმემ პეტრეს ვალი გადაუხადა. „ეს მამული ჯერ ამ დეკანოზს მაქსიმეს ეპიროს. თუ კიდევ სხვა ვინმე მოვალე გამოჩნდეს პეტრესი, მისი მამული დაფასდეს, დირბელს კაცზედ გაუიდონ“[160]. აქაც ჭერა მამულზე დროებითი უფლების აღმნიშვნელი ცნებაა. „ჯერ ამ დეკანოზს მაქსიმეს ეპიროს“.

ზემოთ მოტანილი მასალა პრივილეგირებულ წოდებას ეხება „ბატონი ანჯახანში“, „დირბის დეკანოზი მაქსიმე“, მაგრამ მთელი XVIII ს. სიგრძეზე ჩვენ შრავლადა გვაქვს ცნობები, როდესაც „ჭერის“ ობიექტი საგლეხო მამულებია, ხოლო დამჭერები გლეხები.

XVIII ს. ერთ საბუთში დასახელებულია ცხრა საკომლო და აღნუსხულია ვის რამდენი უჭირავს თითოეული საკომლოდან. მაგ., „ლომშერას საკომლოზე ზებედე მასხედაშვილი სახლობს. ამ საკომლოს მიწა ა. ძამაშვილს უჭირავს. ორი მარეხაშვილს უჭირავს. ორი დღისა პაპუას უჭირავს. ერთი ხაბაზს უჭირავს“[161]. მაშასადამე, ვინმე ლომშერას საკომლოზე (რომლის დღიურების ჯამი ჩვენთვის უცნობია) „სახლობს“ ვინმე ზებედე მასხედაშვილი და ექვსი დღიური მიწა ოთხ პიროვნებას „უჭირავს“.

საკვლევით ნათელია, რომ არც ამ საკომლოზე მოსახლე და არც ექვსი დღიურის დამჭერი პირები ამ საკომლოს მკვიდრი გლეხები არ არიან. სამწუხაროდ, არ ჩანს სადაა საკომლოს პატრონი. ან რატომ მოხდა ამ საკომლოს ნაწილების „დაჭერა“ სხვა პირთა მიერ.

ანალოგიური ამბავია დანარჩენი სხვა რვა საკომლოს მიმართაც. თითოეული საკომლოდან სხვა პირებს უჭირავთ 2-იდან 14 დღიური სახნავ-სათესი მიწები და ზოგჯერ ვენახებიც. არის შემთხვევები, როდესაც არამკვიდრ გლეხებს უჭირავთ არა საკომლოს ესა თუ ის

---

[160] Qd 353.
[161] Sd 2000.
[162] Qd 8669.
[163] Qd 7158.

ნაწილი, არამედ მთლიანად საკომლოები. მაგ., XVIII ს. საკომლოების ერთ-ერთ ნუსხაში (დას. საქართველოდან) აღნიშნულია, რომ „ბასანიძის მამულზე თამაზა ხარშილაძეს უჭირავს საკომო (sic) ერთი". ასევეა XIX ს. ვანათის საკომლოების ნუსხაში „ქ. კაიშაურის ღთისიას ბეითალმანი მამული ერთი საკომლო ჯოჯისშვილს პეტრეს და ოთარს უჭირავს".

გარდა სახნავ-სათესი მიწებისა, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც არამკვიდრ მეპატრონეებს ეჭირათ ვენახებიც. XVIII ს. ერთი საბუთი ქვემო ქართლიდან წარმოადგენს სარდლის (სახელი არ ჩანს) ნასყიდი მამულების ნუსხას. ამ ნუსხაში შეტანილია 34 ვენახი. აქედან 6 ვენახი უჭირავს არა ვენახის პატრონებს.

„ქ. ასატურას ვენახი პარეხლ(ი)შვილს უჭირავს.

ქ. ამურ(ა)შვილის ვენ(ა)ხი კიდევ პარეხლ(ი)შვილს უჭირავს.

ქ. სულხან(ა)ს ვენახი პარეხლიშვილს უჭირავს.

ქ. აკოფაშვილის ვენახი პარეხლ(ი)შვილს უჭირავს.

ქ. ფიჯიაშვილის ვენახი მაჭარიანს უჭირავს.

ქ. დათიაშვილის ვენახი მჭერიანს (sic) უჭირავს"[164].

საინტერესოა რა პირობით ხდება „ჭერა"?

ვფიქრობთ, რომ დროებით დამჭერს დიდი უფლებები არა აქვს დაჭერილ მამულებზე. მას არა აქვს დაჭერილ მამულზე მემკვიდრეობის უფლება, მაგრამ ჭერის საფასურად იგი მაინც იხდის გარკვეულ გადასახადებს. ჩვენ მიერ ზემომოტანილი საბუთიდან ირკვევა, რომ მჭერიანს, რომელსაც დათიაშვილის ვენახი უჭირავს „ორი წელი-წ(ა)დია კულუხი არ მოუცია". „მჭერიანი" ამ შემთხვევაში არაა ვენახის „მკვიდრი" პატრონი, მაგრამ იგი მოვალეა კულუხი გადაუხადოს ბატონს, რომელსაც ადრე დათიაშვილი იხდიდა.

ასევე აწერიათ გადასახადები საკომლოების მჭერელ პირებს. მაგ., სოფ. ერტულაში ხოსრო ტერაშვილი, რომელსაც უჭირავს მამისბედაშვილის ნაქონი მამული — „ნახევარ საკომო" იხდის: სამ კოდ და ექვს ჩანახ პურსა და ქერს. ნახევარ ლიტრა ერბოს, ნახევარ ცხვარს, დედალს და ვარიას და ხუთ კვერცხს[165].

რა მიზეზით ხდება სახნავ-სათესი მიწებისა თუ ვენახების ჭერა?

მიწების „ჭერის" ერთ-ერთი მიზეზი სამეურნეო მიწების მუშახელიდან დაცარიელება უნდა ყოფილიყო. მიწის „მკვიდრი" ან

---

[164] Sd 1924. მჭერიანი აქ შეიძლება დამჭერს ნიშნავდეს და არა საკუთარ სახელს.
[165] Qd 8834.

აიყარა და გაიქცა, ან ამოწყდა და მამული ბეთალმანად იქცა. ასეთ შემთხვევაში დაცარიელებულ მიწას იჭერს სხვა. იგი შეიძლება იყოს შეზობელი, ნათესავი, შორიდან თუ ახლოდან მოსული და ა. შ. მაგრამ მიწის ახალი „დამჭერი“ ამ მიწას სამემკვიდრო უფლებით კი არ იღებს, არამედ დროებით სარგებლობაში. მებატონეს კი უხდის იმ გადასახადს (ან გადასახადის ნაწილს), რასაც მიწის „მკვიდრი“ იხდიდა. ახალი დამჭერი ამ მიწაზე მიმაგრებული არაა და მისი დამოკიდებულებაც მიწაზე თუ ბატონთან იძულებით ხასიათს არ ატარებს. უნდა ვიფიქროთ, ამ შემთხვევაში გლეხის ექსპლოატაცია რამდენადმე შერბილებულია. მებატონე იძულებულია დაცარიელებული მიწები დასამუშავებლად შეღავათიან შეთანხმებით გასცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისევ ცარიელი მიწის ამარა დარჩება.

ზემოთ მოტანილი საბუთის მიხედვით, ვინმე პარხელ(ი)შვილს ოთხი ვენახი „უჭირავს“. სამაგიეროდ, „თავისი მამის (ვენ(ა)ხი პარტახტათ უბევს“.

რაშია საქმე? შესაძლოა, ამ პირს სხვისი ვენახები უჭირავს მანამდე, ვიდრე მამისეული ვენახის პარტახტს კვლავ ვენახად აქცევს, ანდა მამისეული ვენახზე დიდი გადასახადია გადაკვეთილი და ურჩევნია იგი კვლავ პარტახტად დარჩეს. სამაგიეროდ „დაჭერილი“ ვენახებიდან, რომელსაც იგი აშენებს ღებულობს თავისათვის საჭირო პროდუქტს — ღვინოს და იხდის შეღავათიან გადასახადს — კულუხს.

ბ) „ს ა რ ჩ ო“, „რ ჩ ო მ ა“

„ჭერის“ ანალოგიურია მიწების „სარჩოდ“, ანუ „სარჩომად“ გაცემა. სარჩოდ მამულის გაცემა ფეოდალურ საქართველოში გავრცელებული მოვლენა იყო ყველა წოდებისათვის.

ერთი XV ს. საბუთის მიხედვით ირკვევა, რომ არმაზის ციხე თავიდანვე მცხეთისა ყოფილა. შემდეგ იგი ვინმე ჯაუნარს უგდია ხელთ. მეფეს ჯაუნარისათვის ჩამოურთმევია და კვლავ მცხეთისათვის უბოძებია. მაგრამ გარკვეული უფლება არმაზის ციხეზე და მონასტერზე ჯაუნარის შვილისათვის მაინც დაუტოვებიათ. იგი ჯაუნარის შვილისათვის ს ა რ ჩ ო მ ა დ უბოძებიათ „თქუენ, კ’ზო თეოდორე დღეს ჯაუნარის შვილი ყმად დაიჭირეთ და მისთუის სარჩომად ეს არმაზის ციხე და მონასტერი უბოძეს“ — ვკითხულობთ დოკუმენტში. იქვე განმარტებულია, რომ სარჩომად მიცემა

არ გულისხმობს რაიმე მემკვიდრეობით, ანუ როგრც თვით დოკუმენტშია „მემამულეობით“ უფლებას: „ესე ციხე და მონასტერი მათ ჰქონდეს სარჩომად და მას აქათ მემამულობით არა საქმე უც და ვერ ისარჩლონ...“[166].

ეს მოვლენა თავის დროზე საბუთის გამომცემელს თედო ჟორდანიას შეუნიშნავს. იგი იქვე წერს, რომ ეს საბუთი საინტერესო სიგელია და „ძვირფას ცნობებს იძლევა შესახებ ყმათა დამოკიდებულებისა მებატონეთაგან, ეკლესიისაგან და არჩევს ყმათადმი „მემამულეობით“ მიცემულს მიწა-წყალს „სარჩომად“ მიცემულისაგან; იმასაც გაგულისხმებინებს, რომ „ყმობა“ დამოკიდებული იყო მხოლოდ მიწის მფლობელისაგან, როგორც ამას სხვა მრავალი საბუთები ჰმოწმებს“. „სარჩოდ“ გაცემაში ამ შემთხვევაში იგულისხმება ციხე და მონასტრის, როგორც სამეურნეო ორგანიზაციების, რწმუნება ამა თუ იმ პირისადმი, რომელიც გადასახადების გარკვეულ ნაწილს (თუ მთლიანს არა) სწორედ ს ა რ ჩ ო დ ე. ი. როგორც გარკვეულ მატერიალურ შემოსავალს მიიღებდა. მაგრამ ამ რწმუნებულ პირს საშემოსავლო სამეურნეო ორგანიზაციაზე მემკვიდრეობითი უფლება არ ეძლეოდა. ანალოგიური რიგის მოვლენები ჩვენ გვიან ხანებშიაც გვაქვს.

1723 წ. ვახტანგ VI-მ წყალობის წიგნი უბოძა რატიშვილებს. რატიშვილების და კახა ჯავახიშვილის მეუღლე ყოფილა. ჯავახიშვილი მეფის სამსახურში ყანდაარს მომკვდარა. ქვრივს მეფემ ს ა რ ჩ ო დ გლეხები მისცა (ხანდაკს, ხოვლეს და აბანოს, ე. ი. უნდა ვიფიქროთ ისევ ჯავახიშვილის მიწებიდან) „რისაც მამულის მქონებელი იყოს“ იმითა. მაგრამ ერთი პირობით: ვიდრე ჯავახიშვილის ქვრივი ცოცხალი იქნებოდა, იგი ძმებს — რატიშვილებს უნდა შეენახათ და მამულებიც მათ უნდა ჰქონოდათ, ხოლო როცა რატიშვილების და გარდაიცვლებოდა „მამული და ეს კაცნი თქვენთვის სამკვიდროდ გვიბოძებიანო“[167]. მეფის ასეთი განაჩენი რა კონკრეტულ ვითარებით იყო ნაკარნახევი ჩვენთვის ნათელი არაა. ერთი რამ აშკარაა, არ ჩანს კახა ჯავახიშვილის მემკვიდრე, ამიტომ ეძლევა „სარჩოდ“ — დროებით სარგებლობაში ჯავახიშვილის ქვრივს გლეხები, ხოლო მეფის სურვილით ქვრივის გარდაცვალების შემდეგ მის ძმებს. ამდენად, სარჩოდ მიცემა დროებით სარგებლობაში გაცემაა.

[166] ქრონიკ. 11, გვ. 241.

[167] საქ. სიძვ. III, № 269.

საინტერესოა 1799 წ. ერისთავის ძის მეთოდესათვის იმერეთის მეფის სოლომონ II-ის ბოძებული საბუთი. ამ საბუთიდან ირკვევა, რომ ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ მეთოდეს სოლომონისათვის უთხოვია დასავლეთ საქართველოში გადასვლის უფლება და „სარჩო მამული". სოლომონ II-ს არ დაუყოვნებია და მეთოდეს მამის მიერ ბარაკონისათვის შეწირული მამული და გლეხები მეთოდესათვის სარჩოდ უბოძებია. „რაჟას ბრაკონი მამის შენის აღშენებული იყო და რომელიც მის საკუთრებად მამული შეწირული ჰქონდა, ის მამული და გლეხნი ჟამსა ოდენ სარჩოდ გიბოძეთ"[168] — წერს სოლომონ II. აქ ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის, რომ სარჩოდ დროებით — „ჟამსა ოდენ" ხდება მიწისა და გლეხების ბოძება. საინტერესოა საბუთში აღნიშნული ის პირობაც, რითაც ეძლევა მეთოდეს სარჩოდ მიწა და გლეხები: „ბარაკონს ეკლესიაზედ უნდა იმდგომარეოთ და იმ ეკლესიის შეწირული კაცნი უნდა იმსახუროთ და ამით ცხოვრობდე და იმყოფებოდე" — აცხადებს სოლომონი.

საყურადღებოა ისიც, რომ მეთოდეს სარჩოდ მამამისის მიერ ეკლესიისათვის შეწირული მამული და გლეხები უბოძეს. როგორც ჩანს, სოლომონი დიდ დანაშაულად არ თვლიდა შეწირული ყმა-მამული ებოძებინა რაჭის ერისთავის ძისათვის, რადგანაც ეს იყო სარჩოდ—დროებით სარგებლობაში და არა სამემკვიდრეო ბოძება.

თუ ზემოთ მოტანილი მაგალითები პრივილეგირებული ფენების წარმომადგენლებს ეკუთვნის, „რჩომით" სარგებლობის უფლება გლეხებსაც ჰქონდათ. 1780 წ. დავით გარეჯის არქიმანდრიტისათვის მიუმართავს ნაკრულაშვილის ქვრივს ელენეს: „შვილი მომიკუდა და ჩემი მამული ბეითალმანი შეიქმნა, მაგრამ თქვენგან ამ მამულზე რ ჩ ო მ ი ს წყალობა ვითხოვე და მოწყალება მოიღევით"[169]. ყურადღებას იქცევს ის, რომ უმემკვიდრეოდ დარჩენილ მამულს, რ ჩ ო მ ი ს პირობით თხოულობს მამულის გარდაცვლილი მემკვიდრის დედა. აქაც, საფიქრებელია, რომ ამ ქალის გარდაცვალების შემდეგ ბეითალმანი მამული მიწის პატრონს — მებატონეს (ამ შემთხვევაში არქიმანდრიტს, როგორც ეკლესიის წარმომადგენელს) დარჩება.

რა პირობით ხდება „რჩომის" გაცემა? აქ მოტანილი დოკუმენტის

---

168 Qd 6696.

169 თ. ე ო რ დ ა ნ ი ა. ქართლ-კახეთის მონასტ. და ეკლ. ისტ. საბ., 1903, გვ. 126.

მიხედვით „რჩომის“ მიმღები პირობას იძლევა: „არც მონასტერს დავაკლო სამსახური მამულის შეძლებისამებრ და არც თქვენა“, ე. ი. ამ შემთხვევაში გლეხისათვის არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ მან დაკარგა ამ მამულზე მემკვიდრეობითი უფლება.

1800 წ. ჯავახი ნინია იფიცებოდა: ალექსანდრე სარდალს მიუვედი, მის ნასყიდზე ვდგევარ... და „სხვას მანუჩარის მამულითა ვრჩები“[170].

რჩომა ყოველთვის საადგილმამულო ურთიერთობას არ გულისხმობს. მაგ., კონია ხუციშვილი ალექსანდრე სარდალს მისვლია წყალობის ყმად. ალექსანდრეს იგი წისქვილში დაუყენებია და როგორც კონია აცხადებს „იმითი ვრჩებოდითო“. ასევე ზურაბა ზაქუტაშვილი იფიცებოდა: „მე ფეიქარი გახლავარ და ჩემის საქსოვით ვრჩები“. მოტანილ მაგალითებში რჩომა სიტყვასიტყვით არსებობის, ცხოვრების წყაროს გულისხმობს, მაგრამ ამავე დროს მოკლებული არაა სოციალურ-ეკონომიკურ შინაარსს. ცნებას რჩომა, შინაარსობლივად ასეთივე მნიშვნელობა აქვს საადგილმამულო ურთიერთობის დროსაც, რამდენადაც ადამიანის არსებობის ძირითადი წყარო მიწაა.

გ) ჭამა

„ჭამა“, „მამულის ჭამა“ ისეთივე მოვლენაა, როგორც ჭერა და რჩომა, ე. ი. როდესაც მიწას ამუშავებს არა მისი მკვიდრი, არამედ დროებითი პირი. დოკუმენტურ მასალებში ამ მოვლენის აღსანიშნავი სპეციალური ტერმინიც გვხვდება — „სამჭმო“[171], ანუ „სამჭმელო“[172].

ჭამა ჭერასთან უშუალოდ დაკავშირებული მოვლენაა. 1692 წ. ამილახვართა ერთსახლობის წიგნში ვკითხულობთ: ბატონ ანახანუმს სოფელი „სადამდი ცოცხალი ბრძანდებოდეს... ე ჭ ი რ ო ს და ს ჭ ამ ო ს“[173].

1570 წ. წყალწითელას საეკლესიო ბეგრის ნუსხაში ნათქვამია: „...რვა პარტახი სხვა არის და რაც ამ კაცებს მართებს თითოს

---

[170] Hd 976.

[171] Qd 2136 (3), 1655 წ. როსტომ მეფის საბუთი.

[172] Qd 8932, 1646 წ. იმერთა მეფის ალექსანდრეს წყალობის წიგნი.

[173] ი. დ ო ლ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., IV, გვ. 158.

გლეხსა, ისრე თითოს პარტახს მართებს და ისე გადაიხადოს, ვინც დაესახლოს და ან ვინც ჰამოს"[174]. საბუთის დამწერი ერთმანეთისაგან ასხვავებს იმას ვინც „დაესახლება", ე. ი. მკვიდრად მოიკიდებს ფეხს მიწაზე იმისაგან, „ვინც ჰამს" — დროებით ისარგებლებს მიწით. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში ასეთი გლეხის ვალდებულება არაფრით განსხვავდება სხვა გლეხისაგან გადასახადის გადახდის პირობაში. დასახელებულიც და მჰამელიც ისე იხდის, როგორც „პარტახს მართებს". უნდა ვიფიქროთ, როგორც მართებდა პარტახტის ყოფილ მკვიდრს, „ჰამის" ვადები შეიძლებოდა სხვადასხვა ყოფილიყო: ოთხი წელი[175], შვიდი წელი[176], თოთხმეტი წელი[177], თექვსმეტი წელი[178] და ა. შ.

საჰმელად მიწის დაჭავება სხვადასხვა პირობით ხდებოდა. თუ ერთ შემთხვევაში პარტახტზე დამჯდარი გლეხი, რომელიც მამულს ჰამს, ვალდებულია გადაიხადოს, ის რაც ადრე პარტახტმდელ მამულს ეძლო, სხვა შემთხვევაში ჰამა სხვა პირობით ხდება. 1791 წ. მირზა იბრეიმას შვილ გოგიას ვარძიელის შვილ გოგიასათვის თავისი ყმის მიწის ნახევარი მიუცია გასაკეთებლად შემდეგი პირობით: „ოთხი წელიწადი შენ ჰამე, რაც მოუვიდეს ან სიმინდიც, ლობიოც და ყურძენიც. ოთხს წელიწადს უკან კარგა ამსებულს მამულს, რომ ვენახმა (დაისხას) ერთი თუნნის ხარს ან ძროხას მოგცემ და ვენახს ჩე გამოგართმევ თუ მე ვარ შეივიწუშავო შენვე მოგცე და იმუშაო, რაც მოვიდეს — ნახევარი შენ და ნახევარი მე"[179]. აქ ჰამის საფუძველი შეთანხმებაა მიწის მესაკუთრესა და სხვა პირს შორის. მიწის საჰმლად აღებს არ ევალება საბატონო გადასახადის გადახდა. იგი მოვალეა ვენახი აუშენოს მიწის პატრონს. ვიდრე ვენახი ნაყოფის სრული მომცემი გახდება (ჩვეოთხე წლამდე) მანამდე კი მჰმელი სარგებლობს. შემდეგ ვენახის აშენების ფასს ღებულობს — ხარს ან ძროხას. მემკვიდრეობის უფლება და პრეტენზია მჰამელს ამ მიწაზე არა აქვს.

„ჰამა" ყოველთვის მშვიდობიანი შეთანხმების საფუძველზე არ ხდებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც ერთი პირი მეორე პირის

---

[174] ი. დ ო ლ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., III, გვ. 277.
[175] Qd 9155.
[176] საქ. სიძვ. III, გვ. 430.
[177] Qd 190 (3).
[178] Qd 189.
[179] Qd 9155.

კუთვნილ მამულს მიიტაცებდა და ჰამდა. 1783 წ. გიორგი თუმანიშვილი შესჩიოდა ვახტანგ ბატონიშვილს: „ერთი კომლი გლეხი კაცი ჩემი ყმა ამოვარდა... იმის მკვიდრი ფირბეშაული ნაქონი მიწა... ჩემა განაყოფმა კაცუამ წამართვა და სჭამს...“[180] ასევე მოახსენებდა მეფეს თევდორე მაჩხიძე 1791 წ.: „ჩემს მამულს კორინთელი სჭამს და მე არ მანებებს“[181]. გიორგი ბატონიშვილის რეზოლუციიდან ირკვევა, რომ ეს მაჩხიძე შეწირული გლეხია წმინდა სამებისათვის თავის ნასყიდ-უსყიდით და კორინთელს მის მამულზე ხელი არ მიუწვდება.

იყო შემთხვევები, როდესაც მამულის მკვიდრი რაიმე მიზეზით კარგავდა თავის მამულზე მემკვიდრეობის უფლებას და თავისივე მამულის მჭამელი ხდებოდა. სულხანიშვილები წოდორეთს ესაზღვრებოდა და ჯავახიშვილის ყმები იყვნენ. ჯავახიშვილი უმემკვიდრეოდ გარდაცვლილა. სულხანიშვილები როსტომ მეფეს სახახსოდ დაუჭერია, აუყრია სამკვიდრებელიდან და ავლაბარს დაუსახლებია. როგორც სულხანიშვილები აცხადებენ „ჩვენს მამულს წოდორეთს იქიდამ ვჭამდით“[182]. მართალია, წოდორეთის მამულზე სულხანიშვილებს უფლება დაკარგული არ ჰქონდათ, მაგრამ რადგან ისინი ფიზიკურად მასმოშორებულნი არიან ვერ ახერხებენ მის დამუშავება-პატრონობას უშუალოდ, ისინი მხოლოდ „მჭამელის“ როლში გამოდიან. შესაძლოა, მათ ეს მამულები გაცემულიც აქვთ. მაგრამ ასეთი ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა. 1681 წ. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სულხანიშვილებს თავიანთი წოდორული მამული თუმანიშვილებისათვის მიუყიდნიათ. როგორც დოკუმენტი აცხადებს, ამის მიზეზი ის ყოფილა, რომ ავლაბარში დასახლებულ სულხნიშვილებს, „აქედამ წოდორეთს თავიანთი მამული ვეღარ ეჭამათ“[183]. საჭმელად ან „მოსაჭმელად“ მშვიდობიანი შეთანხმების შემთხვევებში მამულები გარკვეული პირობებით გაიცემოდა. მაგ., 1753 წ. ფარსადან ციციშვილი პირობას აძლევდა გლახას (ციციშვილს): „შვიდს წელიწადს შენი მამული მე ვჭამო და მალუჯათი მე ვაძლიო და არცა ტყვე და არც მამული გაგიყიდო“[184]. როგორც ვხედავთ, „მჭმელი“ მამულის პატრონს მამულისა და ყმის

---

[180] საქ. სიძვ. III, გვ. 514.

[181] საქ. სიძვ. II № 419.

[182] Qd 9037 იბ (ბ).

[183] საქ. სიძვ. III, გვ. 565—566; Qd 9037.

[184] საქ. სიძვ. III, გვ. 430.

უვნებლობას აღუთქვამდა და მამულების მოხმარების საზღაურად კისრულობდა გარკვეული გადასახადის გადახდას.

1799 წ. დიმელი გენებაშვილები დარეჯან დედოფლისადმი მიართმეულ მოხსენებაში აცხადებდნენ: „რაღაც მამული გვებადა დიღომს ერთი ჩვენი განაყარი საბლიკაცი გახლამს იქავ დიღომს, იმ ჩემს მამულს ის სჭამს და მრავალს სხვას ვინც უნდა იმას აჭმევს, რომ არც ღალა ვიცით და არც არა სხვა“[185]. აქ მამულის პატრონები მამულის ჭაჭის საზღაურად ღალაზე აცხადებდნენ პრეტენზიას. როგორც ჩანს, მათ თავიანთი სასურველი კანდიდატებიცა ჰყავთ, რომელთაგანაც სათანადო ანაზღაურებასაც ელიან: „ვისაც ჩვენ მოსახნავათ მივცემთ, იმასაც შიგ არ უშვებს...“ — ჩვენი განაყოფიო — აცხადებენ გენებაშვილები. საჭმელად ანუ მოსაჭმელად ადგილ-მამულის გაცემა მთელ საქართველოში გავრცელებული მოვლენა იყო და იგი გვიან ხანებშიაც, კერძოდ XIX ს. 30იან წლებისათვისაც გვაქვს დადასტურებული. 1827 წ. ვინმე ნაფეტვარიძეს პირობის წიგნი მიუცია ჩიჯავაძისათვის: „...სამკვიდრო თქვენი მიწა მოუკაფე ზამთაროულში ბოლოზედ (sic)... თქვენმა ტყის მცველმა აღარ დამანებეს და თქვენ გევედრეთ და წყალობა გ(ვ)იყავით და ისე გვიბოძეთ მოსაჭმელად და თქვენ წერილი გ(ვ)თხოვე... ასე რომ ეს ზემოხსენებული ადგილი არც დავიჩემოთ და არც ამ ადგილის მოდი არ დაგაკლოთ“[186]. გარდა იმისა, რომ ეს დოკუმენტი კიდევ ერთხელ გვიდასტურებს მოსაზრებას, რომ საჭმელად გაცემული მიწა არაა მკვიდრი მამული, საინტერესოა იმ მხრივაც, რომ „მოსაჭმელად“ გაცემული ადგილის საზღაურად მიწის პატრონი გარკვეულ გადასახადს — მოდს ღებულობს.

როგორც ვნახეთ, საჭმელად აღება თუ გაცემა გავრცელებული იყო როგორც პრივილეგირებული, ასევე დაბალი წოდებისათვის.

ვ. გაბაშვილი ეხება რა გლეხთა ფეოდალურ ექსპლოატაციის ფორმებს აღნიშნავს, რომ XVI—XVIII სს. ფეოდალის ყმა-მამული ფეოდალური სახლის მრავალრიცხოვანი წევრების „საჭმელად“ იყო გადაჭცეული. ავტორს მოტანილი აქვს მაგალითები, როდესაც საჭმელად მიწა დადებულია, როგორც გირაო და ჭამა — ვალის სარგებლის საზღაურად.

ვ. გაბაშვილი იქვე განმარტავს, რომ „მამულის ჭამა“ არ ნიშნავს მამულის „სახარჯოდ“ და „სარჩოდ“ (შდრ. „кормление“)

[185] Qd 756.

[186] ქუთაისის მუზეუმი № 53.

მიცემას, რაც ბუნებრივად გამომდინარეობს ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობიდან. იგი ორგანულად უკავშირდება ინტენსიური მეურნეობის დაცემას და რენტის განუხრელ ზრდას...“[187].

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ვ. გაბაშვილის მოსაზრებას, რომ „მანულის ჭამა“, ისევე როგორც მიწით დროებით სარგებლობის სხვა სახეობა ფეოდალური ინტენსიური მეურნეობის დაცემის და ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილობის შედეგია. როგორც ზემოთ მოტანილი მრავალფეროვანი მასალებიდან დავინახეთ, დროებით მიწათსარგებლობით ურთიერთობაში გამოყენებულია ბეითალმანი (უმემკვიდრეოდ დარჩენილი) თუ აყრილ-გაქცეული გლეხობისაგან მიტოვებული მიწების ფონდები, ხოლო მწარმოებელნი არიან არა მკვიდრი გლეხები, არამედ ან სხვა ადგილებიდან მოსულები, დროებით თავშეფარებულები, ან ადგილობრივი მკვიდრნი, რომელთაც სხვადასხვა მიზეზით დაკარგეს თავიანთი მკვიდრი მამულები და იძულებულნი არიან არსებობის შესანარჩუნებლად მიმართონ მიწების დროებით დამუშავებას.

როგორც წესი, რჩომაზე, ისევე როგორც ჭერასა და ჭამაზე, მემკვიდრეობის უფლებები არ ვრცელდება. ესაა მიწის დროებითი სარგებლობა, მაგრამ დროთა განმავლობაში დროებით მოსარგებლეთ მიწის საკვიდროდ დაკავების პრეტენზიებიც უჩნდებათ, რაც ასახულია ჩვენამდე მიღწეულ სასამართლო აქტებში.

მიწის დროებით სარგებლობის ფაქტები უფრო ხშირალბა ყიზილბაშობის დროს მრავლდება, რაც კიდევ ერთი მოწმობაა იმისა, რომ საგარეო ფაქტორი ძლიერ გავლენას ახდენს ქვეყნის შიგნით არსებულ ფეოდალურ ურთიერთობებზე.

ყველა სახეობის დროებითი მიწათსარგებლობა, იქნება ეს ჭერა, ჭამა თუ რჩომა საბოლო ურთიერთობამდე მიდის. ასეთ შემთხვევებში ექსპლოატაციის სიმძიმე რამდენადმე შერბილებულია. ჩამორჩენილი მეურნეობის ფონზე გარკვეულ შეღავათიან შეთანხმებასთან გვაქვს საქმე, როდესაც მიწის დროებითი მოსარგებლე შეღავათიანი პირობებით ამუშავებს პატრონის მიწებს. მეორე მხრივ, ესაა პროტესტი მკვიდრ მამულებზე დადებული გადასახადების მიმართ, როდესაც მკვიდრი გლეხი ტოვებს საკუთარ მიწას და ამჯობინებს მიწების დროებით დამუშავებას შეღავათიანი პირობით.

---

[187] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს-ში თბ., 1958, გვ. 200—201.

თავისთავად მეურნეობის ასეთი ფორმა უპერსპექტივოა. იგი არაა გამართლებული ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით. ინტენსიური მეურნეობის განვითარებისათვის გზები იკეტება. არ მზადდება ნიადაგი ახალი ურთიერთობის ჩასახვისა და ახალ ფორმაციაზე გადასვლისათვის. ამიტომ დროებით მიწათსარგებლობა ქვეყნის ჩამორჩენილობის მაჩვენებელია.

განსხვავებულია მიწების დროებით მოსარგებლე გლეხის ფსიქოლოგიაც. განსხვავებით მკვიდრი გლეხისაგან, იგი დროებით დაჭერილ მიწას არ თვლის თავის საკუთრებად, ამდენად არც ამ მიწის შენარჩუნება-გაშენებაზე ფიქრობს. აქედან გამომდინარე, მისი ინტერესები არსებული მოვლენებისადმი განსხვავებულია მკვიდრი გლეხის ინტერესებისაგან.

მეორე თავი

საგლეხო გადასახადები

1. საგადასახადო სისტემა

როგორც ვნახეთ, XVII—XVIII სს. საქართველოში ფეოდალების მიერ მიწები გლეხებზე სხვადასხვა პირობით გაიცემოდა. ამ პირობაზე იყო დამოკიდებული შემდგომში გლეხის ვალდებულებათა შოვალეობაც მებატონის წინაშე. ამიტომ საგადასახადო სისტემის კლასიფიკაციისათვის განმსაზღვრელი გლეხური მიწათსარგებლობის ფორმები იყო.

ჩვენ დღეს არ ვაყენებთ საკითხს კონკრეტულად საგლეხო გადასახადების სხვაობათა შესწავლისას, არამედ ვეცდებით დავადგინოთ რა საგადასახადო პრინციპი არსებობდა, რა ურთიერთობაში იყო საგადასახადო სისტემა ექსპლოატაციის ზრდასთან და ამავე დროს კლასობრივ ბრძოლასთან.

საგლეხო გადასახადების შესწავლა დაიწყო იმთავითვე, როგორც კი ფეოდალური ხანის გლეხობის ისტორიის შესწავლა დაიწყო. მაგრამ საგლეხო გადასახადები არ შეისწავლებოდა მთელი სისრულით. შეისწავლებოდა ესა თუ ის გადასახადი გლეხის კუთვნილებისდა მიხედვით: სახელმწიფო, სამეფო, საბატონო თუ საეკლესიო: სახეობის მიხედვით: — შრომითი, ნატურალური, ფულადი; ცალკეული ავტორები არკვევდნენ საერთოდ საგლეხო გადასახადების სახეობებსა და რაოდენობას.

ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში მრავალრიცხოვანი მასალაა დაცული საგადასახადო ტერმინოლოგიიდან. ზოგადი საგადასახადო ტერმინოლოგიის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ქართული ფეოდალური საზოგადოება ყოველ ტერმინში გარკვეულ შინაარს დებდა. ამ მიმართულებით სამწუხაროდ, დღემდე კვლევა არავის უწარმოებია.

ზოგადად გადასახადი მასალებში იწოდება ბეგრად, ყალნად, გამოსაღებად, გამოსავლად და ა. შ.

ფეოდალიზმის მთელ მანძილზე არსებობდა გადასახადების სხვადასხვა სახეობანი. ხშირად გადასახადის გადახდა ევალებოდა მოსახლეობის ისეთ ნაწილს, რომელიც არ იყო მიმაგრებული მიწაზე (უკეთ, არ ჰქონდათ მიწა). ამიტომ, ჩვენ სწორად მიგვაჩნია პირველად გლეხური საადგილმამულო ურთიერთობის გარკვევა და მასთან დაკავშირებული საგადასახადო სისტემისა, მის უკან.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ფეოდალური ხანის საგადასახადო სისტემას არაერთი მკვლევარი შეხებია. ჯერ კიდევ თ. ჟორდანიას 1510—48 წწ. ბაგრატ იმერთა მეფის შეწირულების წიგნის[1] შესახებ აღნიშნული ჰქონდა რომ „გლეხებს კი არ ედო ბეგარა-გადასახადი, არამედ იმ მიწას, რომელზედაც გლეხი ესახლა. რამდენადაც მეტი მიწა ეჭირა გლეხს. იმდენად მეტს გადასახადს იხდიდა[2].

ამასვე ამბობდა ივ. ჯავახიშვილი 1907 წ. გამოქვეყნებულ საქართველოს ეკონომიკური ისტორიის 1 წიგნში. მისი სიტყვებით, „ყველა უმთავრესი გადასახადი და ხარჯი მიწას, უძრავ საკუთრებას ადვა“[3].

კ. გრიგოლიამ, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ბეგარა, გაიზიარა ივ. ჯავახიშვილის ეს მოსაზრება და შენიშვნა დაურთო, რომ მიწის ყოველგვარი „ჭერა“ არ მიდიოდა საბეგრო ურთიერთობის დამყარებამდე. მწარმოებელი გლეხის დასახლება ბატონის მიწაზე ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო გლეხთა და ბატონს შორის საბეგრო ურთიერთობის დამყარებისათვის[4].

სავსებით სამართლიანად მიგვაჩნია ავტორის მოსაზრება, რომ მიწის ყოველგვარი „ჭერა“ არ მიდიოდა საბეგრო ურთიერთობამდე. ეს მოსაზრება ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად სწორედ კ. გრიგოლიამ წამოაყენა.

უფრო ადრე გამოქვეყნებულ სხვა ავტორთა ნაშრომებში საგლეხო გადასახადების შესახებ საკითხი ასეთ ასპექტში არ დასმულა.

---

[1] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა. ქრონიკ. II, გვ. 336—340.

[2] საქართველოს სახელმწ. მუზ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. (A კოლექცია) შეადგინა ქრ. შარაშიძემ. ტ. IV, თბ., 1954, გვ. 130.

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტფ., 1907, გვ. 18.

[4] კ. გ რ ი გ ო ლ ი ა. ბეგარა ძველ საქართველოში და მისი დამახასიათებელი ნიშნები, თბ., უნივერსიტეტის შრომები, 107, 1964.

საკითხი იმის შესახებ, თუ რა პრინციპით უნდა იქნას შესწავლილი გლეხური გადასახადები წამოაყენა ივ. ჯავახიშვილმა. მან შემოგვთავაზა გადასახადების კლასიფიკაციის თავისი სქემა. იგი გადასახადებს სამ ძირითად ჯგუფად ყოფს: სახელმწიფო, სამოხელეო და საფეოდალო გადასახადებად. შემდეგ კი ცალ-ცალკე ახასიათებს 1. სახელმწიფო გადასახადებს, 2. სამოხელეოს, 3. საფეოდალოს, 4. ექსტრა-ორდინალურს, 5. საეკლესიოსა და 6. ელის გადასახადებს. შემდგომ კი განიხილავს რა და რა შედიოდა თითოეულ გადასახადში. მაგ., სახელმწიფო გადასახადებში შეტანილია 20 გადასახადი, სამოხელეოში — 72, საფეოდალოში — 46 და ა. შ. სულ ჩამოთვლილი აქვს 149 გადასახადი და იქვე აღნიშნულია, რომ ეს არაა სრული სია.

ავტორის მიერ შემოთავაზებული საგადასახადო კლასიფიკაციის სქემა ახალი არაა. მეტ-ნაკლებად ასეთი თანამიმდევრობით აქვთ შესწავლილი ფეოდალური გადასახადები ლ. მუსხელიშვილს, დ. გვრიტიშვილს, გ. ჯაბურიას, ო. სოსელიას და სხვ.

საგლეხო გადასახადებს შეეხო წერილში: „ფეოდალური რენტის საკითხისათვის XVIII ს. აღმოსავლეთ საქართველოში“ გ. ძიძიგური[5]. წერილში ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ XVIII ს. უაღრესად მრავალფეროვან საგლეხო ფეოდალურ ვალდებულებათა შესწავლა შეუძლებელია სისტემატიზაციის გარეშე. იგი სვამს კითხვას, თუ რა პრინციპი უნდა დაედვას საფუძვლად ამ სისტემას. მისი აზრით, რამდენადაც საკომლო ძირითადი სამეურნეო და ფისკალური ერთეულია, „ფეოდალური რენტის ანალიზს ჩვენ სწორედ საგლეხო კომლთა ექსპლოატაციის ფორმებისა და საგადასახადო ნორმების შესწავლის გზით შევეცდებით“[6]. ამ საკითხში ავტორი სავსებით სწორია, მაგრამ ჩვენ სრული სურათი არ გვექნება გლეხთა ექსპლოატაციისა, თუ ყურადღების მიღმა დავტოვებდით გლეხთა დროებით მიწათსარგებლობას და მასთან დაკავშირებულ გადასახადებს. იმ ურთიერთობას, რაც მყარდება მიწის პატრონსა და დროებით მიწით მოსარგებლე გლეხს შორის. მიწის დროებით მოსარგებლე გლეხები დროებით ურთიერთობაში არიან მიწის

---

[5] საისტორიო კრებული, V, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბ., 1976.

[6] იქვე. გვ. 326.

პატრონთან, ამიტომ მათი გადასახადი განსხვავებულია მკვიდრი გლეხის საგადასახადო მოვალეობისაგან.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მიწა გლეხის „საკუთრებად“ ითვლება, მაგრამ გლეხი ამ მიწას არ ამუშავებს. იგი არსებობისათვის სხვა წყაროს შოულობს, თუმცა ბატონთან ყმურ ურთიერთობაში იმყოფება. ასეთი გლეხის გადასახადიც განსხვავებულია მკვიდრი გლეხის გადასახადისაგან, რომელიც „საკუთარ“ მიწას ამუშავებს.

ფეოდალიზმის მთელ სიგრძეზე გლეხის მიწასთან და ფეოდალთან ურთიერთობის სხვა ვარიანტებსაც ვხვდებით და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საგადასახადო ურთიერთობა კონკრეტული ვითარების მიხედვით მყარდება. ეს ურთიერთობანი სათანადოდაა ასახული კიდეც საგლეხო ისტორიულ დოკუმენტებში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართული სამეცნიერო ლიტერატურის ძირითადი ნაკლი სწორედ ისაა, რომ საგლეხო გადასახადების შესასწავლად მთელი სისრულით არაა აღნუსხული გლეხური საადგილმამულო ურთიერთობა ძირითადი საადგილმამულო ურთიერთობის ფორმები და მათთან დაკავშირებული გადასახადები, რომლებიც შესწავლილია ჩვენში, ესაა საგლეხო მკვიდრი მიწები და საღალოვე მიწები. მაგრამ საკითხის მთელი სისრულით შესასწავლად ეს საკმარისი არაა.

როგორც აღნიშნული გვქონდა წყაროებში, საგადასახადო ურთიერთობისათვის სხვადასხვა ცნებები გვაქვს დამოწმებული. ჩვენ მოკლედ შევეხებით მათ.

ყველაზე უფრო გავრცელებული სახეობა გადასახადისა XVI — XVIII სს. დოკუმენტების მიხედვით ბეგარაა. ბეგარა ზოგადი სახელი იყო სხვადასხვა სახეობის გადასახადისა. იგი შეიძლებოდა ყოფილიყო შრომითი, ნატურალური და ფულადიც. როგორც ითქვა, ბეგარის საკითხი სპეციალურად შესწავლილი აქვს კ. გრიგოლიას. მის მიერ მიღებული დასკვნები სავსებით გასაზიარებელია. ამიტომ ბეგარის შესახებ ჩვენ მსჯელობას არ გავაგრძელებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ბეგარა უვადო იყო, მკაცრად განსაზღვრული ოდენობითა და გადასახადის დროით. სტიქიური მოვლენები ბეგარის შეცვლაზე გავლენას არ ახდენდა. ყმა-გლეხთა საბატონო ვალდებულებათა შორის ბეგარა ყველაზე უფრო კონსერვატული იყო. გლეხი იხდიდა გადასახადს იმ ფუძის (მიწა-ადგილის) ჴერასთან

დაკავშირებით და მისი შესაბამისობით, რომელზედაც ის მოსახლეობდა და მეურნეობას ეწეოდა.

ბეგარისაგან განსხვავებული გადასახადია გამოსაღები, რაც დამოწმებული გვაქვს დოკუმენტებში.

1519 წ. მწიგნობართმთავარს სოლაღაშვილს ქვათახევისათვის ორი გლეხი შეუწირავს. პატრონს ერთი ვენახი უყიდია, შუაზე გაუყვია და თითოეული გლეხისათვის მიუცია. ამ გლეხებისათვის დაუდევს აღაპი. სოლოღაშვილს შეუწირავს აგრეთვე ვენახი, ვინც ამ ვენახს მიიბარებდა (ე. ი დროებით მიწათსარგებლობაში ექნებოდა) იმ კაცს უნდა ეხადა ეკლესიისათვის 4 ლიტრა ცვილი და 1 ლიტრა საკმეველი. უფრო გვიან, შემწირველს ეს ვენახი თვითვე დაუჭერია და სანაცვლოდ ოთხი დღის მიწა გაუცია. გადასახადი კი იგივე დაუტოვებია. მაგრამ საინტერესოა, რომ ვიდრე გლეხს ვენახი ჰქონდა „მიბარებული“ სანთლისა და საკმეველის გადასახადს გამოსაღები ეწოდებოდა. ხოლო, როდესაც გლეხს ოთხი დღიური მიწა მისცეს მკვიდრად(?), მაშინ იგივე გადასახადი ბეგარად იქცა. „ესე ყაყიაური ვენაკი ამა სანთლისა და საკმლისა გამოსაღებზედა არა მეზომებოდა და სანაცვლოდ უფროსი იმისათვის დავდევით და ამა ბეგარას ოთხსა ლიტრსა ცუილსა... და ერთსა ლიტრასა საკმელთა... ვერაოდეს დააკლებენ“ — აცხადებდა შემწირველი[7].

ასევე განსხვავებული გადასახადებია გამოსაღები და ბეგარა სხვა საბუთებშიაც. 1722 წ. ზაალ თარხნიშვილი პირობას სდებს: „თუ მე ამათ თავიანთი გამოსაღები ან რამ ბეგარა ვაჭნევინო და გავმართო, ჯერ ღ[ვ]ის შემცოდე ვიყო და მერე მეფის ვახტანგისა და იმის შვილის ბაქარისა“[8].

საბას განმარტებით, ბეგარი — „გლეხთ გამოსაღებია“, ოღონდ აქვეა განმარტებული, რომ ესაა „დებულობის გამოსაღები ყალანი“. მაშასადამე, გადასახადის ზოგად სახელად საბა „გამოსაღებს“ ხმარობს, ხოლო „ბეგარი“ „დებულობის“, ე. ი. გადაკვეთილ გადასახადად მიაჩნია.

თუ ერთი მხრივ, გადასახადები ერთმანეთისაგან გაიმიჯნებოდა, როგორც ბეგარა და გამოსაღები, მეორე მხრივ, გადასახადები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ საგადასახადო პირობით „დებულობით“ და „შეწერვით“.

---

[7] ს. ყ ა ყ ა ბ ა ძ ე. ისტორიული საბუთები, III, ტფ., 1913, გვ. 50.

[8] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, II, თბ., 1953, № 9.

ა) „დებულება“

XVII—XVIII სს. საგლეხო გადასახადი ორგვარი იყო: გადაკვეთილი გადასახადი, ანუ დებულება, ანუ დადებული გადასახადი და შეწერილი.

დებულება, ანუ დადებული გადასახადი იყო ერთხელ და სამუდამოდ გადაკვეთილი გადასახადი, რომელიც ედო გლეხსა თუ მიწას. მოვლენა ადრეული ხანისაა. ოღონდ ადრე იგი სხვა სახელწოდებით გვხვდება. 1259 წ. რკონის სიგელში დადასტურებულია ტერმინები: „გაკვეთა“ და „გაჩენა“[9].

1222 წწ. ლაშა გიორგის სიგელში ნათქვამია გაგუიჩენია მწირველი და გაგუეკუეთა სამწირავად ჩუენთუისა“[10].

ასევე „გაკუეთაა“ დადასტურებული მიქელ სურამელის მეუღლის ქანანას დაწერილში ქვათახევისადმი (XIII ს.): „... გამიკუეთეს ტაძრად მიყვანების დღეს აღაპი“[11]. უფრო გავრცელებული ტერმინი „გაკვეთა“ — „გაკუეთა“ უნდა ყოფილიყო, რადგან დღემდე შემორჩენილ დოკუმენტებში „გაკვეთის“ საპირისპირო მოვლენა — „ამოკვეთის“ სახელით ხშირად გვხვდება.

XIII—XIV სს. დოკუმენტებში ეს მოვლენა „აჭრის“ სახელწოდებითაც გვხვდება და, ვფიქრობთ, ტერმინი „აჭრა“ სემანტიკურ კავშირშია ტერმინთან „კვეთა“. XV ს-ში დადასტურებული გვაქვს „გაჩენა“ „ამოკვეთა“[12]. XVI ს-ში გვხვდება „განწესებაც“[13].

XVII ს-იდან ფართოდ ვრცელდება ტერმინი „დება“ (ვარიანტები: „დადება“, „დებულება“...).

1669 წ. რომანოზ წილკნელმა აღადგინა წილკნის ღვთისმშობლის სამწყოსის გუჯარი. ამ ჰმბავს იგი ასე გადმოგვცემს: „დიაღ, დიდის ხნის ნაკურთხი ეფისკოპოზი ვიყავ. ჩემი ეკლესი(ი)ს სამწყოს ა(მ)ბავი და რიგი კარგა ვიცოდი: აზნაურიშვილს რა ედვა, მსახურს რა ედვა, ან საუხცო, ან დრამა რა ედვათ“[14].

---

[9] ი. დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 60—62.

[10] იქვე. გვ. 36.

[11] იქვე. გვ. 79.

[12] იქვე. გვ. 126—127.

[13] იქვე. გვ. 184.

[14] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII—XIX სს.), წიგ. II, თბ., 1974, გვ. 38.

ამრიგად, დადებული გადასახადი კონკრეტული იყო და მისი თვითნებურად გაზრდა-შემცირება კი, როგორც წესი, გამორიცხული.

XVII—XVIII სს. მანძილზე გადასახადის ყველაზე გავრცელებული სახეობა სწორედ გადაკვეთილი — დ ე ბ უ ლ ო ბ ი თ დადებული გადასახადი იყო.

1707 წ. ვახტანგ VI-მ ნახლისმცემელს შესწირა თრიალეთის სოფელი. ეს სოფელი შეწირვამდე ვახტანგმა გაათარხნა. საბუთში აღნიშნულია: „არა ეთხოვებოდეს რა არც არა დ ე ბ უ ლ ო ბ ი თა და არც არა შ ე წ ი რ ვ ი თ“[15].

1719 წ. კი ბაქარმა კარწახი შესწირა ნათლისმცემელს. აქაც შეწირვის პირობაში ვკითხულობთ: „მიგვიძღვანებია და ასეც გაგვითავისუფლებია, რომე არაფერი სამეფო და სათავადო, საერისთო და საზნაურო და სხვათა სამოჯელოთა სათხოვრისა არა ეთხოვებოდეს რა არცარა დ ე ბ უ ლ ე ბ ი თ ა არც ა რ ა შ ე წ ი რ ვ ი თ“[16].

„დებულობით“ დადებული გადასახადი თუ მოვალეობა, თაობიდან თაობაზე გადაეცემოდა გადამხდელ-გამომღებ საზოგადოებას. 1790 წ. ფშაველებს არზა მიურთმევიათ ერეკლესათვის მარილისს შეწირული კაცების თაობაზე. მეფეს ოქმი დაუდვია არზაზე:“ ამ არზით ფშაველთ ასე რომ მოუხსენებია, რაც მარილისს შეწირული კაცები ჰყვანდესთ, როგორც მ ა მ ა პ ა პ ი თ დ ე ბ უ ლ ო ბ ი თ ს ა მ ს ა ხ უ რ ი ს დ ე ბ ო დ ე ს თ ეხლაც ისე უნდა იმსახურონ“[17]. ეს დოკუმენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ „დებულობა“ საუკუნოდ გაჩენილ-გადაწყვეტილი საბატონო მოვალეობა იყო (ამ შემთხვევაში საეკლესიო).

XVIII ს. ერთ-ერთ დოკუმენტში ჩამოთვლილია მთიულეთის, გუდამაყარის და ხანდოს „დებულობა“. ამ ნუსხაში ჩამოთვლილია თუ რა ადევს ამა თუ იმ საკომლოსა თუ კომლს. საბუთში ყურადღებას იქცევს გადასახდელი ნატურის სხვადასხვაობა. მაგ., ზოგიერთებს საკომლო მაბულზე „აძესთ“ ერთი ცხვარი, ზოგს ერთი ქათამი, ზოგს ერთი ან ნახევარი ლიტრი ერბო, ზოგს კი „ქვეშსაგები ნაბადიც“ კი. ასევე სხვადასხვა ოდენობისაა სამასპინძლო: ზოგს მესამე წელიწადს კომლზე ერთი ცხვარი, ზოგს ერთი ცხვარი და ერთი თოხლი და ა. შ.

---

[15] ს. ქ ა ქ ა ბ ა ძ ე. ისტორიული საბუთები, V, გვ. 13.

[16] იქვე. გვ. 32.

[17] სცსა, ფ. 1449, № 441 (ბ).

ზემომოტანილი დოკუმენტის მიხედვით, გადასახადი ძირითადად საკომლოს ან მამულს, ე. ი. მიწას ადევს, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც გადასახადი დადებულია კომლზე. აქ მოტანილი დოკუმენტის მიხედვით კომლზე დადებულია სამასპინძლო.

გადაკვეთილი გადასახადი შეიძლება იყოს ყოველწლიური და წელიწადჩაგდებითაც: „სამასპინძლო მესამე წელიწადში კომლზე თანასწორეთ ცხვარი ერთი, თოხლი ერთი“[18].

არის შემთხვევები, როდესაც „დებულება“, ანუ „დება“ მთელი სოფლის ვალდებულებაა.

1722 წ. ღვთაების გუჯრის მიხედვით ღვთაების მარანში ქვევრის რეცხვა ადევს მთელ სოფლებს: „აგრეთვე ღმრთაებისა მარანში დებით ქვევრის რეცხვა აძესთ სოფელსა და სოფელსა. უნდა მოვიდენ და ქვევრი რეცხონ მარტყოფელთ“[19]. ასევე ჰქონდა დადებული მარტყოფს ფქვა: „ჩვენთა სახასოთა მარტყოფთა შიგან მეკომლეთა დადებით ფქვა სძეთ. რომე წლითი-წლად მოსავალი უნდა დაუფქვან“. აქ საინტერესოა შემდეგი: მართალია, ფქვა მთელ სოფელს აძევს, მაგრამ დაფქვაზე გარკვეული მორიგეობაა დაწესებული. გარკვეული მეკომურები სოფლიდან, რომლებიც ფქვავენ, თავისუფლდებიან „ყოვლისა საჯემწიფოსა გამოსავლისაგან“. „ჩვენთა სახასოთა მარტყოფთა შიგან მეკომლეთა დადებით ფქვა სძეთ, რომე წლითი-წლად მოსავალნი უნდა დაუფქვან. რომელსაც მეკომლეს ერგებიან, იგი კაცნი ყოველისა საჯელმწიფოსა გამოსავლისაგან ათავისუფლონ წელსა ერთსა“[20].

როგორც ვხედავთ, „დებულებით“ ან „დებით“ სხვადასხვა ხასიათის ურთიერთობა შეიძლება დამყარდეს გადამხდელსა და მიმღებს შორის. ერთ შემთხვევაში (და უმეტესად) „დებულობა“ ნატურალური გადასახადის გადახდას ვარაუდობს. სხვა შემთხვევაში კი შრომით ურთიერთობას (ქვევრის რეცხვა, ფქვა და ა. შ.) ამავე დროს „დებულობა“ შეიძლება დადებული ჰქონდეს მიწას, კომლს (როგორც მიწისმფლობელს და არა როგორც პიროვნებას) ან მთელ სოფელს. „დებულობით“ გადასახადი შეიძლება იყოს ყოველწლიური ან პერიოდული. ზოგჯერ „დებულობით“ გადამხდელი დროებით საგადასახადო იმუნიტეტით სარგებლობს. მთავარი „დებულობით“, ანუ „დებით“ დაწესებულ ურთიერთობაში

---

[18] Hd 4224.

[19] ი. დ ო ლ ი ძ ე. ქართ. სამართ. ძეგლები, 1965, გვ. 371.

[20] იქვე. გვ. 372.

ისაა, რომ გადამხდელისათვის ერთხელ და სამუდამოდ გადაკვეთილია ესა თუ ის გადასახადი თუ ვალდებულება, რაც შეიძლება იყოს ნახევარი კვერცხიდან დაწყებული გათავებული ერთი ან მეტი ხარით.

„დებულობით" გადაკვეთილი ურთიერთობის დაცვა ცხოვრების ნორმალურ პირობებში აუცილებლია ორივე მხარისათვის. „დებულობის" დაცვა „ბატონყმური რიგის" დაცვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობათაგანია. მაგრამ რადგანაც დებულების შეცვლა არ შეიძლება, ქვეყნის შიგნით ეკონომიური პირობების დამძიმება (მტრიანობა, მოუსავლიანობა) გადამხდელ გლეხს მძიმე მდგომარეობას უქმნის. და თუ ასეთ შემთხვევაში დებულება არ შეიცვალა (რაზედაც ჩვეულებრივად ფეოდალები არ მიდიან), გადამხდელი გლეხობა დამძიმებული ექსპლოატაციის მარწუხებში აღმოჩნდება. ამდენად, ერთხელ გადაკვეთილი დებულებაც ეს თითქოსდა გლეხის მდგომარეობის გათვალისწინებით დადებული გადასახადი კონკრეტულ ვითარებაში, გლეხის მძიმე ექსპლოატაციის წყაროდ შეიძლება იქცეს.

ბ) შეწერვა

„დებულობისაგან" განსხვავებული გადასახადია „შ ე წ ე რ ვ ი თ" გადასახადები.

ჩვენს ხელთ მყოფი მასალის მიხედვით ძნელია იმის თქმა, თუ რა დროიდან იკიდებს ფეხს ეს მოვლენა. ტერმინი „შესაწერი" XV ს-თვის დადასტურებული გვაქვს[21], მაგრამ ეს ტერმინი არ გამოხატავს იმ მოვლენის არსს, რაზედაც ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი. ასე თუ ისე, XVIII ს. დასაწყისისათვის „შეწერვა", როგორც საგლეხო გადასახადთა ერთ-ერთი გაერცელებული სახეობა, ფეხმოკიდებულია[22].

„შეწერა", როგორც მოვლენა, ფიქსირებულია XVIII ს. დასაწყისის ძეგლში „დასტურლამალი". „შეწერა" გულისხმობდა რაიმე გაუთვალისწინებელი მოვლენის გამო გადამხდელი მოსახლეობისათვის ერთჯერადი გადასახადის გადახდევინებას, მაგრამ ეს გადახდა ხდებოდა არა ნებისმიერი განუსაზღვრელობით, არამედ გადამხდელი

---

[21] იქვე. გვ. 135.

[22] ს. ყ ა ყ ა ბ ა ძ ე. ისტორიული საბუთები, IV, გვ. 13; 32.

სოზოგადოების მეურნეობისა და გადახდის უნარის შესაძლებლობების გათვალისწინებით. მაგ., თუ დიღომს ღვინის გამოსაღებად შეეწერებოდა ხოლმე, ცხინვალს ზოგჯერ კვერნა („ბეწვეული" — დ. მ.) შეეწერებოდა.

1780 წ. არაგვის საერისთავოსათვის სალეკო ხარჯი შეუწერიათ. საბუთში ვკითხულობთ: „არაგვის საერისთაოს სალეკო ხარჯი შესწერდა მთას ცხვარი და ბარს პური". როგორც ვხედავთ, იმთავითვე გათვალისწინებულია იმ მხარის მეურნეობა, რომელსაც გადასახადი ედება „მთას ცხვარი და ბარს პური." ამ ნუსხაში ზუსტადაა დადგენილი, რომელმა სოფელმა რამდენი ცხვარი უნდა გამოიღოს, ან რომელი მებატონის ყმამ რამდენი კოდი მარცვლეული (3-დან 28 ცხვარი, 1-დან 75 კოდამდე მარცვლეული).

გვიან ხანებში შეწერით „უცხო" გადასახადების აკრეფა ხდებოდა სალეკოსი, სარუსოსი, ნოქრის ხარჯისა და ა. შ. უფრო ადრე კი შეწერით ზოგჯერ სამასპინძლოს გაჭდახდა ედებოდათ გადამხდელებს. „დასტურლამალის" მიხედვით: „თუ ბატონი ზემო ქართლში წაბრძანდა, ვინც არ დაპატიჟებს და ან სამასპინძლოს არ მოართმევს, მოჯელენი სამასპინძლოს შეაწერენ"[23].

1780 წ. დარეჯან დედოფალი გოგია გერმანოზიშვილს სწერდა: „მეჯვრისხეველებს დავით ბატონიშვილის სამასპინძლოთ სამოცი თუნგი ღვინო რომ აწერიათ ახლავ მიდი... გამოართვი და ბატონიშვილისათვის დახარჯე"[24].

1795 წ. ერთ-ერთი საბუთის სათაურია: „ამ წლის ღალისა და შეწერილის პურის ნუსხები". საბუთის დამწერმა იცის, რომ ღალა „დებულობით" დაწესებული გადასახადია, ხოლო შეწერილი ერთჯერადი. ამიტომ ზოგად სათაურს კი არ აკეთებს, არამედ ახდენს დიფერენცირებას ღალისას და შეწერილისას.

„შეწერა" ძირითადად ნატურალური გადასახადია, მაგრამ არის შემთხვევები, როცა იგი უფრო გვიან ფულითაც იცვლება. მაგ., ერთი საბუთის მიხედვით სამასპინძლოდ განკუთვნილი ძროხის და ცხვრის ნაცვლად ფულია შეწერილი: „ქ. გივის კაცებს შეხვდა[25] მეფე სოლომონის სამასპინძლო: პური კოდი ოთხი, ორი ჩ(ა)ნ(ა)ხი.

---

[23] ი. დ ო ლ ი ძ ე. ქართული სამართლის ძეგლები. II, გვ. 265.

[24] Hd 8256.

[25] რადგან საბუთში წერია „შეხვდა" და არა "„ედო", ვფიქრობთ, რომ ნავარაუდევია „შეწერვა" და თვით ფაქტიც, რომ იმერეთის მეფის სამასპინძლო გადახდათ ქართლელებს, ამაზე მიუთითებს.

ღვინო თუნგი ხუთი, ძროხის და ცხვრის ორი მინ(ა)თული და ათი შაური"[26].

XVIII ს. მიწურულისათვის კი გვაქვს დოკუმენტები, სადაც შეწერილია მხოლოდ და მხოლოდ ფული (გარეშემოს შეწერილი გადასახადი, ნოქრის დაკლებული ხარჯის შენაწერი და ა. შ)[27].

როგორც ვხედავთ, „შეწერა" გულისხმობდა გადამხდელი მოსახლეობისათვის დაკისრებულ ერთჯერად გადასახადს რაიმე გაუთვალისწინებელი მოვლენის გამო.

ეს ერთჯერადი გადასახადი შეიძლება იყოს ნატურალური და ფულადი.

გამორიცხული არ უნდა იყოს შეწერით შრომითი ვალდებულებების მოხდაც და, გარდა სამთამადნო სამუშაოებისა, სამშენებლო აღდგენით სამუშაოებშიც სწორედ შეწერით გამოდიოდა გადამხდელი მოსახლეობა. როგორც ზემომოტანილიდან დავინახეთ, საგადასახადო სისტემა ფეოდალურ საქართველოში (ჩვენ ძირითადად XVII—XVIII სს. მასალებს ვგულისხმობთ) მოწესრიგებული ჩანს. არსებობს „დებულობით" გადაკვეთილი და შეწერით — ერთჯერადი გადასახადები. ორივე ეს გადასახადი განსაზღვრულია. გათვალისწინებულია გადამხდელი საზოგადოების გადახდის უნარიანობა.

მაგრამ რა მდგომარეობა გვაქვს ფაქტიურად? ემთხვეოდა თუ არა ყოველთვის გადასახადების გადახდა გადამხდელი საზოგადოების ინტერესებს?

1726 წ. ვახტანგ VI წყალობის წიგნს აძლევს რუისის ღვთაების ყმებს: „... საური ვაპატიოთ და პურის და ღვინის ოჩხარს შეაწერდნენ ხოლმე და გლეხს დიად ბალა დამართებოდა და გაღარიბებულიყვნენ"[28].

აქ ჩვენი ყურადღება მიიპყრო გამოთქმამ „ოჩხარს შეაწერდნენ ხოლმე".

ოჩხარი საბას განმარტებით არის მუყაო. მუყა კი განმარტე-

---

[26] Qd 7184.

[27] Qd 7188, 8659.

[28] ნ. ბერძენიშვილი. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, № 316.

ბულია როგორც ოჩხრობა. ფრჩხილებში ჩასმულია გამოთქმა „მუყა ხვასტაგთა“ და მითითებულია ნახე „სარგებელიო“. სარგებელის კლასიფიკაციას კი საბა სხვადასხვაგვარად იძლევა: „უწესური სარგებელი, ხარკზე ნამეტანობა, შესაწერი უდები, მუყა ხვასტაგთა და აღნადგინები ვალისა“. რადგან ვახტანგის საბუთის მიხედვით ღვინის ოჩხარით „გლეხს ძალა დამართებოდა და გაღარიბებულიყვნენ“, მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში ოჩხარი — „უწესური სარგებელი“, ანუ „შესაწერი უდებია“.

როგორც ირკვევა, XVIII ს. დასაწყისისათვის „დებულების“ გვერდით არსებობდა პურისა და ღვინის შ ე წ ე რ ვ ი თ გადახდა. მაგრამ ეს შეწერვა, როგორც ჩანს, ყოველთვის ნორმის ფარგლებში არ თავსდება, გლეხს „ძალას მართებდა“ და აღარიბებდა.

არა მარტო შეწერილს, ყოველთვის არც „დებულობით“ დადებული ნორმების დაცვა ხდებოდა და ხშირად, გადამხდელ საზოგადოებას გაზრდილი გადასახადები აწუხებდა. ჯავახიშვილების ყმებმა ერეკლეს საჩივრით მიმართეს, სადაც აღნიშნავდნენ: „თავადიშვილისა თუ აზნაურიშვილის ყმებს „რაც ძველთაგან არ აძევს სამსახურით მეტობით ვერ იმსახურებენ“. ჩვენ კი ჩვენი ბატონები არა გვზოგავენო. ერეკლეს ამ საჩივარზე ბრძანება დაუდევს და მებატონეები გაუფრთხილებია: „რომელიც ამათი დ ე ბ უ ლ ო ბა არის და არ ს დ ე ბ ი ა თ, იმას გარდა, თუ მეტი რამ მოინდომეთ, ჩვენთან მოსაკითხავი იქნება“[29].

ნორმების დარღვევა და თვითნებობა უფრო მეტად შეწერვით გადასახადებზე მოდიოდა. ხდებოდა ხოლმე ისე, რომ მოხელეები არ ითვალისწინებდნენ გადამხდელის ეკონომიურ შესაძლებლობებს. 1782 წ. ზურაბ ფალავანდიშვილს ერეკლესათვის მიუმართავს: — ექვსი კაცის სალეკრს ვთხოვენ. ჩემი ყმები ღარიბები არიან და გადახდა არ შეუძლიათო. ერეკლეს ოქმი დაუდვია არზაზე: „თუ ამათი მოხსენებული მართალია და ამაზე მეტი კაცი არა ჰყავს და მართალია რას ემჯობინებით, მეტს ნუღარ აწერთ“[30].

ზოგჯერ შეწერით აიძულებდნენ გადამხდელებს გაეღოთ ის, რასაც ნებით არ გაიღებდნენ. მაგ. „დასტურლამალის“ მიხედვით: „თუ ბატონი ზემო ქართლში წაბძანდა ვინც არ დაპატიჟებს და ან სამასპინძლოს არ მოართმევს, მოკელენი სამასპინძლოს შეაწერენ“[31].

---

[29] Hd 14789.

[30] Ad 655.

[31] ი. დ ო ლ ი ძ ე. ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 275.

ზოგჯერ კი მებატონე სასტიკადაც კი იმუქრებოდა იმ შემთხვევისათვის თუ გადამხდელები შეწერილს ნებით არ გადაიხდიდნენ. მანუჩარ თუმანიშვილი ნინია მამასახლისს სწერდა: „ვისაც პური ა წ ე რ ი ა თ ზედ შეაკვდი და ისე წამოაღებინე, თორემ მაგათ ბაგიერ შენ გადაგახდევინებ და მოგეპყრობი ავათ“[32].

თუ ცალკეული მებატონეები ასე ფიცხობდნენ, სამეფო ხელისუფლება მეტ სიფრთხილეს იჩენდა. გორის ქეთხუდების საჩივარში ერეკლეს მიმართ ვკითხულობთ: „თქვენ რომ ქვეყნის შესამატათა და მტერის დასაწყნარებლად, სალეკო ოცდაათი შაური და კოდნახევარი პური დასდევით, რომ არ დებულიყო რამდენიმე ხანი ამის მასლათი ქართლისა და კახეთის ბერთან ღა დარბაისელთან გქონდათ... თითქმის ვერც კი ბედამდით, რომ ერთი რამ არაფერი შესაწუხებელია და ქვეყანაზედ არის“[33].

იყო შემთხვევები, როდესაც ცალკეული მებატონეც იჩენდა სიფრთხილეს გლეხობის მიმართ და, წინააღმდეგ განუსაზღვრელი ექსპლოატაციისა, „გლეხის კაცის დაძახებით და თხოვნით“ შეაწერდა ხოლმე გლეხებს[34]. დებულებისაგან განსხვავებით, ამდენად შეწერა უფრო მსუბუქი ჩანდა. მაგრამ რამდენადაც ეს იყო გაუთვალისწინებული ზედმეტი გადასახადი, ესეც გლეხის ექსპლოატაციის გაზრდის წყარო იყო.

როგორც ვხედავთ, როგორც „დებულობა“, ისე „შეწერა“ მეტწილად ნორმირებულ ხასიათს ატარებდა. გადასახადის ეს ორივე სახეობა ბატონყმური ურთიერთობის ბატონყმური რიგის საზღვრებში თავსდება და რადიკალურად განსხვავდება „უდების დადებისაგან“, რაც „ბატონყმური რიგის“ ფარგლებს სცილდება.

მოწესრიგებულ საგადასახადო ურთიერთობაში გლეხური გადასახადების გადახდა მკაცრად განსაზღვრულია. თითოეულმა გადამხდელმა იცის, რა ოდენობის მარცვალი უნდა გადაიხადოს მიწის ამა თუ იმ ნაკვეთმა, რა ოდენობის ღვინო თუ ტკბილი უნდა გამოიღოს ვენახის ამა თუ იმ ნაჭერმა, და ეს მკაცრად განსაზღვრული გადასახადი მემკვიდრეობით გადადის თაობიდან თაობაზე. მაგრამ ირღვევა თუ არა ქვეყნის საშინაო თუ საგარეო ურთიერთობანი, ეს „მოწესრიგებული“ ურთიერთობა გლეხობის საზიანოდ უარესდება, რაც კლასობრივ წინააღმდეგობის საბაბი ხდება.

[32] Hd 5768.

[33] შ. მ ე ს ხ ი ა. მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიიდან. მსკი, ნაკვ. 32, გვ. 220.

[34] Qd 7636.

ვახტანგ VI-ის კანონმდებლობაში უდების დადება მძიმე სისხლის დანაშაულთან — კაცის კვლასთან არის გათანაბრებული: „უდების დადება კაცის კულის ოდენი არის, ამად რომე ბოლო აღარ მოელების“.

კანონმდებლობაში ეს დებულება კონკრეტულ საკითხთან — ქვეყნისა და ქალაქის შენახვასთან დაკავშირებითაა მოხსენებული, მაგრამ ეს მოვლენა დამახასიათებელი იყო მთელი ფეოდალური საზოგადოებისათვის, უპირატესად კი საგადასახადო ურთიერთობაში. რა იყო „უდების დადება“?

1689—90 წწ. ორბელიანების შემოსავლის წუსხაში[35] ასლანის (ორბელიანის) მიმართ საყურადღებოა გამოთქმული „... ამის გარდაის შეაგდო აზნაურიშვილებს, უდები დასდვა: ღვინო საპალნე, ზროხა, ცხვარი, პური კოდი...“[36] ამ შემთხვევაში უდები სოციალურად პრივილეგირებული კლასის წარმომადგენლებს — აზნაურიშვილებს დასდვეს, ე. ი. დააკისრეს ის, რაც მათ ქვეყნად არსებული ტრადიციით არ ეკუთვნოდათ. ეს იყო „უდების დადება“.

მართალია, მოტანილი მაგალითი პრივილეგირებულ კლასს შეეხება, მაგრამ „უდების დადების“ ძირითადი სიმძიმე მწარმოებელ საზოგადოებაზე მოდიოდა.

ქვეყნის საერთო მდგომარეობის გართულებისა და ცხოვრების დამძიმების პირობებში (ბატრიანობა, სტიქიური მოვლენები...), მფლობელთა კლასი საერთო დანაკლისის შევსებას გლეხთა ექსპლოატაციის ხარჯზე ფიქრობდა. დადებული გადასახადი-გამოსაღების გადიდება თუ არა საგანგებო პირობებით, ბატონყმურ ურთიერთობაში მიუღებელია. მფლობელთა კლასი ცდილობს დადგენილი ტრადიციის დარღვევას. იგი იძულებულია ან გადასახადის ახალი სახეობა დაადოს გადამხდელს, ან გაუზარდოს დაწესებული. ესაა საბატონყმო ურთიერთობაში „უდების დადება“. უდების დადება განუსაზღვრელია. ამიტომაც აცხადებს კანონმდებელი: „კაცის კულის ოდენი არის, ამად რომე ბოლო აღარ მოელების“.

ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს გადამხდელ საზო-

---

[35] საბუთის გამომცემელი თ. ჟორდანია (ქრონიკები, II, გვ. 442—444) ამ საბუთს 1619—20 წწ. ათარიღებს. იგი გადაათარიღა გ. ჯამბურიამ. იხ. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 95.

[36] ქრონიკები, II, გვ. 443.

გადოებას ააცილოს „უდების დადება“. 1703 წ. ერეკლე I-ის მიერ ქვათახევისათვის განახლებულ გუჯარში ვკითხულობთ: წინამძღვარი „რაც არა სდებოდეს უდებს ნურას დაასდებს“ გადამხდელთაო, ზოგჯერ მებატონე პირობასაც იძლეოდა. „რაც ჩვენს კაცს ძველადგან სამსახური სდებია იმის მეტს აღარ შევაწუხებთო“. მაგრამ მფლობელთა კლასი უდების დადებას ვერ ელეოდა და საუკუნეთა მანძილზე ბრძოლა უდების დადებისათვის ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა.

უდების დადებამ ქვეყნის მდგომარეობის გართულების გამო (ოსმალობა-ყიზილბაშობა, ლეკიანობა, უცხოელთა ჯარის შენახვა და ა. შ.) განსაკუთრებით იჩინა თავი XVIII ს. I მეოთხედიდან. ცენტრალური ხელისუფლება აქაც დიდ სიფრთხილეს იჩენდა. გორის ქვეთხუდის საჩივარში ნათქვამია, რომ ერეკლემ დიდი სიფრთხილით მოახდინა მოსახლეობის „უდებით გაბეგვრა“ — სალეკოს გაწერაო.

განსხვავებით შეწერისაგან, უდების დადება გულისხმობდა ახალი გადასახადისა თუ მოვალეობის დაკანონებას სამემკვიდრეოდ. ეს იყო ახალი „დებულობა“, რაც ემატებოდა საუკუნეებით დადგენილ „დებულობათა“ რიგს. ამიტომ იყო ეს მოვლენა მძიმე.

უდების დადება მწვავე კლასობრივ პროტესტს იწვევდა. იგი მხოლოდ მკვიდრი გლეხის ხვედრი იყო. უდების დადება ექსპლოატაციის გაზრდის აშკარა სახეობა იყო. თუმცა ექსპლოატაციის ზრდა გამორიცხული არ იყო არც სხვა შემთხვევებში, თითქოსდა განსაზღვრულ, მოწესრიგებულ საგადასახადო ურთიერთობაში.

ობიექტური მიზეზებით გლეხობის მატერიალური ყოფის დაქვეითება გადაკვეთილი გადასახადების პირობებშიაც ექსპლოატაციის ზრდის მაჩვენებელი იყო.

4. საგადასახადო საწყაოები

გლეხის ექსპლოატაციის ხარისხისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საგადასახადო ობიექტის სიდიდეს. იმას თუ რას იხდიდა გლეხი, რამდენს, როგორი საწყაოებით.

თუ გლეხთა კლასობრივი პროტესტის ძირითადი მოტივი დებულების დარღვევა იყო, ამის ერთ-ერთი გამოხატულება საგადასახადო საწყაოთა ზრდაც იყო.

საწყაოების ზრდა ადრევე შეიმჩნეოდა. ამ მოვლენის მიმართ

გადამხდელი საზოგადოების რეაქცია ფიცხი იყო. 1454 წ. სოფ. ჯვარის მეკულულეებმა კათალიკოსი აიძულეს საწყაო არ გამოეცვალა — არ გაეზარდა. ასევე დათმობაზე წასულა კათალიკოსი 1668 წ. და ძეგველებისათვის დიდი კოკა „მოუშლია“.

საწყაოების სტაბილიზაციისათვის ბრძოლა მომდევნო ხანებშიაც გრძელდებოდა. რადგან საგადასახადო საწყაოების ზრდა-შემცირება უშუალოდ იყო დაკავშირებული გლეხთა ექსპლოატაციასთან და აქედან გამომდინარე, კლასობრივ ბრძოლასთან, ჩვენ განსაკუთრებით შევჩერდებით საგადასახადო საწყაოებზე.

ქართულ საგადასახადო ურთიერთობაში არსებული საწყაოების შესწავლას ივ. ჯავახიშვილმა დაუდო საფუძველი ნაშრომში „ქართულ საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა=მეტროლოგია“. ივ. ჯავახიშვილის თანადროულად ქართული მეტროლოგიის საკითხებზე ნარკვევები გამოაქვეყნა ს. კაკაბაძემაც. თითქმის 50 წლის მანძილზე ივ. ჯავახიშვილის ნაშრომი წარმოადგენდა ცენტრს, საიდანაც საყრდენს ქართული მეტროლოგიის საკითხებში. 1973 წ. გამოქვეყნებულმა გ. ჯაფარიძის მონოგრაფიამ „ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან“ საყურადღებო კორექტივები შეიტანა მანამდე არსებულ ცოდნაში საწყაოთა შესახებ. სამწუხაროდ, სრულად ჯერ კიდევ არაა აღწუსხული საზომ-საწყაოთა ის სახეობანი, რაც მოიხმარებოდა ფეოდალური ხანის გლეხურ მეურნეობაში და და გამოიყენებოდა საგადასახადო ურთიერთობაში.

საწყაოთა მრავალფეროვნების ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ფეოდალურ საქართველოში არ არსებობდა სიდიდის მყარი ეტალონი. ეს გარემოება მიუხედავად მკაცრი კონტროლისა, საფუძველს იძლეოდა საზომ-საწყაოთა მრავალფეროვნებისათვის.

გადასახადების აკრეფისას ხილის საზომად ძირითადად გამოყენებული იყო კოკა, მარცვლეულისათვის კი ქაბიწი და კოდი.

ისტორიულ წყაროებში ორი სახეობის საწყაოს ვხვდებით: ერთი, როდესაც განსაზღვრულია ამა თუ იმ საწყაოს სიდიდე. მეორე შემთხვევაში, როდესაც ესა თუ ის საწყაო მხოლოდ და მხოლოდ კუთვნილების მიხედვითაა მოხსენიებული, რომელთაც ივ. ჯავახიშვილი „სათავისთავო საწყაოებს“ უწოდებს. არის შემთხვევები, როდესაც საწყაო იხსენიება მხოლოდ და მხოლოდ მისი სიდიდის თუ სიმცირის აღნიშვნით — „დიდი კოკა“, „ცოტა კოკა“.

საწყაოთა ეს სხვადასხვაობანი გარკვეულ სირთულეებს უქმნიან მკვლევართ. ლ. მუსხელიშვილი არკვევდა რა XVII ს.

დასავლეთ საქართველოს გლეხობის საკითხებს აღნიშნავდა, რომ „ბეგრის შესახებ საზოგადოდ შეიძლება ითქვას, რომ... გამონაკლისებს გარდა, მომატებული უნდა იყოს. თუმცა საწყაოთა სხვაობა შედარებას აძნელებს“[37].

ისეთ შემთხვევებში, როდესაც გადასახადის აკრეფა ინდივიდუალური, „სათავისთავო საწყაოებით“ ხდებოდა, იქმნებოდა მეტი მითვისების, მეტი ექსპლოატაციის შესაძლებლობა. თუმცა გარკვეული კონტროლი საწყაოებზე ყოველთვის არსებობდა და ასეთი საწყაოების ხმარება ერთგვარად შეზღუდული იყო.

ივ. ჯავახიშვილს გამოთქმული ჰქონდა მოსაზრება საქართველოში საწყაოთა ზრდის შესახებ, რასაც თან უნდა მოჰყოლოდა გადასახადების გაზრდა.

ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით, „თავდაპირველთან შედარებით XV ს-ის გადიდებული ლიტრა ექვსჯერ მოზრდილი ყოფილა“[38], ხოლო„ ახალი, ე. ი. XVIII ს. დამდეგის ლიტრა 10,12...-ჯერ გადიდებული ყოფილა“[39].

ივ. ჯავახიშვილის ეს მოსაზრება გაიზიარა ნ. ბერძენიშვილმაც. 1937 წ. გამოქვეყნებულ X — XIV სს. საქართველოს ისტორიის კონსპექტში იგი წერდა: „XII—XIII საუკუნიდან XV საუკუნის შუაწლებამდის პურისა და ღვინის ძირთადი საწყაო — ლიტრა ექვსჯერ არის გადიდებული. ამდენადვეა გადიდებული ceteris peribus, მაშასადამე, „თავი ბეგარაც“... ლიტრა (და მისგან დამოკიდებით სხვა საწყაონიც) შეუჩერებლივ იზრდება და XVIII საუკუნის დასასრულისათვის ის 10—12-ჯერ მეტია XIII საუკუნის ლიტრასთან შედარებით“[40]. ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს დებულება დღემდე დაკანონებულად ითვლება.

სამწუხაროდ, მეტროლოგიის ისტორიისათვის მეტად მწირი მასალა მოგვეპოვება და მით უმეტეს XIII—XV სს-თვის. მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, 1259 წ. შედგენილმა რკონის დაწერილმა შეგვინახა ცნობა, რომ „კულუხი ძუელი თორმეტი კოკაი იყო

---

37 ენიმკის მოამბე, V—VI. გვ. 302 (ხაზგასმა ჩვენია.—დ. მ).

38 ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია გვ. 103.

39 იქვე. გვ. 102.

40 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ. 1965, გვ. 69.

ოცდაოთხ ლიტრი(ანი)თა კოკითა, თჳთო(სა) მიწასა ზედა"[41]. ე. ი. თითო „მიწა" იხდიდა 288 ლიტრა ღვინოს (12×24).

გ. ჯაფარიძის გამოანგარიშებით, XIII ს-თვის ლიტრის წონა (დღევანდელი შესატყვისობით) 950 გ., ე. ი. უახლოვდება დღევანდელ კილოგრამს — ლიტრას. ამიტომ ჩვენთვის ძნელი არაა წარმოვიდგინოთ მიახლოებით რამდენი ღვინო უნდა გადაეხადა ერთ მიწას.

იმავე ავტორის დაანგარიშებით XV ს. II ნახევრიდან და XVI ს-ში ლიტრის წონა გაზრდილა 1,780 კგ-მდე.

რამდენადაც გადაკვეთილი გადასახადი (ამ შემთხვევაში კულუხი) საკმაოდ კონსერვატულია, იგი თაობიდან თაობაზე გადადის. ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ ვიცით მოიშალა თუ არა ეს კულუხი, მაგრამ თეორიულად სავსებით დასაშვებია, რომ მშვიდობიანობის შემთხვევაში ამა თუ იმ „დებულებით" დადებულ გადასახადს ორი საუკუნის მანძილზე თავი შემოენახა. მაშინ მივიღებდით, რომ თითო მიწაზე დადებული 12 კოკა კულუხი ოცდაოთხლიტრიანი კოკით იქნებოდა დღევანდელი 512,64 ლ ღვინო (288 X 77). ჩვეულებრივად კულუხი საგლეხო შემოსავლის გარკვეული ნაწილი — მესამედი, მეოთხედი, მეხუთედი... იყო, მაშინ უნდა წარმოვიდგინოთ რაოდენ გაფართოებული მეურნეობა უნდა ჰქონოდა გლეხს...

კიდევ უფრო მძიმე სურათი გვექნებოდა გადასახადის სიმძიმის თვალსაზრისით, თუ გავიხსენებდით, რომ გლეხების ნაწილი საკმაოდ დიდ კულუხს იხდიდა. მაგ., XV ს. სოფელ ჯვარის მცხოვრებნი კათალიკოსს 1-იდან 40 კოკამდე კულუხს უხდიდნენ. მართალია, ჩვენ არ ვიცით რამდენ ლიტრიანები იყო ეს კოკები, მაგრამ თუ 40 კოკის გადამხდელს მოუხდებოდა გაზრდილი ლიტრიანებით 40 დიდი კოკის გადახდა, ვფიქრობთ, ეს მონაცემები ბევრად გადააჭარბებდა კარგად გამართული ნებისმიერი გლეხის მეურნეობის შესაძლებლობას. მით უმეტეს XV ს-ში ჯერ კიდევ არაა მოშუშებული ის ჭრილობები, რაც გარეშე მტრების არაერთგზისმა შემოტევამ მიაყენა ქვეყანას. მეურნეობა დაცემულია, გლეხის გადახდისუნარიანობა დაქვეითებული. ჩვენთვის ისიც მოულოდნელია, რომ XV ს-ში კიდევ არიან შემორჩენილი გლეხური კომლები, რომელთაც შეუძლიათ ჩვიდმეტ-ჩვიდმეტი, ოც-ოცი თუ ორმოც-ორმოცი კოკა კულუხის გადახდა. ვფიქრობთ, აქაც გარკვეულ გამონაკლისთანა გვაქვს საქმე, რამდენადაც ეს გადამხდელები სამცხეთო ყმები არიან.

[41] ი. დ ო ლ ი ძ ე. ქართ. სამართ. ძეგლ. II, თბ., 1966, გვ. 60.

საწყაოთა ზრდა თანდათანობით ხდება და, როგორც ჩანს, ვიდრე გარკვეულ ზღვარს მიაღწევს გადამხდელი საზოგადოებისათვის ასატანია. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, იზრდება ექსპლუატაციაც. გარკვეული ზღვრის შემდეგ კი უკვე იწყება ბრძოლა მცირე მოცულობის „პირველ საწყაოთა“ აღდგენისათვის. „ეს თანდათანი გადიდებაც გლეხებისათვის შეუმჩნეველი არ იყო. იბრძვიან, ფეოდალი აძლევს გლეხებს პირობას, რომ ამიერიდან ლიტრას და კოკას არ გაუდიდებს მათ, არამედ „ძუელითა ცოტაითა“ საწყაოთი აიღებს კულუხს (ღვინის ბეგარა), მაგრამ ჰხუ რამდენად სრულდებოდა ასეთი დაპირება ეს იქიდანაც ჩანს, რომ ასეთი დაპირებანი არაერთგზის გვხვდება, ხოლო ლიტრა (და მისგან დამოკიდებით სხვა საწყაონიც) შეუჩერებლივ იზრდება“[42].

მართლაც, ზოგჯერ გადამხდელი საზოგადოება გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდა და ფეოდალთა კლასი იძულებული იყო განეცხადებინა, „არა გიდიდოთ“ საწყაოო. თავისთავად ასეთი მოვლენები იმის მაჩვენებელია, რომ საუკუნეთა მანძილზე ხელჩართული ბრძოლა მიმდინარეობდა ფეოდალური გადასახადების გადამხდელ და მიმღებ საზოგადოებათა შორის.

თეორიულად შეუძლებელია გლეხმა გადაიხადოს 6—10—12-ჯერ გადიდებული საწყაოებით დადებული გადასახადები. ამისათვის საჭირო იქნებოდა არა მხოლოდ მეურნეობის გაფართოება, არამედ მუშახელის გაზრდაც. ორივე ეს ფაქტორი გლეხის სურვილზე არაა დამოკიდებული და არც ხელსაყრელი მისთვის. ამიტომ იგი ცდილობს შეინარჩუნოს გადასახადის ძველი ნორმები.

გადაკვეთილი გადასახადი თითოეული გლეხისათვის გათვალისწინებული იყო მისი შესაძლებლობების მიხედვით. დროთა ვითარებაში შესაძლოა ამ გადასახადის რეალური შესაძლებლობანი შეიცვალოს. ბუნებრივია თუ სტიქიური მოვლენების ან ერთ საკომლოზე ოჯახების გამრავლების გამო საგლეხო მეურნეობა მოიშალოს, შემცირდეს... გლეხი ველარ ახერხებს ერთხელ გადაკვეთილის გადახდას და თუ სათანადო ღონისძიება არ იქნება მიღებული, მფლობელთა კლასი კარგავს მუშახელს.

ასეთივე საშიშროებაა მოსალოდნელი საწყაოთა გაზრდის შემთხვევებში. მებატონე ყოველთვის ცდილობს გადასახადის დადებისას გაითვალისწინოს თითოეული გლეხის გადახდისუნარიანობა.

---

[42] ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

ამიტომაა, რომ 1578 წ. ქუთაისის საყდრის სახელგრო დავთრის მიხედვით ერთმანეთის პარალელურად გლეხები ღვინის გადასახადს იხდიან რვა, ცხრა, ათ, თორმეტ, თოთხმეტ, თხუთმეტლიტრიანი და ოთხდოქიანი კოკებითი.

საწყაოები საუკუნეთა მანძილზე მართლაც იზრდება, რაც მხოლოდ საქართველოსათვის დამახასიათებელი მოვლენა არაა. გაზრდილი საწყაოებით გადახდა გადამხდელ საზოგადოებას უჭირს და იგი პროტესტსაც აცხადებს. ქართველ ფეოდალთა კლასი, იმისათვის, რომ არ დაკარგოს მწარმოებელი, ითვალისწინებს შექმნილ ვითარებას და ეძებს გამოსავალს. ასეთ შემთხვევებთანაც გვაქვს საქმე 1454 წ. სოფ. ჯვარის, ხოლო 1678 წ. ძეგველ მეკულუხეთა მიმართ.

1454 წ. კათალიკოსმა სოფ. ჯვრის მეკულუხეები გადახდისუნარიანობის მიხედვით ხუთ ჯგუფად დახარა და პირობა დაუდო: ტბილს „ცოტათა კოკითა“ გადაგახდევინებთ და არც კულუხს მიგიმატებთ, „არც კოკა გამოგიცვალოთ და გაგიდიდოთ“. ერთი შეხედვით, კულუხის ოდენობა იმდენადვე დარჩა, როგორც უწინ ჰქონდათ გადამხდელებს. „იმავე პირველითა ცოტათა კოკითა“.

ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე 1678 წელსაც. კათალიკოსმა ძეგველ მეკულუხეებს „დიდი კოკა“ მოუშალა და „თორმეტიანი“ კოკა დაუდგინა კულუხის გადასახდელად, ე. ი. აქაც ერთი შეხედვით შეამცირა გამოსაღების ოდენობა. „დიდი კოკით კულუხს გართვემდნენ და კოკით ძალი გჭირდათ მოგვიდეგით კარსა და კოკის მოკლებას დაგვიჯენით... დიდი კოკა მოუშალეთ და თორმეტიანი კოკა დაგიდგით“[43].

ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება, რომ„ დიდი საწყაოების გაჩენა XV ს. არ იყო ახალი[44].

XIII ს-იდან XVIII ს-მდე ისტორიულ დოკუმენტებში არაერთგზის გვხვდება „დიდი“ საწყაოები.

1259—1293 მონასტრული დიდი კოკა	ი. დოლიძე ქართ. სამართ. ძეგლ., III, გვ. 174.
1442 დიდი საპალნე	ქრონიკ. 11, 253.
1475 დიდი კაბიწი	ისტ. საბ. 111, გვ. 40.
1545 დიდი კოკა	ი. დოლიძე. ქართ. სამართ. ძეგლ., 11, გვ. 186

[43] ნ. ბერძენიშვილი. დოკ. 1, №82.

[44] ივ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 74.

1593	დიდი სპილენძის თუნგი	დოკ. I, № 507
1678	დიდი კოკა	ი. დოლიძე. ქართ. სამართ. ძეგლ., III, 577—78.
XVIII	დიდი კოკა	„დასტურლამალი“
1724	დიდი კოკა	აქ სიძვ. 11, № 270.

დიდი კოკა უნდა ყოფილიყო აგრეთვე რკონის სიგელში დამოწმებული ოცდაოთხლიტრიანი კოკაც.

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით რამდენ ლიტრიანები იყო ზემოთ მოტანილ მაგალითებში დასახელებული „ცოტა“ თუ „დიდი“ კოკები. თუ ქვემოთ მოტანილ ცხრილს გადავავლებთ თვალს დავინახავთ, რომ ლიტრათა რაოდენობა კოკაში ძირითადად 8—24 შორის მერყეობს.

8-ლიტრიანი	1578	ი. დოლიძე. III, 279—342
	XVIII	ვახტ. სამართ.
9-ლიტრიანი	1578	ი. დოლიძე. III, 279—342
10-ლიტრიანი	1545	ი. დოლიძე. III.
	1570	ი. დოლიძე. III, გვ. 276.
	1578	ი. დოლიძე. გვ. 279—342
	XVIII ს.	ვახტ. სამართ.
11-ლიტრიანი	1578	ი. დოლიძე. III, 279—342
12-ლიტრიანი	1578	ი. დოლიძე. III, 279—342
	1623	Od 7062 ა
	1678	ი. დოლიძე. III, 577—778
	1716—30	დას. საქ. საეკლ. საბ. 1, 115
	XVIIIს.	დასტურლამალი. ვახტ. სამ.
14-ლიტრიანი	1578	ი. დოლიძე III, 279—342
15-ლიტრიანი	1578	„ “
16-ლიტრიანი	XVIII ს.	ვახტ. სამართ.
20-ლიტრიანი	1520	ისტ. საბ. 11, 29—30
	1568	„ “ № 46
	XVII ს.	„ — “ გვ.22
24-ლიტრიანი	1259	ი. დოლიძე. 11, გვ. 60
	XVIII ს.	ვახტ. სამართალი[45]

[45] სამწუხაროდ, ჩვენს რეცენზიაში გ. ჯაფარიძის წიგნზე, სადაც ლაპარაკია 24 ლტრიანი კოკის შესახებ გამორჩენილია სიტყვა „დოკუმენტებში“. 164—65 გვ-ზე წინადადება ასე უნდა იკითხებოდეს: „მომდევნო საუკუნეებისათვის „დიდ“ კოკას თუ კიდევ ვხვდებით, 24-ლიტრიანი კოკა დოკუმენტებში არსად არა გვაქვს დამოწმებული“, „მაცნე“, 1974, № 2.

როგორც ცხრილიდან ვნახეთ, თანადროულ საწყაოთა შორის დიდი განსხვავება იყო. ამიტომ ვფიქრობთ, რომ იმთავითვე არსებობდა დიდი და მცირე საწყაოები, კერძოდ, კოკები.

რადგანაც ძეგველებს „დიდი კოკა“ მოუშალეს და „თორმეტიანი“ დაუწესეს, უნდა ვიფიქროთ, „თორმეტიანი“ დიდ საწყაოდ არ ითვლებოდა, ხოლო ოცლიტრიანი კოკა „დიდი“ უნდა ყოფილიყო. პატარა, ანუ „ცოტა კოკები“ კი 8—12-ლიტრიანები.

ლიტრის ზრდის პირობებში XV ს-თვის პატარა კოკა — „ცოტა კოკა“ თავისთავად გაზრდილი უნდა იყოს, მაგრამ აქ საერთოდ ლაპარაკია არა იმაზე გაზრდილია თუ არა კულუხი, არამედ იმაზე, რომ კულუხი გაუკვეთეს („გაგიყუეთეთ“), გაუჩინეს, დაადეს, (დოკუმენტიდან არ ჩანს, რომ ესენი ადრევე მეკულუხეები იყვნენ) „პირველითა ცოტათა კოკითა“. შესაძლებელია ამ დროს არსებობდა უკვე გაზრდილი „ცოტა კოკა“, რომელიც თავისი სიდიდით განსხვავდებოდა „პირველი“ — ადრეული „ცოტა კოკისაგან“. შესაძლოა „პირველი“, მართლაც მანიშნებელი იყოს იმისა, რომ კულუხი განაახლეს და არა ახლა გააჩინეს. ეს ფაქტი მდგომარეობას მაინც არ ცვლის და „პირველი საწყაო“ უნდა აღნიშნავდეს ნომინალურად იმავე ზომის საწყაოს წინამორბედს და არა სხვა სიდიდისას.

განსაკუთრებული ყურადღება გვინდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ორივე შემთხვევაში კულუხი იმთავითვე გაჩენილი იყო ჯვარის მეკულუხეთათვის პატარა — „ცოტა“, ხოლო ძეგველებისათვის „დიდი“ კოკებით. ამდენად, სოფ. ჯვარის მეკულუხეებისათვის კულუხი დაუდევთ ძველი — „პირველი“ პატარა თუ ცოტა კოკით, რომელიც განსხვავებით „ახალი“, პატარა კოკისაგან უფრო მცირე სიდიდისა იყო. ეს კი საჭირო არ იქნებოდა, რომ საწყაო გაზრდილი არ იყოს. 1454 წ. დოკუმენტი თუ მართლაც იმის საბუთია, რომ ერთი მხრივ, საწყაოები გაზრდილა, მეორე მხრივ, იმის საბუთიცაა, რომ გაზრდილი გადასახადი ვერ კანონდება და გაზრდილი საწყაო პრაქტიკაში ვერ ინერგება.

სხვა მდგომარეობაა ძეგველებთან. მათ, როგორც ჩანს, კულუხი თავიდანვე „დიდი კოკით“ ჰქონდათ გადაკვეთილი — „დიდის კოკით კულუხს გართვემდენ“. როგორც გ. ჯაფარიძეს აქვს დადგენილი, XV ს-ში ლიტრა 1,780 კგ უდრიდა, XVII ს-თვის იგი 2,5 კგ-მდე გაზრდილა[46]. ამრიგად, თუ XVI ს-ში თორმეტიანი

[46] გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 60.

კოკა (12×78) 21,36 ლ უდრიდა, XVII ს-თვის მისი მოცულობა 30 ლ-მდე გაზრდილა (12×2,5). შესაბამისად უფრო საგრძნობი იქნებოდა სხვაობა დიდი მოცულობის საზომში. თუ პირობითად დავუშვებთ, რომ დიდი კოკა ოცლიტრიანი იყო, მაშინ შემდეგი სურათი გვექნება: ოცლიტრიანი კოკა XVI საუკუნისათვის (20×1,78) 35,6 ლიტრიანი საწყაო იყო, XVII საუკუნისათვის კი მისი მოცულობა (20×2,5) 50 ლ-მდე გაზრდილა. ამიტომაცაა საბუთში, რომ „დიდი კოკით კულუხს გართმევდნენ და კოკით ძალი გჭირდა". გადამხდელი საზოგადოებისათვის ეს განსხვავება მეტად საგრძნობი უნდა ყოფილიყო. მაგრამ კულუხის თორმეტიანი კოკით შეცვლით „დიდი კოკა მოვშალეთ და თორმეტიანი კოკა დაგიდგით" არსებითი განსხვავება თავდაპირველ დიდი კოკის პირვანდელ მნიშვნელობასთან არ უნდა ყოფილიყო საგრძნობი. XVI ს. დიდი კოკა 35,6 ლ. იყო, XVII ს. თორმეტიანი კოკა — 30 ლ.

საწყაოთა ზრდა ყველაზე მეტად გავრცელებული საწყაოს — ლიტრის მიმართ იგრძნობა (ამიტომ უნდა იყოს გამოთქმა: ლიტრავ შენ გეუბნებიან, კოკავ შენ გაიგონეო!). აქედან გამომდინარე, იზრდებოდა კოკა და კოდი XVI—XVIII სს. ფეოდალური საქართველოს ძირითადი საწყაოები საგადასახადო ურთიერთობაში.

ძეგველების მაგალითიდან დავინახეთ, რომ, როდესაც გადამხდელი საზოგადოების შესაძლებლობანი ამოიწურა და მათ ვეღარ შეძლეს „დიდი" კოკით კულუხის გადახდა, კოკა შეცვალეს თორმეტლიტრიანი კოკით.

ხომ არ შეგვეძლო განგვეზოგადოებინა ეს მოვლენა?

მართალია, ლიტრა იზრდება, მაგრამ საუკუნეთა სიგრძეზე ხომ არაა ტენდენცია კოკა-კოდებში ლიტრათა რაოდენობის შემცირებისაკენ? რამაც შეიძლება სრულებითაც არ გამოიწვიოს საზომ-საწყაოს კოდისა და კოკის რეალური სიდიდის შემცირება[47].

თუ 1578 წ. ქუთაისის საყდრის გამოსაღების ნუსხაში ვხვდებით რვა, ცხრა, ათ, თორმეტ, თხუთმეტლიტრიან, ან XVI — XVII სს. 20-ლიტრიან კოკებს, XVIII ს-იდან ძირითადად ხმარებაშია 8—10-ლიტრიანი კოკები.

ვახტანგ VI-ის კანონმდებლობაში დასახელებულია რვა, ათი, თორმეტი, თექვსმეტი და ოცდაოთხლიტრიანი კოკები. კოდების

[47] ეს საკითხი პირველად ჩვენ მიერ დასმული იყო 1973 წ. 24. XII საქართველოს საისტორიო საზოგადოების ისტორიის სექციის სხდომაზე წაკითხულ მოხსენებაში, ხოლო შემდეგ გამოქვეყნებულ რეცენზიაში 1974 წ. იხ. „მაცნე", № 2.

სიდიდე კი განსაზღვრულია რვა, ათი და თორმეტი ლიტრობით. ლიტრა ვახტანგის მიხედვით 4 ჩარექია. ჩარექი კი 5 სტილი, ე. ი. ვახტანგისეული ლიტრა 20 სტილიანია.

საზომ-საწყაოთა შესახებ ერთობ საინტერესო მონაცემებია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში. გ. ჯაფარიძეს შენიშნული აქვს, რომ „ერთი ეპოქის ეს ორი მოღვაწე.... წონის მცირე ერთეულების სხვადასხვა სისტემებს იძლევიან"[48].

უნდა ითქვას, რომ საბასთან საკმაოდ დაწვრილებითაა მოტანილი, როგორც კოკისა და კოდის, ასევე ლიტრის განსაზღვრება. აქ ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება — უველგან, სადაც საბა იწყებს კოდის, კოკისა თუ ლიტრის განმარტებას, ახსენებს „ახალ" ლიტრას. ლიტრის განმარტებაში ვკითხულობთ: „პირველ ჟამთა ლიტრა უმცირეს იყუეს ვიდრე აწინდელი" და ამას მოჰყვება მსჯელობა ძველი და ახალი ლიტრების შესახებ.

კოდის შესახებ ლექსიკონში ნათქვამია: „ადგილითი-ადგილ შეტ-ნაკლები იციან, არამედ სწორი საწყავი ესე არს: ახლისა ათი ლიტრა შთაიტიოს... „ხოლო კოკის შესახებ მოკლედაა ნათქვამი: „საწყავი კოკისა არს ათი ახალი ლიტრა...".

მინიშნება საბასთან „ახალ ლიტრასა" და ათლიტრიან „სწორ კოდზე" თუ ათლიტრიან კოკაზე იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ საზომ-საწონთა სისტემაში რაღაც სიახლესთან გვაქვს საქმე. და შესაძლოა ეს იყო გარკვეული შეზღუდვა, რამაც ზღვარი დაუდო კოკა-კოდში ლიტრათა ზრდას. უკვე გაზრდილი ლიტრებით „სწორი" საწყაო ათლიტრიანი უნდა ყოფილიყო. თუმცა სახელოვანება ლექსიკოგრაფმა მშვენივრად იცოდა, „კოდი ადგილითი-ადგილ შეტ-ნაკლები იციან". შესაძლებელია ეს სიახლე ცხოვრებაში ვახტანგის კანონმდებლობის უკან (1705—08) იყოს მომხდარი და ვახტანგის და საბას საზომთა სისტემაში სხვადასხვაობის სათავეც ამ სიახლეში იყოს საძიებელი?

მაგრამ რა ვითარება გვაქვს პრაქტიკაში?

კონტროლი ზომა-წონის ერთეულებზე ძველიდანვე იყო დაწესებული. რკონის დაწერილის მიხედვით, „კოკაი და კაბინი, უველაი გამოწყული იყოს და ეგრე წიგებოდეს".

1656 წ. როსტომ მეფემ სადროშოს სარდლობა ანდუყაფარ ამილახორს უბოძა და უფლება მისცა: „თუენად უკითხავად ვერც დადგან კოკა, ვერც ლიტრა და ვერც ადლი"[49].

[48] გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 41.

[49] ი. დ ო ლ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., II, გვ. 222.

ჩვენ მრავლად მოგვეპოვება საბუთები იმისა, რომ მიუხედავად მცდელობისა, ზომა-წონის ერთეულების სტანდარტიზაცია არ ხდება: ვახტანგ VI-ის დროსაც სჭირდებათ მოხელეებს შეხსენება, რომ მარცვლეული ჩამოატანინოს, „როგორც გაჩენილი არის იმ კოდით და იმ საწყაოთი“[50].

საზომ-საწყაოებზე კონტროლი გვიან ხანებშიც გრძელდება. 1784—90 წწ. ქალაქის მოურავის სარგოს განჩინებაში ვკითხულობთ: „ბატონის ნაცვალი და მოურავის ნაცვალი ყოველთვის უნდა სინჯვედეს ლიტრას, ადლს, საწყაოს და ყოველსავე საწონს და გასაზომს და თუნგს და რომელსაც ნაკლებობა და სიმრუდე შეაჩნდეს, ჯარიმა უნდა წაერთვას“[51].

ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ ვახტანგ VI-ის კანონიკური სტილის მიხედვით ლიტრა 20-სტილიანია. XVII—XVIII სს-ში სტილი ლიტრის 1/20 შეადგენდა. გ. ჯაფარიძეს აღნიშნული აქვს, რომ სტილი იზრდებოდა ლიტრის ზრდასთან ერთად. შესაძლებელი იყო ლიტრის ზრდა სტილების რაოდენობის გაზრდის ხარჯზეც. ეს უკანასკნელი მოვლენა შედარებით იშვიათად შეიმჩნევა. სტილის წონა (XVII—XIX სს). საშუალოდ 40—50 გ. შორის მერყეობს. ამდენად, ლიტრაშიც სხვაობა 800—1000 გ. იქნება. თუ დავუშვებდით, რომ 10-ლიტრიან კოკასა თუ კოდში გაზრდილი ლიტრები იქნებოდა, მაშინ სხვაობა 8—10 ლ მიაღწევდა.

გადავხედოთ ცხრილს თუ როგორი მდგომარეობაა ლიტრაში სტილის რაოდენობის ზრდის მიხედვით. ე. ი. 105 წ. მანძილზე ლიტრა მხოლოდ ოთხი სტილით მერყეობს.

1696 წ.	20 სტილი	დოკ. 1, № 138
1710 წ.	21 სტილი	იქვე. № 197
XVIII ს. 20 წწ.	24 სტილი	Hd 14211
XVIII ს.	20 სტილი	ვახტ. სამართალი
XVIII ს. 70 წწ.	20 სტილი	Hd 3695, Qd 7128
1784 წ.	21 სტილი	Qd 32
1802 წ.	22 სტილი	მას. საქ. და კავკ. ისტ. ნაკვ. 32, გვ. 154, 165.

[50] ი. დოლიძე. დას ხ. ნაშრ. გვ. 257.

[51] საქ. სიძვ. II, № 496.

[52] გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 65.

მაგრამ, როგორც გ. ჯაფარიძემ დაადგინა, თვით სტილს ახასიათებს ტენდენცია ზრდისაკენ. ვახტანგ VI-ის მიხედვით, სტილი 128,8 გ-ია, საბანას ცნობით, 153. გიულდენშტედტისდროინდელი 164 გ-ია, ხოლო XIX ს. I ნახევრისა 184 გ[53], ე. ი. დაახლოებით ერთი საუკუნის მანძილზე სტილი 1,4-ჯერ, ანუ 40%-ით გაზრდილა.

ყველაზე მრავალსტილიანი ლიტრა — 24-სტილიანი, გვხვდება კონსტანტინე კახთა მეფის საბუთში. ჩვენ არ ვიცით ასეთი ლიტრა იყო თუ არა გავრცელებული საყოველთაოდ. მაგრამ ვახტანგ VI-ის განსაზღვრა ლიტრისა 20 სტილით „ხუთი სტილი ერთი ჩარექი არის ოთხი ჩარექი ერთი ლიტრა არის“ გაზრდილი სტილიანობის პირობებში უკვე საწყაოს ზრდის შეზღუდვა იყო. 20-სტილიანი ლიტრა გაზრდილი სტილით აჭარბებდა 24-სტილიან „ძველ“ ლიტრას (თუ წარმოვიდგენდით 128 გ. 24-სტილიან ლიტრას, მისი წონა იქნებოდა 3,072 კგ, ხოლო გიულდენშტედტისდროინდელი 164 გ. 20-სტილანი ლიტრა 3,280 კგ.).

ამრიგად, გაზრდილი სტილის შესაბამისად გაზრდილი ლიტრის შემცირება ხდება ლიტრაში სტილთა რაოდენობის შემცირებით (ისევე როგორც გაზრდილი ლიტრების რაოდენობის შემცირებით მცირდება კოკა-კოდი). ამისდა მიხედვით იზღუდება ლიტრის გაზრდა, და შესაბამისად კოკა-კოდისაც.

XVIII ს. დასაწყისში ვახტანგ VI-ის კანონმდებლობით საზომ საწყაოთა ნორმირება იყო ცდა საწყაოთა ზრდის შეკვეცისათვის, რაც ობიექტურად ექსპლოატაციის შეზღუდვისაკენ იყო მიმართული. ეს შეზღუდვა სახელმწიფო მესვეურთა მიერ გვიან ხანებშიაც შეიმჩნევა და ერეკლეს დროსაც სახელმწიფო საწყაოდ ოც ან ოცდაერთსტილიანი ლიტრა და ათლიტრიანი კოდი ითვლება[54]. ეს ღონისძიება ქვეყნის პროგრესულ მოღვაწეთა შემოქმედების ნაყოფი იყო, მაგრამ სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, რომ ექსპლოატაციის ზრდა საწყაოების ხარჯზე არ ხდებოდა.

XIII—XVIII სს. მთელ მანძილზე მკაცრად განსაზღვრული და დადგენილი საწყაოების გვერდით (გავიხსენოთ, რომ, „დასტურლამალის“ მიხედვით კოდში 8 ლიტრა ქერი ჩადის, ხოლო 10 ლიტრა ხორბალი) ვხვდებით კერძო პირთა საწყაოებს, რომელთაც ივ. ჯავახიშვილი „სათავისთავო საზომებს“ უწოდებს.

---

[53] გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 19, 65, 66.

[54] Qd 38, Qd 7128, მას. საქ. ეკ. ისტ. III, № 48.

ქვემოთ მოტანილი გვაქვს სათავისთავო საწყაოების ცხრილი.

1246—50	ბონასტრული დიდი კოკა	ქრონიკ. II, გვ. 129
XV	საულუმბოს კოკა	ქრონიკ. II, გვ. 210
1593	გავაზური ჩუენი (მეფის. დ. მ.)	ი. დოლიძე. ქართ. სამარ. ძეგლ. II, გვ. 207
1578	საბეგრო კოკა	ი. დოლიძე. ქართ. სამ. ძეგლ. III
1670	რასაც კოდით თრიალეთზე მეფისათვის აიღებენ იმ კოდით	იქვე. გვ. 584
XVII	ჩუენი კოკა (ციციშვილის)	Sd 844
XVIII ს. I. ნახ.	ბატონის საპალნე	ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკ. ისტ. ძეგლები, წ. II
1723	სოტასშვილის ჩანახი	Qd 280³ (3)
1724	რომელიც კოდი იქ იყოს (საგარეჯოს)	ი. დოლიძე. ქართ. ხალხართლ. ძეგლ. II, გვ. 391
1724	ჩოინის კოდი	საქ. სიძვ. II. № 270
1726	ბატონის კოდი	დ. ჭანეიშვილი. დოკ. საქ. ეკ. ისტორიისათვის, გვ. 35
XVIII ს. II ნახ.	შენი ჩანახი (ქიშვარ მღებრიშვილის)	იქვე. გვ. 53
1756	შენი კოდი (მეფის)	Sd 208
1784	კურდღელაშვილის ჩოანეს ჩაფი	დ. უჩანეიშვილი, გვ. 63
1787	ასაღები პინა	Hd 4725
1801	ჩვენი ფოხალი (ყათალიჯოსისა)	ი. დოლიძე ქართ. სამ. ძეგლ III, გვ. 1065
1810	კულუხის ჩაფი	Qd 2236
1831	საღალო ყასრი	ხელნ. აღწერ. Q კოლექცია, ტ. I, გვ. 340

ასეთი საწყაოების არსებობა თავისთავად ერთ-ერთი პირობათაგანი იყო მწარმოებელი საზოგადოების თვითნებური ექსპლოატაციისათვის.

ამრიგად, საუკუნეთა მანძილზე ხდება საწყაოთა ზრდა. მფლობელთა კლასი ცდილობს ეს მოვლენა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს, რასაც გადამხდელი საზოგადოება პროტესტით პასუხობს. ბრძოლა ცვალებადი წარმატებებით მიმდინარეობს, რაც შეეხება კლასობრივი ინტერესებისთვის განპირობებული. პრაქტიკაში ფეხს ვერ იკიდებს მფლობელთა ცდები გაზრდილი საწყაოებით ბეგრის დაკანონებისა. ცენტრალური ხელისუფლება, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ზღუდავს მფლობელთა მადას. XVIII ს. დასაწყისში ვახტანგის კანონებში ფიქსირებული ზომა-წონათა და საწყაოთა მკაცრი განსაზღვრა ზღვარს უდებდა საწყაოთა შემდგომ ზრდას. ეს იყო გარკვეული თვალსაზრისით აგრეთვე ზღვარი გადამხდელი საზოგადოების შემდგომი ექსპლოატაციისათვის. მიუხედავად ამისა, ინდივიდუალური საწყაოების არსებობა გვაფიქრებინებს, რომ მფლობელთა კლასი იარაღს არ ყრიდა და ცალკეულ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა უსამართლობას გადასახადების აკრეფაში.

მ ე ს ა მ ე თ ა ვ ი

გლეხობის კლასობრივი ბრძოლა

კ. მარქსის სიტყვებით, დღემდე არსებული ყველა საზოგადოების ისტორია, (გარდა პირველყოფილი თემის ისტორიისა) კლასთა ბრძოლის ისტორია იყო... მჩაგვრელი და დაჩაგრული მუდმივ ანტაგონიზმში იყვნენ ერთმანეთთან, ეწეოდნენ შეუწყვეტელ — ხან მალულ, ხან აშკარა ბრძოლას, — ბრძოლას, რომელიც ყოველთვის თავდებოდა მთელი საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნით ან მებრძოლ კლასთა სავერთო დაღუპვით...“

ქართველი გლეხობის კლასობრივი ბრძოლის შესასწავლად ჩვენ „კომუნისტური მანიფესტის“ ამ დებულებიდან ამოვდივართ და გლეხობის აშკარა ბრძოლის გვერდით ვცდილობთ წარმოვაჩინოთ კლასობრივი ბრძოლის ის მალული ფორმები, რასაც ადგილი ჰქონდა XVII—XVIII სს. საქართველოში.

1. გლეხობის აყრა-გაქცევა

გლეხის აყრა-გაქცევა ფეოდალური ქვეყნისათვის დამახასიათებელი კლასობრივი ბრძოლის გავრცელებული სახეობა იყო[1]. ეს არ იყო ბრძოლის მალული ფორმა — გლეხი ტოვებდა თავის ადგილ-სამყოფელს და გარბოდა — თავს არიდებდა ცხოვრების აუტანელ პირობებს, მაგრამ იყო ბრძოლის პასიური ხერხი — გლეხი არ განაგრძობდა აქტიურ ბრძოლას.

საქართველოში გლეხის აყრა-გაქცევას, როგორც კლასობრივი

---

[1] რუსეთში აყრილი გლეხები კაზაკებად მიდიოდნენ. დას. ევროპაში აყრილთა ბრძოლისაფარს შვეიცარიის კანტონები წარმოადგენდნენ და ა. შ.

ბრძოლის გამოვლინებას ჯერ კიდევ რევოლუციამდელ ისტორიკოსთაგან გ. ქალანთაროვი აღნიშნავდა[2].

ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებიდან, როდესაც კლასობრივი ბრძოლის შესწავლა მარქსისტული მეთოდოლოგიის საფუძველზე დაიწყო, კიდევ უფრო თვალსაჩინოდ იქნა გამოკვლეული აყრა-გაქცევის, როგორც კლასობრივი ბრძოლის სახეობა.

1938 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში: „Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII — XVI вв) ნ. ბერძენიშვილი ხაზს უსვამდა გლეხობის აყრა-გაქცევას, როგორც კლასობრივი ბრძოლის გამოვლინებას. ზოგი ქართველი ისტორიკოსი (დ. გვრიტიშვილი, ო. სოსელია, გ. ჯამბურია, ვ. გუჩუა, ი. ანთელავა და სხვ.), რომელიც საქართველოს ფეოდალური ხანის სოციალურ საკითხებს შეისწავლის, იზიარებს დებულებას აყრა-გაქცევის კლასობრივი არსის თაობაზე და სათანადო მასალებით ამდიდრებს კიდეც მას. მიუხედავად ამისა, ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით ამ საკითხს და ვფიქრობთ რამდენადმე მის გავრცელებას. კერძოდ, ვცდილობთ თვალი გავადევნოთ აყრილ-გაქცეულთა შემდგომ ბედს.

გლეხის აყრა-გაქცევა ადრეული მოვლენაა. იგი ფიქსირებულია XIV ს. კანონმდებლობაში. მასალების სიმცირის გამო თვალის გადევნება აყრა-გაქცევისათვის XV—XVI სს-ში ჭირს. მაგრამ XVII—XVIII სს-ში უკვე თვალშისაცემი გავრცელებული მოვლენაა. საკმარისია გადავხედოთ XVII—XVIII სს. სოფლის ნუსხებს, რომ ჩვეულებრივი „კომლების“ და „მსახლობართა“ გვერდით მრავლად შევნიშნოთ „აყრილებიც“. მაგ., ერთ-ერთ დოკუმენტში აღნუსხულია მარტო სამწევრისიდან აყრილი 20 კომლი[3]. XVII ს. ზემო ქართლის დავთრის ნაწყვეტის მიხედვით 191 მამულიდან 37 „აყრილია“[4] და ა. შ.

ესაა თუ ის გამოვლინება ურჩობისა, მათ შორის აყრა-გაქცევა არ იქნებოდა კლასობრივი ბრძოლა რომ მას შემთხვევითი, ერთეული გამოვლინების ხასიათი ჰქონოდა. მაგრამ რადგან ეს მოვლენა გახშირებულია და გვაქვს შემთხვევები მწარმოებელი საზოგადოების

---

[2] გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა. ფეოდალური საქართველოს კლასებისა და კლასთა ბრძოლის საკითხები ქართულ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში, მსკი, 1963. ნაკვ. 35, გვ. 184.

[3] Sd 998.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები. I, 1974, თბ., გვ. 83—88.

ერთეულებიდან ჯგუფურ აყრაზე, ამდენად იგი პროტესტია, ბრძოლაა ერთი კლასისა მეორეს მიმართ (სამწევრისის მაგალითი).

აყრის მიზეზები ფორმალურად სხვადასხვა იყო. გარეშე მტერი, ეპიდემია, მოუსავლიანობა, მაგრამ ყველა ეს ფაქტორი საბოლოო ჯამში, ერთ წერტილში — გლეხის მკაცრ ექსპლოატაციაში იყრიდა თავს. აყრა-გაქცევა იყო გზა ექსპლოატაციიდან თავდაღწევისა. ამიტომ იყო იგი კლასობრივი ბრძოლა.

ჩვენ არაერთი დოკუმენტი გვაქვს იმისა, სადაც გლეხების აყრის სხვადასხვა მიზეზია მოტანილი.

თუ ერთ შემთხვევაში აყრის მიზეზი „ადგილის იწროება" შეიძლება იყოს[5]. სხვა შემთხვევაში „ქვეყნის შეწუხება" გამხდარა[6].

მაგრამ მწარმოებელი საზოგადოება ყოველთვის თავზე ზოხვეულ ავდარს არ ელოდებოდა. იგი თავდახრილი კი არ ემორჩილებოდა ბედს, არამედ. ფხიზლობდა და როგორც კი მომენტს იპოვნიდა, ცდილობდა შემხთვევა ხელიდან არ გაეშვა. იესე ხერხეულიძეს რაღაც გასჭირვებია. ამით უსარგებლოა მის მემკვიდრე ყმას და აყრილა. „დაგვეჭირა ჩვენი საქმე და აგვეყარა ჩვენი მემკვიდრე ყმა ვაისურაძე გიორგი თვისის შვილებითა"... — წერდა იგი 1676 წ. პაპუნა გერმანოზიშვილს[7].

ასევე უსარგებლოათ შემთხვევით შერმაზან რჩეულიშვილის ნასყიდ ყმებს და შერმაზანი რომ გარდაცვლილა ეს ნასყიდი კაცები მის შვილს აყრიან[8]. 1707 წ. ბერი გელდიანშვილი აცხადებდა: „მომჯელელი და პატრონი მართებული ალარ მყვანდა და სხვანი ხელს მდებდენ. მე თავი არ დაუდე ა ვ ი ყ ა რ ე"[9].

აყრის ძირითადი მიზეზი მძიმე ექსპლოატაციის თავიდან აცილება იყო კერძოდ, ზოგადად კი უკეთესის ძიება. „ავის დროისაგან და ნ ა მ ე ტ ნ ი ს უ ს ა მ ა რ თ ლ ო ს ა და გ ა ს ა ღ ე ბ ი ს ბ ე გ რ ი ს ა გ ა ნ სულ სათარიღნო კაცნი აიყარნენ" — აცხადებდა

---

[5] ო. სოსელია. მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში. თბ., 1960, გვ. 34.

[6] ნ. ბერძენიშვილი. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, 1940, № 443. ეს დოკუმენტი 1743 წლისაა. და თუ გავითვალისწინებთ აღმ. საქართველოს მაშინდელ პოლიტიკურ ვითარებას — „ყიზილბაშობას" ადვილი გასაგებია, რაც იყო „ქვეყნის შეწუხება".

[7] ნ. ბერძენიშვილი. დოკუმენტები... I, № 77.

[8] იქვე. № 109, 1686 წ. საბუთი.

[9] იქვე. № 183.

1719 წელს რამაზ ცალქალამანიძე[10]. ხოლო ჯავახი ყაზარიას სიტყვებით, მისი ოჯახის აყრის მიზეზი ის ყოფილა, რომ „დედა ჩემი ალექსანდრე სარდალს ძიძათ უთხოვნია, ამაზედ აყრილან"[11].

აყრილთა უმრავლესობა შორს ვერ მიდიოდა და ხშირად ბატონისათვის მისი ადგილსამყოფელიც ცნობილი იყო ხოლმე. მაგრამ აყრილთა ნაწილი „იკარგებოდა". „დაკარგვა" ორგვარი იყო. იძულებითი და ნებაყოფლობითი. პირველ შემთხვევაში, მოძალადე გარეშე მტერი ამა თუ იმ პირს ტყვედ იგდებდა და მისი ასავალ-დასავალი ეცნობი ხდებოდა (ასეთი გარეშე მოძალადეები XVII—XVIII სს. საქართველოში ძირითადად თავდასხმული მთიელები იყვნენ —„ლეკში დაკარგვა"). მეორე შემთხვევაში კი დაკარგვა პიროვნების ნებით ხდებოდა — რაიმე დანაშაულის გამო მოსალოდნელი სასჯელისაგან თავის გარიდების ან გაზრდილი ექსპლოატაციისაგან თავის დაღწევის მიზნით. ამ მხრივ საყურადღებოა იესე ოსეს შვილის მონათხრობი: „ყმა არ შემიწუხებია, ერთი ბაზი არავისთვის გამომირთმევია, ჩემს შვილებს არ დაეკარგნენ მეთქი"[12], მაგრამ იესე ცხოვრებაში ჩანს ვერ ასრულებდა თავის სიტყვას და მას მაინც ეკარგებოდა კაცები[13]

დაკარგვის შესახებ არა ერთი დოკუმენტური მასალის მოტანა შეიძლებოდა[14], მაგრამ ჩვენ არ გავაგრძელებთ.

ყველაზე უფრო გავრცელებული იყო „ლეკში დაკარგვა" ნებით თუ ძალდატანებით. იყო რუსეთს „დაკარგვის" შემთხვევებიც. რუსეთს დაკარგულები კი ხშირად იქაურ კაზაკებთან მიდიოდნენ და თვითონაც კაზაკდებოდნენ[15]. ამდენად, აყრილ-გაქცეულებს თავიანთი მებატონეთაგან თავის განრიდების ფართო ასპარეზი ჰქონდათ.

---

[10] Qd 7051.

[11] Qd 9037 რეს.

[12] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ა. ცოსელიანმა. მსკი, 1950, ნაკვ. 28, გვ. 62.

[13] იქვე, გვ. 55.

[14] Qd 8674, Hd 13990 და ა. შ.

[15] Ф. П о н о м а р е в. Материалы для истории терского казачьего войска с 1559 г. по 1880 г. с. 347 (მითითებული გვაქვს ვ. გამრეკელის ნაშრომიდან) გ. პაიჭაძის აზრით, XVIII ს. ზაპოროჟიეს კაზაკთა რიგებში ბევრი იყო თურქების ტყვეობიდან გამოქცეული ქართველები (საქართველო-უკრაინის ურთიერთობის ისტორიისათვის, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 332—333). ჩვენ ვთვლით, რომ გამორიცხული არ იყო შესაძლებლობა, კაზაკთა რიგებში უშუალოდ საქართველოდან გაქცეულებიც ყოფილიყვნენ.

როდესაც აყრა-გაქცევა მასიურ ხასიათს ღებულობდა, ისტორიულ წყაროებში ასეთ მოვლენას „დაფანტვა“ ეწოდებოდა. დაფანტვა ძირითადად საგარეო ფაქტორით იყო გამოწვეული. სოფ. გომი ლეკებსა და ოსმალებს აუოხრებიათ. გლეხობა დაფანტულა. მას შემდეგ რაც გომის ციხე გაამაგრეს, დაფანტული მოსახლეობა უკან დაბრუნდა. 1731 წ. ბესარიონ გაბაშვილი სახლთუხუცესს მაღალაძეს წერდა „დიდი ხარჯი ქენით ციხე ააშენეთ (იგულისხმება გომის, — დ. მ.) და გლეხი კაცი სადაც დ ა ფ ა ნ ტ უ ლ ი იყო მოიყვანეთ და დაასახელეთ“[16]. 1744 წ. გოდერძი მღებრიშვილი ქაიხოსრო ციციშვილს მიმართავდა: „ქართლი აირივა, ქვეყანა სულ დ ა ი ფ ა ნ ტ ა, ზოგი იმერეთს გარდაცვივდა, ზოგი ჯავახეთს, ზოგი კახეთში ჩამოვიდა, რომ მტერმა შეაწუხა“[17]. როგორც ვხედავთ, აქაც დაფანტვის მიზეზი გარეშე მტერი იყო. ასევე ზაალ დავითაშვილის ყმების დაფანტვის მიზეზი ლეკები იყვნენ. 1762 წ. იგი ერეკლეს წერდა: „...ხომ მოგეხსენება ჩვენს მამულში ცეცხლი აღარ ანთია, აღარც ყმა დამრჩომია, რაც ლეკს მოურჩა დ ა ი ფ ა ნ ტ ნ ე ნ“[18]. ასევე შესჩიოდა დარეჯან დედოფალს დძოუა გოსტაშაბიშვილი. 1797 წ. „მთელი სომხით-საბარათაშვილოსა თავადისაც და აზნაურიშვილისაც ყმა სულ დ ა ფ ა ნ ტ უ ლ ი გახლავსთ ქართლში და კახეთში. ჩემი კაცნიც დაფანტული გახლავან“[19].

აყრა-გაქცევა, დაჭერგვა, დაფანტვა ხშირდებოდა საგარეო ურთიერთობის გამწვავებასთან ერთად, რადგან ინტენსიური მეურნეობის პირობები იშლებოდა, ხოლო დაბეგრილ გლეხს ასეთ შემთხვევებში შეღავათები არ ეძლეოდა, ეს კი თავისთავად ექსპლოატაციის გაზრდასა და გამწვავებას ნიშნავდა.

XVIII ს. დასაწყისში, როდესაც ქართლის ტახტზე ვახტანგ VI ადის (ჯერ კიდევ ჯანიშინობის დროს) მრავალ ღონისძიებებთან ერთად იგი ცდილობს აყრილ-გაქცეულ გლეხთა უკან მობრუნებას: ამ მიზნით დაიწყო ე. წ. „მყრელობა“, რის ძალითაც აყრილ-გაქცეული გლეხები ძველ მებატონეებს უნდა დაბრუნებოდნენ. მაგრამ გლეხთა უკან მობრუნება ასე ადვილი არ იყო და დაიწყო ხანგრძლივი დავა ძველ მებატონეებსა და გაქცეულ გლეხებს შორის, რაც ბევრ შემთხვევაში მებატონეთა დათმობით მთავრდებოდა.

---

[16] Ad 1727.

[17] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. დოკუმენტები. I, № 453.

[18] Qd 8644.

[19] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს სიძველენი. I. № 181.

მაზნაშვილები ბატონ კონსტანტინეს შამის მოალაპეები იყვნენ. ისინი აყრილან და კახეთს წასულან. როდესაც მყრელობა დაწყებულა, ძველ მებატონეს თავისი ყმები აუყრია, მაგრამ უკან კი არ დაუბრუნებია, არამედ შეუწირავს ნათლისცემლისათვის[20]. უნდა ვიფიქროთ, ძველმა მებატონემ გარკვეული კომპენსაციის მიღებით იურიდიულად გააფორმა უკვე არსებული მდგომარეობა.

ასევე მომხდარა სხვა შემთხვევაშიც. 1711 წ. ამილახორებმა ალავერდის ეკლესიას შესწირეს თავიანთი აყრილი და კახეთს თავშეფარებული ყმები. „ჩვენი ყმანი მემკვიდრენი აგვეყარნენ და კახეთს წავიდნენ, მერმე მყრელობა რომ შეიქმნა ორი გლეხი ვერ აეყარათ და მანდ ისევ დარჩომილიყო...“ რადგან ძველმა მებატონეებმა თავიანთი ყოფილი ყმები ვერ აჰყარეს, იძულებული გახდნენ შეეწირათ ალავერდისათვის[21].

მიუხედავად „მყრელობის“ ჩატარებისა და აყრილი გლეხების გარკვეული ნაწილის უკან დაბრუნებისა, ქართლში ყმა-გლეხთა აყრა-გაქცევა შემდგომ ხანებშიაც არ შენელებულა.

გაბატონებული კლასი გლეხთა ურჩობას — აყრას სრულებითაც ვერ ეგუებოდა. ვახტანგ VI-ის კანონმდებლობაში სათანადო მუხლები დაეთმო აყრილი ყმის საკითხს. კანონმდებლობა სხვადასხვა ვადებს აწესებს აყრილ-გაქცეული ყმის მოსაძებნად —30, 12 და 6 წელიწადს, სხვა საბატონოში აყრილ-გაქცეულს მებატონე 30 წელი ეძებს და პოვნის შემთხვევაში უკან იბრუნებს. თრიალეთში — მეფის სახასოში თავშეფარებულის ხანდაზმულობის ვადა 12 წელია. ხოლო თუ მეფეს მიუვა ყმად, მეფის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, თუ უნდა ძველ პატრონს დაუბრუნებს თუ არა და 6 წლის შემდეგ ძველი პატრონი ყმაზე უფლებას კარგავს[22].

ქართველი იურისტები დ. ფურცელაძე და ი. ფუტკარაძე სპეციალურ სტატიაში „კლასობრივი ბრძოლის ანარეკლი ქართული სამართლის წიგნებში“ ეხებიან აყრილი ყმის საკითხს. ვახტანგის კანონმდებლობის 201 მუხლში, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ „ნურა კაცი თავის ყმას ძალას ნუ დაატანს, თორემ წავა ექუს წელიწადს სხვაგან დაჰყოფს, მოვა კელმწიფეს ეყმობა და ყმა დაეკარგება“ ავტორები აყრა-გაქცევის, როგორც ყმა-გლეხობის

---

20 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. ისტორიული საბუთები. V, ტფ., 1913, გვ. 17.

21 იქვე. გვ. 24.

22 ქართული სამართლის ძეგლები. I, ტექსტები გამოსცა. გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1963, გვ. 531.

თავდაცვის საშუალებისა თუ ფორმის, თავისებური ლეგალიზაციას ხედავენ[23].

მიუხედავად შეზღუდვებისა, აყრა-გაქცევა მთელი XVIII ს. მანძილზე გლეხთა კლასობრივი ბრძოლის გავრცელებული ფორმა იყო. ამავე დროს ძალაში რჩებოდა ვახტანგის შემუშავებული ფორმულა „ნურა კაცი თავის ყმას ძალას ნუ დაატანს, თორემ წავა..." და მიუხედავად ამისა, „ძალის დატანება" არ წყდებოდა. ამიტომ არ წყდებოდა არც აყრა-გაქცევა.

1763 წ. ერეკლე თუმანიშვილებს სწერდა: „თუ რომ თქვენი ბაძეულიდამ შემკვიდრე კაცი აიყარა და წავიდა სადმე, ერთი კაცი რომ აიყაროს, იცოდეთ დიდი ავად მოგეპყრობით და გარდაგახდევინებთ"[24].

აყრილ-გაქცეულთა ძველ ადგილსამყოფელზე დაბრუნება XVIII ს. მანძილზე ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა საზრუნავს წარმოადგენდა. თეიმურაზ-ერეკლეს მიერ მრავალი ღონისძიება იქნა ჩატარებული, რათა აყრილ-გაქცეულები კვლავ თავიანთ ადგილებს დაბრუნებოდნენ[25] და ქვეყანაში მეურნეობის განვითარების ნორმალური პირობები აღდგენილიყო, მაგრამ გლეხობის ბრძოლა არ ნელდებოდა და აყრილ-გაქცეულთა რიცხვი არ მცირდებოდა.

აყრილ გლეხთა მიზანი ერთი იყო — უკეთესის ძიება, შეღავათიანი ყმობის ან სრული თავისუფლების მოპოვება. აყრილ-გაქცეულთა ნაწილი საწადელს მართლაც აღწევდა. ო. სოსელიას შენიშნული აქვს, რომ „ზოგჯერ აყრილი გლეხი ბატონისაგან თავდახსნას ახერხებდა. ესეც კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა იყო"[26]. რადგან აყრილთა ბრძოლის მეთოდი მხოლოდ არსებულისაგან განშორება, თავის არიდება იყო, იგი ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში მართებულად კლასობრივი ბრძოლის პასიურ ფორმადაა აღიარებული. მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც აყრილ-გაქცეულები ბრძოლის აქტივიზაციას მიმართავდნენ (რის შესახებაც ქვემოთ იქნება ნათქვამი).

აყრა-გაქცევა კლასობრივი ბრძოლის საწყისი ეტაპია, რის შემდეგაც გლეხი განაგრძობს ბრძოლას უკეთესის მოსაპოვებლად.

---

[23] Правовые исследования, Тбилиси, 1977, გვ 253.

[24] Qd 77.

[25] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 521.

[26] ო. სოსელია. მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში, თბ., 1960, გვ. 5.

ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით: „საიდან სად მოდის ქართველი მიწის მუშა მიწისა და თავისუფლების ძებნაში, ზოგან ნიადაგია მწირი, ზოგან ბატონი არ გაახარებს, ზოგან გარეშე მტერი არ უსვენებს. დადის ქართველი გლეხი და ეძებს გასაძლის ჭეშმარიტებას: მიწას, მშვიდობას და თავისუფლებას. დადის საუკუნეთა მანძილზე, მრავალ ადგილს იცვლის“[27]

აყრილ-გაქცეულის პირველი საზრუნავი ახალი, საიმედო თავშესაფრის მოძებნაა და ამ ძიებაში გლეხი ახალ პატრონთან, ახალ ურთიერთობაში ებმება და ამ ახალ ურთიერთობათა ხასიათს იცვლება მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მისი ადგილი ფეოდალურ საზოგადოებაში. გლეხობის ის ძრავალსახეობანი ბოგანო-ხიზნები თუ ნებით ნაყმობი გლეხების ტიპები — წყალობის ყმა, თავდაწერილი, თავნაკყდი თუ „თავისუფალის“ ერთი ნაწილი სწორედ ამ აყრილ-გაქცეულ ყმათა მემკვიდრეები არიან.

ვიდრე ფეოდალურ საზოგადოებაში გარკვეულ დრომდე არ ჩანს პირობები აყრილ-გაქცეულთა თავისუფალი დასაქმებისათვის, ამიტომ გუშინდელი აყრილ-გაქცეულები, ახალ პატრონებს პოულობენ და „მოსულ ყმებად“ „მოსულ კაცებად“ იქცევიან. ვახტანგ VI-ის კანონმდებლობა იცავს მოსული კაცის უფლებებს (§§ 198, 199, 200). მოსული კაცის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა სხვადასხვაა. დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პირობით (წერილობითი თუ ზეპირი) ხდება მისი „მისვლა“ ახალ პატრონთან. „მოსულთა“ უმრავლესობა ადგილობრივი, აყრილ-გაქცეული გლეხებია. მაგრამ ზოგჯერ „მოსულთა“ შორის შორეული მხარიდან გადმოხვეწილი უცხო ტომის წარმომადგენლებიც გვხვდებიან.

2. მოსული გლეხობა

„მოსული გლეხი“, „მოსული კაცი“ კლასობრივი ბრძოლის შედეგად წარმოშობილი გლეხის ტიპია. მოსული ან „ახალმოსული“, როგორც ზოგჯერ წყაროებში გვხვდება, სხვადასხვა წარმოშობისა შეიძლება იყოს. მოსული შეიძლება იყოს ძველი სამყოფელიდან აყრილ-გაქცეული ან თავდახსნილი — პირადად განთავისუფლებული, ან ტყვეობიდან დაბრუნებული გლეხი და ა. შ.

---

[27] ნ. ბერძენიშვილი. ბორჯომის ხეობა (დღიური, 1947 წ.) საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგ. I, თბ., 1964, გვ. 235.

„მოსული გლეხი“ ეწოდება ისეთ გლეხს, რომელიც ახალ ბატონთან ახალ ურთიერთობას ამყარებს ამა თუ იმ პირობით.

XVII—XVIII სს-ში მოსული ან ახალმოსული გლეხების სხვადასხვა ტიპები გვხვდება, რაც განისაზღვრება მათი ახალ ბატონთან ურთიერთობით. ასეთები არიან — ნებით ყმა (ადრეული ნებიერი), წყალობის ყმა, თავშეწირული და თავნასყიდი ყმები.

მოსულთა ჯგუფში შედიან აგრეთვე, ხიზნები, ტაბარუკები და ბოგანოების ნაწილი.

ვახტანგის კანონმდებლობაში შეტანილია „მოსული კაცის“ სამი ტიპი — უცხო ქვეყნიდან მოსული, ადგილობრივი მოსული და ადგილობრივი მოსული, რომელიც შებატონეს „თავს ნასყიდად დაუწერს.“ სამივე შემთხვევაში მოსვლა ნებაყოფლობითია, მაგრამ კანონი განსაზღვრავს, რომ 1. უცხო ქვეყნიდან მოსული, ვისაც პირველად ეყმობა იგი, იქვე რჩება „რა გინდ სხვა ბატონი მოინდომოს ის მოსულმა კაცმა“. 2. თუ მოსული ადგილობრივია — „თუ ამავ საბატონოში ერთისა მეორეს ყმა მიუვიდეს და ხანი დაყოს“ და დავთარშიც დაიწერება ახალი ბატონის ყმად, ძველი ბატონი ვეღარ წამოიდავებს ახალ აღწერამდე. თუ ყმა 30 წელი დარჩება ახალ ადგილზე, შემდეგში უკვე თავის ნებით ვეღარ წავა. მანამდე კი უფლება აქვს ძველ სამკვიდრებელზე წავიდეს, ოღონდ ახალ ბატონს უნდა გადაუხადოს მონაგების ნახევარი. 3. ადგილობრივი მოსული — „ერთიმეორის ყმა ერთმანეთს მიუვიდეს“ და თავს ნასყიდად დაუწერს ვალის თუ შიშილობის შემთხვევაში, ასეთ ყმაზე ძველ ბატონს (თუ ჯერ ეს ყმა დაწერილი არაა ახალი ბატონის სახელზე) უფლებები დიდი აქვს და ასეთ ყმას უკანვე იბრუნებს[28].

რამდენადაც კანონმდებლობა აღიარებდა „მოსული კაცის“ არსებობას და მას სათანადო კლასიფიკაციასაც აძლევდა — ჩანს ეს მოვლენა საკმაოდ გავრცელებული იყო. მართლაც, დოკუმენტური მასალა მდიდარ ცნობებს იძლევა მოსული გლეხობის ვარიანტებზე. ამიტომ ჩვენ თძოეულ მათგანზე ცალკე შევჩერდებით.

ა) ახალ ბატონთან ნებით ყმობა

ისტორიულ დოკუმენტებში მოსული ზოგჯერ „ნების ყმადაც“ იწოდება. გურიიდან მოსულ დათუნაშვილს თავი სვეტიცხოველისა-

[28] ი. დ ო ლ ი ძ ე. ქართული სამართლის ძეგლები. I, გვ. 530—531.

თვის შეუწირავს და პირობაც დაუდვია „ასე როველიც ერთი სხვა მოსული ყმა დაიზანი ემსახურებოდეს, მეც ჩემის შეძლებისაებრ იმ ეკლესიასა და მის უწმინდესობას ისრე ვმსახურო“[29]. მოსული, ნების ყმა და ხიზანი ფაქტიურად ერთი მდგომარეობის — მოსულობის აღმნიშვნელი ცნებებია.

მრავალი მაგალითის მოტანა შეგვიძლია ნებით ყმობისა მთელ XVII—XVIII სს. მანძილზე. 1628 წ. გიორგი ვარამაშვილი ქაიხოსრო ბარათაშვილს ყმობია[30], 1656 წელს მუსტაფაშვილები ყმობიან ტერტერაშვილებს[31], 1663 წ. ყანდურალა ეყმო მოურავიშვილებს[32]. 1668 წ. ბეროა ტერტერაშვილი — შამაჯნა ტერზაქარაშვილს[33], 1735 წ. ბერია ხუცისშვილი ყმად მისვლია დავით თარხნიშვილს[34], 1746 წ. დავით ერისთავის ყმა კახეთში ყმად მისვლია ესიტაშვილს[35], 1762 წ. თუმანიშვილებს მისვლია ჯილაზელი ლეუა[36], 1768 წ. რევაზ ამილახვარს ყმად მისვლია ახალციხიდან მოსული ოთხი ძმა[37], 1782 წ. რაჭველი სიმონა ყმად მისვლია ზაზა თარხნიშვილს[38].1794 წ. თამაზა გიორგის შვილი ეყმო სულხან თუმანიშვილს[39] და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ნებით ყმობა საკმაოდ გავრცელებული მოვლენა იყო. ნებით ყმობის მოტივები სხვადასხვა იყო, ერთ შემთხვევაში „სილარიბე და შიმშილი“ და რადგან „ვეღარა რჩებოდნენ“ ნებით ეყმობოდნენ ან გამოუვალი მდგომარეობა აიძულებდა პიროვნებას ნებით ყმობას. „ბევრი ღარიბობა მეწყინა და ღონე და ადგილი მის მეტი აღარ მქონდა, მოველ და თქვენ გეყმევ“ — აცხადებდნენ მუსტაფაშვილები 1656 წ.[40] სამცხიდან გადმოსულ ბეროას კი დედამამა დახოცნია, მარტო დარჩენილა თავი ვერ შეუნახია „აქა იქ ვიარებოდი და ვერ დავრჩი“ და იძულებული გამხდარა ნებით ყმობოდა[41], ხოლო რაჭველი სიმონა ქალაქში ავად გამხდარა (რაჭვე-

[29] Sd 173.
[30] დოკუმენტები, I, № 25.
[31] იქვე, № 49.
[32] იქვე. № 54.
[33] იქვე. № 63.
[34] იქვე, № 351.
[35] საქართველოს სიძველენი III № 86.
[36] Sd 23.
[37] ფ. 229, დავთ. 37, № 1.
[38] Hd 13176.
[39] Qd 3037რი.
[40] დოკ. I, № 49.
[41] იქვე, № 63.

ლი კაცი ქალაქად ალბათ, საშოვარზე იყო) მისთვის თარხნიშვილს უპატრონებია. ამიტომ იგი თარხნიშვილს „ყმათ მოსვლია"[42]. ჩანს, სიმონას თარხნიშვილის ვალი დადებია, თამაზა გიორგის შვილი კი „უცხო ქვეყნიდან მოსული უბატონო კაცი" იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, თავის შენახვა ვერ შეიძლო და თავის „ნება-ყოფით" სულხან თუმანიშვილს ეყმო[43].

განსაკუთრებით ფართო გასაქანი მიეცა ნებით ყმობას ერეკლეს 1765 წლის განჩინების შემდეგ, სადაც ტყვეობიდან დაბრუნებულს ახალი ბატონის არჩევის თავისუფლება ჰქონდა.

ბ) წყალობის ყმა

წყალობის ყმა ნებით მოსული გლეხის ერთ-ერთი სახეობა იყო. მის შესახებ სავსებით სწორი შეხედულებებია გამოთქმული სამეცნიერო ლიტერატურაში[44] და ამიტომ ჩვენ აქ მის შესახებ მხოლოდ მოკლედ ვიტყვით.

ვახტანგ VI-ის კანონმდებლობის 260 მუხლში ნათქვამია წყალობის ყმის შესახებაც. ამ მუხლში ლაპარაკია ყმის თავდახსნასა თუ გაზატებაზე, რაც უეჭველად წერილობით უნდა იქნას გაფორმებული. მაგრამ თუ მოსული წყალობის ყმაა, მისი ბატონისაგან წასვლა არ ფორმდება წერილობით, რადგანაც როგორც კანონმდებლობიდან ირკვევა, არც მისი მოსვლა აღინიშნება „წიგნით". „... თუ ისრე. უწიგნოდ და უპირობოდ წყალობის ყმად მისვლია, რადგან წიგნი არ მიუცია და თავი — სამკუიდროთ ყმათ, ამრიგად მისული, როდისაც უნდა, მამულს დაუგდებს და წავა, ჭელი არა აქვს"[45]— გვამცნობს კანონმდებლობა. კანონმდებლობით თითქოს წყალობის ყმა მოსული კაცის ისეთი ტიპია, როდესაც მისი ყმობა ახალ ბატონთან არაა გაფორმებული წერილობით. ამიტომ თუ სხვა მოსული კაცის წასვლა ახალი მებატონიდან რამდენადმე გართულებულია (ხანდაზმულობის გარკვეული ვადები, ახალ ბატონთან

---

[42] Hd 13176.

[43] Qd 3037რო (პ).

[44] ედ. ხ ო შ ტ ა რ ი ა. გლეხობის სოციალური მდგომარეობის საკითხისათვის XVII—XVIII სს. ქართლში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, ნაკვ. I, თბ., 1960; გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი. გლეხთა კატეგორიების საკითხისათვის XVII—XVIII სს. აღმოსავლეთ საქართველოში. მსკი, ნაკვ. 34, თბ., 1962.

[45] ი. დ ო ლ ი ძ ე. ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 548.

შონაგების განაწილება და ა. შ.), წყალობის ყმისათვის ეს შეზღუდვები არ არსებობს „როდესაც უნდა, მამულს დაუგდებს და წავა“. ამდენად, წყალობის ყმის იურიდიული უფლებები შეღავათიანია, იგი არაა მიჯაჭვული არც მიწაზე და არც ბატონის ნება-სურვილზე. სწორედ ამ გარემოებაზე უნდა მიუთითებდეს კანონმდებლობაში ფიქსირებული გამონათქვამი „უწიგნოდ მისვლაზე“.

მიუხედავად კანონმდებლობის განცხადებისა, ჩვენ საკმაოდ გვაქვს საბუთები იმისა, როდესაც წყალობის ყმად მისვლა დოკუმენტით ფორმდება. 1778 წ. ჩილინდრიშვილი აცხადებდა: „პატრონი არავინ მყუანდა, მოველ ჩემის ნებით წყალობის ყმათ“[46]. 1779 წ. ოთარ ღვინიაშვილი მოახსენებდა მოურავ ჩოლოყაშვილს „...მოგიველ წ ყ ა ლ ო ბ ი ს ყ მ ა დ...“[47] 1782 წ. თუმანიშვილებს ხელწერილს აძლევს ბაღრატიონთა ბერუას შვილი: „... ჩემის ნებაყოფლობით... წ ყ ა ლ ო ბ ი ს ყ მ ა თ მოგიველ“[48].

როგორც ვხედავთ, წყალობის ყმად მისვლა ახალ ბატონთან ასე თუ ისე მაინც ფორმდებოდა წერილობით (თუ საქმე არა გვაქვს ნაგვიანებ მოვლენასთან, რამდენადაც ჩვენს ხელთ არსებული მასალები XVIII ს. 80-იან წწ. ეხება).

შეიძლება ვიფიქროთ, რომ კანონმდებლობაში ლაპარაკია არა წყალობის ყმად მისვლის გაუფორმებლობაზე წერილობით, არამედ მოსული ყმის — „სამკუიდროთ ყმათ“ მისვლაზე. გამოთქმაში, თუ ყმა ბატონს „უწიგნოდ და უპირობოთ წყალობის ყმად მისვლია, რადგან წიგნი არ მიუცია და თავი სამკუიდროდ ყმათ, ამრიგად მისული, როდისაც უნდა მამულს დაუგდებს და წავა, კელი არა აქუს“ გულისხმობს არა წყალობის ყმის მისვლას „უწიგნოდ და უპიროთ“, არამედ თავის მიცემას მკვიდრ ყმად და ამ ფაქტის გაფორმებას წერილობით. თუკი მკვიდრ ყმად არ მისულა და მხოლოდ წყალობის ყმაა (რის გაფორმებაც წერილობით გამორიცხული არაა), უკანასკნელს შეუძლია როცა უნდა ბატონს „მამული დაუგდოს“, ე. ი. თავისუფლად წავიდეს. ეს მომენტი კი მის უფლებრივ უპირატესობაზე ლაპარაკობს, თუმცა ეკონომიკური თვალსაზრისით შესაძლოა იგი მკვიდრთან შედარებით დაბალი შესაძლებლობისაა.

წყალობის ყმად შეიძლებოდა ბატონს მისვლოდა აყრილი, თავდახსნილი თუ „უპატრონო“ პირი. კახეთს წასული ედიშერ

---

[46] ისტ. საბ. V, გვ. 92.

[47] Sd 2830 (3).

[48] Qd 9037 (ის).

თუმანიშვილის ყმებს კაციაშვილებს თავი დაუხსნიათ. მაგრამ კახეთში ვეღარ დამდგარან: „მოხდა, რომ ჩვენი დგომა კახეთში აღარ მოხდა“. ისინი ისევ ქართლს მოსულან ძველ ბატონთან. მაგრამ ამჯერად უკვე წყალობის ყმად[49].

1778 წ. ჩილინდრიშვილს წიგნი მიუცია ნათლისმცემლის ეკლესიის არქიმანდრიტისათვის: „ასე რომ მამაჩემი თრიალეთიდამ გარდმოვარდნილიყო და კახეთს მომკუდარიყო. მე ობოლი გამოვიზარდე და პატრონი არავინ მყუანდა. მოველ ჩემის ნებით წ ყ ა ლ ო ბ ი ს ყ მ ა თ...“[50].

წყალობის ყმად მისვლა გარკვეული შეღავათებით ხდება. ედიშერ თუმანიშვილთან წყალობის ყმად მიბრუნებული კაციაშვილები აცხადებდნენ: 1757 წ., რაც ჩვენ წყალობის ყმად მიგვიყვანეთ „თქვენც წყალობის წიგნი გვიბოძეთ და ზოგიერთი რამ დებულებაც ამოგვიკითხეთ...“, ე. ი. წყალობის ყმა მიუხედავად იმისა, რომ ბრუნდება ძველ ბატონთან (ადრე თავდახსნილი) ხელახლა შეღავათიანი პირობებით დგება.

წყალობის ყმასა და ახალ ბატონს შორის მაინცდამაინც მკაცრი საბატონყმო ურთიერთობა არ მყარდება. ახალი ბატონი წასულ წყალობის ყმას არც ეძებს და მისდამი არც იჩენს ყურადღებას, როგორც მეპატრონე. 1722 წ. ელაშვილები აცხადებენ „კახეთს ვესახლე ჩოლოყაშვილის წყალობის ყმად და ჟამთა ვითარებისაგან აოხრდა ლეკთაგან და ავიყარე და მოველი და შემოგწირე თავი...“[51] ყურადღებას იქცევს ის, რომ აყრილი არ მალავს თავის ძველ მდგომარეობას, იმას რომ იგი „წყალობის ყმა“ იყო.

ბერი ქანიაშვილი მურვანიშვილის წყალობის ყმა ყოფილა. იგი იმერეთს წასულა. იქ საჩინო ბარათაშვილს დაუჭერია. მაგრამ მურვანიშვილს, როგორც „წყალობის ყმის“ ბატონს თავი არ გამოუდვია და დაჭერილი ყმისთვის არ უპატრონებია[52]. წყალობის ყმასა და ბატონს შორის ურთიერთობა, მართალია, ზოგჯერ წერილობითაც ფორმდებოდა, მაგრამ მათ შორის ხელშეკრულება არ ატარებდა მკაცრად განსაზღვრული და ჩამოყალიბებული პირობების ხასიათს. მისული წყალობის ყმა თავის უფლებებით დიდად განსხვავდებოდა მკვიდრი ყმისაგან. უპირველესად ეს გამოი-

---

[49] სსცა ფ. 229. დავთარი. 46. № 192.

[50] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. ისტორიული საბუთები, V.

[51] საქ. სიძვ. II, № 486.

[52] დოკ. № 313.

ხატებოდა მისი ახალი ბატონიდან თავისუფლად წასვლის უფლებაში. ამდენად, წყალობის ყმა არ ეწევა ინტენსიურ მეურნეობას. წყალობის ყმობა არ ატარებს მემკვიდრეობით ხასიათს — არ გადადის მამიდან შვილზე. ეკონომიკური თვალსაზრისით, წყალობის ყმა ისეა, როგორც სხვა მისულები, საფიქრებელია, დაბალი შესაძლებლობების პირია, სამაგიეროდ მას აქვს დიდი პრივილეგია მკვიდრ გლეხთან შედარებით — უფლება თავისი შეხედულებისამებრ ერთი ბატონიდან მეორესთან გადანაცვლებისა. ამით წყალობის ყმა თავისი შესაძლებლობებით თავს აღწევს მკაცრ ბატონყმურ ურთიერთობას და მძიმე ექსპლოატაციას. ამდენად, წყალობის ყმა გარკვეულად კლასობრივი ბრძოლის წარმონაქმნია.

გ) ტ ა ბ ა რ უ კ ი[53]

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ტაბარუკი ახალმოსული გლეხია. აქედან გამომდინარე, საბას მოღვაწეობის დროს (XVIII ს. I ნახ.) ტაბარუკის დამახასიათებელი ნიშან-თვისება ახალმოსულობა იყო[54].

ტაბარუკი მოიხსენიება როგორც ქართლურ, ისე კახურ ისტორიულ საბუთებში. დასავლეთ საქართველოს მასალებში ტაბარუკი ჩვენ ვერ დავადასტურეთ.

XVIII ს. მასალებში ტაბარუკის მოხსენიების მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა გვაქვს. XIX ს-თვის კი გამრავლებულია, განსაკუ-

---

[53] ტაბარუკის შესახებ ავტორს მოხსენება აქვს წაკითხული აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის განყოფილებაში 1957 წლის დეკემბერში.

[54] ტაბარუკის განმარტება უფრო გვიანდელი ხანის ქართულ ლექსიკონებში თუ ცალკეულ ავტორებთანაც გვხვდება. მაგ., დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი იმეორებს საბას განმარტებას და თავის მხრივ ურთავს რუსულ განმარტებას—бобыль, батрак. სტ. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ შედგენილ ქიზიყურ ლექსიკონში ტ ა ბ ა რ უ კ ი განმარტებულია, როგორც უქონელი, ღარიბი, ღატაკი, „შინ რომ კატა არა ჰყავს და გარეთ თაგვი“ (ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943). ტ ა ბ ა რ უ კ ს სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა. მაგ., ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს ცნობით „თუ პატარძალი ოჯახში ადრე აიძრახავდა მას „ტაბარუკას“ (უჭკუოს) ეძახდნენ“ (ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, ტფ., 1933, გვ. 159). ქართულიენის განმარტებით ლექსიკონში ტ ა ბ ა რ უ კ ი ს სამი მნიშვნელობაა მოცემული: 1. ახალმოსულობა; 2. სიღარიბე და 3. მსუბუქი ხასიათის ადამიანი (ტ. VI, 1960 წ.). ეპისკოპოს კ ი რ ი ო ნ ი ს განმარტებით რუსული სიტყვა Батрак ქართული ტაბარუკისაგან ნაწარმოები სიტყვაა (Культурная роль Иверии в истории Руси. Тифлис, 1910, გვ. 389).

.თრებით კახეთში და უკვე XIX ს. 60-იან წლებში საგანგებო მსჯელობის საგნად ქცეულა.

სამწუხაროდ, ხელჩასაჭიდი მასალა XVIII ს-ში ტაბარუკის განსაზღვრისათვის თითქოს არა გვაქვს, რასაც ვერ ვიტყვით XIX ს-თვის. XIX ს. ტაბარუკების შესახებ თავიანთ ნაშრომებში მოსაზრებანი გამოთქვეს ა. ფანცხავამ[55] და დ. გოგოლაძემ[56]. XIX ს. ტაბარუკის სახე დაგვიხატა ქართველმა ხალხოსანმა ზაქარია გულისაშვილმაც 1882 წ. დაწერილ ნარკვევში „გლეხი გალო, სოფლის ტაბარუკი"[57]. XIX ს. ტაბარუკისათვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს(სხვა მასალასთან ერთად) შ. ჩხეტიას მიერ გამოქვეყნებული მასალები წერილში: „დიმიტრი ყიფიანი და საგლეხო რეფორმა"[58].

ა. ფანცხავა ტაბარუკს ბოგანოსთან, ხიზანთან და აყრილთან ერთად ისეთ გლეხთა ჯგუფში აქცევს, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ წარმოების საშუალებებსა და მიწას[59].

შ. ჩხეტიას გამოქვეყნებულ მასალებში მოტანილია 1863 წ. მებატონე ივ. ანდრონიკაშვილის შემდეგი განცხადება: „ჩემოდენი ყმა და მამული არავისა ჰყავს ჩუბნს უეზდში და ღალით არც არავინ მყოლია, არც არავინ მყავს გარდა თათრებისა და თუ არიან ტაბარუკათ, ჩუბნს ყმებს მცირედი ქირით თვს ეზოში უდგათ. ჩუბნში ამისთანა უმამულო გლეხს უწოდებთ ტაბარუკს. ტაბარუკს და ხიზანს ეს აქვთ განსხუავება, რომ ტაბარუკი უფრო ვაჭრობას და სხუა და სხუა ჯელობას მისდევენ (!) და არა ხვნა-თესვას. საჯელმწიფო ხარჯს კომერალნიის აღწერით აძლევენ, მაგრამ რადგანაც რჩიანი მუშა საქონელი არა ჰყავთ საჯელმწიფო ბეგარას არ ეწევიან ძუბლის ჩუბულების მიხედვით...

უწინდელს დროს ტაბარუკს, ესე იგი უმამულო კაცს და მემკვიდრე გლეხს დიდი განსხვავება ჰქონდათ, რადგანაც ტაბარუკი ერთი სოფლიდამ მეორე სოფელში ადვილად გადავიდოდა და ახლა

---

[55] А. Панцхава. К вопросу о развитии аграрных отношений в дореформенной Восточной Грузии. М., 1957.

[56] დ. გოგოლაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში. თბ., 1971.

[57] ზ. გულისაშვილი. მოთხრობები, ნარკვევები, თბ., 1953.

[58] საისტორიო მოამბე, № 4, თბ., 1950.

[59] ა. ფანცხავა. დასახ. ნაშრ., გვ. 32.

კომერალნიის აღწერილობამ უფრო სიერთე მისცა ტაბარუკს და შემკვიდრე გლეხს"[60].

დ.გოგოლაძემ არ გაიზიარა ივ. ანდრონიკაშვილის ეს ცნობა და მის საპირისპიროდ სათანადო მასალაც მოიშველია[61]. მისი აზრით, ტაბარუკი იგივე ხიზანია. „...ზოგი ხელოსანია, ზოგი ვაჭარი, ხოლო ნაწილი მიწათმოქმედი... დაქირავებულ შრომას ხიზან-ტაბარუკები უმთავრესად ეწეოდნენ მებატონეებისა და მდიდარ გლეხთა მეურნეობაში.. "[62].

XIX ს-თვის ტაბარუკი შესაძლოა, მართლაც გლეხის ასეთი ტიპი იყო, მაგრამ XVIII ს. დასაწყისისათვის და შემდეგაც მთელი XVIII ს. მანძილზე, ვფიქრობთ, იგი რამდენადმე განსხვავდებოდა XIX ს. ტაბარუკისაგან.

XVIII ს. ტაბარუკის შესახებ მხოლოდ ორიოდე დოკუმენტი გაგვაჩნია: XVIII ს. პირველი მეოთხედის კახეთის ხალხის აღწერის დავთარი[63] (Hd 1605, 1607, 1608, 1609), გიორგი ლარაძის 1793 წ. ანდერძი[64] და 1795 წ. განჩინების წიგნი დიმიტრი მგალობლიშვილის სადავო საწისქვილეზე[65]. პირველი წყარო, როგორც სათაურიდანაც ჩანს, კახურია, ხოლო ორი უკანასკნელი ქართლური.

კახეთის ხალხის აღწერის დავთარში თითო-ოროლა ტაბარუკი მოიხსენიება სოფლებში: კონდოლს, ვანთას, მთიულში, არტოზანს, იყალთოს, კისისხევს, შილდას, უჯარმას, სამებას და ხაშმს, თვალზე, ყარჩხოვანს, მაღრანს და კეწახტას. ამ დავთრის მიხედვით, ტაბარუკები შეტანილი არიან ამა თუ იმ სოფელში ამა თუ იმ მებატონის ყმათა შორის. მაგ., მაღრანს ჩამოთვლილია სხვადასხვა მებატონის 45 ყმა, აქედან ტაბარუკია მხოლოდ ერთი. კონდოლს დიმიტრი მდივნის 5 ყმიდანაც ერთია ტაბარუკი. სამებას და ხაშმს ჩამოთვლილ 76 პირიდანაც ერთი ტაბარუკია, ხოლო ფარემუზის 10 ყმათა შორის ორი.

დასახელებულ 14 სოფელში, სადაც სხვადასხვა მებატონეთ ყმათა რაოდენობა 468 სულს შეადგენს, ტაბარუკია მხოლოდ 23,

---

[60] საისტორიო მოამბე. № 4, გვ. 170.

[61] დ. გოგოლაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 219.

[62] იქვე. გვ. 220.

[63] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები. I, თბ., 1967. გვ. 9—104.

[64] ე. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი. I, ტფ., 1920, № 248.

[65] ე. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი, III, ტფ., 1910, № 232.

ე. ი. 5%-ზე ნაკლები (23×100:468) და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სოფელთა და მებატონეთა საერთო რაოდენობა კახეთის აღწერილობაში 250-მდეა, მაშინ ნათელი გახდება თუ რა უმნიშვნელო პროცენტს შეადგენს ტაბარუკი XVIII ს. I მეოთხედში კახეთის მოსახლეობისას. სამწუხაროდ, კახეთის მასალებიდან არ ჩანს (გარდა ორი შემთხვევისა) რა საქმიანობას ეწევიან ტაბარუკები. ზემოხსენებული ტაბარუკებიდან ნუსხებში ყოველგვარი განმარტების გარეშე შეტანილია 8 ტაბარუკი. 8 ტაბარუკი ბოგანოდაა მოხსენიებული. ერთი მეზვრეა, ერთი ხაბაზი. დანარჩენი სამი ტაბარუკიდან ერთი ობოლია, ერთი ამოწყვეტილი და ერთიც აყრილი. სხვა ცნობები კახელ ტაბარუკების შესახებ არა გვაქვს.

1793 წ. გიორგი ლარაძემ ანდერძი დაუწერა თავის შვილებს, რომ დიდი ეგრისი (საბარათიანოში), სადაც ასი კომლი კაცი ჰყავდათ მათი სოფელი იყო და არის. ხოლო ერთი კომლი კაცი (ოჯახი) იქვე მდგარა ტ ა ბ ა რ უ კ ს ა ვ ი თ „...ეს დიდი ეგრისი საკუთრად ჩვენი არის, სხვას ჯელი არავისა აქვს. ერთი კომლი კაცი იდგა ტაბარუკსავით ფოცხვერას შვილი. ის ჩვენი ყმა არ იყო, სარდალს ემსახურებოდა და სწორედ არ ვიცი, მარტო ის კაცი როგორ იყო სარდლის ყმა. წიგნი ექნება და ის წიგნი გამოაცხადებს იმ კაცის საქმეს, თუ როგორ ყოფილა. ამას გარდა არ გამიგონია, რომ ან ნასყიდი და ან უსყიდი სარდალს ქონებოდეს რამე ეგრისში.“[66] ანდერძიდან თითქოს ჩანს, რომ ეს „ტაბარუკსავით“ ლარაძეების მიწაზე მდგომი კაცი მიწაზე მიმაგრებული არ უნდა ყოფილიყო. მართალია, იგი ლარაძეების სოფელში იდგა, მაგრამ სხვა მებატონეს — სარდალს ემსახურებოდა. ანდერძის დამწერი ეჭვს გამოთქვამს „არ ვიცი, მარტო ის კაცი როგორ იყო სარდლის ყმა“ და იმედს საბატონყმო ხელშეკრულებაზე — „წიგნზე“ ამყარებს — „წიგნი ექნება და ის წიგნი გამოაცხადებს იმ კაცის საქმეს“. შესაძლო იყო „იმ კაცს“ მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმება ჰქონოდა სარდალთან და არავითარი წიგნი — წერილობითი დოკუმენტი. ასეა თუ ისე „ტაბარუკსავით დგომა“ განსხვავებული ურთიერთობა იყო ფეოდალურ საზოგადოებისათვის ცნობილი ურთიერთობებიდან, ე. ი. შეიძლებოდა კაცი ერთი ბატონის მიწაზე მდგარიყო (ეს „დგომა“ ალბათ მხოლოდ ღამის სათევის ფართობს იკავებდა სხვის მიწაზე), ხოლო „სამსახური“ სხვა ბატონისა ეკისრა. მას

[66] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. საქ. სიძვ., I, № 248.

„საკუთარი“ მიწა არა აქვს და ამ შემთხვევაში არც მისი „სამსახურის“ პირობები ჩანს. ყველაზე უფრო მოსალოდნელია, რომ ასეთი პირისათვის საარსებო წყარო გაჭირაებული ფიზიკური ძალაა.

მეორე საბუთი, სადაც ტაბარუკია ნახსენები, განჩინების წიგნია. დიმიტრი მგალობლიშვილი გარდაცვლილა. მის ქვრივსა და ობოლს მიწები სადავოდ გახდომიათ. ქვრივისა და ობლის მიწები შარას აქეთ მდებარეობდა. შარას იქით სასოფლო მიწა ყოფილა, რომელზედაც ვიღაც ტაბარუკი დაუსახლებიათ. ეს ტაბარუკი ქვრივის კუთვნილ შარის გადაღმა მდებარე მიწებს იჩემებდა: „შარას იქით სასოფლო[67] მიწა უძევს და ამ მიწაში ერთი ტაბარუკი დაუსახლებიათ და ეს ტაბარუკი ჩემობდა, ამ ჩემი მიწისა იქნებაო“[68]. ნიშანდობლივად მიგვაჩნია, რომ ეს ტაბარუკი სასოფლო (სათემო) მიწაზე დაუსახლებიათ. სამწუხაროდ საბუთიდან არ ჩანს ვისი სანქციით სახლდება იგი სასოფლო მიწაზე და არც შემდგომი მისი უფლება-მოვალეობა.

საფიქრებელია, ეს ტაბარუკი მართლაც, „ახალმოსულია“; რადგანაც მან არ იცის თავისი მიწის საზღვრები და მხოლოდ ვარაუდით იჩემებს სხვის მამულს: —„ამ ჩემი მიწისა იქნებაო“. სხვა საბუთი მას არ გააჩნია. მკვიდრ გლეხს კი მშვენივრად ეცოდინებოდა მემკვიდრეობით მიღებული „საკუთარი“ მიწის საზღვრები.

საბას განმარტებას ტაბარუკისას, რომ იგი „ახალმოსულია“ მხარს უჭერს თავად ივ. ანდრონიკაშვილის ცნობაც (1863 წ.): „უწინდელს დროს ტაბაურკს, ესე იგი უმამულო კაცს და მემკვიდრე გლეხს დიდი განსხვავება ჰქონდათ, რადგანაც ტაბარუკი ერთი სოფლიდამ მეორე სოფელში ადვილად გადავიდოდა და ახლა კომერალნიის აღწერამ უფრო სიერთე მისცა ტაბარუკს და მემკვიდრე გლეხს“[69]. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით რა ხანგრძლივობა იგულისხმება „უწინდელს დროში“, როდესაც ტაბარუკი სოფლიდან სოფელში ადვილად გადადიოდა, მაგრამ აშკარაა XIX ს-ში ტაბარუკის მდგომარეობაში ცვლილებები მომხდარა (ცერძოდ, კამერალური აღწერილობით ივი მიწაზე მიმაგრებულა).

ჩვეულებრივად XVIII ს. აღწერის დავთრებში „კომლის, თავისა და თოფის“ აღნიშვნის გარეშე არიან ხოლმე შეტანილი:

---

[67] გამოქვეყნებულში ეს სიტყვა გამეორებულია (დ. მ.)

[68] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. საქ. სიძვ., III, № 232.

[69] საისტ. მოამბე. № 7, გვ. 170.

ობლები (მცირეწლოვნები), ღარიბები, შეუძლებლები და ა. შ., რომელთაც ლაშქრობის ფიზიკური თუ მატერიალური ძალა არ შესწევთ. ამათთა შორის არიან ტაბარუკებიც. მაგრამ გვხვდება გამონაკლისიც, როდესაც ტაბარუკები აღნუსხულნი არიან „კომლით, თავითა და თოფით“. მაგ., სამებლის ყმების სიაში შეტანილია „ბერუა ტაბარუკი კვამლი ა, თავი ა, თოფი ა“[70]. ასევე კონდოლს ტაბარუკები ივანე და ბერუა აღნუსხულნი არიან კვამლით, თავითა და თოფით[71]. თუ აქ საბუთის შემდგენლის კალმის ლაფსუსთან არა გვაქვს საქმე, საფიქრებელია, სხვა ტაბარუკთან განსხვავებით, აქ დასახლებულთ პრივილეგიური მდგომარეობისათვის მოუღწევიათ და ლაშქრობის შემძლებელნი გამხდარან[72].

კახეთის ხალხის აღწერის დავთარში ერთმანეთისაგან განსხვავებულები არიან ტაბარუკები (ახალმოსულები) და „ახლა დასახლებულები“. ახალდასახლებულებს ეხვდებით: მარილისს, მატანს, თელავს, ართანას და სხვ. პუნქტებში. დავთრის შემდგენელისათვის „ტაბარუკი“, „ახალმოსული“ და „ახლა დასახლებული“ სხვადასხვა შინაარსის შემცველი ცნებებია. „დასახლება“ ერთ ადგილზე მკვიდრად ფეხის მოკიდებას, ინტენსიურ მეურნეობაში ჩაბმას გულისხმობს, „ახალმოსულობა“ კი ჯერ კიდევ არაა „დასახლება“ ამას უნდა ნიშნავდეს „ტაბარუკსავით დგომაც“[73].

საქართველოს მეზობელი ქვეყნების ენებიდან ტაბარო ფუძიანი სიტყვებით მხოლოდ სპარსულში ჩანს (არაბულიდან შესული). ბ. მილლერის განმარტებით تبرع (täbärro) ნიშნავს შეწირვას, ნებაყოფლობით გაცემას (საქველმოქმედო მიზნით). تبرعا (täbarroän) — ნებით, ნებაყოფლობით, ხოლო تبرگ (täbärrok) — დალოცვილობას, წმინდანობას[74].

ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ტერმინი ტაბარუკი სპარსულიდან გადმოღებული სიტყვა იყოს და შინაარსობრივად ქართული წუალობის ყმის შესატყვისი. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ის, რომ

---

[70] ივ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 30.

[71] იქვე. გვ. 77.

[72] შეიძლება ისიც დავუშვათ, რომ სახელი ტაბარუკი ტრადიციულად შერჩა „ახალმოსულს“ მას შემდეგაც, რაც იგი მკვიდრ გლეხად იქცა.

[73] ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილ 1795 წ. საბუთში, მართალია, წერია „ამ მიწაში ერთი ტაბარუკი დაუსახლებიათო“, მაგრამ ვფიქრობთ, აქ იგულისხმება თაგშესაფარის მიცემა და არა დასახლება— მიწაზე მიმაგრება.

[74] Персидско-русский словарь, сост. проф. Б. В. Миллер, М., 1953.

1. ტაბარუკი და „წყალობის ყმაც“ ნებით მოსულები არიან. 2. ტაბარუკს ისევე, როგორც „წყალობის ყმას“ უმტკივნეულოდ შეუძლია ერთი ბატონიდან მეორესთან მისვლა (ივ. ანდრონიკაშვილის ცნობა).

თავისთავად ფაქტი, რომ ტაბარუკები „ახალმოსული გლეხებია“ იმაზე მიუთითებს, რომ მათ მიტოვებული აქვთ თავიანთი სამკვიდრებელი, შესაძლოა ესენი იყვნენ აყრილ-გაქცეული გლეხები ან „თავისუფალი“ პირები.

კახეთის აღწერის დავთარში მოხსენიებული ტაბარუკების სახელები: ბერი, ბერიკა, ბერუა, ბერუკა, გიორგი, დათუნა, დემეტრე, ზაქარია, თამაზა, ივანე, მახარა, ქრისტესია, შიო და ა. შ. გვაფიქრებინებს, რომ ისინი შორიდან, უცხო ქვეყნიდან მოსულები კი არ არიან, არამედ ადგილობრივი „ახალმოსულები“ „მშვიდობის, ბიწის და თავისუფლების“ მოსაპოვებლად. ამდენად, ტაბარუკი, ისევე როგორც წყალობის ყმა, კლასობრივი ბრძოლის შედეგად გაჩენილი წარმონაქმნია.

დ) თავშეწირული

თავშეწირული, ისევე როგორც შეწირული მხოლოდ და მხოლოდ საეკლესიო ყმა შეიძლება იყოს.

თავშეწირულ გლეხთა კონტინგენტი, თავდახსნილია, აყრილ-გაქცეულთა, ტყვეობიდან დაბრუნებულთა თუ უცხო ქვეყნიდან გადმოხვეწილი პირებისაგან ივსებოდა. ისტორიულ დოკუმენტებში უხვადაა ცნობები, რომ თავშემწირავები უმეტესად „უპატრონო“, „უბატონო“, „თავისუფალი და კაცის მოუდევარი“, „ყოვლითურთ თავისუფალი“, სხვა მხრიდან „გადმოვარდნილი“ თუ სხვა „თავისუფალი“ ტიპები იყვნენ. ზოგჯერ დოკუმენტის მიხედვით არ ხერხდება თავშემწირავის პირვანდელი მდგომარეობის გარკვევა.

თავშეწირულება ჩვეულებრივ წერილობით ფორმდებოდა. ჩვენ ხელთ მრავალი ასეთი წერილობითი დოკუმენტია, რომლებიც ფრიად საინტერესო ცნობებს შეიცავენ.

თავშეწირულთა ერთი ნაწილი ბატონისაგან თავდახსნილი „თავისუფალი“ გლეხები იყვნენ. 1737 წ. პაპუნასშვილებმა პირობის წიგნი მისცეს ეფთიმე ტფილელს: „ავდეგ და თავი დავიხსენ... ახლა ავიღე ჩემი თავი და სიონთა მღუთისმშობელს შემოვწირე“[75].

[75] ისტ. საბ., V, გვ. 51.

1749 წ. ვართანა საქუაშვილი და მისი შვილები ტფილელ მიტროპოლიტს მოახსენებდნენ: „პირველ სოლაღაშვილის ქაიხოსროსა და ჭლიზბარის ყმა ვიყავი. იმათგან თავი დავიხსენით. მოვედით თქუენ გეყმენით და სიონთა ღთისმშობელს თავი შევწირეთ“[76]. 1750 წ. თავდახსნილ მჭედლიძეებს თავი წმინდა დოდოსათვის შეუწირავთ. „დიასამიძე ვარამის ყმანი ვიყავით... ადგა და ჩვენის თავის სახსარი გამოგვართო და თავი დაგვახსნევინა... რადგან იმას მოერჩით ახლა ჩვენი ნება-წადილითა... თავი შევწირეთ... წმინდას დოდოსა..“[77]. 1768 წ. ბატონისაგან თავდახსნილმა მღვდელმა გიორგიმ ზემოხოდაშენს მთაწმინდის ხარების ეკლესიას შესწირა თავი[78]. 1773 წ. სოლაღაშვილებისაგან თავდახსნილმა ბატუაშვილმა თავშეწირულების წიგნი მისცეს ტფილელ მიტროპოლიტს „ბატონის ჩემის სოლოღაშვილის ზაზასაგან თავი დავიჯსენ... მოველ და საყდარსა თქვენსა ეკლესიას ვეყმე“[79]. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც თავშეწირულები ხდებოდნენ აყრილ-გაქცეული გლეხები. 1713 წ. გოგია ნონიაშვილი პირობის წიგნს აძლევს ნათლისმცემლის უდაბნოს: „ასე რომე თელავიდამ ა ვ ი ყ ა რ ე და მოველ ქალაქს და ჩემის ნება წადილით ნათლისმცემლის უდაბნოს თ ა ვ ი შ ე მ ო ვ ს წ ი რ ე და თქუენ გეყმევ...“[80] აყრილი გლეხები უნდა ყოფილიყვნენ ბარალეთიდან გადმოსული ფარსუაშვილებიც, რომლებმაც 1781 წ. თავი შესწირეს ნათლისმცემლის უდაბნოს: „ბარალეთიდამ გადმოვედით. ბატონი მოდავე და მომდევარი არავინ გუუანდა... შემოგწირეთ და გაუმევით ჩვენი თავი. .“[81].

ზოგჯერ ეკლესია-მონასტერს თავს სწირავდა ტყეობიდან დაბრუნებული „თავისუფალიც“. 1777 წ. ავლაბრელ კენჩხაძის შვილი გურგენა თავშეწირულების წიგნს აძლევს ტფილელ მიტროპოლიტს: „დავიკარგე ლეკში და ყირიმს გამიყვანეს... ჩემს ტყეობაში ამბავი მოვიდა... ვინც ტყეობიდამ მოვიდეს თავისუფალი იყოსო... მოველ და შენს... ტაძარს ჩემი თავი მივართვი“[82] უმეტეს შემთხვევებში კი თავშეწირულები „უპატრონო“, „მოუდე-

[76] ისტ. საბ.. V, გვ. 70.

[77] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა. ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, ფოთი, 1903, გვ. 101—102.

[78] სსცა. ფ. 1448, № 4642.

[79] ისტ. საბ., V, გვ. 83.

[80] იქვე. გვ. 25.

[81] იქვე. გვ. 99—100.

[82] იქვე. გვ. 91.

ვარი“ პირები იყვნენ, რომელთაც ამა ან იმ გზით „თავისუფლება“ ჰქონდათ მოპოვებული, მაგრამ რადგან წინ მომხიბლავი პერსპექტივები არ ესახებოდათ ისევ ყმობას ამჯერად ეკლესიისას — თავშეწირულებას ირჩევდნენ. ნიშანდობლივი იყო ისიც, რომ ეს „თავისუფლები“ უმეტესად ქალაქს შეხიზნული პირები იყვნენ, რომელთაც ქალაქად ყოფნამ არ გაუმართლა და იძულებული გახდნენ კვლავ ყმობის უღელში, ოღონდ შეღავათიანში შებმულიყვნენ. 1708 წ. გაქრისტიანებულმა თათარმა ოჰანა პაფუზაშვილმა ღვთის გარეჯას შესწირა თავი: „უპატრონოდ ვიყავ, მოვედი და თქვენს მონასტერს თავი შემოვწირე და ვეყმევი“ — აცხადებდა იგი[83]. „პატრონი არავინ მყუანდა“ — წერდა 1778 წ. ათანელი ჩილდრიშვილი და ამიტომ ნათლისმცემლის მონასტერს შესწირა თავი[84]. ასევე ბატონი აღარ ჰყავდა ბერუა მიღდისას და მანაც თბილისის სიონს შესწირა თავი[85]. რადგან პატრონი და შემნახავი არავინ ჰყავდა და არც ბატონი „უჩანდა“ იოსებ გიორგისშვილმა ღვთის ნათლისმცემლის მონასტერს შესწირა 1784 წ.[86] ყმობისა და თავის შემოწირულების წიგნი მიართვა გიორგი მჭედლისშვილმა ნათლისმცემლის ეკლესიას 1785 წ. „ასე რომ ბატონი და პატრონი არავინ მყვანდა. თუთ ნებითა და აღრჩევითა ჩემითა... ვაყმე და შემოვჰსწირე თავი ჩემი...“[87]. 1786 წელს ტფილისს მყოფმა „თავისუფალმა და ყოვლის კაცისაგან მოუდევარმა“ მიწაჭამიაშვილმა გოგიამ თავი შესწირა თავის ნებით ნათლისმცემელს[88]. ასევე მეჭურჭლე ოსეფამ, რომელსაც „ბატონი და პატრონი“ არავინ ჰყავდა, თავი აყმო და შესწირა ნათლისმცემელს.

როგორც ვხედავთ, „თავისუფალთა“ ყმობა ეკლესია-მონასტრებისათვის ფეოდალური საზოგადოებისათვის უცხო მოვლენა არ იყო. ეს იყო ნებით ყმობის აქტი, მაგრამ, რადგანაც ყმობა ეკლესიის საფარველის ქვეშ ხდებოდა, თავშეწირულობა ეწოდებოდა.

მაინც რით აიხსნებოდა „თავისუფალთა“ ესოდენი ლტოლვა ეკლესია-მონასტრებისადმი? საქმე ისაა, რომ თავშეწირულთა გადასახად-ვალდებულებანი ეკლესია-მონასტრებისადმი შეღავათიანი

---

[83] იქვე. გვ. 19.
[84] იქვე. გვ. 92.
[85] იქვე. გვ. 95.
[86] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა. ქართლ-კახ. მონასტრ. და ეკლ. ისტ. საბ. გვ. 148—149.
[87] ისტ. საბ. V, გვ. 105.
[88] იქვე. გვ. 106.

იყო. მაგ.. 1713 წ. თავშეწირულ გოგია ნონიაშვილს ნათლისმცემლის უდაბნოსათვის უნდა გადაეხადა წელიწადში „ზეთი ლიტრა სამი, სანთელი ლიტრა ერთი, საკმელი ჩარექი ერთი“[89]. 1715 წ. ვინმე პაპუნასა და ჭოტას ეკისრებოდა — „ზეთი ლიტრა ერთი, სანთელი ლიტრა ერთი, საკმელი ჩარექი ერთი“[90]. 1749 წ. საქუაშვილებს თბილისის სიონისათვის უნდა მიერთმიათ წელიწადში „ერთ ლიტრა სანთელი და ჩარექი საკმელი“ და გარდა ამისა პირობას იძლეოდნენ „როგორათაც სხვა საყდრის ყმა გემსახურებოდ[ა]თ, ჩვენის შესძლებით გმსახურებდეთ“[91] 1773 წ.. ბატუაშვილებს თბილისის სიონის სასარგებლოდ ევალებოდათ: „ერთი ჩარექი სანთელი და ნახევარ ჩარექი საკმელი... აღდგ~მას და ახალწელიწადს ძღვენი... და ექვსი აბასი თეთრი მალი...“[92] იყო უფრო შეღავათიანი ვალდებულებანიც. თავშეწირულ მიწაჭამიაშვილს ნათლისმცემლისათვის ყოველ წელიწადს მხოლოდ ერთი ლიტრა სანთელი უნდა გადაეხადა. სხვა არაფერი ევალებოდა.

თუ ამ მონაცემებს შევუდარებთ ჩვეულებრივი ყმა-გლეხის გადასახად ვალდებულებებს, აშკარა გახდება, რომ თავშეწირულის მდგომარეობა მსუბუქია. თუ არა შეღავათიანი პირობები, „თავისუფალი“ ხელახლა დაყმევებაზე არ წავა და სწორედ ამით აიხსნება გლეხთა ლტოლვაც ეკლესია-მონასტრებისაკენ.

ისიც უნდა ითქვას, რომ ყმა-გლეხობა ყოველთვის უმტკივნეულოდ ვერ აღწევდა საწადელს და მის სურვილებს — საკუთარ მებატონეს გაჭცეოდა და შეღავათიან პირობებში ეკლესიისათვის შეეწირა თავი — დიდი დაბრკოლებები ელობებოდა.

1655 წ. ბალიაშვილები ერთგულების წიგნს აძლევენ სოლოღაშვილებს. ბალიაშვილებს მოუნდომებიათ „ხატისათვის“, ე. ი. ეკლესიისათვის თავის შეწირვა. მაგრამ ბატონისაგან სასტიკ წინააღმდეგობას წაწყდომიან. საჭირო გამხდარა ძალის ჩარევა. მებატონეს გაუმარჯვნია და თავისი „მემკვიდრე“ გლეხები მკვიდრადვე დაუტოვებია[93]. მებატონის პოზიციების განსამტკიცებლად კი როსტომ მეფეს ბალიაშვილები სოლოღაშვილებისათვის ხელახლა უბოძებია[94].

---

[89] ისტ. საბ. V, გვ. 26.

[90] იქვე. გვ. 26—27.

[91] იქვე. გვ. 70.

[92] იქვე. გვ. 83.

[93] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს სიძველენი. II, № 376.

[94] იქვე. № 377.

ზოგჯერ ბრძოლა თავშეწირვისათვის შეიარაღებულ შეჯახებამდე მიდიოდა. ზაზა ციციშვილს ყმა აეყარა ოჯახით წავკისიდან და კახეთში ხაშმის ეკლესიას შეაფარა თავი. ხაშმელებმა და ეკლესიამ შეხიზნულს მხარი აუბა და იარაღით იკისრა მისი დაცვა (საფიქრებელია, შეხიზნულს ვიღაცა პირადად უმაგრებს ზურგს ან ეკლესია თავის პრივილეგიას — jus asyli-ს იყენებს). ციციშვილმა პატრიარქს მიმართა. ანტონ II ციციშვილის მხარეს იჭერს. მაგ., კაცს „თავიანთი თავით შეწირვა როგორ შეუძლიათ თუ თავისის მებატონის ნება არ არისო"[95].

ამრიგად, ერთი შეხედვით თითქოსდა უწყინარი თავშეწირვა არც ისე უმტკივნეულოდ მიმდინარეობდა და კალსობრივი ბრძოლის ეს„პასიური" სახეობა მედგარი ბრძოლის საგანი იყო. ბრძოლაც ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა და თუ ერთ შემთხვევაში გლეხები მაინც ახერხებდნენ თავშეწირვას,სხვა შემთხვევებში მათი ცდები მარცხით მთავრდებოდა.

ე) თავნასყიდი

თავნასყიდობა „ნებით" ყმობის ყველაზე მძიმე პირობათაგანი იყო. თავნასყიდობა ეკონომიკური დაკნინების შედეგად ხდებოდა. 1713 წ უთრუთ გულუაშვილმა ნასყიდობის წიგნი მისცა ვინმე ნაზიფერს. ამ წიგნიდან ირკვევა, რომ უთრუთი „თავისუფალი" იყო. „არას კაცს ჩემთან ჯელი არ ქონდა. არც ვისი მემკვიდრე ვიყავ, არც ვისი ნასყიდი და არცა ვინ მომდევარი მყვანდა და არცა მყავს" — აცხადებდა იგი[96], მაგრამ მას თავი ვერ გაურთმევია ქვეყნად შექმნილი კრიზისისათვის „ასე ძვირობა იყო, რომე ერთი კოდი ხუთ აბაზათ არ იშოვებოდა" და იძულებული გამხდარა თავი ნასყიდად მიეცა.

ასევე მიუცია თავი ნასყიდად „თავისუფალ" თამაზას ონოფრე ბაქუტაძისათვის 1722 წ. თამაზა „აზატ ნაქნარი" ყოფილა, მაგრამ მას ვალი დასდებია და იძულებული გამხდარა თავი ნასყიდად დაედო[97]. თავნასყიდობის დოკუმენტებში ხშირად არ ჩანს თავნასყიდის ადრინდელი (თავნასყიდობამდელი) მდგომარეობა, მაგრამ ვფიქრობთ, რადგან მათ არჩევანის უფლება აქვთ „ნება-წადილით"

---

[95] დოკ. II, № 230.

[96] დოკ. I, № 220.

[97] ისტ. საბ. V, გვ. 36.

თავის გასყიდვისა, ისინი უფრო „თავისუფლები“ არიან, ვიდრე სხვა მდგომარეობის გლეხები.

1722 წ. ავლაბრელმა ძმებმა მახარაშვილებმა თავი მიჰყიდეს დავით გარეჯას „ჩვენის ნება-წადილითა შემოგეხვეწნით და ჩვენი თავი მიგყიდეთ“ — აცხადებდნენ ისინი[98].

თავნასყიდობის მიზეზი ყოველთვის ეკონომიკური იძულებაა, რაც სხვადასხვა გარემოებითაა ხოლმე გამოწვეული. თავნასყიდობის ერთი ნაწილი ლეკების ტყვეობიდან გამოხსნილები არიან. 1724 წ. გიორგი კაციაშვილი თავს ნასყიდად აძლევს ქთინათინას (!). თავნასყიდობის წიგნში კაციაშვილი აცხადებს: „ლეკის ხელში ტყვეთ ვიყავით. სხვა ილაჯი და ღონე არა მქონდა. თქვენ შემოგეხვეწეთ მოგყიდეთ ჩვენი თავი ჩვენის ცოლშვილითა“[99].

1748 წ. დადებულ თავნასყიდობის წიგნიდან ირკვევა, რომ გიორგი იმერელი ლეკებს დაუჭერიათ და ოსმალეთში გაუყიდნიათ. იქედან ტყვე ქაიხოსრო ავალიშვილს დაუხსნია. გიორგი იმერელს თეთრი ვერ უშოვნია. ავალიშვილისაგან ავთანდილ ჯავახიშვილს დაუხსნია და ამის შემდეგ გიორგი იმერელმა ჯავახიშვილს მისცა თავი ნასყიდად[100].

1788 წ. მღვდელ იოანე სოხოსშვილს თავნასყიდობის წიგნი მიუცია გიორგი უფლისწულისათვის. იოანე ლეკებს გაუტაცნიათ. იქედან ვინმე სომეხს დაუხსნია. სომეხს სახსარი — თავდასახსნელი თანხა მოუთხოვია. იოანეს რადგან ფული ვერ უშოვნია, გიორგი უფლისწულს გამოუხსნია იგი, რის შემდეგაც იოანეს თავისი ოჯახით თავი გიორგი უფლისწულისათვის „ყმად მიურთმევია“[101].

1737 წ. კი თამაზა ჯოლბორდისშვილი თათრის ტყვეობიდან გიორგი მაღალაძეს დაუხსნია. თამაზა პირობას იძლევა: „..თუ ვინმე წამოგედაოს, სამი თუმანი უნდა მოგცე... და თუ სამი თუმანი ვერ მოგეც, სამიდღეშიოდ თქვენი ყმა ვიყო“[102].

როგორც ვხედავთ, თავნასყიდობის ერთ-ერთი გზა ტყვეობიდან სხვის მიერ გამოხსნა ხდება (წინააღმდეგ თავისით ტყვეობიდან მოსულის თავისუფლებისა).

სხვა შემთხვევებში თავნასყიდობის მიზეზი ღალატიანებაა.

---

[98] ისტ., საბ., V, . გვ. 37.

[99] იქვე.

[100] დოკ. I, № 474.

[101] Hd 2544.

[102] დოკ. I, № 377.

გივი თუმანიშვილს პაპუნაშვილი მოვალისაგან გამოუხსნია, რის გამოც უკანასკნელს თუმანიშვილისათვის თავნასყიდობის წიგნი მიურთმევია[103]. 1715 წ. ვალი დასდებია თამაზა მელაძეს. ვალისაგან ნიკოლოზ მროველს დაუხსნია, ამიტომ თამაზა მროველს ყმობია[104]. 1722 წ. ონოფრე მაჭუტაძეს მახარაშვილების ვალი გაუსტუმრებია, რის შემდეგ მახარაშვილებს მაჭუტაძისათვის თავი მიუყიდნიათ[105].

ზოგჯერ თავნასყიდობა სისხლის სამართლის დანაშაულის შედეგი იყო. 1712 წ. ხურო თამაზის დედაკაცი შემოკვდომია და „სისხლი დასდებია“. სისხლის ფასი მანუჩარ გლურჯიძეს გადაუხდია, რის გამოც ხურო თამაზას გლურჯიძესათვის თავი ნასყიდად მიუცია[106]. თავნასყიდობა შეიძლებოდა პირადი ანგარიშსწორების ნიადაგზედაც გაჩენილიყო. თაქთაქიშვილმა ქსნის ერისთავის შვილის თეზელი ყმები გაყიდა (1728 წ.). ერისთავისშვილმა სამაგიეროდ თაქთაქიშვილის ყმა ამშიკაშვილი დაიჭირა და სახსრის გამოსახსნელი თანხის თხოვნა დაუწყო. რადგან ამშიკაშვილს თანხა არ ჰქონდა, თავი ნასყიდ ყმად მისცა ერისთავისშვილს[107].

როგორც ვხედავთ, თავნასყიდობა ყოველთვის იძულებითი ხასიათისაა. თუ თავნასყიდთა ერთი ნაწილი „თავისუფალი“ მდგომარეობიდან ყმობის მძიმე პირობებში თავნასყიდად შედის, თავნასყიდთა მეორე ნაწილი მკვიდრი გლეხებიც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ.

ჩვენ ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ისეთ თავნასყიდებზე, რომლებიც „თავისუფლების“ მდგომარეობიდან ხდებოდნენ თავნასყიდები. ეს პირები კლასობრივ ბრძოლაში დამარცხებული, ხელმოცარულები არიან, რომელთაც არამცთუ „თავისუფლების“ შენარჩუნება, არამედ უკეთეს პირობებში ხელახალი ყმობაც ვერ შეძლეს და ეკონომიკური დაცემის გამო მიდიან ყველაზე დაბალ, დამამცირებელ ხელახალ დაყმევებაზე — თავნასყიდობაზე. თუ თავისუფალთა ნაწილი მაინც ახერხებს ხელახლა ყმობაში შეღავათიანი პირობებით შესვლას, თავნასყიდები საკუთარი „ნება-წადილის“ შემთხვევაშიც მძიმე პირობებში ექცევიან. სამწუხაროდ, ჩვენ ყოველთვის ვერ ვახერხებთ განვსაზღვროთ თავნასყიდის ფუნქციები და მისი დამოკიდებულება ახალ ბატონთან, მაგრამ თუ „ნასყი-

---

[103] იქვე. № 212.
[104] საქ. სიძვ. II, № 209.
[105] ისტ. საბ., V, გვ. 35.
[106] დოკ. I, № 208.
[107] Qd 6988.

დის“ ანალოგიით ვიმსჯელებთ, თავნასყიდი თავისი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობით დაკნინებული გლეხია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი საბოლოოდ რჩება ასეთად. თავნასყიდობა არაა სამემკვიდრეო მოვლენა. დროთა განმავლობაში შეიძლება მკვიდრ ან „თავისუფალ“ გლეხადაც იქცეს.

3) ხიზანი

ქართულ ისტორიოგრაფიაში ფეოდალური ხანის ხიზანის საკითხი საკმაო სისრულითა აქვს შესწავლილი ვ. გუჩუას[108]. ამიტომ ხიზნის შესახებ ვრცლად აღარ შევჩერდებით.

ხიზანი და ბოგანო თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობით ერთმანეთს უახლოვდებიან — არა აქვთ მემკვიდრეობით მიღებული მამული. სამაგიეროდ, ისინი უფლებრივად განსხვავებული კატეგორიები არიან. ბოგანო პირადად არათავისუფალია. იგი საკუთარ ბატონზეა დამოკიდებული, ხიზანი კი პირადად თავისუფალი.

ფეოდალური ხანის ისტორიულ ძეგლებში, ხიზანი ისევე როგორც ბოგანო დაპირისპირებულია მემკვიდრე, ანუ მკვიდრ გლეხთან. ე. თაყაიშვილის გამოქვეყნებული სტატისტიკური მასალების მიხედვით, ქსნის ხეობის 1774 წლის აღწერილობაში ჩამოთვლილ 579 მამაკაციდან ბოგანოა 46, ხიზანი 45. 1781 წლის აღწერილობით კი 151 დასახლებული მამაკაციდან ბოგანოა 43, ხიზანი კი 37.

ვ. გუჩუას დაკვირვებით ხიზანი სამკვიდრო ადგილიდან და სხვაგან თავშეფარებული გლეხია. ხიზნის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია „გარეთ მოსულობა“, როდესაც ბოგანო შეიძლება (და უმეტეს შემთხვევაში ასეცაა) მკვიდრი, ადგილობრივი გლეხიც იყოს.

ხიზნის ორი კატეგორია არსებობდა: გლეხები, რომლებიც წარმოშობით პირადად თავისუფლები იყვნენ და გლეხები, რომლებიც ერთი მებატონის ყმები იყვნენ და ამავე დროს მეორე მება-

[108] ვ. გ უ ჩ უ ა. ხიზან გლეხთა ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის, მსკი, ნაკვ. 34, თბ., 1962; კლასობრივი ბრძოლა ხიზნებსა და მემამულეებს შორის, გვიან ფეოდალურ საქართველოში, მსკი, ნაკვ. 35, თბ., 1963; ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, ვ. გ უ ჩ უ ა. საქართველოში სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1967.

ტონის ხიზნები. ხიზანი პირადად თავისუფალია და მიწის პატრონს უხდის მხოლოდ სამამულო გადასახადს.

ხიზანთა წარმოშობის მიზეზებად ვ. გუჩუას ქვეყნის შინაგანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და მუდმივმოქმედ ფაქტორად ქცეული საგარეო ურთიერთობანი მიაჩნია. ავტორი იზიარებს ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებას, რომ ხიზნობა (ისევე, როგორც ბოგანობა—დ. მ.), ფეოდალურ საზოგადოებაში კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი ფორმაა და თვლის, რომ ხიზნობის ინსტიტუტი ბატონყმობის წინააღმდეგ გლეხობის ხანგრძლივი კლასობრივი ბრძოლის შედეგად ჩამოყალიბდა. ხიზნობით გლეხი ყმობისაგან თავის დაღწევას ცდილობდა.

XVIII ს-ში იზრდება ხიზანთა რიცხვი, რასაც ვ. გუჩუას სავსებით სწორი დაკვირვებით, ერთი მხრივ, ექსპლოატაციის ზრდა, ხოლო, მეორე მხრივ, საგარეო ფაქტორები უწყობენ ხელს.

XVIII ს. 60-იანი წლებისათვის კახეთში 42,8% ხიზნური მოსახლეობა ყოფილა, რაც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ლტოლვილთა ხარჯზე ყალიბდებოდა. თუ ქართლის ხიზნები ძირითადად დასავლეთ საქართველოდან გადმოხვეწილები იყვნენ, კახეთის ხიზნები, როგორც დასავლეთ საქართველოდან, ასევე ქართლის რაიონებიდან გადმოხვეწილები იყვნენ. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მოვახერხეთ ზუსტად ქართლის ხიზნების პროცენტული დაანგარიშება სრული მასალის უქონლობის გამო. ის ორიოდე ნუსხა კი რაც ხელთა გვაქვს არ იძლევა ნათელ სურათის წარმოდგენის საშუალებას, რადგან ჩვენ არ ვიცით რამდენად სანდოა (სისრულის თვალსაზრისით) ეს ნუსხები.

XVIII ს. ერთი ნუსხის მიხედვით მოცემულია ხელთუბნის ხიზნების სია. სიით ხელთუბანს 21 ხიზანია[109]. მაგრამ ჩვენ არ ვიცით რამდენი მკვიდრი გლეხი იყო ამ დროს ხელთუბანს ან რამდენად სრულია ხიზნების ნუსხა; ეს ხიზნები მხოლოდ ერთი მებატონისა იყვნენ თუ ყველა მებატონის ხიზანი იყო ერთად აღებული—21. სხვა, აგრეთვე XVIII ს. ნუსხის მიხედვით, სადაც გორისა და ცხინვალის გარდა შიდა ქართლის 43 სოფლის კომლები („მეკომლე") და ხიზნებია ჩამოთვლილი[110], საერთო ჯამში გორისა და ცხინვალის ჩათვლით, 1042 კომლი და 707 ხიზანი დავთვალეთ. ამრიგად, ამ ნუსხის მიხედვით ხიზანი 40% შეადგენს.

---

[109] Qd 200.

[110] Qd 9050.

1794 წლის ასევე ქართლის სოფლების ნუსხის მიხედვით (სადაც 120 სოფლის მონაცემებს ვაჯამებთ)[111], 2100 კომლია, ხოლო 447 ხიზანი. ე. ი. ხიზანის რაოდენობა 17%-ია[112]. როგორც ვხედავთ, ორი სხვადასხვა ნუსხიდან (სამწუხაროდ, ერთი უთარიღოა) საკმაოდ განსხვავებული რიცხვები მივიღეთ. ჩვენ არ ვთვლით, რომ ეს მონაცემები ზუსტია, რადგანაც არ ვიცით რამდენად ზუსტია თვით წყაროს მონაცემები.

ერთი რამ მაინც თვალსაჩინოა. თუ XVIII ს. II ნახევრამდე დემოგრაფიულ ნუსხებში ხიზნები საერთოდ არ ჩანან[113], XVIII ს. II ნახევრიდან ბოგანოს პარალელურად ნუსხებში ჩნდებიან ხიზნებიც. ლიახურას ხეობის XVIII ს, შუაწლების დავთრის ნაწყვეტში ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით „ყოველი სოფლის აღწერის ბოლოში ჯამი აქვს ხოლმე დართული მაგ.:

ქ. მეკომლის ჯამი (თ)

ქ. ბოგანოს ჯამი (ე) უმამულო (ა)

ქ. ხიზანის ჯამი (ი)[114]

XVIII ს. II ნახევრიდან ნუსხებში მკვიდრი გლეხების გვერდით არიან როგორც ბოგანოები, ასევე ხიზნებიც. XVIII ს. მიწურულიდან და XIX ს. დასაწყისიდან ბოგანოების რიცხვი მცირდება, ხოლო XIX ს. შუა წლებიდან თითქმის ქრებიან.

ვ. გუჩუას დასკვნით, კლასობრივი ბრძოლა მემამულეთა და ხიზნებს შორის ბატონყმობის გაუქმებამდე იმაში მდგომარეობდა, რომ ხიზნები თავიანთი ხიზნური უფლებების დაცვისათვის იბრძოდნენ. მემამულეები კი ცდილობდნენ დაუფლებოდნენ ხიზნის პიროვნებასაც[115]. ხიზნების ბრძოლა უფრო გამოხატულია — ბრძოლა

---

[111] სოფლების რაოდენობა ნუსხაში 122, მაგრამ 2 სოფლის მონაცემი გაურკვეველია.

[112] Qd 9041 თვით საბუთში მოცემულია კომლებისა და ხიზნების ჯამი (ჩვ) 1096 + (ჩე)1090 = 2186 კომლი და (სმა) 261 + (რვე) 196 = 457 ხიზანი, რაც ჩვენი დაანგარიშებიდან სხვაობას იძლევა 86 კომლისას და 24 ხიზნისას.

[113] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, ტფ. 1907; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. საამილახვროს დავთარი მე-17 ს-ის მეორე ნახევრისა, ტფ. 1925; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, II, თბ., 1974, გვ. 41—56 და სხვ.

[114] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, ტფ., 1930, გვ. 22.

[115] მსკი. ნაკვ. 35, გვ. 143.

ხიზნური უფლებების დაცვისათვის, ბოგანოს ბრძოლა არ ჩანს გარდა იმისა, რომ ბოგანოობა გაუმართლებელი ბრძოლაა ძრსებულის, დამკვიდრებულის წინააღმდეგ. ამიტომ ხიზნების გამრავლება ბოგანოს გაჭრობის საპირისპიროდ კლასობრივი ბრძოლის გაღრმავებაზე მიგვითითებს.

3. ბოგანო[116]

ბოგანობა აღმოსავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი მოვლენაა.

ქართულმა ისტორიოგრაფიამ ბოგანოს შესახებ ვახტანგ VI-ის კანონმდებლობიდან მზაშზარეული განმარტება მიიღო. კანონმდებლობის მეასე მუხლი ფეოდალის ოჯახის გაყრას შეეხება კერძოდ, იმას თუ, როგორ უნდა განაწილდეს კომლები ძმათა შორის. ამ მუხლში ბოგანო, კომლების საპირისპიროდ, როგორც უმამულო, სათვალავში არაა ჩაგდებული. ბოგანოების განაწილება ოჯახის გაყრის დროს ცალკე ხდება.

მოგვაქვს ვრცელი ამონაწერი კანონმდებლობის მეასე მუხლიდან. „...საუფროსო ასრე არის და ასრე უნდა. რისაც ან აზნაურისა, ან გლეხისა პატრონნი იყვნენ, უმამულოს ბოგანოს გარედაისად ყუელა მეფის მდივანს აანუსხვინონ, იანგარიშონ, რამდენიც კომლი დადგეს, ოცს კომლზე ერთ უკეთესს რომელიც უნდა, უფროსი გამოირჩევს და ერთს უარესს — სხვა ძმები, რომელიც იმათ უნდა, იმას მისცემენ და რამდენიც ოცი კომლი ეყოლების უკელაზე ასრე იქმონენ. დარჩების ბოგანო და იმაზედაც ასრე უნდა იქნას.

მაგრამ ბოგანო ამას ქუიან, რომე ვენაჯი არა ქონდეს, თვითო სახლი და რჩომის ალაგი ექნების, და მიწა ან ექნების ან არა, ამგვარი ბოგანო იმ ზეითს გლეხებში არ ჩაითვლების, ამაზე ცალკე უნდა ააღებინონ ჯენაჯის მქონეს გლეხს ბოგანო არა ქვიან, რაგინდ სხვა მამული ნაკლებად ქონდეს“[117].

XIX ს. ბოლოდან, ე. ი. იმ დროიდან, როდესაც ქართულ ისტორიოგრაფიაში ვლეხობის ისტორიის შესწავლის საკითხი

---

[116] ბოგანოს შესახებ ავტორს წაკითხული აქვს მოხსენება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XXIV სამეცნიერო სესიაზე 1975 წ. 26. III. ქვეყნდება შემოკლებით.

[117] ი. დ ო ლ ი ძ ე. ქართული სამართლის ძეგლები. I, 1963, გვ. 507—508.

დაისვა, შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი მკვლევარი, ვინც ფეოდალური საქართველოს საგლეხო საკითხებს ეხება, არ დარჩენილა, რომ არ შეხებოდა ბოგანოს საკითხს. ყველა ამ მკვლევართათვის დღემდე ბოგანოს განმარტებისათვის ამოსავალი პუნქტი ვახტანგის კანონმდებლობის განმარტებაა[118].

მრავალრიცხოვანი მასალის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ვახტანგისეული განმარტება ბოგანოსი არ შეიძლება დოგმად შევიღოთ მთელი ქართლის და მით უმეტეს საქართველოს სხვა რეგიონებისათვის. თუ ვახტანგის განმარტებას, რომ ბოგანო უვენახო გლეხია უყოყმანოდ მივიღებთ, მაშინ იბადება კითხვა, როგორ განვმარტოთ ბოგანოები, რომლებიც არსებობენ ისეთ გეოგრაფიულ-კლიმატურ პირობებში, სადაც ვენახის გაშენება არ შეიძლება (ქსნისა და არაგვის ხეობების მთიანი ზოლი) მ.გ., ქსნის ხეობის სოფლებში: ცხრაზმაში, ქურთისხევში, ჭურთისხევში, დორეულთკარში, შველიეთში, გავაზში, ხარბალში, ზოდეხში, ღარგვისში, საძეგურში და სხვ. XVIII ს. სტატისტიკურ აღწერილობაში დასახელებული არიან ბოგანოები[119], მაგრამ ამ სოფლებში ვენახის გასახარებლად არაა კლიმატურ-გეოგრაფიული პირობები. მაშასადამე, ამ რეგიონისათვის ბოგანოობის მახასიათებლად აღებულია არა უვენახობა, არამედ სხვა ნიშანი.

ამ გარემოებას პირველად ყურადღება მიაქცია იას. ლორთქიფანიძემ. ქვემო ქართლის 1721 წ. აღწერილობასთან დაკავშირებით მას მოტანილი აქვს მაგალითები ქვემო ქართლის უვენახო რაიონებიდან, სადაც მეფე-დედოფლის კუთვნილი 129 კომლიდან 24 ბოგანო ყოფილა. ასევე მოტანილი აქვს მასალა 1774 წ. არაგვის ხეობის სტატისტიკური აღწერილობიდან, სადაც უვენახო რაიონის 328 კომლიდან ბოგანო იყო 33. ამ მასალების საფუძველზე ავტორმა ეჭვის ქვეშ დააყენა ბოგანოს ვახტანგისეული განმარტება[120].

მართლაც, დემოგრაფიული მასალის შესწავლისას გაირკვა, რომ ისეთ რაიონებში, სადაც ყველა მიწისმოქმედი უვენახოა,

---

[118] სამწუხაროდ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, სხვადასხვა ავტორთა შეხედულებების აქ მოტანას ვერ ვახერხებთ.

[119] ე. თაყაიშვილი. ქსნის საერისთაოს სტატისტიკური აღწერილობა, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, № 45, 195, 1951.

[120] იას. ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი. ნაწილი III და IV, ტფ., 1938, გვ. 360—361.

ნუსხებში ჩვეულებრივ კომლების გვერდით ვხვდებით ბოგანოებსაც. ამავე დროს ვხვდებით როგორც ხელოსან ბოგანოებს: დურგალი, მჭედელი, ფეიქარი, მკალავი, მკერავი და ა. შ., ასევე მოხელე ბოგანოებს: გზირი, მოურავი, მამასახლისი და სხვ. ზოგჯერ გვხვდებიან აზნაური ბოგანოებიც. ამრიგად, ბოგანო შეიძლება იყოს სოციალურად არამწარმოებელიც. მაშინ იბადება კითხვა, რა არის ის მახასიათებელი, რაც ბოგანოს განასხვავებს საზოგადოების სხვა წევრთაგან?

ივ. ჯავახიშვილი სამროვლოს 1715 წ. დავთრის მიხედვით ასკვნიდა, რომ„ მცხოვრებნი ორად ყოფილან დაყოფილნი მ ე მ კ ვ ი დ რ ე მ ე კ ო მ უ რ ა დ და ბ ო გ ა ნ ო დ“[121].

თუ თვალს გადავავლებთ ხალხთა აღწერის სხვა დავთრებს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ სოფლის მწარმოებელი საზოგადოება ძირითადად დაყოფილია „მემკვიდრე“, ანუ „მკვიდრ“, ანუ „მსახლობარად“ და ბოგანოებად[122]. ე. ი. ბოგანოს დამახასიათებელი ნიშანია არა „მკვიდრობა“. სწორედ ამაზეა ლაპარაკი ვახტანგის კანონმდებლობაშიაც. მაგრამ სამწუხაროდ, ამ მომენტზე ყურადღება არავის გაუმახვილებია.

სიზუსტისათვის კვლავ მოვიტან ამონაწერს სამართლის მეასე წუხლიდან: „ბოგანო ამას ქუიან, რომე ვენაჯი არა ქონდეს, თვითო სახლი და რჩომის ალაგი ექნების და მიწა ან ექნების და ან არა... ვენაჯის მქონე გლეხს ბოგანო არა ქვიან, რაგინდ სხვა მამული ნაკლებად ქონდეს“. ამ ამონაწერში ჩვენ მახვილს ვაკეთებთ ორ იქეთ ცნებაზე, როგორებიცაა მ ი წ ა და მ ა მ უ ლ ი. კანონმდებლობით ბოგანოს ვენახი არა აქვს, მაგრამ აქვს სახლი, რჩომის ალაგი. მ ი წ ა კი შეიძლება ჰქონდეს, შეიძლება — არა. ვენახიან გლეხს „რაგინდ სხვა მამული ნაკლებად ქონდეს“ ბოგანო მაინც არ ეწოდება. მაშასადამე, ბოგანოს შეიძლება ჰქონდეს მიწა, მაგრამ არა აქვს ვენახი. ვენახის ქონება კი უკვე მამულის ქონებაა, რაც არ უნდა მცირე იყოს. მამული მემკვიდრეობით მიღებული ქონებაა[123],

---

[121] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, ტფ., 1930, გვ. 13.

[122] დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე. გლეხთა კატეგორიების საკითხისათვის XVII—XVIII სს. აღმოსავლეთ საქართველოში. საზოგადოებრივ მეცნიერებათა მოამბე. № 3, 1963, გვ. 216—217.

[123] „მამული“ შეიძლება იყოს სახნავი მიწა (1729 წ. საბუთი Qd 7243) ან

ამ შემთხვევაში მემკვიდრეობით მიღებული მიწის ნაკვეთი, რომელზედაც გლეხი თაობიდან თაობამდე ზის. „მ ი წ ა“ კანონმდებლობის თვალსაზრისით არაა მამული, ე. ი. მკვიდრი მიწა, ანუ საკომლო, რომელზედაც დაფუძნება პიროვნებას მკვიდრ მემკვიდრედ გლეხად ხდის. ბოგანოს არა აქვს „მამული“ — მკვიდრი მიწა, საკომლო (ან მისი ნაწილი). ის მიწა კი, რომელიც კანონმდებლობით შეიძლება მას ჰქონდეს არ არის მისი სამემკვიდრეო მამული, ამიტომ ბოგანო არაა დაინტერესებული ამ მიწაზე (რაც მას შეიძლება სხვადასხვა პირობით ეპიროს) გააშენოს მრავალწლიანი კულტურა — ვენახი. ვახტანგის სამართალი ქართლის სინამდვილისათვისაა შედგენილი და რადგან ქართლში ვენახი ინტენსიური მეურნეობის მაჩვენებელია, ამიტომაა ბოგანოს განსაზღვრისათვის აღებული უვენახობა.

ყოველივე ამის შემდეგ გასაგები ხდება სულხან-საბას განსაზღვრებაც ბოგანოს შესახებ. საბას განმარტებით ბოგანო — უაგარაკო გლეხია. აგარაკი ადგილია „საყანური, ანუ სავენაკე, გ.ნა დაბა“. როგორც აღვნიშნეთ, ვენახის გაშენება ჩვეულებრივ სამკვიდრო მიწაზე ხდება და თუ ბოგანოს არა აქვს აგარაკი — საყანური ან სავენახე მიწა — სავსებით ემთხვევა ვახტანგისეულ განმარტებას ბოგანოსას. საბას განმარტებითაც ბოგანოს არ ჰქონია სავენახე მიწა, სადაც გაშენდება მრავალწლიანი კულტურა და რომლის მემკვიდრეობით მფლობელიც თვითონ და მისი შთამომავლობა იქნება ე .ი. საბას განმარტებითაც ბოგანოს არა აქვს მკვიდრი მამული.

XVIII ს. დასაწყისის ოფიციალური ძეგლის „დასტურლამალის“ მიხედვითაც ბოგანო დაპირისპირებულია მამულიანთან. მაგ.: „მალი მ ა მ უ ლ ი ა ნ ზ ე დ თავზედ ხუთი აბაზი, ბატონს ორი შაური სამოკელო; ბ ო გ ა ნ ო ზ ე დ ათ შაური ბატონისა, ორი შაური სამოხელიო“. აქედანაც აშკარაა, რომ ბოგანო დაპირისპირებულია მკვიდრ, ანუ მამულიან გლეხთან.

გლეხები. მაგ., 1741 წ. ყარაბუდახისშვილებმა გაყიდეს თავიანთი „მამული გლეხები“, ე. ი. მემკვიდრეობით მიღებული გლეხები (დოკ. I, № 427). დამოწმებული გვაქვს „მამული საჰურჭლეც“. 1743 წ. თბილისში გაიყიდა „მკვიდრი მამულე საჰურჭლე თავის ქარხნითა და თავის ერთი პატარა დუქნითა“. (მასალები თბილისის ისტორიისათვის XVI—XIX სს. თბ., 1965, გვ. 195).

პრაქტიკაში მართლაც იყვნენ ბოგანოები, რომელთაც მიწის გარკვეული ნაკვეთები ჰქონდათ. მაგ., 1700—1719 წწ. თუმანიანთ ყმების მამულების ნუსხაში დასახელებულია „მეგრელი ბოგანო“, რომელსაც „სამი დღის მიწა აქვს“[124], ხოლო XVIII ს. ერთი კახური საბუთის მიხედვით ბოგანოს ხუთი დღის მიწაც ჰქონია: „ერთი კომლი ბოგანო სახლებულა თქუენი ფაშაანის თავსა და იმასა ჰქონია ხუთი დღის მიწა“ — ვკითხულობთ საბუთში[125]. მაგრამ ეს მიწები არ იყო სამემკვიდრეო და ბოგანოს იგი მიცემული ჰქონდა ამა თუ იმ მებატონისაგან დროებით სარგებლობაში. უფრო მეტიც, „უვენახო“ ბოგანოს შეიძლებოდა დროებით სარგებლობაში ვენახიც ჰქონოდა. თუმანიანთ ყმების ნუსხაში მოხსენიებულია „კურტანიძე ბოგანო“, რომელსაც „ერთი კვალი ჩვენი ნასყიდი (ე. ი. თუმანიშვილების. — დ. მ.) ვენახი უჭირავს“[126]. როგორც აღვნიშნეთ, „ჭერა“ მიწის დროებით სარგებლობას გულისხმობდა. აქაც, უეჭველია, „კურტანიძე ბოგანო“ თუმანიშვილებს ნასყიდი ვენახის დროებით მოსარგებლე იყო. სამწუხაროდ, არ ჩანს რა პირობით.

XVIII ს. ერთ ნუსხაში დასახელებულია „ძამუკაშვილი ბოგანო, რომელსაც „ერთი ბაგა აქვს“[127]. ბაგა — ახალშენი ვენახია. აქაც არ ჩანს რა პირობითა „აქვს“ ძამუკაშვილ ბოგანოს ბაგა. იგი ფეხს მოიკიდებს მიწაზე და შემდგომში ვენახიც მისი იქნება, იგი მკვიდრ გლეხად იქცევა.

ვფიქრობთ, ის მიწები, რომლებიც ზემოთ მოტანილ დოკუმენტებში ბოგანოებს აქვთ უნდა ყოფილიყო „რჩომის ალაგი“ — დროებით სარგებლობაში მყოფი მიწები.

არსებობდა სპეციალური მიწები ს ა ბ ო გ ა ნ ო ე ს სახელწოდებით[128] (საბას განმარტებით — საბოგანო — ბოგანოს ადგილი). ეს უნდა ყოფილიყო ის სამეურნეო ერთეული, რომელზედაც მიწათმოქმედი ბოგანო (განსხვავებით ხელოსან ბოგანოთაგან, რომელთა მიწაზე მუშაობა აუცილებელი არ იყო) ეწეოდა მეურნეობას.

საბოგანო მიწების „პატრონები“ თვით ბოგანოები არ იყვნენ.

---

[124] დოკ. I, № 153.

[125] სსცა ფ. 1449, № 858. საბუთზე მიგვითითა ვიქტორ გუჩუამ, რისთვისაც დიდად ვმადლობთ.

[126] დოკ. I, გვ. 113.

[127] Sd 4330.

[128] დოკ. I, № 176; Sd 942; Qd 9037ხ, Qd 7140 და ა. შ.

საბოგანო მიწა გაიცემოდა მიწის პატრონის მიერ ბოგანოზე. მაგ., გარეჯვარს დასახელებულია „მამასახლისის საბოგანოზედ დათუნა“[129] თავისი მდგომარეობით ეს დათუნა, თუ მას სხვა, მკვიდრი მიწაც არ გააჩნდა ბოგანო იქნებოდა.

საბოგანო მიწებზე დადებული გადასახადი საკომლოზე დადებულის ნახევარი იყო ხოლმე. მაგ., თუ საკომლოზე დადებული იყო წელიწადში რვა კოდი პური, საბოგანო ოთხ კოდს იხდიდა[130].

საბოგანოო საკომლოს საპირისპირო შინაარსის მქონე ცნებას წარმოადგენდა, რასაც კარგად ასახავდნენ ფეოდალურ საზოგადოებაში. იესე ოსეს ძე თავის ცხოვრება-ანდერძში წერდა: „...ერთი საკომლო და ერთი საბოგანო მანუჩარის წილი სყიდვაში, როსცა ეჭვს თუმნად შეუთაო, ისინიც უნდა ჩამოიწეროს...“[131]. საბოგანოზე შეიძლებოდა ვენახიც (ბაგა) ყოფილიყო გაშენებული[132]. მაგრამ იგი მაინც არ იყო სამკვიდრო მიწა.

დოკუმენტური მასალებიდან კარგად ჩანს, რომ ბოგანო კომლად, ანუ მკვიდრ გლეხად არ ითვლებოდა და არც მისი სამეურნეო ერთეული იყო „მამული“, ანუ საკომლო. XIX ს. დასაწყისის ერთ საბუთში ვკითხულობთ: „ერთი ალაგი გთხოვე ბოგანოს კაცის სამყოფი ალაგი და მიბოძეთ: სახლის ალაგი, საბძელ-კალოსი, საბახჩევო, რაც ერთს ბოგანოს კაცს ქონებია. მანამ იმაზე გახლდები, როგორც ერთს ჩემს მსგავს ბოგანოს კაცს უმსახურია ეკლესიასაც ვმსახურო, თქვენცა და სოფელსაც შევეწიო და როდესაც მამული გამოჩნდეს და სრული საკომლო მებოძოს, მაშინ მეკომურის მსგავსად ვიმსახურო, რომელიც ჩემი მსგავსი მეკომური კაცი იქნება...“[133]. ამ საბუთში აშკარად დაპირისპირებულია „ბოგანო კაცისა“ და „მეკომურის“, როგორც ქონება, ასევე სამსახური (თუმცა სამსახური ამ შემთხვევაში კონკრეტულად არ ჩანს).

საინტერესო საბუთს წარმოადგენს ლუარსაბ აბაშიშვილის საჩივრის წიგნი ერეკლეს ოქმით (1779 წ.). აბაშიშვილს ყიზილბაშობაში კიკეთი გაუყიდია „უკაცოდ“, ე. ი. უგლეხოდ. ეს მიწა ხელიდან ხელში გადასულა და ბოლოს მერალიბეგ ქალანთარს შეუძენია.

---

[129] Sd 4950.

[130] Sd 942.

[131] მსკი, ნაკვ. 28, 1950, გვ. 63.

[132] Qd 9037ბ, (3).

[133] სსცა. ფ. 1449, № 2038, ამ საბუთზედაც ვ. გუჩუამ მიგვითითა, რისთვისაც აგრეთვე ვმადლობთ.

მერალიბეგს „კაცებისათვის“ „ხელი მოუკრავს“ და იმსახურებდა, ე. ი. მიწასთან ერთად გლეხების მიჩემებაც განუზრახავს. საქმე სასამართლომდე მისულა. სასამართლოს გადაუწყვეტია, რომ მიწა მერალიბეგისა იყო, გლეხები კი აბაშიშვილისა. ამიტომ ერეკლეს ამ საჩივარზე ასეთი ოქმი დაუდვია: თუ ეს გლეხები თავიანთ სამკვიდროზე ხელს არ აიღებენ გლეხების ფასი უნდა გადაიხადოს მერალიბეგმაო. თუ ძველ ბატონს აბაშიშვილს „სხვას მამულს დასჯერდებიან, ისიც იმ გლეხის კაცების ნება არის — სხვა მამული გამოართვან და იმაზე დასახლდენ და თუ უნდოდესთ ბოგანოდ დადგენ და ბოგანოდ ემსახურნენ“[134].

როგორც ვხედავთ, თუ „კაცები“ მამულს გამოართმევდნენ საკუთარ ბატონს და დასახლდებოდნენ, მკვიდრი გლეხები გახდებოდნენ და თუ ამას არ მოიწადინებდნენ და მამულზე არ დასახლდებოდნენ, ბოგანოს მდგომარეობაში დარჩებოდნენ და „ბოგანოდ“ ემსახურებოდნენ თავიანთ ბატონს.

რამდენადაც ბოგანო არაა მკვიდრი გლეხი (არა მისი წარმომავლობის, არამედ მემკვიდრეობით მიღებული მიწის უქონლობის გამო), ამდენად იგი არც კომლად ითვლება, მაგრამ არის მრავალი მასალა, სადაც ბოგანო მოხსენიებულია კომლად. 1662 წ. მესტუმრე დონდარას მეფე-დედოფალი რამდენიმე კომლს უბოძებს. მათ შორისაა „კუამლი ერთი ბოგანო ტირუმანთ სარუხანა“[135]. ასევე კომლად იხსენიებიან ბოგანოები სხვა საბუთებშიაც[136]. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ არ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევებში კომლის შინაარსი იყოს ჩადებული ცნებაში „კომლი“. შესაძლოა კომლის ცნებაში ივარაუდებოდეს ოჯახი ან ზოგჯერ საბუთის შემადგენლის კალმის ლაპსუსი და ზოგჯერ უწიგნურობაც იჩენდეს თავს[137].

---

[134] Qd 273.

[135] საქ. სიძვ., III, 212.

[136] Ad 1891 და სხვ.

[137] 1721 წ. ქვემო ქართლის აღწერილობაში შეტანილი არიან:

„ძამუკაშვილი ბერი კომლი ა, თავი ა
ნანაშვილი ზურაბა კომლი ა, თავი ა
ნიორაძე ზურაბა ბოგანო კომლი ა, თავი ა
ბოგანო მამუკა“ (კომლისა და თავის გარეშე).

მიუხედავად იმისა, რომ ბოგანო აღწერაში შეტანილია კომლისა და თავის აღნიშვნით ჯამში იგი მაინც არაა კომლად ჩათვლილი: „იქნა ჯამი კომლი ბ, ბოგანო ბ“ (გვ. 164).

ნ. ბერძენიშვილი ბოგანოს გაჩენას, ისევე როგორც ხიზნისას მონღოლების შემდგომდროინდელ მოვლენად მიიჩნევს[136]. ყველაზე ადრეული დოკუმენტური წყარო, სადაც დადასტურებულია ბოგანო 1619 წ. საბუთია[139], მაგრამ ვფიქრობთ, ეს არაა ყველაზე ადრეული ზღვარი. ბოგანოები უმეტესად XVII—XVIII სს. ქართლურ მასალებში გვხვდება. XVIII ს. დასაწყისიდან ბოგანოები ჩანან კახეთის აღწერის დავთარშიც. დასავლეთ საქართველოსთვის ბოგანო უცნობია.

XVIII ს. დასაწყისისათვის ბოგანოს განმარტების შეტანა კანონმდებლობაში გვაფიქრებინებს, რომ იმ დროისათვის ბოგანოობა გავრცელებული მოვლენა იყო. ხშირი იყო ფეოდალური მიწათმფლობელობისათვის არადამახასიათებელი, არატიპური ურთიერთობანი („შეშლილი წესები“) და, როგორც ჩანს, პრაქტიკულ ცხოვრებაში საჭირო გახდა განმარტებული ყოფილიყო ბოგანოს რაობაც.

ბოგანოს წარმოშობის გზები სხვადასხვა იყო. ზოგჯერ ბოგანო შორიდან მოსული უცხო ტომის კაცი ან საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში გადმოხვეწილი პირი იყო. ამიტომ ხშირად ბოგანოები სწორედ „მოყვანილობით“, „გადმოსულობით“ თუ „მოსულობით“ ან ეთნიკური წარმომავლობით (თათარი ბოგანო, ჯევსური ბოგანო, დვალი ბოგანო და სხვ.) მოიხსენიებიან[140].

ზოგჯერ მკვიდრი გლეხი შეიძლებოდა ბოგანო გამხდარიყო. მაგ., ოჯახის გაყოფის შემთხვევაში თუ რომელიმე ძმა დაკარგავდა წილს მამაპაპური სამკვიდროდან ან სხვა რაიმე მიზეზით. ამრიგად, ბოგანო თავისი წარმოშობით მკვიდრი გლეხი შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ რადგანაც მას არ გააჩნდა მკვიდრი მამული, იგი სოციალურად უკვე ბოგანო იყო და არა მკვიდრი გლეხი.

ამავე დროს, როგორც „მკვიდრი“ ასევე „მოსული“ ბოგანოები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ნასყიდი, ნამზითვი, ნაბოძები[141] და ა. შ.

ტრადიციულად ბოგანოობა სიღარიბის აღმნიშვნელი ცნება იყო. მაგრამ ბოგანო არ წარმოადგენდა ერთფეროვან მასას.

---

[138] Н. А. Бердзенишвили. Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв) Тб., 1938, с. 9.

[139] დოკ., № 22.

[140] Qd 7179, Gd 7176, Hd 1603 და სხვ.

[141] Hd 1604 1606, 1611 და სხვ.

მათ შორის შეიმჩნეოდა ეკონომიკური უთანასწორობა. ბოგანოების ეკონომიკური სხვადასხვაობა განსაკუთრებით იჩენდა თავს ლაშქრობაში. არსებობდნენ „მოლაშქრე ბოგანოები“, „ისე ბოგანოები“ და „ქვეითი ბოგანოები“[142]. ჩვეულებრივად ბოგანო ფარ-ხმალითა და საფრთე მშვილდით იყო შეიარაღებული და ძირითადად ქვეითები იყვნენ[143]. მაგრამ „მოლაშქრე ბოგანოები“ განსხვავებული პირობებით მონაწილეობდნენ ლაშქრობაში: ცხენითა და თოფით[144], რაც მათი ეკონომიკური კეთილდღეობის მაჩვენებელი იყო.

ბოგანოობის, როგორც კლასობრივი ბრძოლის სახეობის საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად ნ. ბერძენიშვილმა დასვა. მისი სიტყვებით, მონღოლების შემდეგ: „...Производители массами прибегают к последнему средству классовой борьбы в феодальном обществе: делаются «богано» и «хизанами» (беглые).

თუ გავითვალისწინებთ „მოსულ“ ბოგანოთა სიმრავლეს XVII და განსაკუთრებით XVIII ს. I ნახევარში, შეიძლება ითქვას, რომ ბოგანოობაც, ისევე როგორც ნებითმოსულობა თუ თავშეწირულობა, კლასობრივი ბრძოლის ისეთი პასიური ფორმის შემდგომი ეტაპია, როგორიცაა აყრა-გაქცევა.

ქართლში ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანთაგანი მწარმოებელი საზოგადოების მდგომარეობის მოწესრიგება იყო. ასეთი ღონისძიებათაგანი, როგორც უკვე ვთქვით, „მყრელობა“ იყო, როდესაც ქართლის ფეოდალები ცდილობდნენ ქართლიდან აყრილ-გაქცეული ყმა-გლეხები უკან დაებრუნებინათ. რადგან გაქცეული გლეხობა ხალისით აღარ ბრუნდებოდა ძველ მებატონესთან, საჭირო იყო მათი დაინტერესება. ბოგანო საგადასახადო შეღავათებით სარგებლობდა. მთავარი ის იყო, რომ მას როგორც „არაკომლს“ და „უმამულოს“ არ ედებოდა გადაკვეთილი გადასახადი.

„დასტურლამალის“ მიხედვით, ბოგანო ფულად გამოსაღებებს იხდის — საური, მალი, „ყეენის საფეშქაშო ტყვის ჯარჯი“. არ ჩანს,

---

142 დოკ. I, № 257 (1720 წ. ვახტანგ VI-ის დოკუმენტი).

143 იქვე. № 256.

144 ს. ქ ა ქ ა ბ ა ძ ე. საამილახეროს დავთარი მე-17 ს-ის მეორე ნახევრის. ტფ., 1925, გვ. 1, 2, 3.

145 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 9.

რომ მის „სამსახურში“ შედიოდეს შრომითი ან ნატურალური გადასახადი. მაგრამ გარკვეული მოვალეობა — „ბოგანოს კაცის სამსახური“ ბატონის წინაშე მას მაინც აკისრია. თუ რა უნდა ყოფილიყო ეს „სამსახური“, ამაზე პასუხის გაცემა არაპირდაპირი მონაცემებით შეიძლება.

ხალხთა აღწერის დავთრებში მრავლად ვხვდებით მეზვრე და მებაღე ბოგანოებს. გვხვდებიან ისეთი ბოგანოებიც, რომლებიც ამა თუ იმ ხელობას მისდევენ: დალაქები, მჭედლები, კალატოზები, ხუროები, დურგლები, ფეიქრები, მღებავები, მეჩითეები და ა. შ. არიან ისეთი ბოგანოებიც, რომელთა საქმიანობის სპეციფიკა დაკავშირებულია ფეოდალთა სასახლეების მეურნეობასთან: ხაბაზი, მჭარეული, მეყინულე, მეჯორე და ა. შ. უნდა ვიფიქროთ, უმამულო ბოგანოთა არსებობის წყარო ხელოსნობითა და სპეციფიკური საქმის ცოდნით თავის რჩენაა. ხოლო ის გარემოება, რომ ბოგანო მხოლოდ და მხოლოდ ფულის გადამხდელია („დასტურლამალი“) იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ბოგანოს ფულადი შემოსავალი აქვს. ცხადია, უმამულო კაცს ეს შემოსავალი ბაზრიდან ვერ ექნება და რჩება ფულის შოვნის მეორე გზა — ბოგანო აქირავებს ფიზიკურ ძალას. მაგრამ იგი არაა პირადად „თავისუფალი“. ბოგანო ნუსხებში ყოველთვის ამა თუ იმ მებატონის ყმათა შორის წერია.

ბოგანო, როგროც წესი, ნაწილობრივ ან მთლიანად თავისუფლდება, როგორც საბატონო, ასევე სახელმწიფო გამოსაღებებისაგან. ამიტომ ბოგანოობა ერთგვარი თავდაღწევა იყო მძიმე ფეოდალური ექსპლოატაციისაგან. ზოგჯერ გლეხის „მკვიდრობა“ თუ „ბოგანოობა“ ამა თუ იმ ინდივიდზეც იყო დამოკიდებული (გავიხსენოთ ადგილი ერეკლეს ოქმიდან: „თუ უნდოდესთ ბოგანოდ დადგენ“). უნდა ვიფიქროთ, რომ ბოგანოთა სიმრავლე უმეტესად გამოწვეული იყო არა მიწის ნაკლებობით, არამედ ზოგჯერ გლეხთა არჩევითაც. აქ დიდი როლი აუცილებლად ფსიქოლოგიურ ფაქტორსაც ენიჭება. თუ გლეხთა ნაწილი აღზევების გზით ცდილობს შეღავათიანი პირობების მოპოვებას, მეორე ნაწილისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექსპლოატაციის შემსუბუქებას აქვს და სწორედ ბოგანოობა ხდება მძიმე ექსპლოატაციისაგან თავდაღწევის საშუალება.

ზემოთქმულის შემდეგ ვფიქრობთ, რომ ბოგანოს განმარტება და მისი კანონმდებლობაში ფიქსირება გლეხთა დაინტერესებისათვის შეიქმნა საჭირო. „მყრელობის“ შედეგად დაბრუნებულ

გლეხთა გარკვეული ნაწილი ბოგანოს მდგომარეობაში მოინდომებდა მოსვლას, რადგან მის სასარგებლოდ გარკვეული ფისკალური შეღავათები მოქმედებდა. უფრო მეტიც, იყო შემთხვევები, როდესაც მკვიდრი გლეხობა ბოგანოობის სიმულაციასაც მიმართავდა.

ბოგანოობა, როგორც კლასობრივი მოვლენა, თავდაპირველად პერსპექტიულია — ესაა პროტესტი არსებულის წინააღმდეგ. მართალია, იგი პასიურ ბრძოლას აწარმოებს — იყრება, გარბის თავდაცვის მიზნით. ქვეყნის ნორმალური განვითარების პირობებში შესაძლებელი იყო მას მამოძრავებელი ძალის როლიც შეესრულებინა (ქალაქში თავშეფარება და დასაქმება), მაგრამ ჩვენში საწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე და რამდენადაც ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებამ ზოგ შემთხვევაში მახინჯი ფორმები მიიღო, უკვე XVIII ს. მეორე ნახევრისათვის ბოგანოობა პროტესტის ნაცვლად გადაგვარებისა და დაკნინების სინონიმად იქცა.

4. აზატი და თარხანი

ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში აზატი და თარხანი უფლებრივად პრივილეგირებული გლეხები არიან. სპეციალურად აზატ გლეხთა კატეგორიის საკითხი შესწავლილი აქვს ო. სოსელიას[146].

აზატი, ავტორის აზრით, დას. საქართველოში ნაწილობრივ ან მთლიანად საბატონო ვალდებულებებისაგან განთავისუფლებულ გლეხს ეწოდებოდა.

ასევე შეიძლება ითქვას აღმოსავლეთ საქართველოს შესახებაც. აზატი ან თარხანი ეწოდებოდა ისეთ გლეხს, რომელიც დას. საქართველოს გლეხივით განთავისუფლებული იყო საგადასახადო ვალდებულებისაგან.

---

[146] ო. სოსელია. აზატ გლეხთა კატეგორია დასავლეთ საქართველოში (XIX ს. 20-იან წლებამდე) მსკი, ნაკვ. 33, თბ., 1960. მ. ბერძნიშვილს დადგენილი აქვს, რომ XI—XII სს-ში არსებობდა „თავისუფალი“ და „შეუვალი“ შეწირული გლეხები. მისივე თქმით, “„თავისუფლობით“ შეწირულის სინონიმად იხმარებოდა აგრეთვე „აზატი“ და „შეუვალი“ (მ. ბერძნიშვილი, გლეხთა კატეგორიები XI—XII სს., ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტ. შრომები, ტ. V, ნაკვ. I, 1960, გვ. 148). გამოთქმა „აზატი და შეუვალი“ დადასტურებული გვაქვს აგრეთვე ორ XIII ს. ეპიგრაფიკულ ძეგლში (საქართველოს სახელმწ. მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი შედგენილი ა. ბაქრაძისა და ს. ბოლქვაძის მიერ თბ., 1953).

ტერმინი თარხანი, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ქართულმა მონღოლების ბატონობის ხანიდან შეითვისა[147]. როგორც ჩანს, ამავე დროიდან ხდება არაქართული წარმოშობის ტერმინის — აზატის შეცვლა მონღოლური წარმოშობის ტერმინით თარხნით. XV ს-იდან ამ ტერმინმა ქართულში მოქალაქეობრიობა მოიპოვა. XVII—XVIII სს. წყაროებში ორივე ტერმინი მტკიცედაა დამკვიდრებული, მრავალ წყაროთა მიხედვით, ორივე ტერმინი XVII — XVIII სს-ში თითქოს სინონიმებად იხმარება. 1622 წ. თეიმურაზ I-მა წყალობა მისცა ტრედიძეებს. საბუთში ვკითხულობთ: „მოკითხული ვქენით და პირველათაც **აზატი და თარხანი** ყოფილიყავით..“[148]. 1637 წ. როსტომმა თარხნობა მისცა დეკანოზ ათანელს „..ვინც დეკანოზი ყოფილა, მუდამ **თარხანი და აზატნი** ყოფილან“[149]. 1642 წ. რიონ ჯავახიშვილმა გაათარხნა აბანოელი ნასყიდა „...ასე **გაათარხნე** ნათლიღების მესამეს დღეს და **გააზატე**...“[150]. 1647 წ. თეიმურაზ I დათუკა თარხნიშვილს მიმართავდა: „ამას წინადაც **თარხანი და აზატი** იყავით...“[151] 1650 წ. როსტომ მეფემ სითარხნის წიგნი უბოძა ჯვარის მამას „..**ვათარხნეთ** სოფელი დირბი და გავათავისუფლეთ ყოლის სათხოვნისა და გამოსაღებისაგან“. ცოტა ქვემოთ კი იმავე საბუთში წერია: „რასაცა სათხოვარი ჰქუიან მიზგან ყოვლისგან **გვიაზატებია** ქვეყანა დირბი“[152]. XVIII ს. I მეოთხედში იმამყულიხანმა აზატობა განუახლა ალადაშვილებს: „**გათარხნეთ და გააზატეთ** რომ არაფერისთან საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არა გეთხოვებოდესთ რა...“[153]. 1737 წ. ალექსანდრე კახთა მეფემ ქინქლაძეს წიგნი უბოძა: როგორც პაპა ჩვენს ეაზატებინე „ჩვენც იმ რიგათ **გაგვიაზატებიხარ**“. ცოტა ქვემოთ კი ვკითხულობთ: „არაფერი საჩვენო გამოსავალი არა გეთხოვებოდეს რა ასე **გაგვითარხნებიხარ**“[154]. 1789 წ. ერეკლეს ძე ვახტანგი გერგეტელთა შესახებ წერდა: „...საქვეყნოს ლაშქრიდამ და ჯარიდამ **თარხანნი**

---

147 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1941, გვ. 31.
148 Qd 9447.
149 ე. თაყაიშვილი. საქ. სიძვ., II, № 25.
150 საქ. სიძვ., II, № 46.
151 Qd 7235.
152 დოკუმენტები. I, № 45.
153 Qd 1950.
154 დოკ. I. № 559.

ყოფილან, ახლაც ისევ აზატნი უნდა იყვნენ“[155]. 1796 წ. ცისკარიშვილს არზა მიურთმევია ერეკლესათვის: „..ჩემის ბატონიდგან აზატობის წიგნი მაქვს... წყალობას ვითხოვ... იმ აზატობაზედ დაგვამტკიცოთ...“ ერეკლეს არზაზე ოქმი დაუდვია: „ამას ....წიგნიცა აქვს თქვენის სათხოვრისაგან გათარხნებისა“[156]. როგორც ვხედავთ, მრავალ შემთხვევაში დოკუმენტურ მასალებში თარხნობა და აზატობა სინონიმებად იხმარება. ასევე აქვს წარმოდგენილი პაპუნა ორბელიანსაც. იგი მოგვითხრობს, რომ ყვარლის ციხის ალყის გასარღვევად ერეკლემ ბრძანება გამოსცა: „... გლეხს კაცს, კაცზედ ოთხს თუმანს, ორ საკომლო მამულსა და სითარხნეს მივსცემთ“[157]. გამარჯვების შემდეგ, — განაგრძობს პაპუნა თხრობას, — მეფეებმა დანაპირები შეასრულეს და წყალობა გასცესო „რომელსა დაპირებოდენ და აღეთქვა მამული, სახელონი ანუ აზატობანი გლეხთანი და თეთრი ინამად“[158]. როგორც ვხედავთ, აქაც თარხნობა და აზატობა ერთი მნიშვნელობის ცნებებია.

საბას განმარტებით აზატი „სომხურია, თავის უფალს ჰქუან“, ასევე თარხანი „სხვათა ენაა თავისუფალს ჰქუან“.

ვახტანგის სამართლის წიგნში დამოწმებული გვაქვს ცნებები: „აზატი“ და „გათარხნება“. აზატი კანონმდებლობის მიხედვით პირადი თავისუფლების მნიშვნელობითაა ნახმარი. 260 მუხლში ლაპარაკია თავდახსნილი ყმის შესახებ, რომელიც „აზატი არის და აზატნაქმარისაგან კიდევ უფრო აზატი იქნების“. ასეთი ყმის მიმართ პირვანდელ ბატონს აღარავითარი უფლებები აღარა აქვს[159], ე. ი. თავდახსნილი ყმა ამ მუხლის მიხედვით ბატონის მიერ განთავისუფლებულ-გაზატებულ ყმაზე უფრო ნაღდ თავისუფლად ითვლება, რადგან მის განთავისუფლებაზე გამოსასყიდი თანხაა გაღებული (ამ შემთხვევაში „ნასყიდის“ უფლება იჩენს თავს).

კანონმდებლობაში სხვა შემთხვევაშიაც აზატი პირადად თავისუფალის მნიშვნელობითაა ნახმარი. 261 მუხლში, სადაც ლაპარაკია ქალის პირად ქონებაზე და მისი პირადი ქონებით შეძენილ პიროვ-

---

155 თ. ჟორდანია. ქრონიკები. III, თბ., 1967, გვ. 406.

156 საქ. სიძვ. III, № 488.

157 პაპუნა ორბელიანი. ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, ტფ., 1913, გვ. 224.

158 იქვე. გვ. 227.

159 ი. დოლიძე, ქართ. სამართ. ძეგლ. I, გვ. 547—548.

ნებაზე. ქალს სრული უფლება ენიჭება ამ პიროვნების მიმართ. მას შეუძლია „ნაშოვნი“ თუ „ნასყიდი“ პირი მოიმსახუროს, ანდა თუ უნდა „აზატს უზამს“[160], ე. ი. გაათავისუფლებს პირადად.

კანონმდებლობაში „გათარხნება“ მხოლოდ ერთხელაა ნახსენები, სადაც კონტექსტის მიხედვით ეს სიტყვა გადასახადებისაგან გათავისუფლებას ვარაუდობს: „თუ კაცმან სოფელი ან გლეხი თავადისაგან ან აზნაურისაგან სასყიდლად მოინდომოს, ჯელმწიფესაც უნდა დაკითხვა, მაგრამ უკითხავადაც სყიდულა და არც ჯელმწიფე გამოჰკიდებია, ამიტომ რომე, ვინც უნდა იყიდოს, ჯელმწიფეს კოდის პური, ბეგარა, საბალახე, რაც რამ ფერი საჯელმწიფო, ლაშქარ-ნადირობა, — არც ერთი დააკლდება, ყველა უნდა ქნას, თუ ჯელმწიფემ არ გაათარხნა“[161]. ამრიგად, ვახტანგის კანონმდებლობით თითქოს ზღვარია გავლებული აზატსა და თარხანს შორის. აზატი პირადად თავისუფალია, თარხანი გადასახადებისაგან.

ო. სოსელიას გამოკვლევით დას. საქართველოში გააზატება, გათარხნება და განთავისუფლება იდენტური მნიშვნელობის სიტყვებია. მაგრამ ავტორი თვლის, რომ გააზატება მაინც უფრო „აღზევების“ ნიუანსის მატარებელი სიტყვაა, ხოლო გათარხნება არაწოდებრივი ხასიათის მქონე ვალდებულებებისაგან განთავისუფლებას გულისხმობს“. მისივე აზრით, თარხნობაც და აზატობაც ერთ ეკონომიკურ მიზეზს უნდა გამოეწვია[162].

XVII—XVIII სს. მრავალი დოკუმენტი მიგვანიშნებს, რომ აზატობა პირადი თავისუფლების აღსანიშნავი მოვლენაა. 1646 წ. მურაჩაშვილებმა ბატონისაგან თავი დაიხსნეს, ე. ი. მიიღეს პირადი თავისუფლება, რაც აზატობის წიგნით გაფორმდა[163]. ნასყიდა დათუნაშვილი ბეჟოა დათოასშვილის ნასყიდი ყმა იყო. ბეჟოას ნასყიდასათვის აზატობა მიუცია, რაც „თავისუფლებას“ ნიშნავდა — ნასყიდას შეეძლო ნებისმიერად წარემართა თავისი შემდგომი ცხოვრება. იგი 1690 წ. ნებით ყმობია დავით სოლოღაშვილს[164]. 1695—1703 წწ. დედოფალ ანას ესტატე ივანესშვილი დაუხსნია. შემდეგ კი გაუთავისუფლებია: „აზატი უყავით.. ვისთანაც უნდოდეს მივიდეს“ — ვკითხულობთ დოკუმენტში[165]. 1708 წ. საბუთიდან

[160] ი. დოლიძე. ქართ. სამართ. ძეგლ. I. გვ. 549.
[161] იქვე. გვ. 521.
[162] ო. სოსელია. დასახ. ნაშრ., გვ. 188—189.
[163] დოკ. I, № 40.
[164] საქ. სიძვ., II, № 364.
[165] დოკ. I, № 135.

ირკვევა, რომ ჯომარდაანთ მკერავალი დემეტრე და მისი ძმები ალა-ყულაშვილის ნასყიდი ყოფილიყვნენ შემდეგ თავი დაეხსნათ და „თავის ბატონის აზატულობის წიგნი აეღოთ“. რადგან დემეტრე „თავისუფალი“ იყო ნათლისმცემლის მონასტრის ყმობა მოენდომებინა[166]. აზატობის მიღების საინტერესო გზაზე მოგვითხრობს 1721 წ. საბუთი. მეტეხელი ბერია ზაზა აბაშიძის ყმა ყოფილა. ზაზას თვისი ყმისათვის ვენახი გაუყიდია. კათალიკოსს ბატონისათვის სხვა ვენახი გამოურთმევია და ყმისათვის უბოძებია. ბატონს ვენახის მიცემა ვეღარ მოუხერხებია, ყმაზე ხელი აუღია და აზატობის წიგნი უბოძებია[167]. 1749 წ. ვარამ დიასამიძეს ივანე ნასყიდაშვილი გაუაზატებია და სრული თავისუფლება მიუნიჭებია. აზატი გიყავ. დღეის იქით შენთან ხელი აღარა მაქვს საბატონყმოთ არც მე, არც ჩემს შვილს... აზატი მიქნია გამიშვიხარ შენს ნებათ, სადაც გინდა დადეგ...“[168].

ასევე სრული თავისუფლება მიუღია კუმისელ ბატუასშვილს. მას თავი დაუხსნია ზაზა სოლაღაშვილისაგან და აზატობის წიგნი მიუღია. წიგნში აღნიშნული იყო მისი უფლებაც: „ვისაც გინდოდეს ეყმე“[169] ასევე აზატობა მიუღიათ 1752 წ. ქატელ პეტრიას[170], 1783 წ. ენაგელ უსტაშვილს[171], ტატიასშვილს დავითას[172] და სხვა მრავალთ. მაგალითებიდან აშკარაა, რომ აზატობა გლეხისათვის პირად თავისუფლებას ნიშნავდა შემდგომი მოქმედების თავისუფალი არჩევანით. აზატობის მიღების გზები კი სხვადასხვა იყო. ზოგჯერ ამა თუ იმ პირის გაზატება, წინააღმდეგ თავდადებისა და დამსახურებისა, ფიზიკური დაკნინების გამოც ხდებოდა. გვაქვს ცნობა, როდესაც გაუაზატებიათ უსინათლო კაცი[173]. თუ აზატობა პირადად თავისუფლებას ნიშნავდა, ასე არ იყო თარხნობა. თარხანი გადასახადისაგან თავისუფალს ნიშნავდა.

თარხნობა ყმა გლეხის საპატიო, პრივილეგიური მდგომარეობა

---

[166] ისტ. საბ., V, გვ. 18.

[167] დოკ. I, № 267.

[168] დოკ. I, № 480.

[169] ისტ. საბ. V, გვ. 83.

[170] თ. ქორდანია, ქართლ-კახეთის მონასტრ. და ეკლ. ისტ. საბუთები. ფოთი, 1903, გვ. 88.

[171] საქ. სიძვ. II, 1920, გვ. 100.

[172] Sd 809.

[173] Qd 7972.

იყო, რაც გლეხის გადასახადებიდან ნაწილობრივ ან მთლიანად განთავისუფლებას გულისხმობდა. მაგრამ გვაქვს მრავალი შემთხვევა, როდესაც აზატობაც თარხნობის მნიშვნელობით იხმარება. მაგ., 1720 წ. იმამყულიხანს დათუნა ხატიაშვილისათვის საურის „აზატობა“ უბოძებია“[174]. როგორც ვხედავთ, აქ აზატობა გულისხმობდა არა პირად თავისუფლებას, არამედ გარკვეული გამოსაღებისაგან განთავისუფლებას. 1724 წელს კი კონსტანტინე კახთა მეფეს ბოსტაშვილებისათვის განუახლებია აზატობა. აზატობის ამ წიგნით ბოსტაშვილები თავისუფლდებიან ყველა სამეფო გამოსაღებისაგან, ღონდ მათ ვალდებულებად რჩებოდათ ლაშქარ-ნადირობა და კარზე სამსახური[175]. ასეთი ურთიერთობა კი თარხნისათვის იყო დამახასიათებელი.

ზემომოტანილი საბუთები კახურია. ასევე შეიძლებოდა მაგალითების მოტანა დას. საქართველოდანაც (იხ. ო. სოსელიას ნაშრომი), ე. ი. როდესაც აზატი თარხნის შესატყვისად იხმარება. მაგრამ ვფიქრობთ, მკაცრი გამიჯვნა აზატის ხმარებისა თარხნის შესატყვისად მხარეების მიხედვით მაინც არ იქნებოდა მართებული, რამდენადაც მასალა არ იძლევა ამის საფუძველს.

განხილული მასალების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ აზატი ორი მნიშვნელობით იხმარებოდა: 1. აზატი ნიშნავდა პირადად თავისუფალს. 2. აზატის ცნებაში იგულისხმებოდა გადასახადისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლებული პირი[176].

ისტორიულ წყაროებში, როდესაც აზატი თარხნის შესაბამისად არის ხოლმე ნახმარი იგულისხმება აზატის მეორე მნიშვნელობა.

ივ. ჯავახიშვილი სამროვლოს 1715 წ. დავთრის მიხედვით ასკვნიდა, რომ „თარხანს სამსახური სდებია. მოგერეს კი სამსახურის მაგიერ ბეგარა“[177]. ასეთივე აზრისაა ივ. ჯავახიშვილი დას. საქართველოს აზატის შესახებ „პურის ჭამა და ცხენით სამსახური აზატის ყმებრივ მოვალეობას შეადგენდა“ — ასკვნიდა იგი 1578 წ.

---

[174] Qd 772.

[175] დოკ. I, № 548.

[176] ა. ფანცხავას აზრით, აზატს ერთი მნიშვნელობა აქვს. იგი თავდახსნილი ან სხვა მიზეზით განთავისუფლებული გლეხია, ხოლო თარხანი—ზოგიერთ მოვალეობა გადასახადისაგან. А. Пацхава. Очерки аграрной истории феодальной Картли-Кахети конца XVIII века. Тб., 1965, с. 117. აქვე ავტორი არ იზიარებს ს. ავალიანის და ო. სოსელიას მოსაზრებებს, რომ აზატი და თარხანი ერთი და იგივეა.

[177] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკ. ისტორია. I, გვ. 13.

ქუთაისის საყდრის გამოსავლის ბეგარის დავთარზე დაკვირვების შედეგად[178].

თარხნები უფლებრივად პრივილეგირებული გლეხები იყვნენ, რომლებიც გარკვეული საგადასახადო შეუვალობით სარგებლობდნენ, რაც ფეოდალური კლასისათვის საზიანოც იყო ეკონომიკური თვალსაზრისით. XVIII ს. დასაწყისისათვის ქართლში თარხანთა საკმაოდ დიდი პროცენტია. მაგ., „დასტურლამალის“ მიხედვით, საამილახვროში კოდისპურის თარხანია 49,3%, ქსნის საერისთავოში 36%, მუხრანში 40%, სომხითში 20%. საშუალო დაანგარიშებით ქართლში კოდისპურის თარხანია 31% (დაანგარიშება შეიძლება მეტ-ნაკლები სიზუსტით გვქონდეს. — დ. მ.). მართალია, ეს რიცხვები ეხება სამეფო გადასახადის — კოდისპურისაგან გათარხნებას, მაგრამ სხვა საგადასახადო ნუსხებზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ თარხანობა საკმაოდ გავრცელებული და ფესვგადგმული მოვლენა იყო XVII—XVIII სს. საქართველოში.

თარხნობა, მართალია, უფლებრივ პრივილეგიას ანიჭებდა გლეხს, მაგრამ მისი გადასახადის ხარისხი სხვადასხვა იყო, რაც დამოკიდებული იყო თარხნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამის საილუსტრაციოდ თუნდაც საყაფლანიშვილოს ძღვნისა და სამასპინძლოს გარიგების დავთარი შეიძლება დავასახელოთ, სადაც თითოეული სოფლის თითოეული თარხნისათვის ზუსტადაა გადაკვეთილი გამოსაღები იმისდა მიხედვით თუ რა მიწის ნაკვეთის მფლობელია ესა თუ ის თარხანი — მთელი, ნახევარი თუ ამაზე ნაკლები საკომლოსი. თარხანთა გადასახადი ძღვენი და სამასპინძლო იყო. მთელი საკომლო სამასპინძლოდ იხდიდა: ორ ცხვარს, სამ კოდ პურს, სამ კოდ ქერს, ათ სტილ ერბოს, ერთ ლიტრა მარილს, ორ ქათამს, ორ თხას, ერთ საპალნე ღვინოს და სხვ.

გარდა ამისა, სოფელს ევალებოდა დიდი რაოდენობის პროდუქტით საშობაო ძღვენის გადახდაც[179].

გ. ძიძიგური, რომელმაც შეუდარა „კაი კვამლის“ კულუხის რაოდენობა და თარხნის სამასპინძლოდ გამოსაღები ღვინისა ერთმანეთს, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „თარხნის შეღავათი ამ მხრივ

---

[178] ივ. ჯავახიშვილი. საქ. ეკ. ისტ., I, გვ. 75.

[179] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, II, გვ. 56—82.

მხოლოდ ღვინის გადასახადის მოკრძალებულ სახელწოდებაში („სათხოვარი", „სამასპინძლო") ვლინდება"[180].

თარხნის უფლებრივი უპირატესობა არ იყო დამოკიდებული მის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე. ბევრ შემთხვევაში თარხნები საგრძნობი გადასახადებით იყვნენ დატვირთულნი, ზოგჯერ მათი მოვალეობა ფეოდალთან ლაშქარ-ნადირობა და კარზე სამსახური იყო.

1634 წ. როსტომ მეფემ მერაბ ყორღანაშვილის გლეხები გაათარხნა — ყველა სათხოვრისა და გამოსაღებისაგან მხოლოდ წელიწადში ერთხელ, დიდგორზე სამასპინძლოს მირთმევა დაევალათ და ლაშქარ-ნადირობა[181]. 1747 წ. გათარხნებულ დათუკა თარიშვილს მხოლოდ ლაშქარ-ნადირობა და კარზე სამსახური ევალებოდა[182]. 1679 წ. გათარხნებულ შეშაბერიძეებს კი „კარზედ სამსახურის" მეტი არაფერი ეთხოვებოდა[183]. 1692 წ. ჯავახიშვილების გათარხნებულ გლეხებს საური, სამეკობროსმძიებლო და ლაშქარ-ნადირობა ევალებოდათ[184]. 1706 წ. ინდო გაბაშვილის გათარხნებულ ყმებს ლაშქარ-ნადირობა და საური[185]. 1725 წ. გათარხნებულ ბერ ცქიმანაურსა, 1754 წ. გათარხნებულ ზაქარია ბიჭიკაშვილს, 1775 წ. გათარხნებულ დრეიძეებს მხოლოდ „მსახურობა", „მსახური" და „მსახურად სამსახური" ევალებოდათ[186].

საკმაოდ გასაზიარებელია გ. ჯამბურიას მოსაზრება, რომ „აზატი და თარხანი ხშირად იხმარება მებეგრე-მოყალნისა და მოჯანალის საპირისპიროდ და შინაარსით მსახურს ემთხვევა"[187]. როგორც დავინახეთ, ჩვენ მიერ მოტანილი საილუსტრაციო მასალა ამ დაკვირვებას ამაგრებს.

თუ გათარხნებულთა ნაწილი ძველ ბატონთან ურთიერთობას არ წყვეტს, ნაწილი შეწირული — საეკლესიო ყმები ხდებოდნენ. შეწირვა ხდებოდა გათარხნებული ან ნასყიდი პირისა. ბატონის მიერ გათარხნებული და შეწირული გლეხები უკვე ეკლესიისადმი ვალდე-

---

180 გ. ძ ი ძ ი გ უ რ ი. ფეოდალური რენტის საკითხისათვის XVIII ს. აღმოსავლეთ საქართველოში. საისტორიო კრებული, თბ., 1976, გვ. 316.

181 დოკ. I, № 30.

182 Qd 7235.

183 დოკ. I, 92.

184 Hd 4142 (3).

185 საქ. სიძვ., III, № 172.

186 Qd 1466; სსცა, ფ. 1448, № 5710; Qd 6911.

187 საქართველოს ისტორიის ნარკვევები. IV 1 თბ., 1973, გვ. 190.

ბულები ხდებოდნენ. ასეთ გლეხთა ვალდებულება-გამოსაღები საგრძნობლად შეღავათიანი იყო. შეწირულ გლეხს ეკლესიაში სანთელ-საკმევლისა და საკანდელე ზეთის მიტანა ევალება, ზოგჯერ სააღაპე სურსათისაც (პური, ღვინო, თევზი და ა. შ.), რაც თავისი შინაარსით გათარხნებული გლეხის გადასახადს — სამასპინძლოსა თუ ძღვენს მოგვაგონებს.

შეწირული გლეხის ვალდებულებაც ეკლესიის მიმართ „სამსახურად“ და „მსახურობად“ არის ხოლმე დოკუმენტებში კვალიფიცირებული.

როგორც დავინახეთ, გათარხნებულ გლეხს შეიძლებოდა სხვადასხვა ვალდებულება-გამოსაღები ჰქონოდა — მძიმედ დაბეგრილი გლეხის ვალდებულება-გამოსაღებიდან უმსუბუქეს ვალდებულება-გამოსაღებამდე. მაგრამ ორივე შემთხვევაში გათარხნებულ გლეხს პრივილეგიური მდგომარეობა ჰქონდა საზოგადოებაში.

ეკონომიკური თვალსაზრისით (გადასახადებისაგან განთავისუფლებული გლეხები) ეს გლეხები შეიძლება „არამომგებიანიც“ არიან. სამაგიეროდ, ფეოდალური კლასისათვის სოციალურ საყრდენს წარმოადგენენ, რამდენადაც მათი ძირითადი მოვალეობა ბატონის ხლება, მისი დაცვა და მასთან ლაშქრობა იყო.

თარხნობა-მსახურობის მისაღწევად გლეხობის ერთი ნაწილი შეუნელებელ ბრძოლას აწარმოებს. ბრძოლას არა მხოლოდ უკეთესი ეკონომიკური მდგომარეობის მისაღწევად (გადასახადებისაგან განთავისუფლება), არამედ გარკვეული სოციალური წარმატებისათვისაც მოძმეთა შორის. ბრძოლა სავსებით მშვიდობიან და გარეგნულად უწყინარ სამოსელშია გახვეული. იგი სხვადასხვა სახით წარმოებს. ერთ-ერთი საშუალება თავდახსნა-აზატობისათვის ქრთამი იყო. ო. სოსელიას თავის წერილში საილუსტრაციოდ სათანადო მასალაც აქვს მოტანილი[188]. ქრთამის გამღები გლეხები უეჭველად ეკონომიკურად ღონიერები უნდა ყოფილიყვნენ. ქრთამი ფაქტიურად იგივე თავდაზახსნელი სახსარი იყო სხვა სახელწოდებას ამოფარებული. სავსებით სწორად შენიშნავს ო. სოსელია, რომ „ყმის მიერ გაღებული „ქრთამი“ იმ ვალდებულების ან ვალდებულების იმ ნაწილის ღირებულებაა, რომელსაც ყმა ყიდულობს ბატონისაგან და რომლისაგანაც ბატონი ხელს იღებს ყმის გაზატების შემთხვევაში[189].

---

[188] ო. სოსელია. დასახ. ნაშრ., გგ. 186—188.

[189] იქვე, გვ. 187.

იყო დაწინაურების სხვა გზაც. ეს იყო ბატონის წინაშე პირადი დამსახურება. 1969 წ. ნაზარალიხანმა ახალქალაქელი კაცი გაათარხნა, რადგანაც უკანასკნელი მეფეს თან ეახლა და ერთგულად ემსახურა თბილისში „ბედნიერის ყეენის ციხეში“ შესვლისას[190]. 1705 წ. დომენტი კათალიკოსმა გაათარხნა მისი ნასყიდი წინწყაროელი მარქარა. მარქარას შვილები კარგი ხელოსნები ყოფილან (დურგალი, მჭედელი და ჭონი). დომენტი აცხადებს: „ეს მოხელენი ვათარხნე, რომე ჩვენს საქმეს ესენი უკელფასოდ გააკეთებდნენ“[191]. 1737 წ. თეიმურაზ II აზატობა უბოძა სახასო ანაგელ შერმაზანას, რომელიც „ყეენის“ კარზე ერეკლე ბატონიშვილს ხლებია[192]. „პატიოსანი მღუდელი პავლე“ კი იმიტომ გაუთარხნებიათ, რომ „დავით გარეჯის მონასტერს თუ ეს არ დასწრებოდა სულ ააოხრებდნენ ლეკები“[193]. საინტერესო საბუთს წარმოადგენს 1799 წ. დარეჯან დედოფლის გაცემული სითარხნის წიგნი წინწყაროელ მარტიროზასადმი. ნადირ შაჰს ტყვეები მოუთხოვია. წინწყაროს ერთი ტყვე უნდა გაეღო. სოფელმა მარტიროზას ბიძაშვილი ზურაბა მისცა. შემდეგ ქალები მოუთხოვიათ. ეხლა მარტიროზას და ანა მიუცია სოფელს. ანა ნადირ შაჰთან გაუსტუმრებიათ. ქალიშვილს მამაც თან წაყოლია. ეს დრამატული ისტორია ტრაგიკულად დამთავრებულა — სამიდან უკან არც ერთი არ დაბრუნებულა. და აი ამ უმძიმესი დანაკლისის ფასად მარტიროზას სითარხნისა და აზატობის წიგნი მიუღია[194]. როგორც ვხედავთ, გლეხს საკმაოდ მძიმე გზა უნდა გაევლო პრივილეგიური მდგომარეობის — თარხნობა-მსახურობის მისაღწევად. გლეხი თუ ამ მონაპოვრით თავის უფლებრივი მხარის განმტკიცებას ცდილობდა, ფეოდალთა ხელში ასეთი გლეხები მძიმედ დაბეგრილი, დაბეჩავებული გლეხობის საპირისპიროდ, დასაყრდენს წარმოადგენდნენ. თარხნობა-აზატობით მფლობელთა კლასი ხელს უწყობდა გლეხობის ერთგვაროვანობის გათიშვას. გლეხობის კლასის შიგნით იქმნება სხვადასხვა ინტერესთა მქონე, მეტ-ნაკლებად დაბეჩავებული თუ პრივილეგიური ჯგუფები. ცხადია, ასეთ გლეხებს, მიუხედავად მათი კლასობრივი ერთიანობისა, სხვადასხვა ინტერესები აქვთ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავ-

---

[190] საქ. სიძვ., II, № 387.
[191] იქვე. № 169.
[192] Qd 23.
[193] Hd 1040.
[194] Sd 1232.

და ახალი განვითარების საფუძველზე გლეხთა სოციალურ დიფერენციაციას.

5. თავისუფალი

„თავისუფალი“ XVII—XVIII სს-ში ეწოდებოდა პრაქტიკულად უბატონო გლეხს. ეს იყო გლეხის განსაკუთრებული მდგომარეობა. თავისუფლების მოსაპოვებლად ორი გზა არსებობდა: მშვიდობიანი — ბატონთან შეთანხმებით ქრთამისა და თავის გამოსასყიდის გადახდით სრული თავდახსნა, ან ბატონის წინაშე რაიმე პირადი დამსახურებით თავისუფლების მოპოვება. მეორე გზა უფრო რთული იყო. იგი გლეხისაგან ათასგვარ სირთულეთა დაძლევას მოითხოვდა (თუმცა მთლად მარტივი არც პირველი გზა იყო), არც უფათერაკო იყო და გარკვეულ რისკსა და გამბედაობასთანაც იყო დაკავშირებული. ეს იყო გლეხის მიერ ბატონის სურვილის წინააღმდეგ ბრძოლით — აყრა-გაქცევით მოპოვებული თავისუფლება. ორივე შემთხვევაში მოპოვებული თავისუფლება მწვავე კლასობრივი ბრძოლის შედეგი იყო. თუ მშვიდობიანი გზით მოპოვებული თავისუფლება ქართული ფეოდალური კანონმდებლობით აღიარებული ნორმა იყო, ბრძოლით მოპოვებული თავისუფლება (გლეხის აყრა-გაქცევა თუ რაიმე სხვა მოტივით ძველი ბატონისაგან თავის განრიდება) კანონმდებლობით იზღუდებოდა. ბატონს უფლება ეძლეოდა ეძებნა თავისი ყმა (თუმცა ეს შეზღუდვაც საზღვარდებული იყო 6,12 და 30 წლით).

ვახტანგის კანონმდებლობა აღიარებს ყმის თავდახსნას: „პატრონმან რომ თავის მკუიდრს ყმას, ან ნასყიდსა, თავი დააჴსნევინოს და მართლის მოწმეებით წიგნი მისცეს, და იმ კაცს წიგნი ჴელით ეჭიროს, ის ყმა აზატი არის და აზატნაქნარისაგან კიდევ უფრო აზატი იქნების და, აღარა ჴელი აქვს მის პირველს პატრონს მასთან“[195]. კანონმდებლობას თავდახსნილი ჩვეულებრივი აზატისაგან განსხვავებულად ჰყავს წარმოდგენილი და ამიტომაც აღნიშნავს „აზატნაქნარისაგან“ კიდევ უფრო აზატი“ არისო. თუმცა მისთვის უცხო არაა არც „თავდაჴსნილი კაცი“. კანონმდებლობა აღიარებს ასეთი პირის პირად თავისუფლებას. მას უფლება აქვს უბატონოდ არსებობისა ან სურვილისამებრ ახალი ბატონის არჩევანისა.

---

[195] ი. დ ო ლ ი ძ ე. ქართ. სამართ. ძეგლ., I, გვ. 547—548.

„თუ ეს თავდაჯსნილი კაცი თავისთვის არის და არავის ყმობია, და მას უკან, რასაც მოინდომებს, და ვისმე ეყმობა, იმ კაცთან არავის ჭელი არა აქუს, ვისაც ყმობა უნდა, იმას ეყმობა“[196]. ასეთი გლეხი უმიწოდ განთავისუფლებული გლეხი იყო.

ო. სოსელიას აღნიშნული აქვს, რომ „გლეხის უმამულოდ თავდახსნა-გააზატება იყო ბატონის პირადი დამოკიდებულებისაგან, ან უკეთ, გარეშე ეკონომიკური იძულებისაგან განთავისუფლება... თავდახსნილ-გააზატებულ გლეხს უფლება ჰქონდა, სადაც ენება, ან „საცა ერჩომინებოდა“, იქ ეცხოვრა..“[197] ო. სოსელიას აზრით, „თავდახსნილ-განთავისუფლებულ გლეხს, კანონი ბატონისაგან წასვლის უფლებას აძლევდა; ამიტომ ცდილობდნენ გლეხები თავდახსნა-გააზატებას“[198], რაც სავსებით მისაღები მოსაზრებაა.

ს. სკაჯკინი დას. ევროპის გლეხობის მაგალითზე შენიშნავდა, რომ გლეხთა „განთავისუფლება (იგულისხმება „თავდახსნა“. — დ. მ.) ხელსაყრელი იყო სენიორისათვის რამდენადაც იგი დიდ თანხას ღებულობს ერთბაშად. ფაქტიურად ეს იყო ფეოდალური რენტის გაზრდა, უმეტესად ფულადი სახით. მაგრამ თავის გამოსყიდვას გლეხების მხოლოდ მცირე პროცენტი ახერხებდა[199].

ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან აშკარად ჩანს, რომ შუა XVII—XVIII სს. მანძილზე გვაქვს შემთხვევები ქვეყნად თავისუფალთა არსებობისა.

წყაროებით ხშირად გვიძნელდება თავდახსნის პირობების დადგენა, მაგრამ თავდახსნის შემთხვევები არცთუ იშვიათია. 1703 წ. თავი დაუხსნია ნასყიდ ყმას გერგიძე იენაშვილ სეხნიას[200]. 1737 წ. პაპა პაპუნასშვილი წერდა „თვალმცისშვილს (sic) ყმა ვიყავ. ჩვენ ბატონყმობა აღარ მოგვიჯდა. ავდეგ და თავი დავიხსენ“[201]. 1749 წ. საქუაშვილებს თავი დაუხსნიათ სოლოღაშვილებისაგან[202]. 1750 წ. მუედლიძეებს თავი დაუხსნიათ დიასამიძეებისაგან[203]. 1757 წ. თავი დაუხსნიათ ედიშერ თუმანიშვილის ყმებს

196 იქვე, გვ. 548.

197 ო. სოსელია. აზატ გლეხთა კატეგორია დასავლეთ საქართველოში XIX ს. 20-იან წლებამდე), მსკი, ნაკვ. 33, თბ., 1960, გვ. 196.

198 იქვე. გვ. 197.

199 ს. სკაჯკინის დასახ. ნაშრ., გვ. 213.

200 საქ. სიძვ., II, № 160.

201 ისტ. საბ. V, გვ. 51.

202 ისტ. საბ. V, გვ. 70.

203 თ. ეორდანია. ქართლ-კახეთის ძონასტ. და ეკლ. ისტ. საბ., ფოთი, 1903, გვ. 101.

კაციაშვილებს[204]. 1765 წ. ბოვნისელ ყარანგოზაშვილებს თავი დაუხსნიათ ასლანიშვილებისაგან[205], 1768 წ. თავი დაუხსნია მღვდელ გიორგის თავის ბატონისაგან[206] და ა. შ.

ზოგიერთ შემთხვევაში ირკვევა, რომ თავდახსნა უმიწოდ ხდებოდა. 1736 წ. იასე სოლაღაშვილმა თავი დაახსნევინა თავის ყმას ოქრუა ამილბარასშვილს „...ჩემს მამულიდამ ხელი აგაღებინე ნასყიდიდამცა, უსყიდიდამცა. მამულს გარდა თავიც დაგვახსნევინე..“[207] ასევე უმიწოდ დაუხსნია თავი ბაღდასარა მელქოასშვილს „რადგან შენ შენის ნასყიდისა და უსყიდის მამულისაგან კელი აიღე და ჩვენი გული შეიჯერე, ჩვენც შენგან კელი ავიღევით და თავი დაგახსნევინეთ, რითაც ჩვენ გული შეგჯერდებოდა...“[208] — წერდა 1736 წ. მისი ბატონი ელიზბარ სოლაღაშვილი.

როგორც ვხედავთ, თავისუფლების ერთ-ერთი გზა თავდახსნა იყო. გლეხს თავისუფლებას ანიჭებდა 1765 წ. ერეკლესეული კანონიც ტყვეობიდან დაბრუნებულის თავისუფლების შესახებ[209]. ეს კანონი ხანგრძლივად მოქმედი იყო და მისი გამოცემიდან 20—30 წლის შემდეგაც ძალაში რჩებოდა. 1772 წ. ტყვეობიდან მოსული ავჭალელი ჯაბიაშვილი ირწმუნებოდა, რომ იმ წიგნს უკან ვარ ტყვეობიდან (დაღესტნიდან) მოსული როცა თქვენი წიგნი გამოვიდა. ტყვეთათვისაო[210] (იგულისხმება 1765 წ. კანონი).

1777 წ. ავლაბრელი კენჩხაძის შვილი გურგენა წერდა: „ჩემს ტყვეობაში (იგი ყირიმს გაიტაცეს ლეკებმა — დ. მ.) ამბავი მოვიდა ყოვლის საქართველოს მეფემ ირაკლი მეორემ ეს განწესება დადვაო, ვინც ტყვეობიდამ მოვიდეს თავისუფალი იყოსო...“[211].

1782 წ. ხვთისა თათარიშვილს არზა მიურთმევია მეფის ძის გიორგისათვის. ხვთისა თორმეტი წელი ტყვეობაში ყოფილა. იქიდან დაბრუნებულს დავით ამილახვრისშვილი (ძველი ბატონი) წამოსჩივლებია. ღვთისას ერეკლეს კანონი მოუშველიებია: „ბატონის მამითქვენის ბრძანებაც არის ტყვესთან საქმე არვის აქვს ყველგან

---

[204] სსცა. ფ. 229, დავთ. 46, ფ. 192.

[205] საქ. სიძვ. III. № 507.

[206] სსცა. ფ. 1448, № 4642.

[207] დოკ. I № 361.

[208] დოკ. I, № 365.

[209] ი. დ ო ლ ი ძ ე. ქართ. სამართლ. ძეგლ. IV, თბ., 1972, გვ. 513.

[210] საქ. სიძვ. III, № 520.

[211] ისტ. საბ. V, გვ. 91.

თავისუფლათ არის მეც ერთის ოქმის წყალობა მიყავით“[212] მეფის ძეს გიორგის არზაზე წაუწერია: „შენ რადგან ტყვეობიდან მოსულხარ... ბატონის მამის ჩვენის განწესება ასე არის შენ თავისუფალი ხარ შენთან არავის საქმე არა აქვს“.

იყო შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის პირი ყმის თავისუფლებას ღვთის წინაშე „სულის საოხად“ სამადლო საქმედ მიიჩნევდა. 1772 წ. თევდორე დათუნა ბლიაძის შვილი წერდა: „ბატონმა ჩემმა შიომ მე ობოლი და პატარა გამზარდა და თავისის სიკუდილის დღეს თავისი სულის გამოსაჯსნელად აზატი მყო და განმათავისუფლა... და მითხრა: მე განმითავისუფლებიხარ მოდავე არავინ გყავსო...“

თავისუფლებად — უბატონოებად ითვლებოდნენ შორეული ქვეყნიდან თუ მხარიდან შემოხიზნული უცხო ტომის პირებიც[213]. 1794 წ. თამაზა გიორგის შვილი სულხან თუმანიშვილს მოახსენებდა: „მე უცხოს ქვეყნიდამ მოსული და უბატონო კაცი ვიყავი“[214].

როგორც ვხედავთ, თავისუფლების მისაღწევად სხვადასხვა გზები არსებობდა და არსებობდნენ პრაქტიკულად პირადად თავისუფლებიც — აყრილ-გაქცეული გლეხები, რომლებმაც თავი დააღწიეს ძველ ბატონს და ახალი მდგომარეობის გარკვევა-განმტკიცებამდე თავისუფლები — უბატონონი იყვნენ.

მაგრამ რამდენად პერსპექტიული იყო ასეთი თავისუფლება?

ლაპარაკობს რა 1765 წ. ტყვეყოფილთა ერეკლესეულ კანონზე ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა: „ტყვე-ყოფილი თავისუფალი იყო, მაგრამ ფეოდალურ ქვეყანაში გლეხის თავისუფლება არ შეიძლებოდა: მიწა მებატონისა იყო და „თავისუფალი“ ტყვე-ყოფილიც ვინმეს უნდა მისვლოდა, ასე თუ ისე უნდა ყმობოდა. რა თქმა უნდა, გლეხი იმ მებატონეს ეყმობოდა, ვისგანაც უფრო მეტ შეღავათიან პირობებს მიიღებდა და ვისაც უფრო ენდობოდა. ასეთები ჩანდნენ მეფე და ეკლესია და ტყვე-ყოფილებიც უმთავრესად ამათთან მიდიოდნენ. ასე რომ თავადებს. აზნაურებს, ყმების რბევა-მძარცველო-

---

[212] სსცა, ფ. 1448, № 749.

[213] აქ. კაცაძემ შეისწავლა საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის საკითხები აკად. ნ. ბერძენიშვილის შრომებში. წერილში იგი სპეციალურად ჩერდება მიგრაციის— უცხო ტომთა საქართველოში შემოსახლების საკითხზე და მოაქვს სათანადო მასალა ნ. ბერძენიშვილის ნაშრომებიდან, სადაც ლაპარაკია უცხო ტომთა კომპაქტურ შემოსვლა-დასახლებაზე (ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ, 1976, გვ. 51—52), მაგრამ ჩვენ ყურადღებას ცალკეულ შემთხვევებზე ვამახვილებთ.

[214] Qd 3037რი (პ).

ბით განსაკუთრებულ განთქმულებს, გლეხები უმცირდებოდათ და მეფეს, ეკლესიას უმრავლდებოდათ. ამრიგად, ეს კანონი რამდენადმე მებატონეთა აღვირახსნილობის ალაგმვის საშუალებაც იყო"[215].

ნ. ბერძენიშვილის ამ დებულების გავრცელება ყველა თავისუფალზე შეიძლება. იშვიათი იყო შემთხვევა, როდესაც განთავისუფლების დოკუმენტს დართული არ ჰქონდა გამოთქმა: თავისუფალი ხარ, მაგრამ „ვისაც გინდა ეყმობი". ეს გამოთქმა იმდენად დამკვიდრებულია იურიდიულ ურთიერთობაში, რომ იგი განთავისუფლების წიგნებისათვის კლაუზულად იქცა. ერეკლეს მიერ 1765 წ. გამოცემულ ბრძანებას დაბრუნებულ ტყვეთა თავისუფლების შესახებ დართული ჰქონია: „რომელიც ტყვე მოვიდეს, ძველს პატრონს კელი აღარ აქვს, თავისუფალია, ვ ი ს ა ც უ ნ დ ა ი მ ა ს ე ყ მ ო ბ ა".

ეს გამოთქმა საყოველთაოდ იყო გავრცელებული და მრავალ დოკუმენტში ვხვდებით კიდეც. მაგ., 1772 წ. საბუთში ტყვეობიდან დაბრუნებულის შესახებ წერია: „ვ ი ს თ ა ნ ა ც მ ი ვ ა ი მ ი ს ი ყ მ ა ი ქ ნ ე ბ ა"[216] 1777 წ. საბუთში ვკითხულობთ: „მეფემ ირაკლი მეორემ ეს განწესება დადვა, ვინც ტყვეობიდამ მოვიდეს თავისუფალი იყოს, ვ ი ს ა ც უ ნ დ ო დ ე ს ი მ ა ს ე ყ მ ო ს"[217]. თავისუფალის მიერ ახალი სამყოფელისა და ახალი ბატონის არჩევის უფლება 1765 წლამდეც იყო დამკვიდრებული ცხოვრებაში. 1736 წ. თავისუფლების საბუთში ვკითხულობთ: „ს ა ც ა გ ი ნ დ ა ი ქ წადი და საცა გერჩომილებოდეს, იქ დარჩი"[218] ამავე წლის ტაბახმელელ ბაღდასარა საქუაშვილის თავდახსნილობის წიგნში ვკითხულობთ: „ვისთანაც გინდოდეს, მიდი, ეყმევ"[219]. „თავისუფლების" დოკუმენტებში ასეთი გამოთქმის დამკვიდრება იმის მომასწავებელი იყო, რომ მოპოვებული თავისუფლება დროებითი იყო, მას დიდი ხნით არსებობა არ ეწერა. მართლაც, ჩვენ გვაქვს მრავალი ფაქტი თავისუფალთა ხელახალი დაყმევებისა. მაგ., 1772 წ. განთავისუფლებულ თევდორე დათუნა ბლიაძის შვილს თავი თბილისის სიონისათვის შეუწირავს[220]. 1794 წ. უცხო ქვეყნიდან მოსულ „უბატონო" თამაზა

[215] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. საქართველო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, 1973, გვ. 407.

[216] საქ. სიძვ., III, 520.

[217] ისტ. საბ. V, გვ. 91.

[218] დოკ. I, № 361.

[219] იქვე, № 365.

[220] ისტ. საბ. V, გვ. 82.

გიორგის შვილს ბატონად სულხან თუმანიშვილი აურჩევია: „თქვენ საფარველს ქვეშ ყოფნა მოვინდომე და ჩემის ნება-ყოფით თქვენ გეყმე“ — წერდა იგი ბატონყმობის წიგნში[221].

საქართველოში თავისუფალ გლეხთა ფენის საკითხს სპეციალური სტატია უძღვნა მ. დუმბაძემ[222]. ავტორის ძირითადი დებულებაა, რომ XVIII ს. მეორე ნახევრიდან საქართველოში იზრდება თავისუფალ მიწისმფლობელ და მოიჯარე გლეხთა რიცხვი. ავტორი სწორად შენიშნავს, რომ ასეთ გლეხთა საგრძნობი ნაწილი, რადგან ვერ ახერხებდა პირადი თავისუფლების შენარჩუნებას, ისევ სამკვიდრო ყმათა რიგში ექცეოდა.

ამ წერილში ავტორი თარხნობასა და აზატობას აიგივებს ბატონყმობისაგან განთავისუფლებასთან. მას მოაქვს ამონაწერი პ. უნა ორბელიანის მონათხრობიდან, რომ ყვარლის ციხის მოიერიშეებს მეფეები დაპირდნენ „კაცზე ოთხს თუმანს, ორს საკომლო მამულსა და სითარხნეს“ და შემდეგ ასკვნის „როგორც ვხედავთ, ქართლ-კახეთის მეფეები იძულებული გამხდარან მოხალისე გმირთათვის ბატონყმობისაგან განთავისუფლების პირობა მიეცათ“[223]. ავტორს მოაქვს აზატობისა და თარხნობის სხვა დოკუმენტებიც და წერს, რომ „აღნიშნული და მისთანა გლეხები ეთიშებოდნენ ბატონყმურ ურთიერთობას და დამოუკიდებელი მეურნეობის გზაზე გამოდიოდნენ“[224].

გვინდა შევნიშნოთ, რომ საჯილდოოდ მიღებული საკომლოები, რომლებიც ყვარლის ციხის ალყის მოიერიშე გლეხებმა მიიღეს, არ იყო გლეხის საკუთრება და არც გათარხნებული-გაზატებული გლეხები იყვნენ სრული თავისუფლები.

საკომლო ფეოდალის (მეფის, ბატონის, ეკლესიის) მიწა იყო, რომელიც უვადოდ ეძლეოდა გლეხს. იგი ამავე დროს ფისკალური ერთეული იყო და გადასახად-გამოსაღებებიც ბატონის წინაშე საკომლოსთან იყო დაკავშირებული. ამდენად, საკომლოს ბოძება ბატონყმობის უღლისაგან განთავისუფლებას არ ნიშნავდა, პირიქით, საკომლოს მიმღები გლეხი დამოკიდებული ხდებოდა იმ პირზე, ვისი მიწების ფონდიდანაც გლეხის საკომლო გამოიყოფოდა (ყვარლის

---

[221] Qd 3037 რო (ა).

[222] მ. დ უ მ ბ ა ძ ე. თავისუფალ გლეხთა ფენის საკითხისათვის XVIII საუკუნის საქართველოში. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966. ამ სტატიაში მოცემული ძირითადი დებულებები ავტორმა გაიმეორა 1973 წ. საქართველოს ისტორიის ნარკვევებში. ტ. IV.

[223] მ. დ უ მ ბ ა ძ ე. დასახ. ნაშრ. გვ. 392.

[224] იქვე. გვ. 395.

ციხის ალყის მოიერიშეებმა საკომლოები მეფის მიწებიდან მიიღეს —ზოგჯერ ბეითალმანი მამულებიც).

თარხან-აზატობაც არ ნიშნავდა გლეხის სრულ თავისუფლებას. გათარხნებულ-გააზატებული გლეხი თავისუფლდებოდა მთლიანად არ ნაწილობრივ გადასახადებისაგან, მაგრამ პირადად მაინც დამოკიდებული იყვნენ ფეოდალზე. ძველი გლეხების ძირითადი ვალდებულება ლაშქარ-ნადირობა, კარზე სამსახური თუ აღაპის გადახდა და სანთელ-საკმეველისა და საკანდელე ზეთის ეკლესიაში მიტანა იყო.

საკომლოზე დასმული გათარხნებულ-გააზატებული გლეხი, რომელიც საგადასახადო იმუნიტეტით სარგებლობდა, არ იყო პირადად თავისუფალი. მას არ შეეძლო ბატონის ნებართვის გარეშე სხვაგან წასვლა. ამიტომ არ შეიძლება მათი მოთავსება თავისუფალ გლეხთა ფენაში. თავისუფალი თავისი უფლებრივი მდგომარეობით პრინციპულად განსხვავდება თარხან-აზატისაგან (თავისუფალი პირადად თავისუფალია, თარხან-აზატი არა). ამიტომ მათ შორის მკაცრი ზღვარია დადებული.

XVIII ს. საქართველოში (ისევე, როგორც ადრე საუკუნეებში) „თავისუფალი ფენა“ მართლაც არსებობს, მაგრამ იგი არასტაბილური წარმონაქმნია (ერთნი თავისუფლდებიან, მეორენი ხელახლა დაუმეცებას განიცდიან). თავისუფლება არც მემკვიდრეობითია. მრავალრიცხოვანი დოკუმენტების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ თავისუფლება ამა თუ იმ პირისათვის არ შეიძლება ხანგრძლივი იყოს. თითქმის არ შეგხვედრია შემთხვევა, როდესაც „თავისუფალის“ მემკვიდრეებიც „თავისუფლები“ იყვნენ. „თავისუფალი“ პრაქტიკულად ვერ სარგებლობს თავისი თავისუფლებით და იძულებული ხდება ახალ ბატონს შეაფაროს თავი.

გლეხის ყოველგვარი „თავისუფლება“ ვფიქრობთ, რომ გამოსყიდვამდე შეიძლება იქნას დაყვანილი, რადგანაც არც ერთი განთავისუფლების აქტი, იქნებოდა ეს „ზემოდან“ გათარხნება-გააზატება თუ მითუმეტეს განთავისუფლება ქვემოდან არ სრულდება უანგაროდ. თუ ერთ შემთხვევაში თავდახსნა აშკარად, გამოსასყიდის გადახდით ხდებოდა, სხვა შემთხვევაში გათარხნება-გააზატებისათვის „ქრთამის“ სახეშეცვლილი გამოსასყიდის გაღება იყო საჭირო. უანგაროდ არც დაჯილდოება ხდებოდა, რადგანაც „დაჯილდოვებულ“ გლეხებს ჯილდოს საფასური „თავდადებით და ერთგულად“ სამსახურით წინასწარ ჰქონდათ გაღებული. მიუხედავად

ამისა, ყველაზე მტკიცე თავისუფლება ეს იყო თავის გამოსყიდვით მიღებული თავისუფლება, რამდენადაც კანონით ნასყიდი ხელშეუხლებელი იყო. ასევე მტკიცე საფუძველზე —ერეკლეს განჩინებაზე იყო დამყარებული ტყვეობიდან დაბრუნებულთა თავისუფლებაც და ამიტომ უეჭველიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ცხოვრებაში მოხდა ისე, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლმა გლეხობამ ტყვეობაში ყოფნის სიმულაცია დაიწყო და ამიტომ ტყვეობიდან დაბრუნებულთა თავისუფლება უმტკივნეულოდ არ მტკიცდებოდა ხოლმე. მაგ., კემხუტაშვილი ციციშვილების ყმა იყო. მას გიორგი ციციშვილის მამა მოუკლავს და გავარდნილა — ხან ოსებში იმალებოდა და ხან „გაღმა ქართლში“. შემდეგ კი გამოჩენილა და თავი ტყვეობიდან დაბრუნებულად გამოუცხადებია. გიორგი ციციშვილი ამის თაობაზე 1778 წ. ერეკლეს მოახსენებდა ეს კემხუტაშვილი „არც დატყვევებულა და არც ტყვე ყოფილა. ახლა რომ თქუჱნის ბრძანებით გ შვილი გარდმოიყუანა, არც ესა ჰყოლია ტყვეთა“[225]. როგორც ჩანს, დამნაშავეს დანაშაულისაგან თავის დასაღწევად ტყვეობის სიმულაციისათვის მიუმართავს. ასეთი შემთხვევები კი შეიძლებოდა ხშირი ყოფილიყო.

ასე იყო თუ ისე „თავისუფალი“ უცხო არ იყო XVII—XVIII სს. ქართული ფეოდალური საზოგადოებისათვის. თავისუფალი არსებობის შესანარჩუნებლად ქალაქს აწყდება. მაგრამ ქალაქად არაა ნათი დასაქმების პირობები. მიუხედავად ამისა, ქალაქებში (თბილისი, გორი) თავისუფალთა გარკვეული ნაწილი გარკვეული ხნით მაინც ინარჩუნებს დამოუკიდებლობას და რადგან მათ ქალაქად საკუთარი თავშესაფარი არ გააჩნიათ ისინი ქირაობენ ღამის სათევს[226]. ხელობისმცოდნე თავისუფლები ქალაქად მაინც ახერხებენ ხელი მიჰყონ გარკვეულ საქმიანობას. მათ ფულიც უჩნდებათ და ბინის ქირად ფულს იხდიან („მარქარა დადგა ჩვენს სახლჩი ნკ. ქირით თვეჩი“. „წიკწიკასშვილი დადგა ნასყიდას სახლჩი ქირითა, თვეჩი ნკ.“ „ნასყიდას სახლჩი დადგა ნორგი (?), სახლის ქირა თვეჩი ნკ“. და ა. შ.). დადასტურებული გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სოფლიდან მოსული კაცი ქალაქად ბინას იკავებს და ქირას ფიზიკური შრომით იხდის: „უფლისციხელი წიტიკასშვილი თამაზა დავაყენე ჩვენს სახლშია... რომ დღეში ერთი კოკა წყალი უნდა

[225] დოკ. II, № 262.

[226] დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის (ყულაბაშვილების დავთარი), მსკი, ნაკვ. 35, 1963, გვ. 219; იხ. აგრეთვე სახლების ქირის წიგნები: Qd 7842, 7852, 7853, (1789—1793 წწ.).

მამიტანოს ჭირაში..“ ეს ცნობა 1754 წლისაა. საფიქრებელია, რომ უფლისციხელი თამაზა სოფლიდან მოსული „თავისუფალი“ გლეხია, რომელიც თავს აფარებს ქალაქს (ამ შემთხვევაში გორსა) და რადგან ჯერჯერობით მისი ეკონომიკური მდგომარეობა დაბალია, იგი თავშესაფარში ჭირას ფიზიკური შრომით იხდის. ვფიქრობთ, თავისთავად საინტერესო ფაქტია XVIII ს. 50-იანი წლებისათვის, მაგრამ ამ მოვლენას დიდი რეზონანსი არ ჰქონია. ქალაქად სოფლიდან მოსულთა საქმიანობა კერძო გარიგების იქით არ მიდიოდა. არ ჩანს, რომ ქალაქად მოსული „თავისუფლები“ რაიმე, თუნდაც მარტივ წამოწყებაში ყოფილიყვნენ გაერთიანებულები. სამაგიეროდ, შეინიშნება ქალაქში მოძალებულ „უბატონო“ თუ „თავისუფალ“ გლეხების ლტოლვა ქალაქის (თბილისის) სიონის ეკლესიისადმი. ქალაქად მოზღვავებული „თავისუფალი“ გლეხების გარკვეული ნაწილი იმის გამო, რომ ქალაქად სამოქმედო არეს ვერ პოულობს, იძულებული ხდება ხელახალი საბატონყმო ხელშეკრულება დაუდოს უკვე ახალ ბატონს — თბილისის სიონის ეკლესიას და აღიაროს ხელახალი ყმობა. მაგრამ ეს ყმობა განსხვავებულია მათი ძველი მკვიდრი ყმობისაგან. გლეხი შეღავათიანი პირობით ხდება „ნებით მისული“, „წყალობის“ ან „თავშეწირული“ ყმა.

გარდა თბილისის სიონისა, „თავისუფალი“ გლეხობის საიმედო თავშესაფარი იყო აგრეთვე დავით გარეჯის მონასტერი.

„თავისუფალი“ გლეხობის ნაწილი სამეფო ყმა ხდებოდა ნაწილი — კვლავ საბატონო.

ამრიგად, „თავისუფალი“ ფენის წარმოშობის გზები სხვადასხვაა. 1. ყმის თავდახსნა. 2. ტყეებიდან მოსულის თავისუფლება (1765 წლის შემდგომ). 3. აყრილ-გაქცეული გლეხობა (სხვადასხვა ხანდაზმულობით).

ბრძოლა თავისუფლებისათვის კლასობრივი ბრძოლის გარკვეული ფორმაა. გლეხობის ბრძოლა თავისუფლებისათვის XVII—XVIII სს. ახალი მოვლენა არაა. მაგრამ ვახტანგის კანონმდებლობაში ფიქსირებული მუხლი ყმის თავდახსნის შესახებ უკვე იმაზე მიგვანიშნებს, რომ მმართველი წრეები ამ ბრძოლაში დათმობაზე ბიდიან. ქვეყნის განვითარება კი იმ დონეზეა, რომ თავისუფალი მუშახელი მისთვის უცხო სხეული არაა. სამწუხაროდ, საგარეო ფაქტორები (ოსმალობა, ყიზილბაშობა, ლეკიანობა) ზღუდავენ ამ მოვლენის ასპარეზს. ამიტომ ეს თავისუფლება პირობითი ხასიათისაა. თავისუფალი გლეხი ვერ ახერხებს დიდ ხნით შეინარჩუნოს მოპოვებული მდგომარეობა. საგარეო ურთიერთობის ფონზე

(ხშირი ომები, მოშლილი მეურნეობა), თავისუფალის დასაქმება არაა მტკიცედ გარანტირებული. მიუხედავად ამისა, ბრძოლა თავისუფლებისათვის მთელი XVIII ს. მანძილზე არ ცხრება. უფრო გვიან, 1765 წ. ერეკლეს კანონმა ტყვეობიდან დაბრუნებულთა შესახებ სანქცია მისცა გლეხის თავისუფლებას. ეს კიდევ ერთი დადასტურება იყო გლეხის გამარჯვებისა თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლება გადაიქცა ბრძოლად შეღავათიანი ყმობისათვის და არა სრული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის (ამიტომაა, რომ თავისუფლება არაა შემკვიდრეობითი მოვლენა, წინააღმდეგ თარხან-აზატობისა), იგი გარკვეულ როლს ასრულებდა საზოგადოების განვითარებაში. როგორც ი. ანთელავა აღნიშნავდა, „კლასობრივი ბრძოლის ისეთი ფორმა, როგორიცაა ყმური დამოკიდებულების სრული უარყოფა გლეხების მიერ..... ჯერჯერობით გარდაუვალი დაღუპვით არ ემუქრებოდა ძველ წყობილებას, მაგრამ მაინც ერთგვარ საფრთხეს უქმნიდა მას და ნიადაგს ამზადებდა ახალი ურთიერთობის გასამარჯვებლად“.[227].

როგორც ზემომოტანილიდან დავინახეთ, კლასობრივ ბრძოლაში გლეხთა მრავალფეროვანი ტიპები მონაწილეობდნენ, მაგრამ აქვე დავძენთ, რომ ეს არაა XVII—XVIII სს. საქართველოს გლეხობის ნაირსახეობათა სრული სია. გლეხთა ტიპები არ წარმოადგენდნენ ერთხელ და სამუდამოდ გაყინულ სახეობებს და დროთა განმავლობაში შეინიშნებოდა მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ცვლა. მაგ., 1708 წ. ვახტანგ ჯანიშინმა საბა ორბელიანს მკერვალი დემეტრე უბოძა, რომელიც ადრე ალაყულაშვილის ნასყიდი ყოფილიყო. მას ბატონისაგან აზატობა მიეღო და ნათლისმცემლის მონასტრისათვის შეუწირავს თავი[228]. ამ კაცმა ვიდრე თავშეწირული გახდებოდა რამდენიმე ეტაპი განვლო. 1. უცნობია, 2. ნასყიდი, 3. თავდახსნილი (აზატი), 4. თავშეწირული.

ჩოლოყაშვილების წყალობის ყმა ივანე ლეკიანობის მიზეზით აყრილა და თავი შეუწირავს ღვთაების ეკლესიისათვის[229]. ამ კაცის ადრინდელი მდგომარეობა „თავისუფლება“ უნდა ყოფილიყო. შემდეგ — წყალობის ყმა, აყრილი, თავშეწირული.

---

[227] ი. ანთელავა. დასახ. ნაშრ., გვ. 209—210.

[228] თ. ჟორდანია. ქართლ-კახეთის... გვ. 23.

[229] საქ. სიძვ., II, № 486.

ასევე რამდენიმე ეტაპი გაიარა თევდორე დათუნა ბლიაძის შვილმა. თევდორეს მამა იმერეთიდან უნდა იყოს მოსული. მას თავი მიუყიდნია ხუროსათვის და გამხდარა თავნასყიდი. შემდეგ ხუროს იგი გაუთავისუფლებია (გაუთავისუფლებია) მას კი თავი შეუწირავს თბილისის სიონისათვის[230].

მოტანილ მასალებში საერთოდ აშკარად იგრძნობა სწრაფვა „თავისუფლებისაკენ". ერთნი აღწევენ კიდეც, რაც კლასობრივ ბრძოლაში გარკვეული გამარჯვებაა, მაგრამ ნაწილი ყმობის უმდაბლესი მდგომარეობიდან — თავნასყიდიდან „უკეთეს" ბატონამდე (უმეტესად მეფე, ეკლესია) და არა „თავისუფლებამდე" ახერხებენ მისვლას. როგორც ჩანს, გარკვეულ ეტაპზე ეს იყო მათი კლასთა ბრძოლაში გამარჯვების შესაძლებლობათა ზღვარი. გლეხობის ასეთი ამოძრავება, ერთი უფლებრივი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა და პირუკუ, ერთი მხრივ, მომასწავებელი იყო იმისა, რომ ქვეყნად ახალი მოვლენების განვითარებისათვის მზადდებოდა ნიადაგი. მეორე მხრივ კი, პროცესი ხანგრძლივი გამოდგა.

6. გლეხობის ჯგუფური გამოსვლები

ფეოდალურ საქართველოში გლეხთა მსხვილი მასშტაბის აჯანყებები ცნობილი არაა, მაგრამ ზემოთ განხილული გლეხობის კლასობრივი ბრძოლის სახეობათა პარალელურად ადგილი ჰქონდა გლეხთა ჯგუფურ გამოსვლებსაც.

გლეხობის ჯგუფური გამოსვლა ჯერ კიდევ XV ს. გვაქვს დადასტურებული. 1454 წ. სოფ. ჯვარის მეკულუხეებს პროტესტი გაუცხადებიათ კულუხის შეცვლილი — გაზრდილი საწყაოთი გადახდის წინააღმდეგ და რამდენადაც სოფ. ჯვარი სამცხეთო იყო, კათალიკოსისათვის მიუმართავთ. გლეხების ეს გამოსვლა, როგორც ჩანს, იმ ძალისა და მასშტაბისა იყო, რომ კათალიკოსი იძულებული გამხდარა დათმობაზე წასულიყო და გლეხობისათვის პირობა დაედო: „რაგინდა მოუვალობა იყოს და ანუ დიდი მოგვიდეს, არას დაჭირებისა და მიზეზისათვის არა გიმატოთ კულუხი და არცა კოკა გამოგიცვალოთ და გაგიდიდოთ"[231].

გლეხთა ჯგუფურ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა XVII საუკუნე-

---

[230] ისტ. საბ. XV, გვ. 82.

[231] ისტ. საბ. III, გ. 33.

შიაც. 1668 წ. ძეგველებს (ასევე სამცხეთო გლეხებს) პროტესტით მიუმართავთ კათალიკოსისათვის. საბუთიდან ირკვევა, რომ გლეხებს საგადასახადო საწყაოს შემცირება მოუთხოვიათ. „დიდის კოკით კულუხს გართვემდენ და კოკით ძალი გჩირდათ. მოგვიდეგით კარსა და კოკის მოკლებას დაგვიჯენით“ — აცხადებს კათალიკოსი. იგი იძულებული გამხდარა ძეგველების „აჯა და მოხსენება“ მოესმინა და გლეხების სურვილი დაეკმაყოფილებინა. „დიდი კოკა“ მოუშლიათ და გადასახადის გადახდა „თორმეტიანი კოკით“ დაუწესებიათ. ამავე დროს ძეგვში საკათალიკოსო სასახლე[232] მოუშლიათ, ის ადგილი კი ძეგველებისათვის გადაუციათ. მოუშლიათ აგრეთვე საკათალიკოსო ცხენებისათვის საჭირო ქერის გადახდა და მეჯინიბეებისათვის „პურის ჰმევა“. „ძეგვისთავს სასახლე მოვშალეთ და ის ალაგი თქვენ გიბოძეთ და რახან ძეგვს ჩვენს ცხენებს დავაბემდით, ცხენს ჩვენს ქერს ვაჭმევდეთ, მეჯინიბეს ჩვენს პურს ვაჭმევდეთ“ — პირდებოდა კათალიკოსი ძეგველებს[233].

ორივე შემთხვევაში გარკვეულად ჩანს გადამხდელი საზოგადოების გამარჯვება. მაგრამ ყოველთვის ასე როდი იყო. ხდებოდა პირუკუც. ერთობლივად გამოსულ სოფლელთა მოთხოვნები ზოგჯერ დაუკმაყოფილებელი რჩებოდა. ამ მხრივ საინტერესო მასალას იძლევა წილკნელის სამწყსოს დრამისა და საწირავის გარიგების 1669 წ. წიგნი.

ქაისხველებს, რომლებიც წილკნელის სამწყსოში შედიოდნენ, გამოსაღები დრამა, სახუცო და წილკნელის ჩაყენება არა სდებიათ. მათი ვალდებულება იყო მღვდლის ან „გამოჩენილი“ მსახურის სიკვდილის შემთხვევაში შესაძლებლობების ფარგლებში „რაც შეძლოს“ საწირავის გადახდა, ე. ი. თავისთავად მათ ვალდებულებაში შედიოდა შეღავათიანი გადასახადი მღვდლის ან მსახურის საწირავი. როგორც დოკუმენტი აცხადებს: „ქაისხველებს ამიტომ არა ედვათ რა, რომ იმათი გული კიდევ მოუქცევარი იყო: ეპისკოპოზის შესვლას წყინობდნენ, არც ახსარებისა იცოდნენ“[234]. რელიგიური მოტივი მხოლოდ საფარი იყო წილკნელისა, და თუმცა

---

[232] სასახლე გლეხობის ექსპლოატაციისათვის ერთ-ერთი ტექნიკური ბაზა იყო. იხ. ბ. ლომინაძე. ფეოდალური მეურნეობის ორგანიზაციის ისტორიიდან გვიანფეოდალურ საქართველოში, მსკი, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 101—104.

[233] დოკ. I, № 32.

[234] ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., II, გვ. 32.

საბუთში არაფერია ნათქვამი, მოქმედების ფინალი იმაზე მიგვანიშნებს, რომ თავიდანვე კონფლიქტი წილკნელის საწირავის დადების გამო (ე. ი. ეკონომიკურ საფუძველზე) წარმოიშვა. წილკნელს — მოსახლეობის სულიერ მამას, მიზნისათვის რომ ვერ მიუღწევია (მას ეტყობა საამისო რამდენიმე ცდა უკვე ჰქონდა. ქაისხეველები „ეპისკოპოზის შესვლას წყინობდნენ" — გადმოგვცემს საბუთი) ქვეყნის პატრონისათვის — ერისთავისათვის მიუმართავს. ამჯერად წილკნელი უკვე ერისთავის დავალებით მიდის: „ზაალ ერისთავმა რომანოზ წილკნელი შეგზავნა". ერისთავმა წილკნელს შეიარაღებული ძალაც აახლა თან და რეპრესიებს მიმართა. ქაისხეველებს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწევიათ. დოკუმენტი მოგვითხრობს: „წილკნელს ჯანღი უყვეს, არ შეუშვეს. ერისთავმა უწყინათ, იასაულები გამოუსივათ, ავად მოეპყრა. ადგენ და წილკნელს შეეხვეწენ და წილკნელმა იპატივა და წილკნელისა საწირავი დაიდვეს". როგორც ვხედავთ, წინააღმდეგობა იმდენად დიდი იყო, რომ „ჯანღის" ჩაქრობა მხოლოდ ერისთავის შეიარაღებულმა ძალამ იასაულების „ავად მოპყრობამ" შეძლო. ქაისხეველები იძულებულნი გამხდარან ძალას დამორჩილებოდნენ და წილკნელის საწირავი დაედოთ. ამ ფაქტში კიდევ ერთი შემთხვევაა ფიქსირებული „უდების დადებისა", რაც მწვავე კლასობრივი ბრძოლის საგანი იყო. ქაისხეველთა მღელვარების მიზეზი, რასაკვირველია, მათი მოუქცევლობა არ იყო. თვით დოკუმენტის გამოთქმა, რომ ქაისხეველთა ვალდებულება იყო „... ღვდელი თუ მოკვდეს, ან გამოჩენილი მსახური, რაც შეძლოს საწირავი მოართონ" იმაზე მიუთითებს, რომ „მოქცეულები" იყვნენ (მხოლოდ შესაძლოა მთის რეგიონში მართლაც ქრისტიანული ნორმები რამდენადმე სიზუსტით არ სრულდებოდა). უკმაყოფილების მთავარი მიზეზი აქ ის იყო, რომ ქაისხეველებს წილკნელის საწირავი — ახალი გადასახადი უნდა ეკისრათ. საბუთში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, დამორჩილების შემდეგ ქაისხეველები ჭეშმარიტი ქრისტიანები გახდნენ თუ არა. აქ ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ წილკნელმა ქაისხეველები იპატივა და პატიების შემდგომ მათ წილკნელის საწირავი დაიდვეს. ამიტომ უეჭველია, რომ ქაისხეველთა „ჯანღის" მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ წილკნელის საწირავის დადება იყო, რაც თავდაპირველად მათ მოვალეობას არ შეადგენდა. ეს მომენტი „ქაისხეველებმა აღიქვეს, როგორც „უდების დადება" და სწორედ რეაქციითაც — „ჯანღით" გამოხატეს იგი. ქაისხეველები დამარცხდნენ. შეიარაღე-

ბულმა ძალამ „ჯანღი“ ჩააქრო. ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ რა შეუნელებელ ბრძოლას მიმართავდა მწარმოებელი საზოგადოება ყოველგვარი ექსპლოატაციის გაზრდის წინააღმდეგ.

ბ. ლომინაძის თვალსაზრისით, „ქაისხეველთა აჯანყება წილკნელის წინააღმდეგ იყო, ერთის მხრივ, პოლიტიკური აჯანყება, რამდენადაც წილკნელის შესვლა ქაისხევში არაგვის ერისთავის დახმარებით გულისხმობდა არაგვის ერისთავის მფლობელობის გავრცელებას... მეორეს მხრივ, ეს იყო შედარებით თავისუფალი მოსახლეობის გადაქცევა წილკნელის მოხარკედ“[235].

მისივე აზრით, „საწირავი“ ეკისრებოდათ მოხელეების ან მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლებს. ავტორი იმოწმებს საბუთს, რომ საწირავს ქაისხევს იხდიან „მღვდელი“, ან „მსახურნი“. ჩვენ გვინდა მცირე კორექტივის შეტანა. საქართველოში XIX ს-მდე სამღვდელოება, როგორც ცალკე წოდება, გამოყოფილი არ იყო და სოფლის მღვდელი უმეტესად ისევ გლეხობიდან გამოსული პირი იყო, ასევე მსახური. მართალია, უკვე XV ს-ში დასადასტურებული გვაქვს „მართებული“, „გამოჩენილი“ თუ „დაბალი“ მსახურის ტიპები, მაგრამ სოციალურად მსახური XVII ს-ში მაინც გლეხობის ფარგლებში თავსდება. ამდენად, ქაისხეველთა „ჯანღი“ უპირველესად წარმოგვიდგება, როგორც კლასობრივი ბრძოლის გამოძახილი.

იმავე ხანებში რომანოზ წილკნელს „ანანურს ზემოთ მთიულეთს“ დიდი ბრძოლა გადაუტანია. მთიულეთს, მართალია, ორი „ხუცესი“ კი ყოფილა, მაგრამ საბუთის ენით: იქ „მცირე რამ ქრისტიანობა იყო“ და „იესეე (sic) კერპის მზგავსი იყვნენ“, საბუთში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ აქაც თითქოს წილკნელის მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ჰეშმარიტი ქრისტიანობის აღდგენა იყო. ამ მიზნით ზაალ ერისთავის ზეობაში იგი სამჯერ ყოფილა მთიულეთს. საყდრები უკურთხებია, ქრისტიანული რიტუალები ნორმის ფარგლებში აღუდგენია. „ფრიადითა ჭირითა“ ღუღაწია, მაგრამ იგი მარტო მთიულთა „კეთილად გარჯულვით“ არ დაკმაყოფილებულა და იქაური მღვდლებისათვის სახუცო გადასახადი თითო ფური დაუდვია. როგორც ჩანს, რომანოზ წილკნელს მიზნად ჰქონია მოსახლეობის — „ერისკაცთა“ დაბეგვრაც საეკლესიო გადასახადით — დრამითა თუ სხვა სახის გამოსაღებებით, მაგრამ სასტიკ წინააღმდეგობას წაწყდომია. მთიულთა მოსაქცევად წასულ

[235] ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე. საეკლესიო „სამწყსო“ გადასახადთა შესახები საბუთების მნიშვნელობისათვის. მსკი. ნაკვ. 33, 1960, გვ. 107.

რომანოზ წილკნელს ერისთავის შეიარაღებული ძალაც ახლდა თან, რის შესახებაც თვითონვე აცხადებს: „ზოგი ერისთავის ძალი მჭონდა შემწეთ“. „ერისთავის ძალი“ მთიულთა მოქცევაში მართლაც, დახმარებია წილკნელს. მთიულები ზოგი ძალით და ზოგი ნებით მართლაც „მოქცეულან“, მაგრამ სამაგიეროდ, როგორც თვითვე აცხადებს წილკნელი, გადასახადები მთიულებს არ უკისრიათ: „ვერა საეფისკოპოზო გამოსაღები ვერა დავადევით რა“. უეჭველია, ეს ფაქტიც კლასობრივი ბრძოლის გამოძახილია.

მართალია, როგორც ბ. ლომინაძე შენიშნავდა ქაისხეველთა მაგალითზე, რომ „თავისებური სოციალური წყობის მქონე (ე. ი. მთლად არაფეოდალურ) მხარესთან გვაქვს საქმე და თვით საბუთსაც მოსახლეობის ამგვარი ქცევის გასამართლებლად მათი „მოუქცევრობა“, ე. ი. ნაკლებ ქრისტიანობა. მოყავს მიზეზად, მაგრამ სწორედ ეს ფაქტი კიდევ უფრო მკვეთრად გამოხატავს იმას, თუ რა მძიმე უნდა ყოფილიყო თავისუფალი მოსახლეობისათვის აღნიშნული ვალდებულებანი“[236].

ამდენად, როგორც ქაისხეველთა, ასევე ანანურს ზემო მთიელთა „ჯანღი“ XVII ს. 70-იანი წლებისათვის ერთი ფურცელია მთიულეთის კლასობრივი ბრძოლისა, კერძოდ, მწარმოებელი საზოგადოების ჯგუფური გამოსვლებისა.

XVIII ს. დასაწყისში აჯანყებულან ბოდბის საეპისკოპოსოს გლეხები[237]. მათი აჯანყების მიზეზიც „უდების დადება“ ყოფილა. საბოდბლო გლეხებს „რიგის ძროხა“ არა სდებიათ. ბოდბელს კი მოუსურვებია თავისი გლეხებისათვის ეს გადასახადი დაედო. აჯანყებამ მწვავე ხასიათი მიიღო. იგი ორგანიზებული იყო და მეთაურებიც — „ჯანღის თავებიც“ ჰყავდათ, მაგრამ პირველ ხანებში წარმატებისათვის მაინც ვერ მიუღწევიათ. ეს აჯანყება ერეკლე I იარაღით ჩაუქრია. რამდენიმე წლის შემდეგ აჯანყებამ კვლავ იფეთქა. გ. ჯამბურიას აზრით: „თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ უფრო გვიან ბოდბელის ყმებს აღარ ედოთ „რიგის ძროხის“ გადა-

---

[236] ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 106.

[237] С. К а к а б а д з е. Крестьянский вопрос и крестьянские движения в Восточной Грузии в XVIII века(Ист. класс. борьбы в Закавказьи), Тифлис, 1930; ნ. ა ს ა თ ი ა ნ ი. ფეოდალურ-საქართველოში კლასობრივი ბრძოლის ისტორიიდან, საქართველოს სსრ აკად. მოამბე, XXIII ტ. № 2, 1959; გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, გლეხობის მდგომარეობის გაუარესება და კლასობრივი ბრძოლა, საქართველოს ისტ. ნარკვევები, IV; ირ. ა ნ თ ე ლ ა ვ ა. XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, თბ., 1977.

სახადი, შეიძლება ვივარაუდოთ ბოლოს და ბოლოს ბოდბელის გლეხების ბრძოლა გამარჯვებით დასრულებულა".

კლასობრივი ბრძოლის ანარეკლია ასახული თრიალეთის სამი სოფლის უზნარიანის, კარუკულმართისა და კარწახის საბუთებში. ეს სამი დოკუმენტი შესწავლილი აქვს ბ. ლომინაძეს. 1707 წ. ორი სოფელი — უზნარიანი და კარუკულმართი შესწირეს ნათლისმცემლის მონასტერს, ხოლო 1708 წ. ისინი გაბეგრეს გარკვეულ გარემოთა გათვალისწინებით — „ახალი ნაშენი იყო და ზოგი შენდებოდა". ამიტომ გაბეგვრა შეღავათიანი პირობებით მოხდა, რათა „გლეხი არ შეწუხდეს და სიხარულით ეს ყოველი მონასტრად მიიღონ და მიიტანონ". ამ სოფლების მოსაზღვრე ძველადვე აშენებულ სოფელში კარწახში გლეხი კაცის „თავკედობა" და „შფოთი" დაწყებულა[238]. საბუთის მიხედვით უკმაყოფილების მიზეზი ამ სოფლებს შორის საზღვარზე დავა იყო. „შფოთი", როგორც ჩანს, ხანგრძლივი იყო, რადგანაც ბაქარ მეფეს თავისი მოხელეები მრავალჯერ გაუგზავნია საკითხის მოსაგვარებლად, მაგრამ უშედეგოდ.

1719 წ. ბაქარმა კარწახიც ნათლისმცემელს შესწირა იმავე პირობებით, როგორც უზნარიანი და კარუკულმართი იყო შეწირული. საბუთის გამცემის სიტყვით, ამის მიზეზი ის იყო, რომ „გლეხი კაცის თავკედობა ვერ მოშალეს". კარწახიც ორ წინასოფელს გაუერთეს და ამით „შფოთებიც" დააწყნარეს. სრულიად სამართლიანად შენიშნავს ბ. ლომინაძე, რომ არ შეიძლებოდა უკმაყოფილების მიზეზი მხოლოდ საზღვრები და გლეხთა შორის ცილობა ყოფილიყო. მისი სიტყვებით, „აშკარაა აქ გამოსჭვივის ს. კარწახის მისწრაფება ყმობის უფრო შეღავათიან პირობებში გადასვლისაკენ", მისწრაფება უზნარიანთან და კარუკულმართთან „გაერთიანებისაკენ" სამონასტრო პაშულად გადაქცევის სახით"[239].

ამრიგად, ამ სამი სოფლის შეწირულების ფაქტთან დაკავშირებით კიდევ ერთი მაგალითი გვაქვს გლეხთა ჯგუფური გამოსვლისა კლასობრივი პრეტენზიებით, ამჯერად თრიალეთში.

ვფიქრობთ, რომ ჩვენამდე მოღწეული მასალის ნაკლებობის შედეგია ის, რომ კლასობრივი გამოსვლების შესახებ ჩვენამდე

---

238 ისტ. საბ., V, გვ. 12.

239 ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, თბ., 1966, გვ. 102—104.

ცნობებმა მთელი სისრულით ვერ მოაღწიეს. დას. საქართველოში შაგ., XVII ს. დასაწყისში შედგენილ აფხაზეთის საკათალიკოსოს დიდ დავთარში (სადაც ნაწილობრივ XVI ს. მიწურულის ცნობებიცაა) ფიქსირებულია ახალი გადასახადის დადება, რაც ფაქტიურად „უდების დადება“ იყო: „ახლა ბატონმან ლიპარტიანმან და ბატონმან კ'ხ'მან დავდევით ნაგვაზაურებსა რაც კაცი სახლობს კუამლის თავსა თითო კ' ცსა ათ-ათი კოდი ღომი, ექს ექსი კოკა ღვინო, პ'დ რომე ბეგარა ემართა მას გარეთ ეს სახასო იქნების“[240]. შაშასადამე, ლიპარტიანსა და კათალიკოსს ნაგვაზაურების თითოეული გლეხისათვის გარდა უკვე დადებული ბეგრისა „პ'დ რომე ბეგარა ემართა მას გარეთ“ ათ-ათი კოდი ღომი და ექვს-ექვსი კოკა ღვინო განუწესებიათ, რაც ფაქტიურად გადასახადის გაზრდა იყო. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით როგორი იყო ამ ფაქტისადმი გადამხდელი საზოგადოების რეაქცია. მაგრამ ვიტყვით, რომ მოულოდნელი არაფერი იქნებოდა თუ აქაც გლეხობა გაზრდილ გადასახადებს პროტესტით უპასუხებდა.

XVIII ს. დასაწყისში გლეხობის კლასობრივი ბრძოლის ახალმა სახეობამ იჩინა თავი. ეს იყო ლეკთა მხარეზე გადასული ქართველი გლეხობის შეიარაღებული ბრძოლა საკუთარ მებატონეთა წინააღდეგ.

ლეკი ქართველისათვის დაღესტნის მკვიდრი იყო დამოუკიდებლად მისი ეთნიკური წარმომავლობისა. XVII—XVIII სს. დასაწყისში დაღესტნის მთიელები საქართველოს ბარს უტევენ. მათი ძირითადი მიზანი ტყვეების გატაცება იყო. მთიელების სისტემატურმა დავდასხმებმა ქვეყანაში სავალალო მდგომარეობა შექმნეს. შემცირდა მოსახლეობა, მოიშალა მეურნეობა და, ვახუშტის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ (უკვე მოგვიანებით XVIII შუაწლებისათვის): „არღარა დაშთა მსახლობელი მუხრანს, ქართლსა და საციციანოს და ადგილ საბარათიანოს სომხითსაცა, თუნიერ სიმაგრეთა“[241]. მაგრამ ქართველ გლეხობასა და დაღესტნელ მთიელებს შორის სხვა ურთიერთობაც არსებობდა. დაღესტნელ მთიელთა სოციალური განვითარების დონე ქართველმა გლეხებმა ისე აღიქვეს, როგორც ფეოდალური ურთიერთობის არარსებობა და ფეოდალური ექსპლოატაციიდან თავდაღწევის მიზნით აყრილმა-გაქცეულმა გლეხებმა

---

240 ს. ყ ა ყ ა ბ ა ძ ე. აფხაზეთის საკათალიკოზოს დიდი დავთარი, ტფ., 1914, გვ. 18.

241 ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 512.

ლეკების მხარეზე გადასვლა-გალეკება დაიწყეს. ნ. ბერძენიშვილს შესანიშნავად აქვს ახსნილი ქართველი გლეხების „გალეკების“ ფაქტი. „მრავალი რამ უშლიდა ხელს კახელი გლეხების ლეკებთან გაერთიანებას. ლეკები უცხო ტომისანი იყვნენ და მაჰმადიანები. კახელები კი ქრისტიანები. ლეკი აბრაგები საუკუნეთა მანძილზე (განსაკუთრებით XVI საუკუნიდან მოყოლებული) განუწყვეტლივ თავს ესხმოდნენ კახეთის სოფლებს, ძარცვავდნენ და იტაცებდნენ გლეხობას და მის სარჩო საბადებელს. ამიტომ კახელები, ბუნებრივია, ლეკებს თავიანთ მტრებად სთვლიდნენ... მაგრამ კახელი გლეხები „ლეკობაში“ „უბატონობას“ ხედავდნენ და ეს კი საბოლოოდ ყოველივე დაბრკოლებას სძლევდა: „კახელი გლეხი „გალეკებაში“ უბატონობას ეძებდა...“[242].

გლეხთა ლეკების მხარეზე გადასვლის ნამდვილი მიზეზი პირველმა ვახუშტი ბატონიშვილმა შენიშნა (წინააღმდეგ კახეთის მეფის იმამყული ხანისა, რომელიც გლეხთა მოქმედებას მათი მოკლე ჰკუით და სიბრიყვით ხსნიდა). „იწყეს გლეხთა მძლავრებისათჳს ლეკთა ლტოლვად და მისვლად ლეკთა თანა, რამეთუ იკლიან რაჲმე მეპატრონეთა თჳსთაგანო“[243]. ლეკებთან გადასულები ძირითადად, აყრილ-გაქცეული გლეხები იყვნენ. გალეკებამ მასიური ხასიათი მიიღო. ომან ხერხეულიძის ცნობით, „გალეკდნენ ქისიყელნი და გაღმა-მხარელნი და მისცეს პირი ლეკთა“[244]. გალეკებულმა გლეხებმა ბრძოლის აქტიურ ფორმას მიმართეს და საკუთარ მებატონეებს იარაღით ხელში შეუტიეს. თუ თავისი თხრობის პირველ ნაწილში ვახუშტი გლეხთა ლეკებთან ლტოლვის მიზეზს სწორად აღნიშნავს, მეორე ნაწილში იგი ლეკების მხარეზე გადასულ გლეხების საქმიანობას მოთარეშე მთიელების მოქმედებასთან აიგივებს. მაგრამ გლეხებს ხომ კლასობრივი შურისგება ამოქმედებდა და „გალეკებული“ გლეხები განუკითხავად კი არ აწიოკებდნენ თავიანთ მოძმეებს, არამედ იერიში უპირველესად გაბატონებული საზოგადოების წინააღმდეგ მიჰქონდათ. ვახუშტის მონათხრობით, კახელი ტურა რამაზაშვილი დიდ ვნებას აყენებდა თავდამსხმელ მთიელებს. მაგრამ მასსა და პაატა შანდატურთუხუცესს შორის

---

242 ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, მსკი, 1944, ნაკვ. I, გვ. 187—188.

243 ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 613.

244 ომან ხერხეულიძე. ზ. ჭიჭინაძის გამოც. გვ. 243.

კონფლიქტი ჩამოვარდნილა. ამის გამო გაგულისებული ტურა ლეკებს მისვლია და დაუწყია „თავობა ლეკთა და კირთება ლაშქრობით კახეთს, ვინაჲთგან უწყოდა ადგილნი და სიმაგრენი და მისავალ-წამოსვალნი“. ცხადია, ტურა მთიელებს საკუთარ მოძმეთა ასაწიოკებლად არ მიუძღვებოდა, მას პაატა მანდატურთუხუცესისადმი შურისგება ამოძრავებდა, მაგრამ ამ „ლაშქრობების დროს გამორიცხული არ იყო თანამოძმეთა ნებსით თუ უნებლიე დარბევაც. ერთ-ერთი ასეთი „მოჯდომის“ დროს ტურამ პაატას ჯავრი იყარა და პირისპირ შებრძოლების დროს მოჰკლა კიდეც იგი. ამდენად, ტურას ლეკების მხარეზე გადასვლა, მათი მოყვანა და პაატას მოკვლა კლასობრივი ბრძოლის სურათს გვიხატავს. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ გლეხის აყრა-გაქცევა ყოველთვის პასიური ბრძოლის ხასიათს არ ატარებდა და ხელსაყრელ შემთხვევაში იგი შეიძლებოდა აქტიურ, შეიარაღებულ ანტიფეოდალურ გამოსვლაშიაც გაზრდილიყო, თუმცა ჩვენში მას დიდი მასშტაბები არ ჰქონია.

ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ბრძოლის შედეგები გლეხებს ბევრს არაფერს აძლევს. ამა თუ იმ მებატონის აწიოკების შემდეგ თავდამსხმელი ქართველი გლეხები ლეკებთან ერთად უკანვე გარბიან. ამიტომ კლასობრივი ბრძოლის ასეთი ხასიათი გლეხისათვის არავითარ შედეგს არ იძლევა. უფრო მეტიც, როგორც ცნობილია, გარკვეული დროის შემდეგ ლეკები თვითონ იწყებენ მათ მხარეზე გადასული გლეხობის დამორჩილებას და ამრიგად აყრილ-გაქცეული, ყმობიდან „განთავისუფლებული“ გლეხობა ისევ ყმობის უღელქვეშ ექცევა.

იყო კლასობრივი ბრძოლის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გლეხები იარაღით ხელში გამოდიოდნენ საკუთარ მებატონეთა წინააღმდეგ და საქმე მკვლელობამდეც მიდიოდა.

პაპუნა ორბელიანს მოთხრობილი აქვს, რომ არაგვის ერისთავი ბეჟანი და მისი ბიძაშვილი ოტია ღალატით მოჰკლეს არაგველებმა. „უღალატეს არაგვის ერისთავს ბეჟანს და მის ბიძაშვილს ოტიას არაგვის კაცთ და ორივე მოკლეს. იავარ-ჰყვეს საქონელი. ამილახორის ცოლი... და ბეჟან ერისთავის ცოლი, ორივ მთიულეთს იდგნენ. აქ რომ ერისთავს უღალატეს, იქ იმას შეესივნეს და აიკლეს...“[245]. ეს ამბავი მოთხრობილი აქვს ომან ხერხეულიძესაც

---

[245] პაპუნა ორბელიანი. „ამბავი ქართლისანი“. გვ. 78.

შისი სიტყვებით, ყიზილბაშებმა შანშე ქსნის ერისთავის ცოლ-შვილი და ძმები დააპატიმრა. შანშე ოსმალეთს გაიქცა. შანშეს მამული გივი ამილახორმა დაიჭირა და ოსმალები მოიშველია „და ამ ჟამადვე მოჰკლეს არაგვის ერისთავი ყმათა თვისთა“[246]. ნარატიული წყაროების მონათხრობი დოკუმენტებითაც დასტურდება.

1752 წ. თეიმურაზ მეფის განჩინების წიგნში ამილახორების შესახებ, რომელიც ადრეული წლების ამბებს ეხება, მოთხრობილია, რომ გივი ამილახორი და ბეჟან არაგვის ერისთავი ნადირ შაჰს გადასდგომიან და მთიულეთისათვის შეუფარებიათ თავი. „ბეჟან ერისთავი თავისმა ყმებმა მოკლეს. ამილახორს საქონელი, ბარგი, რაც მთიულეთსა ქონდა აუკლეს“[247].

გივი ამილახორის წერილში ბარძიმ და ლუარსაბისადმი ეს ფაქტები კიდევ უფრო დაწვრილებითაა მოთხრობილი. იმ დროს, როდესაც გივი თავისი ლაშქრით ყიზილბაშებს ებრძოდა, შეუტყვია, რომ „ერისთავი ბეჟან და ოტია თავის კაცებმა ღალატით კარავში დახოცეს“[248] როგორც ჩანს, ეს იმდენად მოულოდნელი ამბავი ყოფილა ამილახორისათვის, რომ მას ეს აქტი საყოველთაო აჯანყების დასაწყისად მიუჩნევია: „ჩვენ ასე გვეგონა არაგვის ყმანი მთისა და ბარისანი ყველანი გამოსულიყვნენ და ქსნის კაცთაც იმათთან პირი ჰქონდეს“. გივის წერილიდან ირკვევა, რომ ამბოხებულებმა გივის ოჯახიც (ხიზანი) დაარბიეს. „მთიულეთს კაცი გავგზავნეთ, ხიზანს მივაშველეთ, ქსნისხეველნიც თან გაჰყვნენ. ხიზანი მშვიდობით წირქოლს მიიყვანეს, მაგრამ რაც რამა გვქონდა ხატი, ჯვარი, წიგნი, სიგელი ისინი არ დაუბრუნებიათ რა ისევ იმათვე აქვს“[249].

როგორც ვხედავთ, ოთხი სხვადასხვა წყარო ერთხმად მიუთითებს ერისთავების მკვლელობაზე „არაგვის კაცთ“ (პაპუნა), „ყმათა თვისთა“ (ომან ხერხეულიძე), „თავის ყმების“ (ფ. 1448, № 4714) და „თავის კაცების“ (პ. გელეიშვილის გამოქვეყნებული საბუთი) მიერ. თუ ვინ იყვნენ ერისთავების მკვლელები კარგად ჩანს გივი ამილახორის წერილიდან. იგი წერს: „იმათ ღალატში

---

[246] ომან ხერხეულიძე, „მეფობა ირაკლი მეორისა, მეფისა თეიმურაზის ძისა“ გვ. 246.

[247] სსცა. ფ. 1448, № 4714.

[248] პ. გელეიშვილი. ერთი აჯანყების კლასობრივი სახე. მოამბე, ტფ., 1936, № 1, გვ. 120.

[249] იქვე.

ხევს — ყუდუშაური პაპა ერივა. მთიულეთს — ნადიბაიძე[250] გივი და ზარიბეგ იმათი სახლიკაცი"[251]. დაბალს საერისთაოში — ტეტია ნახირა[252] გელდაშვილი და თხუთმეტი გლეხი კაცი, სხვა არავინა რეულა"[253]. ამრიგად, ამილახორის წერილიდან ირკვევა, რომ არაგვის ერისთავების მკვლელები გლეხები ყოფილან.

პაპუნა ორბელიანს მოთხრობილი აქვს ქართლში ყიზილბაში სარდლის აჯი-ხანის მოსვლა, რომელიც თეიმურაზ კახთა მეფეს საერისთავოზე გასალაშქრებლად შეთანხმებია. ამავე დროს ქართლელები აჯი-ხანს სასტიკად ებრძვიან. გივის წერილიდან ირკვევა, რომ გივი არა ერთხელ შებმია აჯი-ხანს: ჯერ აძვის ვენახებთან, შემდეგ შვიდსაათიანი ბრძოლა ჰქონია მასთან, უფრო გვიან დირბისწყალზე ხუთ საათს გაგრძელებულა ბრძოლა და ა. შ. ამ წერილიდან ჩანს, რომ მეტად რთული სიტუაციაა: კახეთის მეფე და ყიზილბაშები შეერთებული ძალით უტევენ ქართლელებს. ქართლელები თავგამოდებით იცავენ თავს და ცალკეულ შეტაკებებში ყიზილბაშებს კიდეც ამარცხებენ.

გივი ამილახორის სიტყვებით, არაგვის ერისთავების მკვლელობაში გლეხების წამქეზებელი თეიმურაზ კახბატონი იყო, რომელმაც ჯარი შეიყვანა საერისთავოში. „კახელებმა და კახბატონმა ჯარი შეუსხეს. იმათ გააბედვინეს" — წერს გივი. პაპუნას მონათხრობით კი თეიმურაზი თითქოს არაგველებმა მიიწვიეს „თქვენს მეტი ბატონი არ გვინდაო". ასეა თუ ისე საქმის მსვლელობიდან შემდეგი ჩანს: თეიმურაზს თავისი პოლიტიკური მიზნები აქვს. მას სურს არაგვის (და შემდეგ ქსნის) საერისთავოს გაუქმება და ქართლის ერთ-ერთი უმსხვილესი ფეოდალის გივი ამილახორის დამარცხება. ამისათვის იგი უცხო ძალას მიმართავს და ამავე დროს მოხერხებულად იყენებს კლასობრივ მომენტს. პირდაპირი ცნობა იმისა, თუ რას პირდებოდა თეიმურაზი არაგვის გლეხებს, როდესაც ისინი საკუთარ მებატონეებს აუჯანყა არა გვაქვს, მაგრამ პაპუნას მონათხრობი, რომ თეიმურაზი აჯანყებულებს დაპირდა „რაც ძველთ ერისთავებისაგან არა გდებიათ მის მეტს მე თქვენ არას

---

[250] დაბეჭდილია: ნადიბაძე

[251] დაბეჭდილია: სახელი კაცი

[252] დაბეჭდილია: ტეტიანახიჩა. შესავალში საბუთის გამომცემელი ასახელებს ნახირა გელდაშვილს (გვ. 117). ამიტომ, ვფიქრობთ, დაბეჭდილში კორექტურული შეცდომაა და ჩვენი გასწორება სწორია.

[253] პ. გ ე ლ ე ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 120.

გთხოვო...“ გვაფიქრებინებს, რომ გლეხების დაინტერესების საფუძველი „დადებულის“ შემცირება უნდა ყოფილიყო.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ გლეხობა გამოყენებული იყო ბრძოლაში პოლიტიკური უპირატესობისათვის, მათი მონაწილეობა არაგვის ერისთავთა მკვლელობაში მაინც კლასობრივ საფუძველზე იყო დამყარებული. ეს იყო გლეხების ჯგუფური, შეიარაღებული გამოსვლა, ბრძოლა შეღავათიანი ყმობისათვის, უკეთესი ბატონისათვის (მეფისათვის). სხვა მიზანი ამჯერად არაგვის გლეხობას არ ჰქონდა.

ჩვენ სხვა მაგალითებიც გვაქვს, როდესაც ქვეყნის მესვეურები კლასობრივი მოტივის გამოყენებით პოლიტიკურ აქციას ახდენენ. მაგ., გიულდენშტედტს მოთხრობილი აქვს, რომ ჯავის მხარე ველთაგან მაჩაბელს ექვემდებარებოდა, მაგრამ რადგან „აქაური ოსები ყველგან ჩიოდნენ ძალიან შევიწროებულები ვართო“, მეფემ ეს მხარე მაჩაბელს ჩამოართვა და გიორგი ბატონიშვილს გადასცა“[254].

პაპუნა ორბელიანის ცნობით 1755 წ. აჯანყებულა ხევსურეთიც: „ხევსურის ქვეყანა აღარ დამორჩილდა კახს ბატონს და პირველსაებრ აღარ მონებდენ“[255].ერეკლე ჯარით გაემართა ხევსურეთის დასალაშქრავად. ანანურს მას ქართლის დიდებულები შეუერთდნენ. ანანურიდან ერეკლე თიანეთს მივიდა. იქ კახეთის ლაშქარიც შეუერთდა. ჩვენ არ ვიცით რამდენი კაცით ლაშქრობდა ერეკლე, მაგრამ პაპუნას მონათხრობი, რომ მას ახლდნენ „დიდებულთა შვილნი და აზნაურიშვილნი ზემო ქართლისანი და ერისთავები ორივე დავით და ჯიმშერ“[256] იმაზე მიგვანიშნებს, რომ ხევსურეთის აჯანყება დიდი მასშტაბისა იყო. თუ რამდენად დიდმნიშვნელოვანი იყო ხევსურეთის მორჩილებაში მოყვანა მეფისათვის, ამისათვის, საჭიროა გავითვალისწინოთ ის მძიმე პირობები, რომელშიაც ხევსურეთისაკენ მიმავალი ლაშქარი იმყოფებოდა. ზამთარი იდგა. უგზოობასა და დიდთოვლიანობაში ლაშქარს წინსვლა გაუჭირდა. მსედრებმა დაიქვეითეს. ცხენიდან ჩამოხტა მეფეც. გზა ქვეითად განაგრძეს. გზად ერეკლეს ფშაველები დახვდნენ და მეფეს მორჩი-

---

[254] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი. ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ., 1962, გვ. 103.

[255] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 218.

[256] იქვე.

ლება მოახსენეს და „რაც იმ ქვეყანას გაეწყობოდა მოართვეს მოსართმევი“. აქედან ლაშქარი ხევსურეთს აპირებდა გადასვლას. მაგრამ ხევსურები შეშინებულან. ერეკლეს მოციქულები აახლეს და შერიგება ითხოვეს. პაპუნა მოგვითხრობს: „რა შეიტყვეს ხევსურთ შემოეხვეწნენ ხევსურნი და ითხოვეს დანაშაულისა მოტევება, შეუნდო ცთომა მათი და შემოირიგა. იახლნენ უფროსნი კაცნი და მოართვეს ჯორნი, ძროხანი და ცხვარნი ფეშქაშად და დაიდვეს თავს სამსახური, რაც ძველთაგან კახ ბატონ-საგან სდებოდათ“[257].

პაპუნას ამ მონათხრობიდან ჩვენთვის ცხადი ხდება ხევსურეთის აჯანყების მიზეზი. მათ უარი განუცხადებიათ იმ სამსახურზე, რაც ძველთაგან ჰქონდათ დადებული. სამწუხაროდ, წყაროდან არ ჩანს, მაგრამ ჩვენთვის ცნობილია თუ რა იყო ხევსურთა „სამსახური“ მეფის წინაშე. კახეთის მიმდგომი კავკასიონი — თუშ-ფშავ-ხევსურეთი ოდითგან კახეთის მეფეების საზრუნავსა და საფიქრალს წარმოადგენდა. წყაროებში არაერთხელ გვხვდება ცნობები თუშ-ფშავ-ხევსურთა მორჩილება-არმორჩილების შესახებ. მაგ., XV ს. 70-იან წლებში თუშები, ფშავ-ხევსურებთან ერთად კახეთის მეფეს არ ემორჩილებოდნენ. XVI ს. პირველ ნახევარში კი კახთა მეფე ლევანი ახერხებს თუშების დამორჩილებას: „თუშეთი დაიპყრა ე მეფემან ლევან“[258]. ეს „დაპყრობა“ ეკონომიკურ საფუძველზე იყო დამყარებული. ლევანი (1520—1574) მთიელებს კახეთის ზამთრის საძოვრებს უთმობდა. სამაგიეროდ, მთიელები მეფესთან ლაშქრობას კისრულობდნენ, რაც მეფისადმი მთიელთა „სამსახური“ იყო. ვფიქრობთ, ეს „სამსახური“ გრძელდებოდა XVIII ს. I მეოთხედშიაც, როდესაც თუშ-ფშავ-ხევსურები კახეთის მეფე დავითთან (იმამყულიხანთან) ერთად ლაშქრობდნენ ჭარის წინააღმდეგ[259] როგორც ჩანს, 1755 წლისათვის ხევსურეთს უარი განუცხადებია თავის „სამსახურზე“ მეფისათვის (მეფე ხევსურეთის უშუალო ბატონი იყო), რის გამოც ერეკლეს მათი სასტიკი დასჯა გადაუწყვეტია. მაგრამ საქმე დასჯამდე აღარ მისულა. ხევსურები შეშინებულან და ძველი სამსახური „დაიდვეს თავს“[260]

---

[257] პაპუნა ორბელიანი. დასახ. ნაშრ., გვ. 218.

[258] ვახუშტი. აღწერა... ქართლის ცხოვრება, IV, გგ. 552.

[259] იქვე. გვ. 611.

[260] ფშაველთა საქციელი, მათი დამოკიდებულება მეფესთან „მოგებება“, „დახვედრა“, მოსართმეველის—ფეშქაშისა და ბეგარის მორთმევა, საფიქრებელია,

ხევსურეთის აჯანყებას კლასობრივი ხასიათი ჰქონდა. მათი განდგომა, არამორჩილება მეფისადმი პროტესტი იყო ფეოდალური ექსპლოატაციის — „სამსახურის“ წინააღმდეგ. საერთოდ მთიელთა გამოსვლები (XVII ს. ქაისხეველები, მთიულები, 1755 წ. ხევსურები), იმის მოწმობაა, რომ რამდენადმე სოციალურად ბარისაგან განსხვავებული მთა ცდილობდა „თავისუფლების“ შენარჩუნება-გახანგრძლივებას და ფეოდალური ექსპლოატაციისაგან თავის დაღწევას. მაგრამ ბრძოლა ყოველთვის მთიელთა წარმატებით არ გვირგვინდებოდა და „თავისუფალი“ მთიელებიც ფეოდალური ექსპლოატაციის უღელში ექცეოდნენ. ამჯერადაც ხევსურეთის აჯანყების დამარცხება მეფისადმი ყმობის კიდევ ერთი აღიარება იყო.

1785—86 წწ. გლეხთა გამოსვლებს ადგილი ჰქონდა იმერეთშიაც. როგორც გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან ირკვევა[261] გლეხთა მღელვარების მიზეზი გადასახადების გადიდება იყო. როგორც ს. ბურნაშევი ატყობინებდა პ. პოტიომკინს, გლეხებს გადაუწყვეტიათ ახალი გადასახადები არ ეკისრათ «новых налогов не повиноватца». როგორც საბუთის გამომცემელი ფიქრობს, გლეხთა მოთხოვნები მეფეს არ დაუკმაყოფილებია, რასაც მოჰყვა გლეხთა ორგანიზებული (მონაწილეობდა 4000 კაცი) აჯანყება. მაგრამ გლეხთა ეს აჯანყება ჩაახშეს. ოცი მეთაურიდან ორი მოკლეს, 18 დააპატიმრეს, რის შედეგადაც აჯანყებულები დაიფანტნენ.

გლეხების ცალკეული შეიარაღებული ბრძოლების შესახებ კანტიკუნტი ცნობები გვიან ხანებისათვისაცა გვაქვს მაგ., 1797 წ. პანკისის მთაში კახელ მეღორეებს (ხაშმის, პატარძეულისა და ნინოწმინდის) ღორები აურეკიათ. მოხელეს კუთვნილი გადასახადი — საბალახე მოუთხოვია. მეღორეებს უარი განუცხადებიათ და იარაღიც მოუშველებიათ, „არც სამთო საბალახე მიუციათ და ჩხუბიც უქნიათ და (მოხელე. — დ. მ.) სასიკვდილოთ გამოუმეტებიათ და ამ ლუარსაბისათვის (მოხელისათვის. — დ. მ.) ხროფი უსროლიათ და დაუცდენიათ“[262].

გარდა ჩვენ მიერ მოტანილი მაგალითებისა, ცალკეულ ავტო-

შარტო ბატონყმური მოვალეობის მოხდა არ უნდა ყოფილიყო! („ბეგარი“ და „ფეშქაში“ მათ ბარში უნდა ჩამოეტანათ თავის დროზე მეფისათვის) და თუ აშკარად არა, ფარულად მაინც შესაძლოა ხევსურებს ფშაველებიც უბამდნენ მხარს.

[261] ნ. ქორთუა, იმერეთის გლეხთა ერთი აჯანყების შესახებ, მსკი, ნაკვ. 34, თბ., 1962, გვ. 195—200.

[262] Hd 5681.

რებს ივ. ჯავახიშვილს, დ. გვრიტიშვილს, გ. ჯამბურიას, ირ. ანთელავას და სხვებს მოტანილი აქვთ გლეხთა ცალკეული თუ ჯგუფური გამოსვლების მაგალითები XVII—XVIII სს. საქართველოში, მაგრამ ჩვენ საუბარს აღარ გავაგრძელებთ[263].

როგორც ვნახეთ, ქართულ წყაროებში (როგორც ნარატიულ, ასევე დოკუმენტურში) იკითხება ცნობები გლეხობის კლასობრივი ბრძოლის შესახებ და „მალული“ კლასობრივი ბრძოლის გვერდით, როგორც იყო თავდახსნა, ნებით ყმობა, თავშეწირულობა თუ ბოგანოობა-ხიზნობა და სხვ. ადგილი ჰქონდა გლეხობის აშკარა ჯგუფურ, ზოგჯერ შეიარაღებულ გამოსვლებსაც. მაგრამ, ყველა გამოსვლა ლოკალური ხასიათისა იყო და ერთი სოფლის, ერთი პატარა რეგიონის ფარგლებს იქით არ მიდიოდა.

ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, რომ „ფეოდალურ ქვეყანაში გლეხთა ბრძოლა ორგანიზებული ვერ იყო. გლეხობა გაუერთიანებელი იყო. მათი საერთო გამოსვლა არ ხერხდებოდა. დაქსაქსულად იბრძოდნენ ცალკეული გლეხები ან ცალკეული მებატონის ყმები, ერთი კატეგორიის გლეხები ან კიდევ ცალკე სოფლები[264].

გლეხობის ცალკეული თუ ჯგუფური გამოსვლების ძირითადი მიზეზი ბატონყმური რიგის დადგენილი ნორმების დარღვევაა. გადამხდელი საზოგადოება მეტად მგრძნობიარეა გადასახადებისადმი. საკმარისია მფლობელთა კლასმა დაარღვიოს გადაკვეთილი დებულება და მწარმოებელი საზოგადოება არ აყოვნებს რეაქციას, მაგრამ ბრძოლა მთელი XVII—XVIII სს. მანძილზე მხოლოდ და მხოლოდ შეღავათიანი პირობებისათვის ან ძველი მდგომარეობის შენარჩუნებისათვის მიმდინარეობს.

თვისობრივ განსხვავებას კლასობრივი ბრძოლის შინაარსში მთელი XVII—XVIII სს. მანძილზე ჩვენ მაინცდამაინც ვერ ვხედავთ (ბრძოლის ერთი და იგივე სახეობანი, გლეხთა ერთი და იგივე მოთხოვნები...). ერთი რამ მაინც აშკარად შეიმჩნევა —

---

[263] ივ. ჯავახიშვილი. Политическое и социальное движение в Грузии в XIX в. ქართველი ერის ისტ., V, თბ., 1959; დ. გვრიტიშვილი. ფეოდ. საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955; გ. ჯამბურია. სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში XVI—XVII სს. ნარკვევები, IV, თბ., 1973; ი. ანთელავა. XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის. თბ., 1977.

[264] საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1გვ. 275.

ქვეყნის საგარეო ურთიერთობის გამწვავება კლასობრივ ურთიერთობათა დაძაბვას იწვევს.

XVII—XVIII სს. მიჯნაზე დიდი კულტურული აღმავლობა (არჩილი, თეიმურაზი, საბა, ვახტანგ VI) ქვეყნის ეკონომიკური დაწინაურების შედეგი იყო. ჩვენ პირდაპირი ცნობები სოციალური ძვრების შესახებ ხელთ არა გვაქვს, მაგრამ აშკარაა ქვეყანა განვითარების ახალ გზას ადგა და მისი შეუფერხებელი სვლა ახალ თვალსაჩინო შედეგებსაც მოგვცემდა.

XVIII ს. დასაწყისში ვახტანგის კანონმდებლობა უკვე ფაქტი იყო იმისა, რომ ქვეყანას კრიზისული მდგომარეობა ძირითადად დაძლეული ჰქონდა და მომავლისათვის ბრძოლა ძველი ნაშთების („შეშლილი წესები") ლიკვიდაციისათვის უნდა წარმართულიყო. მაგრამ ახალი მტრული გარემო: ლეკიანობა, ომი მჭადიჯვარს, ყვარლის ალყა, ომარ-ხანი, ოსმალობა, ყიზილბაშობა, მარცხი საგარეო პოლიტიკაში და ბოლოს აღა-მაჰმად ხანის დამანგრეველი ლაშქრობა აფერხებს შინაგანი ძალების განვითარებას. მიუხედავად ამისა, მთელი XVIII ს. სიგრძეზე გლეხობის კლასობრივი ბრძოლა შეუნელებლად მიმდინარეობდა. მალული, შენიღბული ფორმების პარალელურად ადგილი ჰქონდა გლეხების ჯგუფურ გამოსვლებს და მიუხედავად იმისა, რომ ქალაქად არ ყალიბდება მუშათა კლასი, რომელიც მებრძოლ გლეხობას დახმარებას გაუწევდა, მიუხედავად იმისა, რომ კლასობრივი ბრძოლა XVII—XVIII სს. საქართველოში ვერ მიდის პოლიტიკურ მოთხოვნების დონემდე, რაგი უთუოდ პროგრესულ როლს ასრულებდა, დადებით გავლენას ახდენდა ქვეყნის შინაგან ძალთა განვითარებაზე და აჩქარებდა იმ პროცესებს, რომელთაც ქვეყნის ახალ გზაზე გადასვლა უნდა გამოეწვიათ.

7. გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობა და ბრძოლა სოციალური პრივილეგიებისათვის

XVII—XVIII სს. გლეხობა ეკონომიკური თვალსაზრისით არ წარმოადგენდა ერთგვაროვან მასას. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „საქართველოს მთელი მოსახლეობა ორ მთავარ ნაწილად იყოფოდა: ერთს შემძლებელნი შეადგენდნენ, მეორეს კიდევ შეუძლებელნი"[265].

[265] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. ტფ., 1930, გვ. 47.

„შემძლებელი“ გლეხობა თავისი ეკონომიკური შესაძლებლობების მიხედვით რამდენიმე ჯგუფად იყო დანაწილებული. ქონებრივი მონაცემებიცა და გადახდისუნარიანობის მიხედვით გლეხობა ოთხ ძირითად ჯგუფად იყოფოდა. 1. კარგი გლეხი, 2. საშუალო, 3. საშუალოზე დაბალი და 4. უქონელი[266]. ამ ჯგუფებს შიგნითაც იყვნენ მეტ-ნაკლებად ეკონომიკურად განსხვავებული ქვეჯგუფები, მაგრამ გლეხობის ეკონომიკურად განსხვავებული ჯგუფების არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ქვეყნად ახალ მოვლენებთან გვაქვს საქმე. ს. სკაზკინი შენიშნავდა, რომ გლეხობის ქონებრივი დიფერენციაციის გაიგივება არ შეიძლება სოციალურთან. სოციალური დიფერენციაცია (ცულაკი, შუაგლეხი, ღატაკი) მხოლოდ მაშინ ჩნდება, როდესაც სოფლის მეურნეობაში აღწევს კაპიტალისტური ურთიერთობა და მოიცავს მას მთლიანად[267]. ასეთივე შეხედულების არის გლეხობის ქონებრივი დიფერენციაციის შესახებ ი. ანთელავა[268]. ეკონომიკური კეთილდღეობა ჯერ კიდევ არ იყო პიროვნების უფლებრივი მდგომარეობის აღიარება. ამიტომ, ეკონომიკურად აღზევებულ ყმებს გამძაფრებული ბრძოლა უხდებათ პრივილეგიური უფლებების მოსაპოვებლად.

ეკონომიკურად განსხვავებული გლეხების მიზნები სხვადასხვაა. აღზევებული გლეხი პატრონის წინაშე დამსახურებით ცდილობს პრივილეგიის მოპოვებას. მას არც აწუხებს პატრონისადმი წოდებრივი დაპირისპირება და თანაც ეთაკილება, პირიქით, იგი ცდილობს კიდეც წოდებრივად გაუთანაბრდეს პატრონს.

ეკონომიკურად დაკნინებული გლეხი არაფერს კარგავს. კლასობრივი პროტესტით იგი უკეთესი მდგომარეობის შექმნაზე ფიქრობს. არამყარია საშუალო გლეხთა მდგომარეობა. მერყეობს იმის მიხედვით თუ საითკენ იხრება მისი ეკონომიკური და კლასობრივი მდგომარეობის ბერკეტი. აქედან გამომდინარე, სხვადასხვაა ასეთ გლეხთა ფსიქოლოგიაც. თუ ერთს ეთაკილება კლასობრივი დაპირისპირება, მეორესათვის იგი ხელსაყრელია. ამდენად, სხვადასხვაა მათი ეკონომიკური თუ სოციალური ინტერესებიც.

---

[266] დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე. გლეხთა ეკონომიური მდგომარეობისათვის XVII—XVIII სს. ქართლის მასალების მიხედვით. მაცნე, № 5, 1965; დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი, ო. ს ო ს ე ლ ი ა. ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან. თბ., 1967.

[267] ს. სკაზკინის დასახ. ნაშრ., გვ. 203.

[268] ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა. XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, თბ., 1977, გვ. 143—166.

ვახტანგის კანონმდებლობა აღიარებს ეკონომკურად აღზევებული ყმის არსებობას, მაგრამ სოციალურად ასეთი ყმა ბატონს არ უნდა გაუთანაბრდეს. Iთუ იგი ასეთ რამეს მოინდომებს, უნდა დაისაჯოს კიდეც: „ასეთი ბატონყმანიც იქნება, რომე ყმას იმ ბატონის სისხლის გამოღება შეეძლოს, მაგრამ სისხლის მიცემა არ უნდა დაერქოს — მოსამართლე გაუწყრეს, წაურთოს...“[269].

მიუხედავად კანონმდებლობის აკრძალვისა, პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა ცდებს სოციალური აღზევებისათვის.

ბერი ეგნატაშვილის მონათხრობით, შესაძლებლი ყოფილა გარკვეული დამსახურებისათვის გლეხს აზნაურობაც მიეღო. იმერეთში (ოფიშკვითს) დამარცხებული მეფე სვიმონი კავთისხევს ერთი „მდაბალი გლეხის“ სახლს მოდგომია. ოჯახის დიასახლისს მეფე ვერ უცვნია, მაგრამ კარგად დახვედრია. მეფეს დიასახლისის ერთგულება მოსწონებია, წყალობა გაუღია და დიასახლისის ქმარი (ქვლივიძე) გაუაზნაურებია[270]. ბ. ეგნატაშვილის თვალსაზრისით, „ზემოდან“ წყალობა და სოციალური აღზევება დასაშვებია[271]. მაგრამ გაბატონებული კლასი ბრძოლას უცხადებს „ქვემოდან“ პრივილეგიების მიღების ცდებს. 1779 წ. ზაალ გურამიშვილის ყმას მიქელისშვილს მეფისათვის არზა მიურთმევია — „ბატონმა ჩემმა ერთი ჯარი წამართო“. გურამიშვილი ამ საქციელს შემდეგნაირად ხსნიდა: „ჯარის წართმევის მიზეზი ეს არის: შემძლებელი კაცი არის, დავკარგე და არაფრით დამადგა, დედა მომიკუდა, რიგი იყო რომ უნდა შემოეწია რამ და არაფერი შემომაწია; თუ აზნაურიშვილობს, მსახური უნდა მახლდეს ამისი და თუ მოყალნეა, რაც სხუა მოყალნე კაცი მემსახურება, რატომ ესეც არ მემსახურება; ჯარის წართმევის მიზეზი ეს არის“[272]. მრავლისმეტყველი განმარტებაა. მებატონე თვლის, რომ მოყალნემ (მებეგრემ) ბატონის წინაშე გლეხური ვალდებულება უნდა მოიხადოს, მით უმეტეს, რომ ეკონომიკურად „შემძლებელი კაცი არის“ და თუ აზნაურიშვილობს, მისი დამოკიდებულებაც ბატონისადმი სათანადო უნდა

---

269 ი. დ ო ლ ი ძ ე. ქართ. სამართ. ძეგლ., I, გვ. 547.

270 ბ. ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი. ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1940.

271 ჩვენს ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია აზრი აგრეთვე ერეკლეს მიერ დათუნა ბოსტაშვილის გააზნაურების შესახებ, მაგრამ იგი სიმართლეს არ შეეფერება. ამ ვერსიის წყაროა ზ. ბილანიშვილის ხალხური ლექსის ჩანაწერი. დოკუმენტური წყაროების მიხედვით ერეკლემ დათუნა ბოსტაშვილი მხოლოდ გააზატა.

272 საქ. სიძვ., III, № 523.

იყოს—ბატონს უნდა აახლოს მსახური. მაგრამ ამ შემთხვევაში შეუსაბამობაა ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას შორის. მიქელისშვილი სოციალურად გლეხია, ჩანს ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ მტკიცე აქვს და ეს მას უფლებას აძლევს თავი არ დაუდოს ბატონს და ურჩობა გაუწიოს. უფრო მეტიც, როგორც ჩანს, მას სოციალური აღზევებაც — „აზნაურიშვილობა“ სურს.

დაახლოებით ამავე ხასიათის საბუთია XIX ს. დასაწყისის მოყალნეთა სია, სადაც უცნობი პირის შესახებ წერია: „...თოხლი აძევს და არ გვაძლევენ“. ამის მიზეზი კი ის გამხდარა, რომ გადამხდელი მსახურის ხარისხში ასულა. „მინამ მსახურ(ა)თ მივიდოდენ — გვაძლევდენ და (ა)ხლა მსახურ(ა)თ არიან და (ა)რ გვაძლევენ“.[273]

ვფიქრობთ, მსგავს მოვლენებს უნდა გამოეწვიათ კანონმდებლობაში ზემოხსენებული მუხლის შეტანაც, რათა დაცული ყოფილიყო გაბატონებული კლასის ინტერესები (არ გამოცლოდა ხელიდან ყმა და არ შემცირებოდა შემოსავალი).

გლეხის ქონება დამოკიდებული იყო იმაზე თუ მიწის რა ფართობს და რა პირობით (სამკვიდრო თუ დროებითი მიწები) ამუშავებდა იგი, რამდენი გამწევი მსხვილფეხი რქოსანი ჰყავდა ოჯახში, ჰქონდა თუ არა საკუთარი სახვნელი იარაღი (ან საბაზრო გარკვეული ნაწილი). აქედან გამომდინარე, გლეხობის მცირე ნაწილს შეიძლებოდა გაჩენოდა პროდუქტის ნამატი (ან საბაზრო საქონელიც). გლეხობის ასეთი ჯგუფი ახერხებს ეკონომიკურად აღზევებას და პრივილეგიების მოპოვებით ცდილობს გუშინდელ თანამოძმეებს გამოეთიშოს. მაგრამ ქვეყნის საერთო მდგომარეობა— საგარეო თუ საშინაო ფაქტორები (ოსმალობა-ყიზილბაშობა-ლეკიანობა აღმ. საქართველოში, თურქების შემოტევები, ტყვის სყიდვა დას. საქართველოში) არ იძლევა შემდგომი განვითარების შესაძლებლობებს და მთელი XVIII ს. სიგრძეზე, თუმცა გარკვეული ძვრებია სოფლად, მაგრამ მისი განვითარება არ ხდება და თვისობრივად ახალს ვერაფერს ვღებულობთ. მიუხედავად გლეხობის ეკონომიკური დიფერენციაციისა, გლეხობაში ჯერ კიდევ არ ხდება სოციალური ზედაფენის გამოყოფა.

---

[273] Hd 3123.

[274] დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე. დასახ. ნაშრ.

მეოთხე თავი

გლეხობის რაციონალური ექსპლოატაციის საკითხი და სასჯელი

1. ფეოდალთა კლასი და გლეხობის რაციონალური ექსპლოატაციის საკითხი

მთელი XVII—XVIII სს. მანძილზე საქართველოში „მჩაგვრელი და დაჩაგრული მუდმივ ანტაგონიზმში იყვნენ ერთმანეთთან, ეწეოდნენ შეუწყვეტელ — ხან მალულ, ხან აშკარა ბრძოლას“ („კომუნისტური მანიფესტი“). ეს ბრძოლა კონკრეტული სიტუაციის — ქვეყნის შინაური თუ საგარეო მდგომარეობის მიხედვით ღებულობდა მიმართულებას. ამისდა მიხედვით სხვადასხვა იყო ფეოდალთა კლასის რეაქციაც გლეხობის კლასობრივი ბრძოლის მიმართ. ერთ შემთხვევაში ფეოდალები ცდილობდნენ გამოენახათ გზები და საშუალებები მწვავე ანტაგონისტური ურთიერთობის შესანელებლად და მათი დამოკიდებულება გლეხობის მიმართ შემრიგებლურ ხასიათს ატარებდა. ფეოდალები გარკვეულ დათმობებზეც მიდიოდა. სხვა შემთხვევებში კი ბრძოლა სასტიკი და დაუნდობელი იყო. მფლობელთა კლასი გაძლიერებული ექსპლოატაციის პარალელურად ყოველგვარი კლასობრივი გამოსვლების წინააღმდეგ სასჯელის სასტიკ ზომებს მიმართავდა.

პირველად სოფლის მწარმოებელი საზოგადოების დაცვისა და მისი რაციონალური ექსპლოატაციის საკითხი XVII ს. მეორე ნახევარში დაისვა. მეფე-პოეტმა არჩილმა უპირველესად გლეხობის ფიზიკური გადარჩენის საკითხი წამოაყენა: „თუ ამოწყდეს გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდა“,[1] ხოლო შემდეგ მისი დაცვისა. არჩილის თვალსაზრისით, გლეხის დასაცავად საჭიროა მას მოშორ-

[1] არჩილიანი. II, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. ტფ., 1937, გვ. 73.

დეს „ძალი“, გლეხი განთავისუფლდეს „მიმძლავრებისაგან“. „ძალისა“ და „მიმძლავრების“ ცნებებში არჩილი კლასობრივ ჩაგვრას — ბატონყმური რიგისა და დაკანონებული ნორმების დარღვევას გულისხმობს. „გლეხს ძალი მოაშორეთა“[2] — მიმართავს ფეოდალებს არჩილი.

არჩილის აზრით, თუ გლეხს „ძალი“ არ მოშორდება, ისე ბატონი ყმებს ვერ გაიმრავლებს: „გლეხთა სიმძლავრებით, ვერ გაიმრავლებთ“[3] (იგულისხმება: — აიყრება, გაიქცევა). აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ „გაუმრავლებელი“, მცირე გლეხობის პატრონი ვერ შეძლებს გლეხთა რაციონალურ ექსპლოატაციას.

მაგრამ არჩილი სრულებითაც არაა მომხრე კლასობრივი დაპირისპირების მოსპობისა. პირიქით, იგი ვერ ურიგდება კლასობრივ წინააღმდეგობებს, გმობს ურჩებს და ყმებისაგან ბატონის სიტყვის გაგონებას და დამორჩილებას — „დამონებას“ მოითხოვს.

„ყმისაგან ბატონის სიტყვისა გაგონა, მოხსენებაცა,
ძნელია ცოდნა ამისი, ანაზდათ მოგონებაცა.
დია სჯობს უპრიანეა ურჩებას დამონებაცა...“[4]

სხვა შემთხვევაშიაც არჩილი ურჩ ყმას „დამონებულს“, დამორჩილებულს ამჯობინებს: „პატრონის ყმისგან ურჩობას, უკეთეს დამონებული“[5].

არჩილის პოეზიაში გლეხობის საკითხს წინ წამოწევა, მისი რაციონალური ექსპლოატაციისა თუ სოციალურად დაქვემდებარებულის მორჩილების საკითხის დასმა, გამოძახილია მეფე-პოეტის თანადროული საქართველოს ვითარებისა, კერძო კლასობრივი ბრძოლის გამწვავებისა. XVII ს-ში გარეშე მტრებთან ბრძოლებში უმოწყალოდაა გაწყვეტილი გლეხკაცობა. შემცირებულ მწარმოე-

---

[2] არჩილიანი., ალ. ბარამიძის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტფ., 1936, გვ. 51.

[3] იქვე. გვ. 242.

[4] იქვე. გვ. 9.

[5] ყმის „მორჩილების“ საკითხზე თავისი შეხედულება აქვს ფარსადან გორგიჯანიძესაც: „ბატონმან ყმა ასერე არ უნდა გააძლიეროს, რომ პატრონის წახდენა შეეძლოს. აბა თუ ბატონი დაიჩაგრა, ყმა გაძლიერდების და ბატონობას მოინდომებს და ადვილადაც წართვას, ამისთვის რომ ზოგნი მეყვისნი და მოყვარენი ეყოლების და ზოგს ყმობაში თვითონ მოიმადლებს და მოიყენებს... „(საისტ. მოამბე, III, 1925, ტფ., გვ. 209). მართალია, ფარსადანის ეს თვალსაზრისი ზოგადია, მაგრამ მთავარი აქ ისაა, რომ ფეოდალურ საზოგადოებაში „ყმის“ კერძოდ, გლეხის მორჩილების საკითხი სავსებით განსაზღვრული იყო.

ბელ საზოგადოებას მძიმე ტვირთად აწევს ფეოდალური ვალდებულება-მოვალეობანი, რაც ჩვეულებრივად კლასობრივ პროტესტს იწვევს. ასეთი ვითარებაში გლეხის ფიზიკური არსებობის შენარჩუნება-გამრავლებისა და „ძალის“ მოშორების საკითხის დასმა მდგომარეობიდან გამოსვლის ერთ-ერთი გზა იყო. ამდენად, არჩილის დებულება გლეხის „ძალის“ მოშორებისა, მფლობელთა კლასის გარკვეული დათმობა იყო არსებულ კლასობრივ ბრძოლაში (მაგრამ საკუთარი კლასის ინტერესების დაცვა-გათვალისწინებით!)

ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, რომ: „ფეოდალური საქართველოს დაცვის ინტერესებმა მეფე არჩილი გლეხთა გამოსარჩლებამდე მიიყვანა... მაგრამ მას, თავისი კლასობრივი ინტერესებით შეზღუდვილობის გამო, ცხადია არ შეეძლო ამგვარი უსამართლობისათვის ბრძოლა გამოეცხადებინა“[6].

არჩილის დებულება გლეხისათვის „ძალის“ მოშორებისა გაიზიარა ქართულმა მოწინავე საზოგადოებამ. ეს საკითხი XVII—XVIII სს. მანძილზე მთელი სიმწვავით იდგა; ბატონყმური რიგის, ბატონყმური ურთიერთობის მოწესრიგებისათვის ბრძოლა სწორედ გლეხისათვის „ძალის მოშორების“ დევიზით მიმდინარეობდა.

XVIII ს. დასაწყისში შედგენილმა სამართლის წიგნმა გაიმეორა არჩილის წამოყენებული დებულება გლეხისათვის „ძალის“ მოშორებისა: „ნურა კაცი თავის ყმას ძალას ნუ დაატანს, თორემ წავა... და ყმა დაეკარგება“[7].

„ძალის მოშორების“, „ძალის დაუტანლობის“ დევიზი პრაქტიკულ ცხოვრებაშიც ცხოველმოქმედი იყო. 1686 წ. გიორგი მეფემ დოლენჯიშვილებს სახელო უბოძა, „გამოსართმევი“ განუსაზღვრა და დასძინა: „სხუა რიგათ გლეხს ძალს არ უზემდე“[8]. 1749 წ. ანახანუმ დედოფალი ოთარ გერმანოზიშვილს წერდა: ჩემს სახასოში ყველაფერზე „სამართლიანის საქმით ღალა აიღევ საჩვენოთ“, ღონდ „ძალას და უსამართლოს ნურვის უზამ“[9].

მწარმოებელი საზოგადოების დაცვა „ძალისა და უსამართლობისაგან“ მთელი XVIII ს. მანძილზე მფლობელთა კლასის პროგრესული ნაწილის საზრუნავს შეადგენდა. უპირველესად „ძალისა და უსამართლობისაგან“ დაცვა საგადასახადო ძალდატანებისაგან

---

[6] საქართველოს ისტორია, I, მაკეტი ხელნაწერის უფლებით, თბ., 1956, გვ. 303.

[7] ი. დ ო ლ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 591.

[8] საქ. სიძვ., II, № 77.

[9] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. დოკ. I, № 485.

დაბეგრილი საზოგადოების გადახდის უნარიანობის გათვალისწინება და უდების დადებისაგან დაცვა იყო. ამიტომ იყო, რომ 1708 წ. ნათლისმცემლისათვის შეწირული სოფლების უზნარიანისა და კარუკულმართის გაბეგვრის დროს გათვალისწინებული იყო გადამხდელი საზოგადოების შესაძლებლობა, რომ გლეხი არ „შეწუხებულიყო“: „ეს მცირედი დავდევით რომე გლეხი არ შეწუხდეს და სიხარულით ეს ყოველი მონასტერად მიიღონ“.

გადამხდელი საზოგადოების შეწუხებას მაშინაც ერიდებოდნენ, როდესაც გადასახადი უცხო მოძალადის სასარგებლოდ იკრიფებოდა. ამ მხრივ საინტერესო ცნობაა დაცული მეფის ძის გიორგის წერილში ამილახვრისადმი, რაც რაჯაბასათვის (დაღესტნელთა ბელადი) გადასახადის აკრეფას შეეხება: „რაჯაბა წამოვიდა მანდეთ თავისის საქონლის ასაღებათ მოვიდა... რაც მოუნდება სურსათი უნდა მისცეთ და ასე რიგად უნდა გარიგოთ სურსათი, რომე ხალხიარ შეაწუხოთ დაანა არ აჩივლოთ...“[10]. —ვკითხულობთ წერილში.

როგორც წესი, გადამხდელ საზოგადოებას ანგარიშს უწევდნენ „შეწერით“ გადასახადის დადების დროს. 1795 წ. თუმანიშვილი აცხადებდა: „...ჩვენს კაცებს ნიკოლოზის შეკითხვით და გლეხის კაცის დაძახებით და თხოვნით პური შევაწერეთ...“[11] ამ საბუთს დართული აქვს გადამხდელთა ნუსხა, საიდანაც ჩანს, რომ გლეხები იხდიან 8-იდან 30 კოდამდე (შესაძლებლობების გათვალისწინებით) მარცვლეულს. უფრო მეტიც, იყო შემთხვევები, როდესაც მებატონე გლეხებს პირობას უდებდა საგადასახადო შეღავათებზე, გარეშე მოძალადისაგან დაცვაზე. 1744 წ. გივი ამილახორი „ერთობით ხეფინისკეველებს“ მიმართავდა: „...ცოტა ხანს ქართველმა ბატონმა თქვენი თავი აბაშიძეს უბოძა. ახლა მეფემ თქვენი თავი ისევ ჩვენ გვიბოძა. ჩვენ ეს პირობა მოგვიცემია, რაც უწინ ქართველის ბატონისა გებებიათ, იმას გამოგართმევთ. იმაზე მეტს არას გამოგართმევთ, არცავის თქვენს თავს სხვას კაცს დავანებებთ, თქვენც მართებულს ბატონყმურს სამსახურს ეცადენით და იყავით თქვენთვის“[12].

მწარმოებელი საზოგადოების ძალდატანების, ძალადობის

---

[10] სსცა. კარბელაშვილის პირადი არქ. რვ. 12, № 106.

[11] Qd 7636.

[12] ნ. ბერძენიშვილი. დოკ. I, № 452.

ალსანიშნავად XVIII ს-ში არსებობდა სპეციალური ტერმინი — „გაგლეჯვა“, ამ ტერმინში სოციალური შინაარსი იდო.

მწარმოებელი საზოგადოების გარეშე მოძალადეებისაგან დაცვის ერთ-ერთი სახეობა სწორედ „გაგლეჯვისაგან“ დაცვა იყო. 1758 წ. დავით სახლთუხუცესი გიორგი თუმანიშვილს წერდა: „ჩვენი ყმა საკარელი თამაზა მანდ ხულთუბანს დგას... უბრალოთ ნურავის ამსახურებ და ნურავის გაგლეჯინებ“. 1778 წ. დავით სარდალი მამასახლის ალიხანას წერდა: ვისთანაც პაპა ელიაშვილის კაცი იყოს „თვალყური დაიჭირე... ნურავის გაგლეჯინებ და ნურაზე შეაწუხებინებ“[14]. 1780 წ. გრიგოლ ბერი წმინდა დავითის არქიმანდრიტს აცნობებდა წმინდის გიორგის ეკლესიის ყმაზე იოსებ საგიშვილზე: „თვალყური გეჭიროსთ, რომ უბრალოთ არავინ გაგლიჯონ და გააცოდვილოს ან ბეგარაში ან სხვა საქმეშია...“[15] 1783 წ. ნაზირი დავითი თუმანიშვილს მიმართავდა: „...ჩვენი ყმები... რომ მანდა სახლობენ ...თვალყური უნდა მიუგდო, რომ არავინ არა გაგლიჯონ რა“[16].

1785 წ. დარეჯან დედოფლისათვის არზა მიურთმევიათ მონასტრელებს, ქემერტელებს, დგვრისელებს, ხვიჭისა და ნიქოზის მცხოვრებლებს „...მონასტერი შეგიწყალებიათ და ჩვენთვის მისი მსახურება დაგიდვიათ და უბრალოთ მგლეჯელისაგან დაგიხსნივართ: სამღუდელოებმა — საერომდი, დიდდგან — ყრმამდინ...“ ამის შემდეგ მთხოვნელები მიმართავენ დედოფალს — ოქმი გვიბოძეთ „თქვენს სამსახურს გარდა ჩვენთან საბატონყმოთ და უბრალო საგლეჯად და შესაქმელად კელი არავისა ჭონდეს“.

დარეჯან დედოფალს მაჩაბლისათვის მიუმართავს: „ესენი ან არავინ გაგლეჯონ (!), ან უსამართლო არავის დაამართვინო, თვალყური მიუგდე“[18]. 1790 წ. კი ფარსადან ნაზარაშვილი მეფის ძეს გიორგის მიმართავდა: „მოწყალებას გევედრებით.., რომა უბრალოდ არავინ გამგლიჯოს და არავინ დამჯაბნოს“.

მფლობელთა გარკვეული ნაწილი წინააღმდეგი იყო ყოველგვარი ძალდატანებისა და უსამართლობისა. მაგრამ ეს არ ნიშნავდა,

---

[13] Qd 236.
[14] საქ. სიძვ. , III, № 187.
[15] თ. ქორდანია. ქართლ-კახეთის... გვ. 128.
[16] საქ. სიძვ. III, № 534.
[17] Qd 8744.
[18] თ. ქორდანია. დასახ. ნაშრ., გვ. 159.

რომ ქვეყნად სრული წესრიგი სუფევდა. ნაწილი მფლობელებისა გლეხობის ექსპლოატაციასა და დასჯას არ ეშვებოდა. მეფე ბაქარი (1717—1724) დირბის მოურავს ელიზბარ დავითაშვილს აფრთხილებდა: ჯვარის მამა თავის კუთვნილს დასჯერდეს „გლეხის რბევას დაეხსნას, რაც სამართლიანი გამოსაღები იყოს, იმას გამოართმევდეს“[19]. 1792 წ. თარხნიშვილებისგან უსამართლოდ დარბეულ აზნაურ თუხარლინიანთ ყმებს გამოესარჩლა ანტონ ერეკლეს ძე. იგი სახლთუხუცესს პაატას მიმართავდა: „შენ უნდა მიხვიდე თარხნიანთანა და ამათ თუხარლიანთ ყმები რომ დაურბევიათ, თარხნიანთ არ უნდა თავის თავათ ექნათ ეს საქმე და დაერბიათ. თუ რომ საბუთი ჰქონდათ, ჩვენთვისა და იმისის უმაღლესობის მეფისათვის უნდა მოეხსენებინათ და პასუხს ჩვენ მივცემდით... ახლა... ის ნარბევი სრულებით უნდა გამოურთო და ამათ მოაბარო[20].

აღშფოთებული ტონით მიმართავდა მეფე ერეკლე 1775 წ. გორელებს. საქმე შემდეგში იყო: ფარნაოზ ბატონიშვილს ორი კაცი გაუგზავნია გორში იასაულად. ერთი ექვს თუმანს თხოულობდა, ხოლო მეორე სამს. სამწუხაროდ, ჩვენ მხოლოდ ერეკლეს მიმართვის ტექსტი გვაქვს და არ ვიცით რას მოახსენებდნენ გორელები, მაგრამ ერთი ცხადია, გორელებისაგან ფარნაოზის იასაულები „უდების“ გამოღებას თხოულობდნენ, რაზედაც ერეკლე სასტიკად გაჯავრებულა. „ეგენი ორნივ დაიჭირეთ, — მიმართავს ერეკლე გორელებს, — ან რაც კაცი ახლდესთ, თავიანთი თუ ვისიც უნდა იყოს, ყველანი უნდა დაიჭიროთ და ცხენი და იარაღი თქვენთვის სულ სახალხოთ მომიცია და მაგათ ყველას თავი გაუტეხეთ, ოთხასოთხასი ჯოხი დაჰკარით, ძალიან ჯოხები... და ეგ მაგათი ნაცარცვი ჰალალი ქმნას თქვენთვის“. ერეკლე გორელებს აფრთხილებდა: „და მას იქითაც, თუ ჩემმა შვილებმა და ან შვილისშვილებმა შემოგაწერონ რამე ერთის შაურიდან ას თუმნამდინა ნურაფერს ნურას მისცემთ“. ერეკლე ამ მიმართვაშიაც „ძალისაგან“ იცავდა გადამხდელებს: „თუ ძალა მოინდომონ, კაცები კარგად დაუტყიპეთ, ისე გაუყარეთ“. ერეკლე ნებას აძლევდა გორელებს იარაღით გამკლავებოდნენ მოძალადეებს: „თუ თქვენზე იარაღი მოინდომონ და იხმარონ იმათმა კაცებმა, თქვენ ერთისათვის ორი და სამი იარაღი იხმარეთ იმათზედა. გორელებო! დიდნო და მცირენო, სახა-ლხონო, ეკლესიისა და ან სხვისა ვისიმე ყმანო და ხიზანნო და დედაკა-

[19] ნ. ბერძენიშვილი. I, № 247.

[20] Sd 377.

ცებო თქვენც ასე ჰქენით, ჯოხი და ქვაც იმისთანას, იმათს გამოსეულს იასაულებს ასე უყავით[21].

საერთოდ მრავლადაა საბუთი იმისა, რომ მფლობელთა კლასი ცდილობს გადამხდელთა მიმართ ფრთხილი დამოკიდებულება გამოიჩინოს, რომ ცალკეული გლეხები არავინ „გაცარცვოს“, არავინ „შეაწუხოს“ და არავინ არაფერი „აწყენინოს“, მაგრამ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ბატონსა და ყმას შორის ურთიერთობის მოწესრიგება ვერ ხდება, მეფე ერევა და ცდილობს წონასწორობის დამყარებას. მკაცრ მებატონეებს, რომლებიც უმოწყალო ექსპლოატაციას უწევენ გლეხებს და არ იცავენ „ბატონყმურ რიგს“ მეფე მუქარით მიმართავს. 1763 წ. ერეკლე თუმანიშვილებს წერდა: „თუ რომ თქვენი მამულიდამ მემკვიდრე კაცი აიყარა და წავიდა სადმე, ერთი კაცი რომ აიყაროს, იცოდეთ დიაღ ავად მოგეპყრობით და გარდაგახდევინებთ“. იგი თავის მოხელეს აფრთხილებდა: „ელიზბარაშვილო პაპავ! შენ ამაზედ თვალი დაიჭირე არავინ წავიდეს თორემ შენ მოგკითხამთ“[22]. ასევე ემუქრებოდა ერეკლე ამილღამბარ ციციშვილს 1785 წელს, რომელიც თავნებობდა და უსამართლოდ სარუსო პურის აკრეფას ცდილობდა: „შენ რომ ამის კაცებს ჩადგომიხარ ვისის ოქმით და ვისის ბრძანებით ჩადგომიხარ? ესეც უნდა შეგვატყობინო. ამათ შედგომა შეინანე, გაუსწორდი, თორემ იცოდე ავათ მოგეპყრობი“[23]. 1789 წ. იოანე ბატონიშვილი გოგია მამასახლისს სთხოვდა ტყვეობიდან მოსულ გიშელაშვილს „კარგად თვალყური მიუგდე, რომ უბრალოთ არავინ რა აწყენინოს, თორემ თუ ეს შეაწუხევით მე შენსაგან გვეწყინება(!) ასე იცოდე“[24].

გლეხობისადმი ლმობიერი მოქცევით სამეფო კარი წინდახედულებასაც იჩენდა. მან იცოდა, რომ „გლეხთა მიმძლავრებით ვერ გაიმრავლებდა“ და შეიძლებოდა მებატონეთა შთამომავლობა გლეხებისაგან „ამოწყვეტილიყო“. ამიტომ მოითხოვდნენ მებატონეებისაგან გლეხობის ზომიერ ექსპლოატაციას, შელავათებიან ურთიერთობას. 1785 წ. მეფის ძე გიორგი არჯევან ფიცხელაურს უბრძანებდა: „ამ არზით ეს კაცი რომ ასე გიჩივის კვლავაც მრავალჯერ უჩივლია, რათ ვერ დააჯერე გული?... რადგან მოგეცით ეს

---

[21] საქ. სიძვ., II, 1920, გვ. 199.
[22] Qd 77.
[23] Qd 419.
[24] Hd 5662.

კაცნი (sic) შეღავათით მოექეც და რიგიანათ, რომ აღარ იჩივლოს, შენც გამოგადგეს და შენს შვილსაც. ...შენის შვილებისათვიის რომ ზრუნავ ხოლმე, თუკი გაუცრცვი და აღარა დარჩებათ რა. ასე მოიქეც შენც გამოგადგეს და იმათაც"[25].

სწორედ ეს იყო ძირითადი მოტივი მწარმოებელთა ზომიერი ექსპლოატაციისათვის. გლეხკაცობა არ ამომწყდარიყო და მფლობელთა კლასს და მის შთამომავლობას „გამოდგომოდა".

ამდენად, გაბატონებული კლასი გლეხობის ინტერესებიდან სრულებითაც არ გამოდიოდა. პირიქით, მეფე ერეკლე, ისევე როგორც მეფე არჩილი, საუკუნეზე მეტი ხნის წინ თვინიერი და მორჩილი ყმის ყოლის მოსურნე იყო. 1783 წ. თადიას (?— დ. მ.) ერეკლესათვის ყმის დაუმორჩილებლობა შეუჩივლია. ერეკლეს უპასუხია: „... თადიავ!.. შენის ყმის უმორჩილობა რომ მოგიხსენებია, როგორც მჭედელმან რკინა მოიხმაროს, აგრეევე შენ მოიხმარე შენი კაცი და იმსახურე... რატომ არ გემორჩილება? შენი ყმა არის არ ეკადრება შენი სამსახური თუ რა მიზეზი არის?"[26].

ყმის „მორჩილება" „ბატონყმური რიგის" ერთ-ერთი პირობათაგანი იყო და მისი დარღვევის შემთხვევაში ურჩობა სასჯელსაც იმსახურებდა. 1783 წ. იულონ ბატონიშვილი ენისელებს მიმართავდა: „ბატონის მამის ჩვენისგანაც და ჩვენგანაც ბევრჯელ გბრძანებიათ თქვენის მოურავისა თუ ურჩნი იქნებით და მორჩილებით არ მოექცევით, ბატონისაც და ჩვენიც დიდათ საწყენი იქნებადაარცშეგარჩენთ"[27].

ამდენად, მიუხედავად უამრავი ღონისძიებებისა, ყმათა მდგომარეობის შემსუბუქებისათვის არჩილის დებულება „პატრონის ყმისაგან ურჩობას, უკეთეს დამონებული", „დია სჯობს უპრიანეა ურჩებას დამონებაცა" XVIII ს. მიწურულისათვისაც ძალაში იყო.

2. უცხოელი დამპყრობელი და გლეხობის ექსპლოატაციის საკითხი

მწარმოებელი საზოგადოების ზომიერი ექსპლოატაციით მარტო ქართველ ფეოდალთა კლასი არ იყო დაინტერესებული. შეიძლება პარადოქსულადაც კი მოგვეჩვენოს, მაგრამ ზოგჯერ სასტიკი

---

[25] საქ სიძვ. II, № 416.

[26] Qd 2063.

[27] Qd 583.

უცხოელი დამპყრობელიც მწარმოებელი საზოგადოებისადმი ლმობიერებას იჩენდა და მის „კეთილდღეობაზედაც“ ფიქრობდა.

როგორც ცნობილია, ქართლში ოსმალობის დამყარების შემდეგ მდგომარეობა მეტად გამწვავდა. გლეხობა ორმაგი ექსპლოატაციის უღელში მოექცა. გლეხის აყრა-გაქცევა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. უცხო დამპყრობელი სასტიკად ახშობდა ყოველგვარ წინააღმდეგობებს. მაგრამ ამავე დროს, დამპყრობელი ხედავდა თუ გლეხი თავის მეურნეობას არ დაუბრუნდებოდა, იგი აღარც გადახდისუნარიანი იქნებოდა. ამიტომ, აყრილი გლეხის დაბრუნება საკუთარ მიწაზე ოსმალობის დროს დამპყრობელთა საზრუნავად იქცა. ოსმალთა პირველი მოხელე ისაყ ფაშა ოსმალთა სამსახურში მყოფ გივი ამილახორს წერდა: „ბეჟან თუმანიშვილის გლეხი სადაც იყოს აყრილი... ისევ თავის მამულში მოაყვანიეთ... ისევ თავის სამკვიდროს მამულში ჯნას (sic) და თესონ, სხვაგან რატომ ან ჯვენ და ან დგანან“?[28].

კიდევ უფრო მეტყველ დოკუმენტს წარმოადგენს ისაყ ფაშას ბრძანება, სადაც ლაპარაკია გლეხის უფლების დაცვაზე, იმაზე რომ გლეხს „ძალი და უსამართლო არა დაემართოს რა“ და თუ დამპყრობელი ოსმალო ქართველი გლეხის შეწუხებას ეცდება, იგი კიდეც უნდა დაისაჯოს. დოკუმენტი მოგვაქვს მთლიანად: „ქ. კეზირი ისაყ ფაშა ვიკადრებ ჩვენ მაგიერად კათალიკოზის სალთხუცეს ამილბარს და სულ კ'ზის აზნაურიშვილებს ასე უამბეთ! მერმე ცამდი ამაღლებულის ბედნიერის ჯელმწიფის ბრძანება მოვიდა და ჩვენც ასე გვიბრძანებია, რომ ყოველს ალაგს სოფლები ა(შე)ნდეს და გლეხს ძალი და უსამართლო არა დაემართოს რა. ვინ(ც) უჩვენოს უბუირუთოდ, რაც თათარი თუ ქართველი, მაგ შენ სანჯახში სოფლებსა და გლეხს ძალას ატანდეს, მიმსვლელ-მომსვლელი კაცი თქვენთვინ გვიბრძანებია: თუ დაგიჯეროსთ და გაგეცლებოდესთ ის არის და თუ არა და ავად მოეპყრობოდეთ, დაიჭერდეთ და აქ ჩვენს კარზე გამოგზავნიდეთ ან არა და გორის ფაშას ასან-ფაშას მოგვრიდეთ და როგორც ჩვენი ბრძანება მოუვიდეს ისრე გარდახდევინებდეს. ვინც უბუირუთო თათარი სოფელში დადგებოდეს, სასმელ-საჭმელსა და ქერს თავისის ფასით იყიდდეს და უფასოდ

---

[28] საქ. სიძვ. III, № 442.

გლეხისათვის ნურას გამოართმევინებთ. რამაც თათარმა ღვინისათვინ გლეხი შეაწუხოს და ძალი უყოს ავად მოეპყარით"[29].

ამ თავისთავად მრავალმხრივ საინტერესო დოკუმენტში, განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ის, რომ უცხოელი დამპყრობელი გლეხის „ძალის მოშორებისა" და „შეუწუხებლობის" საკითხში ზუსტად ისე აზროვნებს და მსჯელობს, როგორც ქართული ფეოდალური საზოგადოების ზედა ფენა. და ეს შემთხვევითი როდი იყო. უცხოელი დამპყრობელი ადგილობრივი მწარმოებელი საზოგადოებისათვის უპირველესად კლასობრივი მტერი იყო. უცხოური წესები და გადასახადები ამძიმებენ დაპყრობილი საზოგადოების დაბალი ფენების მდგომარეობას. იზრდება ექსპლოატაცია. და ამიტომ ისევე, როგორც ქართული ფეოდალური საზოგადოების გაბატონებული კლასი, უცხოელი დამპყრობელიც იძულებულია დათმობაზე წავიდეს. ორივე შემთხვევაში წამოყენებული დევიზი გლეხის „ძალის" მოშორებისა იყო კლასობრივი ბრძოლის სიმწვავით გამოწვეული იძულება. ეს იყო გაბატონებული კლასის უკან დახევა საკუთარი ინტერესების შესანარჩუნებლად და არა ლმობიერი დათმობა.

„ოსმალობაზე" ნაკლებ მძიმე მოვლენა, განსაკუთრებით გლეხობისათვის, არც „ყიზილბაშობა" იყო. მიუხედავად იმისა, რომ ყიზილბაშებმა გოჯი მიწაც კი არ დატოვეს დაუხარკავი, გლეხის „დაცვას" თითქოს ყიზილბაშებიც ცდილობენ. პაპუნა ორბელიანის სიტყვებით, შაჰმა ბევრი სათხოვრის რთმევით გამოწვეული ქართლის უკმაყოფილება — „ღალატი" მოხელეებს გადააბრალა და ისინი სასტიკად დასჯა: „იცოდა ხელმწიფემ ამდენი ქართლისაგან ღალატი სათხოვრისაგან ამ[ენის] რთმევის მიზეზი იყო. ამაზე გასწყრა და ქართლის მუსტოფი ჯოხით მოკლა. მირზა აშუმა, რომელი იყო ქართლში მწერლად იმას ცხვირპირი დასჭრა. რაც ქართლში ხარაბა ადგილი იყო იმისი ხარჯი ეპატიებინა[30]. შაჰის ეს დათმობა მოჩვენებითი იყო. მან მხოლოდ „ხარაბა" — გაუკაცრიელებული ადგილები „შეიწყალა" — გაათავისუფლა გადასახადებისაგან. ის მიწები კი, სადაც მოსახლეობა ჯერ კიდევ იყო, კვლავ „სათხოვარ" ვალდებული რჩებოდა. ყიზილბაშთა „ღონისძიება" მოსახლეობის მდგომარეობის შესამსუბუქებლად, რასაკვირველია, მოჩვენებითი იყო, მაგრამ პაპუნა ორბელიანის თხზულებაში მისი ფიქსირება იმ

[29] Ad 1793.

[30] პაპუნა ორბელიანი. დასახ. ნაშრ., გვ. 77.

მხრივაა საინტერესო, რომ მასში მოცემულია ცდა შექმნილი სიტუაციის ასახსნელად.

როგორც ვხედავთ, ადგილობრივ ფეოდალთა და უცხო დამპყრობელთა ღონისძიებანი გლეხის „ძალის მოშორების“ საკითხში — კლასობრივი ბრძოლის შენელების თვალსაზრისით მხოლოდ პალიატივი იყო. კლასობრივი ბრძოლის ჩასახშობად გაბატონებულ წრეებს არა მხოლოდ დათმობაზე წასვლა უხდებოდათ, არამედ სხვა საშუალებათა გამოყენებაც. ამიტომ დათმობა-„ლმობიერების“ პარალელურად გლეხთა ყოველგვარი ურჩობის დასათრგუნავად ფეოდალური საქართველოს პრაქტიკაში გავრცელებული იყო სასტიკი სასჯელებიც.

3. სასჯელი XVII—XVIII სს. საქართველოში

დანაშაულისა და სასჯელის შესწავლა, როგორც სამართლებრივი კატეგორიებისა, საკმაოდ რთული და მრავალფეროვანი საკითხია და ჩვენ მის გავრცელებას ამ შემთხვევაში არ ვაპირებთ.

ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ სასჯელის ის ზომები, რომლებიც გვხვდება XVII—XVIII სს. ქართულ საზოგადოებაში. უფრო კონკრეტულად: — რა ურთიერთობაა დანაშაულსა და სასჯელს შორის კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით. როგორაა ასახული დანაშაული და სასჯელი საკანონმდებლო ძეგლებში, როგორაა ასახული დანაშაული და სასჯელი ფეოდალური ხანის ქართული საზოგადოების პრაქტიკაში.

ცნობილ იურისტს მ. შარგოროდსკის მოაქვს კ. მარქსის სიტყვები, რომ ...наказание есть не что иное, как средство самозащиты общества против нарушений условий его существования». ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ სასჯელის კლასობრივი ხასიათი განისაზღვრება არა იმით, თუ კონკრეტულად სასჯელის რა სახეობაა, არამედ იმით, თუ რომელი კლასის მიერ რომელი კლასის მიმართ გამოიყენება სასჯელი, ე. ი. მიზნითა და სისტემით[31].

ფეოდალურ საქართველოში არსებული სასჯელისა და დანაშაულის საკითხს არა ერთი ქართველი თუ არაქართველი მკვლევარი შეხებია, რომლებიც დასმულ საკითხებს ძირითადად ქართული სამართლის ძეგლების შესწავლასთან დაკავშირებით იხილავდნენ (დიმ. ბაქრაძე, ფრენკელის მიერ ვახტანგ VI-ის კანონების რუსული

[31] Шаргородский М. Д. Наказание, его цели и эффективность, изд. Л-ского ун-та, 1973, с. 5.

თარგმანის წინასიტყვაობა 1887.; ურბნელი, 1892 წ.; ჰოლდაკი, 1907 წ.; კარსტი, 1938 წ.; ი. დოლიძე, 1953 წ. და ა. შ.).

სასჯელთა სისტემისა და დასჯის საშუალებათა შესახებ ქართულ პირველწყაროებზე დაყრდნობით პირველი მეცნიერული განზოგადოება ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის[32]. მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორს მხოლოდ ადრეული ხანის ძეგლები აქვს განხილული.

1946 წ. გამოქვეყნებულ წიგნში „ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიდან", I, ცალკე თავი დაუთმო სასჯელის, მისი მიზნებისა და სახეების შესწავლას ალ. ვაჩეიშვილმა.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის მას დეტალურად აქვს შესწავლილი და განხილული ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში შეტანილი სასჯელის ზომები. ავტორი იძლევა მათ კლასიფიკაციას (დამასახიჩრებელი და მტკივნეული სასჯელები, ქონებრივი სასჯელი, განუსაზღვრელი სანქციები, თავისუფლების აღკვეთა, გამაწბილებელი სასჯელები და ა. შ.).

ავტორის თვალსაზრისით, „ქართულმა სისხლის სამართალმა არ იცის სასჯელის სასტიკი, შემზარავი სახეები. სასჯელის ის კვალიფიციური ფორმები, რომლებსაც უხვად იცნობენ მონათმფლობელური და ფეოდალური პერიოდის სახელმწიფოები"[33].

განიხილავს რა ზემოთ ჩამოთვლილი სასჯელების სახეობებს ცალ-ცალკე, ავტორი ასკვნის, რომ: „ვახტანგის კანონები, შედარებით ფეოდალური პერიოდის სხვა ძეგლებთან თავისი ლმობიერებით განირჩევიან ამ აზრის დასამტკიცებლად საკმარისია გადავხედოთ იმ სასჯელთა სისტემას, რომლებიც დაწესებულია ფეოდალური პერიოდის სხვადასხვა კოდექსებით და რომლებიც უზომო, არაჩვეულებრივი სიმკაცრით არიან გამსჭვალული; სასჯელთა ამგვარ სახეებს ვახტანგის კანონები, რასაკვირველია, არ იცნობენ"[34].

ავტორი იქვე, სქოლიოში, აკრიტიკებს იმ ავტორებს, რომლებიც ვახტანგის კანონების სიმკაცრეზე ლაპარაკობენ[35].

---

[32] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული სამართლის ისტორია. წიგ. II, ნაკვ. II, ტფ., 1929.

[33] ალ. ვ ა ჩ ე ი შ ვ ი ლ ი. ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან. I, თბ., 1946, გვ. 104.

[34] იქვე, გვ. 125—126.

[35] 1977 წ. გამოქვეყნებულ წერილში „კლასობრივი ბრძოლის ანარეკლი ქართულ სამართლის წიგნებში", («Правовые исследования») იურისტები დ. ფერცელაძე და ი. ფუტკარაძე განიხილავენ რა ვახტანგის სამართლის წიგნს ასკვნიან, რომ ქართული სამართლის წიგნებში და კერძოდ, ვახტანგის სამართალში მოცემულ ი სას-

მიუხედავად იმისა, რომ 1946 წ. გამოქვეყნებულ „ნარკვევებში“ დასმულია მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი, ავტორს ყურადღება არ გაუმახვილებია სასჯელის, როგორც კლასობრივი კატეგორიისათვის. სამაგიეროდ, მონოგრაფიაში „სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი“, რომელიც ზოგადი მნიშვნელობისაა, განსაკუთრებით აღნიშნავს სასჯელის კლასობრივ ხასიათს. „სასჯელის ინსტიტუტი ისე როგორც დანაშაული, მჭიდროდ დაკავშირებულია სახელმწიფო ორგანიზაციასთან.

სასჯელი დაწყებული მონათმფლობელური ფორმაციით, ემსახურება ერთ და იმავე მიზანს. გაბატონებული საზოგადოებრივი კლასის მიერ შექმნილი სისტემის დაცვას... სასჯელი, ისე როგორც სხვა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები, იჩენს ერთგვარ მუდმივობას, ეს მუდმივობა გამოისახება იმაში, რომ იგი თავის ბუნებით სამაგიეროს მიზღვას წარმოადგენს იმ დანაშაულისათვის, რომელიც სუბიექტმა ჩაიდინა“[36].

საინტერესო სტატია გამოაქვეყნა XI—XII სს. სასჯელის შესახებ გ. ნადარეიშვილმა. მართალია, ქრონოლოგიურად ავტორის მიერ დასმული საკითხი დაშორებულია ჩვენ თემასთან, მაგრამ იქ გამოთქმული ზოგადი ხასიათის მოსაზრებანი უთუოდ გასაზიარებელია. კერძოდ, დანაშაულის შესახებ ავტორი წერს: დანაშაული არაა შეგნებული კლასობრივი ბრძოლის გამოხატულება. ცალკეულ პირთა დანაშაული უნაყოფო და სტიქიური პროტესტია ოფიციალური საზოგადოების წინააღმდეგ, მაგრამ ზოგჯერ, გამონაკლისის სახით, იგი შეიძლება ჩაითვალოს კლასობრივი ბრძოლის გამოხატულებად. დანაშაული შედეგია საზოგადოების კლასობრივი წინააღმდეგობისა[37], მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში იგი არ არის ფორმა კლასობრივი ბრძოლისა, გარდა პოლიტიკური დანაშაულისა, რომლებიც კლასობრივი ბრძოლის უშუალო გამოხატულებას წარმოადგენენ[38].

მაშასადამე, დანაშაულად ფეოდალურ საზოგადოებაში ითვლე-

ჯელის ზომების მიხედვით ასახულია მწვავე კლასობრივი ბრძოლა, რომელიც ახასიათებდა ქართულ ბატონყმობას.

[36] ალ. ვაჩეიშვილი. სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი. თბ., 1960, გვ. 5—6.

[37] ჩვენ აქ გვინდა ჩავრთოთ, რომ დანაშაული სოციალურად ტოლ პირთა შორის არ შეიძლება კლასობრივ წინააღმდეგობის გაგებამდე დავიყვანოთ (-დ. მ.).

[38] გ. ნადარეიშვილი, სიკვდილით დასჯა და მისი სახეები XI—XII საუკუნეების საქართველოში. „მაცნე“, 1967, № 6, გვ. 106.

ბა ცალკეულ პირთა თუ გარკვეული ჯგუფების მიერ ჩადენილი მოქმედება, რაც ეწინააღმდეგება პრივილეგიური ფენების ნებასურვილებს.

ფეოდალურ საქართველოში სასჯელი კლასობრივ ხასიათს ატარებდა. ერთი და იგივე სისხლის სამართლის დანაშაულისათვის სოციალურად განსხვავებული პირები მეტ-ნაკლები სასჯელის ზომით ისჯებოდნენ. ვახტანგის კანონმდებლობით ბატონს ყმის სიკვდილით დასჯა და გახიბრება მეფისა და კათალიკოსის დასტურის გარეშე არ შეუძლია, მაგრამ ბატონი ყმის ეწიოკებისათვის („მიჯდომა“) არ ისჯება „ბატონი რომ თავის ყმას მიუჯდეს, იმისი არ გვითქუამს“ — აცხადებს კანონმდებლობა, რაც ბატონის აშკარა კლასობრივ პრივილეგიაზე ლაპარაკობს[39].

უდარებდა რა სხვა ქვეყნების სამართლის ძეგლებს ვახტანგის სამართალს ალ. ვაჩეიშვილი თვლიდა, რომ იგი ლმობიერი იყო და სახელმწიფო დისციპლინისა და კანონიერების შეგნების დონე არ გამორიცხავდა კანონმდებლობით დადგენილი ნორმებისაგან გადახვევას, რასაც ადგილი ჰქონდა კიდეც პრაქტიკაში.

დაწერილი ლმობიერების მიღმა თუმცა დაუწერავი, მაგრამ ტრადიციით განმტკიცებული, ცხოვრებაში ფეხმოკიდებული სასჯელის სასტიკი სახეობანი იყო გავრცელებული. და თუ კანონმდებლობა მოჩვენებით ლმობიერებას იჩენდა, ესეც პრივილეგიური კლასის ინტერესებიდან გამომდინარეობდა — კანონმდებლობა იცავდა მწარმოებელი საზოგადოების ინტერესს ექსპლოატატორთა ინტერესებისათვის. ქართულ ფეოდალურ ურთიერთობაში „ავად მოპყრობა“ სოციალური დამოკიდებულების ერთ-ერთი ფორმა იყო.

ყოველი ურჩობის, წინააღმდეგობის გატეხვას სოციალური გრადაციის მაღალ საფეხურზე მდგომი პირი (მეფე, ბატონიშვილები, თავადები, აზნაურები) მის ქვეშევრდომს ავად მოპყრობის მუქარით აიძულებდა.

ავად მოპყრობა გარკვეულ სასჯელს — აკლებას, ფიზიკურ დასჯას, მატერიალურ ანაზღაურებას თუ სხვას გულისხმობდა, რაც დანაშაულის ხარისხზე იყო დამოკიდებული.

1634—43 წწ. თეიმურაზ ხერხეულიძის საკუთარი ყმა გორიჯვარს შეხვეწილიყო. თეიმურაზი კათალიკოსს სთხოვდა, ოღონდ ეგ

---

[39] აქვე შევნიშნავთ, რომ სხვა ადგილას კანონმდებლობა იმასაც აცხადებს, რომ „ყმისა ყველა ბატონისა არის“, მაგრამ ამავე დროს კანონმდებლობაში ვკითხულობთ: „ნურა კაცი თაეის ყმას ძალას ნუ დაატანს, თორემ წავა... და ყმა დაეკარგება“.

ყმა უკან დაგვიბრუნდეს და არავითარ სასჯელს ჩვენ არ მივმართავთ მის მიმართ და „არც სხვა რიგად ავად მოვეპყრობით“[40].

1771 წ. საჩივარზე დადებულ არზაში ერეკლე აცხადებდა: „იცოდე იასაულო! შენცა და ქაიხოსრო სააკაძესაც დიდად ავად მოგეპყრობით თუ ამ ოქმს იმაზედ იღებ, რომ გამოართო რამე და გაუშო“[41].

1783 წ. დავით სარდალ-სახლთუხუცესი აცხადებდა: ვინც ღალას არ გადაიხდის იმას „ავათ მოვეპყრობით“[42].

ზოგიერთ დოკუმენტში განსაზღვრულია ხოლმე რას ნიშნავდა „ავად მოპყრობა“. 1754 წ. საბუთში ნათქვამია, რომ ბეჟან ამილახორისშვილი თაყინა თაყინას-შვილს „ავათ მოპყრობია, — დაურბევია, — სამი ხარი და ერთი ცხენი წაურთმევია“.

1787 წ. ერეკლე ზეგამელებს აფრთხილებდა: თუ თქვენი ნაცვალი „თქვენი მოჩივარი მოვიდა,... იცოდეთ ავად მოგეპყრობით[43] და ჯარიმას გარდაგახდევინებთ“[44].

1787 წ. ვინმე თეიმურაზი თავის შვილ იოანეს წერდა მიწის სამუშაოებზე გლეხების გამოყვანის თაობაზე და ურთავდა“: ამაზე ბეჯითი იყავ! ავათ მოეპყარ, ძალათ გარეკე, თორემ არას ინაღვლიან“[45].

როგორც ვხედავთ, „ავად მოპყრობა“ ზოგიერთ შემთხვევაში ქონებრივი სასჯელია — დარბევა ან ჯარიმა. სხვა შემთხვევაში კი იძულებას („ძალათ გარეკე“) გულისხმობს. შესაძლოა აქ გამოყენებული ყოფილიყო მტკივნეული სასჯელიც.

ეხება რა სასჯელის სახეობებს ალ. ვაჩეიშვილი აღნიშნავს, რომ ვახტანგ VI-ის კანონმდებლობა იცნობს ქონებრივ სასჯელს ორი სახით — ჯარიმით და კონფისკაციით[46].

სასჯელის ეს ორი სახეობა გვხვდება კანონმდებლობამდელ მასალებშიაც, შემდეგ კი მთელი XVII ს. მანძილზე.

ჯარიმა საბასთან — „ჯურუმი“ განმარტებულია, როგორც დანაშაულზედ წანართმევი. ჯარიმად არ ითვლებოდა რაიმე გარკვეულ დანაშაულზე (დაჭრა, კბილის ჩაგდება და სხვ.) დადგენილი

---

[40] ნ. ბერძენიშვილი. დოკ. 1, № 32.

[41] საქ. სიძვ. III, გვ. 163.

[42] Qd 801.

[43] დედანში წერია: მოპყრობით.

[44] Qd 7292.

[45] Qd 606.

[46] ალ. ვაჩეიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 118.

გარკვეული სასჯელი[47]. ჯარიმა იყო გაუთვალისწინებელი — უპრეცედენტო დანაშაულისათვის აღებული საზღაური[48].

ამიტომ ჯარიმის გადახდა პრაქტიკაში სწორედ გაუთვალისწინებელი დანაშაულის ჩადენისას გვხვდება. მაგ., 1787 წ. ერეკლემ იმერეთიდან გადმოსულ სხირტლაძეს ზეგამის ნაცვლობა უბოძა. ზეგამელები კი მკაცრად გააფრთხილა: „თუ ეს (ე. ი. სხირტლაძე.— დ. მ.) თქვენი მოჩივარი მოვიდა... იცოდეთ ავად მოგეპყრობით და ჯარიმას გარდაგახდევინებთ“[49]. აქ უთუოდ ჯერ ჩაუდენელ, კონკრეტულად გაუთვალისწინებელ დანაშაულზეა ლაპარაკი. 1788 წ. მთავარეპისკოპოს პაისიოს ერეკლესათვის შეუჩივლია, მცხეთელები ჩემი მამულის ღალას არ მაძლევენო. ერეკლეს ამის გამო მცხეთელებისათვის მიუმართავს: „..როდესაც სამთავროს მამულში მოხნათ თავისი ათის თავი მოართვით ეკლესიას... თორემ სარწმუნო იყავით, რომ ჯარიმითა და ავად მოპყრობით გარდაგახდევინებთ“[50].

აქაც გაუთვალისწინებელ მომენტთან გვაქვს საქმე, როდესაც გადამხდელი საზოგადოება უარს ამბობს „დადებულ“ გადაკვეთილ გამოსაღებზე.

